

1962



5
1962

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԼԽԱՎԱՐ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԼԽԱՎԱՐ ԳՐԱԴԱՐԱՆ



**ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შუკანალი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აპარის განყოფილების
ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ვარშანიძე — ლექსები	3
ს. თაყაძე — მკრთალი ნათელი (მოთხრობა)	6
შ. შუბლაძე — საოქტომბრო საჩუქარი (ლექსი)	19
ჟ. ჯაყელი — ხარაჩოვზე (მოთხრობა)	20
ძს. მშაგია — ლექსები	25
ბ. სანადირაძე — მზის ამოსვლის გორა (მოთხ- რობა)	27
ა. ჩხიძე — ბაბუაჩემი (ლექსი)	37
ალ. ლორია — ოთხმოცდამეერთე (მოთხრობა)	38
ზ. გორგილაძე — ლექსები	47
ნ. მოღვაძე — მამა (მოთხრობა)	49
ბახჩია ისაკო — ლექსები (თარგმანი თ. ჯანგუ- ლაშვილისა)	53

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. გორგილაძე — კომუნიზმის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის შექმნა მთავარი ეკო- ნომიური ამოცანა	54
რ. შამელაშვილი — გიორგი ლეონიძის პოეზიის ენა	57
კ. მამკელია — ილია ჭავჭავაძე ლიტერატურის ხალხურობის შესახებ	62
შ. ქურდიძე — დადებითი გმირის პრობლემა ან- ტონ ფურცელაძის შემოქმედებაში	64

ლიტერატურული კალენდარი

ნ. დუმბაძე — ქართული ლიტერატურის კლასი- კოსი	75
ბრ. ბაბილოძე — დიდი განმანათლებელი და სა- ზოგადო მოღვაწე	79

5
1962

**საქართველოს
ლიტერატურული
კავშირის**



3. პიკნამე — საბჭოთა თეატრის სიამაყე . . . 82

აზარის წარსულიდან

ხ. ახვლედიანი — ევგენი დალეჩიო დ'ალესიო
საქართველოს შესახებ 88

წიგნის თბრო

ალ. კოპაძე — ფრიდონ ხალვაშის ახალი ლექ-
სები 98

ზ. ართილაშვი — საქირო წიგნი 94



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე, (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია,
ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

‘მამია პაჩუნიძე

მ ა ზ ა ხ ე ლ ა

მეხი რა იყო, როს ჰქუხდი მჭახედ...
მტერს გაუმრავლე შენ კუბოები...
შენ ვინაც გჰედდა — მამაც მაჭახელს
აწ ერთიც აღარ მოეპოვები.
მაგ ყრუ ლულაში ჩუმაღ ჩაგხედავ —
ასავსავდება შავი ობოზა.
შენს ცეცხლზე თურმე დაუთოვია
და სტირი, სტირი სულით ობლობას.
მკაცრად ცდის ყოველს ო, ჟამი, ჟამი.
მე კი არ ვნანობ, რომ შენ გჰამს ჟანგი.

ჭ ი ბ ო ნ ი

კედელზე ჰკიდია ჭიბონი მისი,
თვით სადღა არის ის მეჭიბონე?!
ო, ბური ჩადგა აქ შავი ნისლის;
ეჰ, მიყრდნობილი იმ დიდ ჭიგოზე,
წაიქცა უცებ... დაეცა ჩრდილი...
და გადაღლილი ჭიბონი ტყბილი
ასე დადუმდა.
ის იყო სოფლის უჭკნობი სიმი,
ამ მთებს, ამ ველებს უმღერდა მუდამ.
ჭიბონი ერგო ლხინ-დარდის წილად,
მისი ხმა მუდგერი სოფელს სჭიროდა.
ის იყო სოფლის ყუყუნა წვიმა,
მისი ლხენა და მისი ჭრილობა,
ჭიბონი იყო მოხუცის ენა,
როდი უყვარდა ცრემლი, გოდება.
ის უმღეროდა დედა ენას და

მიუღიოდა იქით გონება.
 ის უმღეროდა ბაღებს, ედემებს,
 გაზაფხულით მათ გადამწვანებას;
 ის უმღეროდა ბავშვებს, დედებს და
 მისი ლხენა და მისი წამება,
 ეჰ, ჭიბონი და სიმღერა იყო.
 წუთისოფლიდან უცებ წავიდა...
 ჭიბონი დუმს, დუმს, როგორ ავიღო,
 მის სისველეში ყელი ჩაღება.
 ჰე, მაღლიანო, შენ მომაწოდე
 და მერე ნახე, როგორ ჩავბერავ!

თქვენი პირიმი

დილის ნიაგმა პირი მომბანა...
 მერე იაილებს ქარად დაუქროლა...
 ეს ვისი ხმაა?!? შუამთობაა?!
 დაუკარით მეზობლებო, დაუკარით!
 ჩემი ჩონგური მიყვარს,
 ჩემი ჭიბონი მიყვარს,
 ჩემი განდაგანა, ზორუმი მიყვარს,
 დაუკარი, არ გესმის?! ჰეი, ვინ ხარ?!
 ის ვინაა, ჩემს ბაღნარში
 ჩემს ყვავილებს ვინ ხნავს?!
 აქეთ მოდი, გენაცვალე, ვინ ხარ?!
 არა, არა, მომეჩვენა ისევ,
 ბადიშია, ყვავილებში დადის.
 ჩემო ღვიძლო გოგონაო, მისმენ?!
 ჩემს საფლავზეც ყვავილები დარგი,
 ჩვენი მთების ნაზი ყვავილები,
 მო, გამათბე შენი ყაირებით!
 მღერიან ისევ?! დაე, იმღერონ,
 სიმღერა, ჰაი, როგორ დამღლიდა!
 შენ გენაცვალე, სიმღერავ ჩემო,
 დაუშრეტელო და მარად წმინდავ,
 უშენოდ მიწა გადამეყაროს,
 უშენოდ არც მზე, არც მთვარე მინდა.

იპირს იჩენს, მერე პირიმივც...

ჰე, მთებო, მთებო, ბურს რად იბურავთ?
 კარჩხალმა ბუქი შემოგახვეტათ?!
 ვარდობამ პირი თქვენკენ იბრუნა...
 მეც მოვყოლოდი ამ თვეს ახ, ნეტავ.
 მომხედეთ მთებო, სულ ცას რად უმზერთ,

ერთხელც ბარისკენ ჩამოიხედეთ;
იქნებ შავშეთზე მიგიდით სული,
ვინძლო თქვენს ღვიძლ ძმას ხელებს მოხვევდით.
ასე ჩემსავით უყვარხართ ვინმეს?
ნატრულ ჩავცქერი ხევს, ქარაფს, მღვიმეს.
ასე ჩემსავით ვის უყვარს, აბა,
მთის წყარო წმინდა, ჩანჩქერი მღვრიე?
რა ელავს?! ნუთუ მეზი გაშინებთ? —
ეს თქვენმა შვილმა მე გავილიმე.
ქორთა საფრენი ახლოა, ხედავთ, —
ჩემი მტკაველის ერთი დადება.
ნუ ათრთოლდებით, იყავით მხნედა,
თოვლი დადნება,
ია პირს იჩენს... მერე პირიმზეც. —
აყვავდით მალე, თქვენი ჭირიმი!

იცი, რა მიხარია?!

შენი მინდვრის ჯეჯილნარი,
შენი ქვევრის სიმდიდრე,
შენი ნაცრის ცხელი კვერი...
ო, მამულო, იდიდე!
ქვევრი ძველის ძველია,
ღვინო ახლად ნაწური,
გამისინჯავს ჭაშნიკი
ერთი ციდა სარწყულით,
უცებ გავგეჟებულვარ
ამდენი ხნის ნაწური,
ქვევრში დამლანდებია
სატრფოს თმები ჩაწული.
ჩემს მიწას რომ დავხედავ,
ცა-ფირუხს რომ ავხედავ,

რა არ მომაგონდება,
თვალი ცრემლში აღზვება,
ო, ის უამი სულ მწიწკნის,
მასხოვს ბევრი სიმწარე...
ჩემო მამულ-დედულო,
გაზაფხულის სიმწვანე
სულ შენ მოგიპარია.
შენი ედემ-ბაღადა
აღზევება ვიწამე...
იცი, რა მიხარია?!
სად არ დავდგით ტაძარი,
შიგ ჩუქურთმა მივმალეთ,
მდინარენიც დავძარი —
ტურბინებში მივლაღეთ.



სოლომონ თავაძე

მკრთალი ნათელი

ეს ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობა, რომელიც პირველად ქვეყნდება, ცნობილმა ქართველმა მწერალმა სოლომონ თავაძემ ქობულეთში დაწერა 1958 წლის სექტემბრის დამდეგს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე.

მწერლის მეუღლის აგრაფინა თავაძის თანხმობით, მოთხრობა მოგვაწოდა მწერალმა კაპიტონ რუსიძემ.

ხანდაზმული კაცის მოგონებას უთუოდ დაჰკრავს მეტად მკრთალი ნათელი, რომელშიც თითქოს გარკვევით მოჩანან სიყრმის მეგობრები, ძლიერ საყვარელი ადამიანები; მაგრამ რაკი ისინი სამარეში განისვენებენ, რაკი მათი ხმა კარგა ხანია არა გსმენია, არც მათი თვალთა ელვა, არც ღიმილი აღარ გიხილავს, ამიტომ ეხვევიან ისინი მკრთალ ნათელში; ხანდახან, ძალიან იშვიათად, გამოკრთებიან ხოლმე სუდარისფერი ბინდიდან და სიყრმისდროინდელ ხმას გაგაგონებენ, გაგესაუბრებიან.

ერთ საღამოს ზღვის პირად ვიჯექი განმარტოებულად; არავინ ჩანდა. ზღვის გაბმული შრიალი სმენას დამამშვიდებლად ეფაჩუნებოდა; მალე წყვილიდმა მოიცვა ირგვლივ ყველაფერი, ზღვაც და ცის თაღიც. დარჩა მხოლოდ უჩინარი ტალღების განუწყვეტელი ჩქროლვა, ვით მარადი სრბოლა ჟამთა დენისა.

ანაზღად ზურგს უკან პროექტორით აენთო თვალისმომჭრელი შუქი და ზღვის სივრცეს ელვასავით შეეფინა. მრავალნაირად დაკლაკნილი აღმასისფ-

რი ტალღები შადრევნებივით აბრწყვიალდნენ და იწყეს უცნაური ფერისცვალება; ამ წამს რომ აღისფრად აკამკამდებოდნენ, უმაღლე ყრყოლვასავით დაუვლოდათ თეთრი ნაკადი და უხილავი ხელი ცელავდა ზეატრილ შხეფებს.

მცირე ხნით სრული წყვილიდ გამეფდა და უნებლიეთ ცხრაას ხუთის მღელვარე დრო და მაშინ შეთვისებული მეგობრები მომაგონდა. ასე წამდაუწყებოდა იფეთქებდა ხოლმე რევოლუციის ალი. მთელ ქვეყნიერებას ხელის გულზე გადაგიშლიდა, მერე უცებ ამოვარდებოდა ქარტყილი და იწყებოდა თავგანწირულთა შეუშოვარი ბრძოლა.

ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელი ყმაწვილი ვიყავი, საპატიმროში რომ ჩამკეტეს. ერთხანს სარკმელთან ვიდექი, მერე საკნის კუთხეში დავჯექი და ვცადე გონების თვალი კარდანშულ არემა-რეში მიმომეტარებინა.

არ შემიმჩნევია, ისე დამადო უცნობმა კაცმა მხარზე ხელი, სახეზე დამაკვირდა, თან ისე გამიღიმა, თითქოს ჩემი ძველისძველი მეგობარი ყოფილიყოს.

თითქოს, სულში რომ ჩამხედა, განთიადის სხივი ჩამოაყოლა და მშობლიური ალერსით მკითხა:

— პირველად ხარ საპყრობილეში?

იგი მომალე იყო, ფერმკრთალი, მისი არწივისებური თვალები მეგობრულ საუბარში ძალიან სათნოდ მიმზერდნენ. ამ კაცის კეთილმა მოპყრობამ გული კინალამ ამიჩვილა და ჩავარდნილი ხმით ვუპასუხე:

— ცუდ დროს ჩავვარდი, ამხანაგო!

უცნობმა ხელი ისევ მხარზე მომიფათურა, შემდეგ საკანში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მობრუნდა, მომეახლა.

მაშინ ჩამეჭრა სულში მისი კულტი გამომეტყველება; სასტიკი ხმით დამძახა:

— ჰატ, ვერ ყოფილხარ, ძმობილო, შენ ნამდვილი რევოლუციონერი! რაო, ცუდი დროო? ვის გზაზე ხარ, თუ იცი გამოსული? ჩვენი გზა შეუზოვარი ადამიანების გზაა, თვითმპყრობელობა უკვე შევარყიეთ, საცაა ძირს დავცემთ...

არც მისი გამხედაობა, არც მისი მკაცრი ხმა ვერ გამაკვირვებდა, მისმა კილომ მომხიბლა, ძმურმა სიახლოემ. საოცრად მომინდა გაშვო, ვინ იყო ეს კაცი. ის რომ ჩვენიანი იყო, ჩვენი რწმენის მიმდევარი, ეს სრულებით არ მეეჭვებოდა. ახლა მეწადა, ასე ვთქვათ, ხელშესახებად შემეგრძნო მისი სულიერი ნათესაობა.

შემატყო. გამიღიმა. ხელმოხვეულად დამსვა ნარხე.

— დაჯექი, დავისვენე, — დაყვავებით მითხრა, — ჰო, მართლა, მშვიერი იქნები. პოლიციიდან მოგიყვანეს, ხომ? ვიცი, როგორ მიგიღებდნენ იქ. ახლავე...

ადგა. ჩანთიდან პური და ხაჭაპურის ნატეხი ამოიღო, წყალიც დამისხა.

პოლიციის დილეგში მართლაც მთელი დღე და ღამე შიმშილი არ მომგონებია; მოულოდნელი უბედურებით თავბრუდახვეული ვიყავი.

თებერვალი იყო. იარაღი ამხანაგთან დავტოვე; დილას ნაბადიც არ მოვიხურო, შეუმჩნევლად უნდა მივსულიყავი

დინასტოე ადგილას. ხიდთან კაზაკების რაზმს შევეფთეთ. ჩვეულებრივად განვარძე გზა — ვის რა ესაქმებოდა უცნობ ახალგაზრდასთან. მთავარი კი ყურადღებიდან გამომრჩა. თურმე კვალდაკვალ ჩაშუში მომყვებოდა, რაზმის მეთაური შეაჩერა და ჩემზე მიუთითა. ასე უეცრად ჩავვარდი ამხანაგებთან ნათიცი წითელ-რაზმელი.

დილას ბოქაულმა ჩაშუშის ჩვენების მიხედვით ოქმი შეადგინა და ჩაფრები გამომაყოლა.

დილეგში მძიმე ღამე გავატარე: კუთხიდან კუთხეს ვაწყდებოდი, დავიდალე, კედელთან ჩავჯექი და, ვიდრე მცირე ხნით ძილი მომერეოდა, ჩემთვის ყველაზე გარკვეული ერთადერთი გზა იყო — გაქცევა.

ამწამს კი ისევ ჩემს ახალ მეგობარს შევაცქერდი. რაღაც იყო ამ კაცში ისეთი, რაც თავისკენ გიზიდავდა, გიახლოებდა. თანაც ისეთი გრძნობა გიპყრობდა, თითქოს მაღალი მწვერვალის ძირას დგახარ, ასვლის იმედი გეძლევა, მაგრამ ისიც იცი, რომ თითქმის დაუძლეველი დაბრკოლება უნდა გადალახო.

— ჰამე, ძამია, ჰამე, ძალა მოიკრიბე, — კვლავ დამიყვავა მან, — შენისთანებზე იტყვიან: დედის ძუძუს დიდი ხანია არ მოშორებიაო, შენ კი, გაიხედე, საიდან სად უნდა ახვიდე...

არ მეჭაშნიკა, დედის ძუძუ რომ ახენა, თავი ვაუკაცად მომქონდა, შეიარაღებული ბრძოლების მონაწილე ვიყავი. პირქუშად შევუდექი ჰამას. შიმშილი გამეღვიძა, გამალებით ვილუქმებოდი.

ამასობაში შემოვიდნენ სასიეროდ გაყვანილი პატიმრები. ცნობისმოყვარეობით მომიკითხეს. სხვადასხვა კუთხისანი იყვნენ, ზოგი ახალგაზრდა, ზოგი ხანში შესული. ერთი მოხუცი იყო, ლუკა ბაბუა, ბიბლიურ სახეს თოვლივით თეთრი წვერი უმშვენებდა.

მაღე შევნიშნე: ყველა, მოძრაობის მონაწილე იყო იგი თუ შემთხვევით ჩავარდნილი გლეხი, ყველა მორიდებით და

პატრისცემით ეპყრობოდა ჩემს მეგობარს, თავისი გულსათნოობით რომ პირველადვე დამიახლოვა.

მისი მომეხატრა, ვინაობა ვერ ვკითხე. ერთი პირმღიმარი ჭაბუკი გავიმართხე, რაჭველი მანუჩა ჯანუაშვილი, ოდნავ კოჭლი.

— ჰო, — თქვა მან, — ჩვენს ექვთიმე მთაწმინდელზე მეკითხები? იგი არა მარტო ჩვენს საკანში, მთელ ამ საპატიმროში ყველაზე დიდი ნასწავლი და ცნობილი რევოლუციონერია. მესამე კურსიდან გამოძევებული სემინარიელია, მაგრამ, შენ უნდა ნახო, რამდენი წიგნი აქვს წაკითხული, რამდენს მუშაობს. მაგის გვარი მთაწმინდელი კი არაა, ეს პარტიული სახელია, გურულია, ექვთიმე სუმბულაძე, მღვდლის შვილი...

ჯანუაშვილთან საუბარში ჩემი მეგობარი მთაწმინდელი კიდევ უფრო შემეყვარდა. აგერ ნარის განაპირას ზის იგი და წიგნს კითხულობს. მე კი საქმე არაფერი დამრჩა, ფანჯარას მივაღექი და გონების თვალი ჩემს ნაცნობ მხარეს მოვაღწე. აქ მახლობლად იყო რიონის ნაპირები, ბაღდათი, სალომენაო, ამალღება და ვანი, ტობანიერი და მთისძირი, წითელვარა და გამოჩინებული... შორს კი სურები და... როგორ ამყად გვატარებდა რევოლუციის ტალღები შეიარაღებულ რაზმელებს, როგორ გვხიბლავდა ხალხის ნდობა და სიყვარული!... ახლა კი სად გავძვრები, როდის დავაღწევ თავს ამ ცოცხალთა სასაფლაოს?..

არ შემინინვანვს, ისე ამომიდგა გვერდში ვიღაც უცნობი. გამომელაპარაკა:

— რავა ატყობ, მალე დავაღწევთ თავს აქიდან თუ არა?..

ავხედ-დავხედე: პირმრგვალი, შავულვაშა და შავთვალწარბა ახალგაზრდა კაცი იყო, ტუჩებში რაღაც ეშმაკური ღიმილი უკრთოდა. მაშინვე მივხვდი: წმინდა წყლის გურული იყო. ისე შემომყურებდა, რაიმე უნდა მეპასუხნა.

— რა ვიცი... სადმე კი უნდა გავძვრეთ, მეტი საშუალება არაა.

— გენაცვალე სულში! მოიტა ხელი, დავძმობილდეთ...

ღიმილი არ შორდებოდა, თეთრი კბილები უელვარებდა.

— მე ისიდორე მიმინოშვილი ვარ. უკვე გავიგე, სამსონ წითელიშვილთან ნაამხანაგარი ყოფილხარ, გავკრათ ხელი და ამოვუდგეთ გვერდში. ვიცი, ცეცხლივით ვაჟკაცია... ისე კი, რა გითხრა, იცი, — განავრძო მან თავისი გულის ნაღების გაზიარება, — სულ არ გვარგებს ჩვენ ეგერ იმ მოქადაგესავით წიგნებით თვალის ამოღამება. რა გვაკლია, მებრძოლი არა ვართ? ვენაცვალე კარგ თოფს და ფალასკას, მივყვეთ და მუსრი გავავლოთ ჯაშუშებს და თვითმპყრობელობის ბუნავს.

ამ კაცმა პირველი სიტყვისთანავე ჩემს გულში ჩამოიხედა. მეც ხომ ველად გაქრა და იარაღი მენატრებოდა. გამოწვდილი ხელი ჩამოვართვი და წრფელად ვუთხარი:

— კეთილი იყოს ჩვენი დამძმობილება!..

მალე ისიდორე და ჯანუაშვილი ნარზე ჩამოსხდნენ. ნარდის თამაში გააჩაღეს.

მე კი უნებლიეთ თვალი მთაწმინდელისაკენ გამექცა. ეტყობოდა, მთელი მისი არსება მარტოოდენ წიგნის კითხვით როდი იყო შეპყრობილი. სულ სხვა სამყაროში იმყოფებოდა, მის მიღმა იყო საპყრობილე და შავი დღეები. აი ადგას ის, წიგნი ჩანიშნა და საკანში გაიარა-გამოიარა, მერე ფანჯარასთან შეჩერდა. შევატყვე, იქაც შორს იმზირებოდა...

საოცრად მომესურვა, ავეოლოდი მის თვალთა ისარს, მეხილა ის მხარე, რასაც ოცნებით ბუნდოვნად ვხედავდი.

მოკრძალებით დავხედე წიგნს, რომელიც მარცხენა ხელში ეჭირა. გამოერკვა, მომატქერდა, შინაურულად გამიღიმა, წიგნი მომაწოდა.

გადავშალე, სათაურს დავხედე. უცნობი ავტორი იყო, ტექსტი — რუსული. მე კი რუსულად მხოლოდ წერა-კითხვა ვიცოდი და რამდენიმე სიტყვა.

— ეს ფლამარიონია, ასტრონომიაზე წერს, დიდი მეოცნებეა...

დავინტერესდი, რაღაც უხილავი ქვეყნიერება წარმოვიდგინე.

— ნეტავი შემეძლოს ამის წაკითხვა!

— გულუბრყვილოდ ვინატრე და ჩემს ახალ მეგობარს მორცხვად შევაცქერდი.

— შეუძლებელი რა არის? — შემეკითხა მთაწმინდელი. — დრო ჩვენს ხელშია, მოვდგეთ და ვიმეცადინოთ...

წიგნი გადავფურცლე. ჩავფიქრდი. პირველად ვიგრძენი, რომ ჩემს წინაშე მეტად დიდი და თანაც ძნელი ასპარეზი იშლებოდა. ბრძოლაში უკვე გამოწაფული ვიყავი, იარაღის ხმარება შემეძლო. ეს ახალი საქმე კი უფრო რთულია და...

— რამ ჩავაფიქრა? — აღერსიანი ხმით მითხრა მთაწმინდელმა და ხმაზე შეეტყო, რომ მიხვდა, რა სიძნელის წინაშე ვიდექი.

— კარგია სიმამაცე, შეუპოვარი ბრძოლა, მაგრამ მოდი, აქაც ვცადოთ ძალა: თუ ბრძოლის ნიჭთან ერთად სწავლის ნიჭსაც გამოვიჩენთ, წინ ვერაფერი დაგვიდგება...

ეს უკვე გამოწვევა იყო. საერთოდ მეტად მოკრძალებული ვიყავი, მაგრამ თანაც უცებ ვიცოდი ადამიანზე გულის დანდობა, ძმასავით შეთვისება.

საქაწში ოცდახუთ კაცამდე იყო, მორიდებულად მიმოვიხედე, ხელი გამოვდევი და წრფელად ვუთხარი:

— შენი ჭირიმე, ამხანაგო ექვთიმე, მიხელმძღვანელე, გამიწიე დახმარება.

— მაგაზე ადვილი რა არის, — ჩაილაპარაკა მთაწმინდელმა, — მთავარია, მოსაწყენად არ მიიჩნიო, გული არ აგიცრუვდეს. აგერ შეხედე! — თქვა და ნარდის მოთამაშე ისიდორე მიმინოშვილსა და მანუჩა ჯანუაშვილზე მიმითითა, — ესენი წიგნის ხალხი არაა, სხვაგან ქრის მათი გონება...

ნარის განაპირას მიმიყოლია, თავის კუთხეში.

— ამ ციხეში ბიბლიოთეკა არ არის. რამდენიმე წიგნი გვაქვს გარედან შემოტანილი, ისიც ხელზეა დარიგებული.

ნარის თავთან მიკეცილი ლოგინე დაწია, ყდადახეული, ფურცლები ცილი წიგნი მომაწოდა.

— ეს თავს შეგაქცევინებს, მოგეწონება ზაგლობა და ვოლოდიესკი. ისე კი მთავარი რა არის იცი? რუსული ენის შესწავლას უნდა მოვკიდოთ ხელი. ეს ჩვენთვის უპირველესი იარაღია...

იმ საღამოს მთაწმინდელის მიერ მოცემულ წიგნს ჩავუჯექი, გამიტაცა, ვოლოდიესკის ვაჟაკობამ მომხიბლა. კვითხულობდი და ჩემი რაზმელობა მაგონდებოდა, სამსონ წითელიშვილის სიმამაცე თვალწინ მეხატებოდა...

არ გამიგია, საკანში მეციხოვნენი რომ ძილისწინ შესამოწმებლად შემოიჭრნენ. უფროსმა თვალი შემასწრა.

— ეს ვინ ბრძანდება, მხარეთმოზე რომ განისვენებს? — იყვირა მან და, ვიდრე წამოვდგებოდი, ბრაზიანად ბრძანა:

— წაიყვანეთ ახლავე კარცერში, სამი დღით!

მთაწმინდელის შეწუხებული სახე თვალში მომხვდა, თავი ასწია და უფროსს მიმართა:

— ბატონო უფროსო, ეგ აქ პირველი დღეა, აქაურ წესებს არ იცნობს...

— ძალიან კარგია, კარცერი მოუხდება, წესებს ისწავლის! — ანჩხლად თქვა უფროსმა და ზედამხედველს ჩემზე მიუთითა.

წამსვე კარცერში აღმოვჩნდი.

უცებ ჩაიკეტა მთაწმინდელის მიერ ჩემს წინაშე ისე სანუგეშოდ გახსნილი წინსვლის გზა; შევიკუმშე, დავბატარავდი. ორი ნაბიჯი გადავდგი ბნელში და კედელს წავაწყდი. დერეფნიდან ჰაერის შემოსასვლელად კარში სულ პატარა სარკმელი იყო გამოჭრილი. მივტრიალდმოვტრიალდი, სარკმელთან გავშეშდი. სად ვარ? სად არიან ჩემი მეზობელი ამხანაგები? ნუთუ შესაძლებელია ადამიანის ასეთი საზოგადოარი უმწიბრობა?..

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი გამოუვალ ფიქრებში. ცივ იატაკზე ჩავჯექი. ძილმა გადამაფარა თავისი შავი ფრთები...

მეორე დღეს მთაწმინდელმა მისხნა კარცირიდან: მაშინ პოლიტიკური პატიმრების ძალას ანგარიშს უწევდნენ ციხის უფროსები.

საკანში ჩემი ახალი მეგობრები აღფრთოვანებით შემეგებნენ. მანუჩა ჯანუაშვილმა და ისიდორე მიმინოშვილმა ნარზე საუბრე გამიშალეს, მთაწმინდელმა წიგნი სასთუმალთან მიკეცილ ლოგინზე გაშლილად დასდო, თავისებური ღიმილით ქოჩორზე ხელი გადაისვა და, რაც კი იმ დამეს სულში კვამლი ჩამოფინა, მყისვე გაფანტა.

მას შემდეგ გადასახლებამდე საპრობილეში თუ ვიყავი, არ მიგრძნია, არ მეცალა: განუწყვეტელი სწავლა, წიგნები და მთაწმინდელის დაუფიწყარი საუბრები. ამ ახალ მოციქულს ხელთ ეპყრა ოქროს გასაღები — სადაც მოისურვებდა, იქ ამოლაგებდა ადამიანის გონების მიერ შექმნილ განძს. საკანში დრო განაწილებული ჰქონდა. თუ ახალი გაზეთი ხელში ჩაგვვიარდებოდა, საჭირო წერილზე მიმითითებდა და საჯაროდ წამოკითხებდა. რუსული ენის სწავლას განსაკუთრებით მავალებდა. პოლიტიკურ ეკონომიაზე ლექციებს სამი თვე მოანდომა. მართალია, ნაყოფს ყველგან თანაბრად ვერ იღებდა — ზოგან მხოლოდ თითო მარცვლი ეცემოდა, ეს თვითონაც იცოდა. ზოგს შუა საუბარში ჩაეძინებოდა ნარზე მიწოლილს. ერთი რეციდივისტი გვერია, ხმელ-ხმელი, მეგრდ-ჩავარდნილი კაცი. მას ჭლექი სჭირდა, ყველას მიმართ ამიზნებული იყო. მთაწმინდელს მაინც პატივს სცემდა. ერთხანს უსმენდა, ბოლოს ხველას ძლივს შეიკავებდა და ძილი მოერეოდა.

მეტყველების იშვიათი ნიჭით იყო დაჯილდოებული მთაწმინდელი. ნარნარად ჩქეფდა მისი სიტყვები. იფიქრებდი, ფრაზები წინასწარ აქვსო შედგენილი, მაგრამ მის სახეს რომ დააკვირდებოდი, მისი შთამაგონებელი იერი რომ გულში ჩაგვდებოდა, მაშინ თავისთავად იგულისხმებოდა: არავითარი ცნესურა მის სულს არ გაჰყარებია, არც ეზოპისებური

ხერხები დასჭირვებია. ხალხისათვის ან-
თებული გულით ხალხს ელაპარაკებოდა; და; ხედებს არ ამოძრავებდა, მხოლოდ ჩვეულებად ჰქონდა — მარჯვენას ენერგიულად აღმართავდა ხოლმე და სიტყვას წინ ხაზგასმულად გამოთქვამდა. ყველაფერს, ისტორიული ამბავი იყო იგი, თუ პოლიტიკური მრწამსი, ყველაფერს ღრმად შესისხლბორცებული იდეის სხივი უნათებდა.

მხოლოდ ხანდახან შეიპყრობდა რაღაც შავი ნაღველი, თავის არსებაში ჩაიკეტებოდა, ყველას განერიდებოდა, ფანჯარას მიადგებოდა და თვალები გაუშტერდებოდა. პირველად, ასეთ მდგომარეობაში რომ ვნახე, გამოლაპარაკება ვცადე, მინდოდა რამე ისეთი მეთქვა, რომ მისი განათებული სახე დამენახა.

კუშტად შემომხედა, თვალები შინაგანი სევდით ჰქონდა დაბინდული. თითქოს არ შეგუმხნევივარ, სახე ამარიდა, თავის ფიქრებში გაერთო.

მეწყინა, ისე მეწყინა, თითქოს ჩემს აღთქმულ ქვეყანას ნისლი გადაეფარაო. თუკი მთაწმინდელი, ჩემი საყვარელი მასწავლებელი, ასე უხეშად ხელს მკრავს, მაშინ სადღა არის წრფელი გული, ვისი იმედი უნდა მქონდეს?

წიგნი ავიღე და უგუნებოდ დავიწყე კითხვა. გულის ტკივილი მიეუჩნა, მიწყნარდა, აღარ მესმოდა პატიმრების ხმაური. უცებ ქოჩორზე ხელის შეხება ვიგრძენი. მყისვე მივხვდი, მთაწმინდელი იყო. გაბუტული ბავშვი რომ დედას დახშული ალერსით შეაქცევრდება, ისე მივაპყარ მკრთომარე მხერა. უმაღლეს გალხვა გულის დარდი, მთაწმინდელმა ძმურად გამიღიმა.

— მაპატიე, წელან მეორე გაწყენიე...

მერე დავაკვირდი: განმარტოების გუნებაზე რომ დადგებოდა, ხელს არ ვუშლიდი, თვალს შორიდან ვადევნებდი.

ერთხელ დრო შევურჩიე და გავუბედე:

— თუ გიყვარდე, ექვთიმე, გამიზიარე შენი დარდი. რაღაც დიდი წუხილი გაქვს გულში ჩამარხული...

ამხედ-დამხედა, ხელი გამომდო, სა-
კანში გავიარ-გამოვიარეთ. ხმა არ ამოუ-
ლია, თავის კუთხეში მიმიყოლია, გვერ-
დით მომისვა.

საკითხს შორიდან მოუტარა.

— გახსოვს, გუშინწინ სასაუბროდ
დანტეს „ღვთებრივი კომედია“ ავირ-
ჩიე. ყველა დაინტერესდა, როგორ დაე-
ბნა კაცს გზა ცხოვრების უღრან ტყეში,
მერე როგორ მოიარა ჯოჯოხეთი, სალხი-
ნებელი და სამოთხე, როგორ ედგა
თვალწინ და მიუძღვებოდა სიჭაბუკის
ჟამს შეყვარებული ბეატრიჩე. ადამი-
ანის რა წამება და უბედურება არ იხილა,
ის კი, ბეატრიჩე, ყველგან უმწიკვლო
რჩებოდა... იცი, რა მინდა გითხრა? ბეა-
ტრიჩე სიყვარულის უკედავი სიმბო-
ლოა... შენ ჯერ ბევრი რამ გავლია, სანამ
ცხოვრების უღრანებში მიიხედ-მოიხე-
დავდე... ვაი თუ, ეშმაკს გადაეყარე და
გზიდან აცდენა მოგიწდომა. ღმერთმა ნუ
ქნას... მეც ხომ ადამიანის შვილი ვარ,
მეც შემხვდა განსაცდელი... მაგრამ ამა-
ზე შემდეგ... ხანდახან თუ ფიქრი ჩამი-
თრევს, ნუ გეშინია, ვერ ჩამძირავს...

გუნებაში გავივლე, სიყვარულის ის-
რით ხომ არ არის დაჭრილი ჩემი ექვთი-
მე-მეთქი. მოუფიქრებლად წამომცდა:

— ცოდვაა სევდით შეპყრობილი ადა-
მიანი, ვინ იცის, იქნება საესვებით გან-
მარტოვდეს და სასოწარკვეთილებამ
დასძლიოს...

ამას რომ ვლაპარაკობდი, წინა დღეს
ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები წაი-
კითხე და მათ გავლენაში ვიმყოფებოდი.
ექვთიმე მიმიხვდა. დამამახსოვრებელი
ხმით, მთელი თავისი რწმენის გამოძხა-
ტავი ხმით მითხრა:

— გახსოვდეს, არასოდეს, არც ერთ
პესიმისტს, არც ერთ დეკადენტს ადამი-
ანისათვის იოტის ოდენი სიხარული არ
მიუნიჭებია, ცხოვრება არ შეუმსუბუ-
ქებია. მხოლოდ ოპტიმისტები არიან ად-
ამიანის გამამხნეველები, ამამაღლებე-
ლნი. შორს რად მიდიხარ, აგერ ჩვენი
ბარათაშვილი, აიღე მისი:

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის

ეს განწირული სულსკვეთება...

ან არადა, ჩვენი რუსთაველის:

ვაჰ, სოფლო, რა შიშან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხრი სადით ძირსა,
ყოვლი შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტრისა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა შენგნით განაწირსა...

ღმერთი... ამ შემთხვევაში უნდა იგუ-
ლისხმო ადამიანის გონება, ადამიანის
ძალა... დიახ, ოპტიმისტების მიერ არის
შექმნილი ყველაფერი, რასაც წინ მიჰ-
ყავს ადამიანი, სულ წინ...

ჩვეულებისამებრ მთაწმინდელმა ხე-
ლი აღმართა და ბოლო სიტყვას ხაზი გა-
უსვა...

ამასობაში მოაღწია გადასახლება.
სატუსალოში ტევა აღარ იყო, ყოველი
მხრიდან მოჰყავდათ პატიმრები. გუბერ-
ნატორი განურჩევლად აგზავნიდა ციმ-
ბირში რევოლუციური მოძრაობის მონა-
წილეებს.

ჩვენი ჯერიც დადგა. ერთი კვირით
აღრე გავიგეთ. გარედან ჩვენს ჯგუფს
პარტიულმა ორგანიზაციამ გამოუგზა-
ენა, თბილი ტანისამოსი და ას-ასი მანე-
თი ფული.

ივნისის მზიანი დღე იყო. ორ-ორი კა-
ცი ერთიმეორეზე მიგვაჯაჭვეს და ჩამწ-
კრივებულმა ჯარისკაცებმა ქუჩაში გამო-
გვიყვანეს. კარგა ხანია არ მენახა დედა-
ჩემი ასე ნათლად. დედისერთა ვიყავი,
მამა სამი წლის წინათ გარდამეცვალა.
დედას ჯერ ორმოცი წელიც არ შესრუ-
ლებოდა, თალხი კაბა ეცვა და შავი თავ-
საფარი. ხორბლისფერი სახე წუხილისა-
გან წამოღვივებოდა და თვალს არ მამო-
რებდა. გვერდით ექვთიმეს მოხუცი დე-
და მოყვებოდა, წელში ოდნავ მოხრი-
ლი, მაინც კარგად შენახული. თავი ორი-
ვეს ღირსეულად ეჭირა: იცოდნენ, თუ
რა საქმეზე გზავნიდნენ მათ შვილებს
ციმბირში.

დედამ შემატყო: თავს დამნაშავედ
ვგრძნობდი, მარტო გტოვებდი, მხოლოდ
ბიძების იმედილა მქონდა. ამან კიდევ
უფრო დაამწუხრა, მაგრამ ცრემლი არ

გამოაჩინა, კიდევ უფრო აუღელვარდა თავისი დიდრონი, თაფლისფერი თვალები. ქუჩაში ხალხი რომ შექუჩდებოდა, ჯარისკაცი ხმააწეულად დასძახებდა:

— აბა, აბა, ჩაიარეთ, ნუ გაშტერებულხართ!..

ყველაფერი სწრაფად მოხდა — უცებ ჩაგვკეტეს პატიმრების ვაგონში.

სახე რკინის გისოსს მივყარდნე და აგერ გამოჩნდა დედაჩემი. არც ჟანდარში. არც სხვა ვინმე არ შემომჩნევია. მოდის დედა, მიახლოვდება... დაიძრა მატარებელი და შეირხა დედის ნიკაბი, ცრემლები ღვარივით გადმოცვივდა, თითქოს ქვეყნის დასალიერიდან მომესმა:

— აბა შენ იცი, შვილო...

არ მახსოვს, როგორ ავტირდი. თავი რომ ავწიე, მთაწმინდელის სახე შემომეფეთ. ისეთმა გრძნობამ გამკრა, თითქოს დანაშაულში დამიჭირეს, მაგრამ უმაღლეს მისმა თანაზიარობამ დამიმორჩილა, თავი მკერდზე მივყარდნე და ღრმად ამოვიოხრე...

და დაიწყო ჩვენი მსვლელობა საპატიმროდან საპატიმროში, როგორც დანტეს ჯოჯოხეთის საფეხურებზე.

ბირველად ქუთაისიდან მეტეხში მოვხვდით. აქ ჩვენს წინაშე გაიელვა საქართველოს მძიმე ისტორიის ანარეკლამ; ჩვენს გვერდით იყო დაღვრილი ლადო კეცხოველის სისხლი და სახრჩობელაზე აყვანილ მებრძოლთა აჩრდილებიც ახლო მოჩანდნენ.

სასერიანოდ გაგვრღეს ჰაერდახშული საენის კარი. ეზოში შვებით ამოვისუნთქეთ. ეკლესიის შესავალთან ჩამოვდა ერთი წვერიანი საზოგადო მოღვაწე, გაგვესაუბრა. გულგატეხილობა უნებლიეთ გამოსჭვიოდა მის სიტყვებში.

მთაწმინდელი ჩაფიქრებული უსმენდა, მერე გაკვრით შეესიტყვა, ჩვეულებისამებრ აეგზნო. მისმა იმედიანმა შეძახილმა, მისმა უბადლო მჭევრმეტყველებამ ყველა მოხიბლა. შევგუფდნენ. საუკუნეობრივი ღუმილი მეფობდა ეკლესიის შესასვლელთან. მთაწმინდელი კი თავისი სიტყვებით ახალი სარწმუნოების ზარს რეკდა.

ახლო მივიჩოქდი, თავი მომწონდა, მის გვერდით რომ ვიდექი... 

შემდეგი საფეხური იყო ბაქო, ბაილოვის ციხე, კასპიის ზღვის ახლო გორაკის ძირს მიდგმული.

კვირას მთაწმინდელმა ციხის პატარა ეკლესიაში წამოყვანა. მორწმუნესავით უსმენდა ლოცვა-გალობას.

ეზოში რომ გამოვედით, მაშინ მითხრა:

— მამაჩემი მაგონდებოდა... ბავშვობაში წმინდანების ცხოვრებას რომ ვკითხულობდი, ცრემლს ვღვრიდი. ახლა მატერიალისტი ვარ, ათეისტი. მაგრამ ახლაც და მომავალშიც ყველამ უნდა წაიკითხოს ბიბლია, გაიცნოს ძველი კაცობრიობის გონების მიერ გამოვლილი გზა... მე კი ლოცვა-გალობას რომ ვუსმენ, გულს სწვდება ბავშვობაში შეთვისებული კილო და ჰანგი...

ბაილოვიდან გასვლისას ბიბეიბათის საყვირები აზუზუნდნენ, თითქოს ბაქოს მუშები გზას გვილოცავდნენ.

პეტროვსკის სატუსალოში რამდენიმე დღე დაყავით. იქ მყოფმა ქურდ-ბაცეებმა პოლიტიკურ პატიმრებს ავი თვალით დაგვიწყეს მზერა. დანებით იყვნენ შეიარაღებული და გაძარცვა მოგვინდომეს. ჩვენ თვრამეტი ახალგაზრდა ვიყავით, ერთ საკანში შევმჭიდროვდით და ვერაფერი გავკვიდე.

ღრუბლიანმა ღღემ ჩამოგვხედა, გემის ტრიუმში რომ ჩაგვკეტეს. აბრბოქრდა კასპიის ზღვა და საშინელი ღამე გავატარეთ. გული მერეოდა. მალეზინებდა. არ ვიცო, სად ვეგდე ბნელეთში, ვიდრე ქალაქის ნავსადგურში გავიდოდით.

ასტრახანში დავიმახსოვრე მხოლოდ ჭერამდე ბალიჩოვებით სავსე სარდაფი და მინისა და შუშის ნაჭრებით მოკირწყლული მაღალი გალავანი.

და როცა ჩვენი გემი ვოლგაში აღმოჩნდა, შვება ვიგრძენი, გემი არ გვარწევდა, თავისუფლად მისრიალებდა.

მცველებმა რამდენიმე კაცი გემბანზე აგვიყვანეს. განათდა ქვეყანა ცის კიდი-

დან ცის კიდედის. ვტოვებდით მიხვე-
ულ-მოხვეულ ნაპირებს და არ უჩანდა
დასასრული ველებსა და ტყეებს... მხო-
ლოდ აქედან შეიძლება შეიგრძნოს კაც-
მა რუსეთის სილამე, მისი უნაპირობა.

ღამდებოდა, სარდაფში რომ ჩავიყვან-
ნეს. მთაწმინდელი სარკმელთან ჩაჯდა,
თავის გვერდით მანიშნა ადგილი. შევა-
ტყვე, არ ეძინებოდა, მთვარით განათე-
ბულ მდინარეს და ხანდახან ოდნავ გა-
მოძრეთალ ცის ნაჭერს თვალს აყოლებ-
და. ერთხანს მისთვის ჩვეული კუშტი
გამომეტყველება არ შორდებოდა, მერე,
თითქოს პირველად დამინახაო, შემოხვე-
და. სარკმლიდან მთვარის შუქის ანარე-
კლი ჩვენამდე ძლივს აღწევდა.

— იცი, რას გეტყვი? — უჩვეულოდ
დარბილებული ხმით დაიწყო ექვთიმემ.
— შენ დაკვირვებული ახალგაზრდა ხარ
და არ გამიმტყუნებ... რატომ ვახსენებ
მე ხანდახან დანტეს ბეატრიჩეს?... მეც
ვიყავი ერთ დროს შეყვარებული... ჩემ-
ზე უმაღლესი ადამიანი თუ იყო, ვერ
წარმომედგინა. უმაღლესი-მეთქი, რომ
ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის მიღწე-
ვა, რაც კაცს გააჩნია... მერე ვისზე გამ-
ცვალა, ნამდვილ მეშხანზე!.. თვითონაც
თურმე მეშხანი იყო... მე კი... ბეატრიჩე
რა არის! — მთელი ქვეყნიერების სამკა-
ული მეგონა. ასეთი ვარ მე, უცებ ვიცი
გატაცება, თავდავიწყება... ეჰ, რა გაეწყ-
ობა. დღეს გემბანზე მოვკარი თვალი
ერთ მშვენიერ ქალს, მაშინ მომაგონდა
იგი...

ჩაფიქრდა. სარკმლიდან კი კვლავ მო-
ჩანდა, როგორ ლაპლაპებდა მთვარის
შუქზე მდინარის მოქათქათე ტალღები,
როგორ კამკამებდა ბროლისფერი ნანჩქ-
რები...

სამარის ვეება საპატიმრო ისე შეგვხ-
ვდა, თითქოს სამუდამოდ მიეფარა სქელ
კედლებს თვალუწვდენელი ველები და
ცის კამარა.

მაგრამ მალე კვლავ ჩავსვს პატიმ-
რის ვაგონში. მანუგეშებლად შემოგვე-
გება ურალის ფიჭვ-ნაძენარიანი ქედე-
ბი...

მერე ტიუმენის ყაზარმა, ორასი ვერ-
სი ფეხით ტობოლსკის საგუბერნიო ყაზ-
არობილემდე; აქ საცხებით ჩამოხვე-
ბულ საკანში უნდა გადაწყვეტილიყო
ჩვენი ბედი, სად მოგვხვდებოდა — ცი-
მბირის თვდაულწეველ ტუნდრებში
თუ...

და უცებ იწყება ნათელი დღეები:
ჩვენი ჯგუფის ერთ ნაწილს შეხვდა სამ-
ხრეთი, იალუტორის მაზრა.

გზას რომ გავუდექით, მთაწმინდელმა
არწივივით გაშალა მხრები, ისიდორე,
მიმინოშვილმა გურული სიმღერა წამო-
იწყო, მანუჩა ჯანუაშვილი ისე მოაბიჯე-
ბდა, თითქოს ცალი ფეხი დაშავებული
არ ჰქონოდა...

მაზრის უფროსმა მცველები ჩამოგვა-
შორა, დაგვარიგა, სოფლებში ამ დღეებ-
ში გაგანაწილებით.

და აი, ავეისტოს ბოლო რიცხვებში,
როცა ჯერ კიდევ სითბო იყო, ჩვენ თავი-
სუფლად მივსერილობთ ქუჩაში. პატარა
ქალაქია, აქა-იქ გვხვდება სუფთა, ორ-
სართულიანი სახლები.

მანუჩა და ისიდორე ორიოდვე ამხანა-
გთან ერთად სადღაც გაუჩინარდნენ.

მთაწმინდელს გვერდით მივეყვები. მი-
სგან უკვე ბევრი რამ შევიძინე, ისეთი
გრძნობა მაქვს, თითქოს მთავარი დაბრ-
კოლება საცხებით გადალახულია და ახ-
ლა შემიძლია ვიარო ამ დაუსრულებელ
ქვეყანაზე წინ, სულ წინ...

ლაღად მიმოვდიოდით, ყველაფერი
საამო იყო — ნელთბილი ჰაერიც და დი-
დრონი ხეების შეყვითლებული ფოთლე-
ბიც. სადღაც ცხრა მთისა და უსაზღვრო
ველების, უღრანი ტყეების მიღმა არის
მშობელი მხარე, მაგრამ ეგ არაფერია,
აქაც ადამიანები არიან და ჩვენი გზაც
გაშლილია.

ერთ ადგილას, კოხტა სახლის წინ, მო-
ნუსხულივით შეჩერდა მთაწმინდელი.
მივიხედ-მოვიხედე, ნეტავი ასე რამ გა-
აქვავა-მეთქი. აგერ აივანზე დგას ქერა
ქალიშვილი. სადაღაცია, მაგრამ ამ სი-
სადავეში რა სიტუარფა! მის ბადრ სახეს
უმანკოების შარავანდელი შვენოდა; უბ-

რალო იყო, სავსებით უბრალო, მაგრამ რა მიუღწეველ ვარსკვლავს ჰგავდა ის ჩვენისთანა შორეული ადამიანებისათვის.

მთაწმინდელი დიდხანს იდგა და უმზე-რდა მას. მერე, ქალი რომ შინ შევიდა, ხელი გამოძო და გამიყოლია, თან მთა-რეულივით ჩაილაპარაკა:

— მერწმუნე, ასეთი იქნებოდა ბეატ-რიჩე, როცა ის დანტემ პირველად ნახა... მოდი, მიგბრუნდეთ, იქნება კიდევ მო-ვკრათ თვალი...

მართლაც, გაიღო ქუჩაში გამოსასვ-ლელი კარი და ისიც გამოჩნდა, ხელში სქელი წიგნი ეჭირა. უკმაყოფილოდ ახ-ედა მობრუნებულ მთაწმინდელს, უცებ აენტო მისი ქერა სახე, ლაწევებზე ქარვის გამჟვირვალე ელფერმა დაჰკრა...

არ ვიცი, როდის იბადება სიყვარუ-ლი: მაშინ, როცა ორი არსება ერთმა-ნეთს პირველად იხილავს, თუ მაშინ, როცა სულის სწრაფვას სიტყვაში განა-სახიერებს? იქნება სიტყვა ჯერ არ შო-ბილა, თვალთა ელვა კი უკვე შეიჭრა გულის სიღრმეში, უკვე ამოჰკვეთა იქ თავისი სახება... იქნება ამჟვეყნად სიყ-ვარულის იმდენი ელფერია, რამდენიც ადამიანი არსებობს.

— უკაცრავად, გვაპატიეთ, ღვთის გულისათვის, — მოიბოდიშა მთაწმინ-დელმა და ქალისკენ ნაბიჯი გადადგა, — ჩვენ ქართველები ვართ, გადმოსახლე-ბულნი.

ასე ითქვა პირველი სიტყვა. ამას მოჰ-ყვა მოკლე საუბარი...

ახალგაზრდა ქალი მასწავლებელი გა-მოდგა, იმ წელს დაემთავრებინა პედა-გოგიური სასწავლებელი. რუსული კლა-სიკური ლიტერატურის დიდი მოყვარუ-ლი იყო. მთაწმინდელმა პირველადვე იპოვა მასთან დამახლოებელი სიტყვა.

— ძალიან გთხოვთ, — თქვა ბოლოს ქალმა, — ამ საღამოს გვეწვიოთ ყველა-ნი. ჩემი მეგობრები დიდ ბედნიერებად ჩასთვლიან თქვენთან შეხვედრას...

წასვლისას ძველი ნაცნობივით გაუ-წოდა ხელი ექვთიმეს, გაგვმორდა და

უცებ შედგა. ისე შეგვათვალერა, თით-ქოს რაღაც მოავონდაო, მერე აჩქარე-ბულად განაგრძო გზა, ჩვენ კი მომჩინ-ვლელი ღიმილი დაგვიტოვა.

საღამომდე ექვთიმე ხან უცნაურად იყო ჩაფიქრებული, ხან გულიანად მღე-როდა.

სულ შვიდი კაცი ვიყავით. ჩვენთან იყო ერთი ფოთელი ახალგაზრდა, ლოტ-ბარობის ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოე-ბული; ხელად დაგვრახმა, ხმები შეგვა-წყობინა.

დარბაზში ისე დავსხედით, როგორც მომღერალთა გუნდის წევრები; რუსულ ენას მხოლოდ მთაწმინდელი ფლობდა სავსებით, დანარჩენებიდან ჩვენს ლოტ-ბარსა და მე მეხერხებოდა რამდენიმე სიტყვა.

ტანია დემიდოვნას (ჩვენ უკვე ვიცო-დით ახალგაზრდა მასწავლებლის ვინაო-ბა. წინა წელს გარდაცვლილი პედაგო-გის ქალიშვილი იყო. მასთან ჭარმაგი დედა და ორი და ცხოვრობდა) შვიდი თუ რვა მანდილოსანი მოეწვია. ერთი რომელიღაც გამოჩენილი მოხელის მეუ-ლლე იყო.

პირველად ჩვენი შეხვედრა სიმღერე-ბით დაიწყო. რუსულ რევოლუციურ სი-მღერებზე ქალებს ცრემლი მოერიათ; მერე აეწყო ჩვენი ქართული სიმღერები. ყველა გააოცა ისიღორო მიმინოშვილის გურულმა კრიმანჭულმა.

ბოლოს, წამოდგა მთაწმინდელი, დინ-ჯად უამბო ამ უცხო ადამიანებს საქარ-თველოს წარსული, მღელვარე სახალხო მოძრაობის ამბები.

ხომ ვიცნობდი ექვთიმეს სიტყვის ოსტატობას, მაგრამ მაინც ფრთა შემას-ხა მისმა მჰვეგრმეტყველებამ. მისთვის რუსული ენა მშობლიურისაგან არ განი-რჩეოდა. თანაც ისიც შევამჩნიე, როგორ გამორჩეულად უყურებდა ის ტანია დე-მიდოვნას, როგორ იღუშებოდა შეტრფო-და მას...

მაშინ დავაკვირდი და... იშვიათად მი-ნახავს ჩრდილოელი ქერა ქალის ასეთი გაცისკროვნებული სახე, ასეთი უზადო

სიტუაფე! იქნება იმჟამს მთაწმინდელი მისთვის მხოლოდ ოცნება იყო, იმაზე უფრო მაღალი ოცნება, რასაც ადამიანის სიცოცხლე შეიცავს...

არ მახსოვს, როგორ დავიშალენით, როგორ დავიძინეთ.

მესამე დღეს, ჩვენს საცხოვრებელ სოფელში რომ მივდიოდით, ჩემთვის გასაგები იყო მთაწმინდელის გონებაგაფანტულობა.

აქ ოთხნი მოგვდით: მთაწმინდელი, ისიდორე, მანუჩა და მე. სოფლის ბექობზე, იქ, სადაც მდინარე ჩრდილოეთით უხვევდა, პატარა ეკლესია იდგა და ერთადერთი სავაჭრო.

უკვე გათვალისწინებული გეგონდა როგორ უნდა გავპარულიყავით. დრო არ ითმენდა, სექტემბრის პირველ დღეებშივე მდინარე უკვე გაიყინა, ბავშვები ზედ უშიშრად დასრიალებდნენ.

მთვარიან ღამეში, როცა ყველას ეძინა, ფეხაკრეფით გავედით სოფლიდან, განაპირას გაყინული ტბა გადავსერეთ და სამხრეთ-დასავლეთით გავემართეთ.

მთაწმინდელი წინ მიგვიძღოდა. მანუჩა სულ იმის ცდაში იყო, რომ უკან არ ჩამოგვრჩენოდა. ასე ვიარეთ მთელ ღამეს, არ შეგვისვენია, სოფელს გვერდს ვუვლიდით, რომ ავი თვალით არავის დავენახეთ.

განთიადისას ბურუსი ჩამოწვა. სოფლიდან მოშორებით თივის დიდი ზეგნი ვიპოვეთ. არც ადამიანი, არც პირუტყვი არსად ჩანდა. თივა გადავშალეთ და შიგ რბილად ჩავწექით. წამსვე დაგვეძინა. შუაღლეზე წამოვცვივდით, გზა განვაგრძეთ, მხნედ მივაბიჯებდით.

სალამოს ბურუსი დამძიმდა, სოფლისკენ მიმავალი გზა ორად გაიყო. ჩვენ ის მიმართულება ავირჩიეთ, რომელიც ტყისკენ უხვევდა. სოფელს რომ ვშორდებოდით, ეს კარგი იყო, მაგრამ მალე ღრმა ტყეში გზა გაქრა, უსიერ ნაძვნარში აღმოვჩნდით. მაინც ვიარეთ უღრანში; ერთ ადგილას გაყინულ გუბეს წააწყდით, წყალი გვინდოდა, ვერ ამოვტყუეთ. ტოტებგადაჰდობილ ვეება წიწვია-

ნებში მხოლოდ აქა-იქ აღწევდა ბურუს-მიფარებული მთვარის ბინდ-ბუნდით.

გზის გაგრძელება აღარ ხერხდებოდა. ტოტების ნამსხვრევები შევავროვეთ, ცეცხლი გავაჩაღეთ. მერე ჟამთა განმავლობაში ჩალეწილი ხმელი ხეები მოვზიდეთ და გავანია ცეცხლის პირად მივწექით ბლომად დაგროვილ ხავსზე.

ცეცხლის ალმა კიდევ უფრო გააშავა ტყის სიღრმე. გარს ბნელეთი შემოგვეხვია. მალე, სქელ ტოტებში ცის ნასახიც არ ჩანდა.

მალე ჩავვეძინა. ნაშუალამევს ვიგრძენი, ლოყაზე ყინვა რომ მწიწკნიდა. გამეღვიძა. ექვთიმე ამდგარიყო, ცეცხლს აძლიერებდა, მერე მანუჩას და ისიდორეს ხავსი შემოუფუთნა, თავზე სათბური გაუსწორა.

— შენ უკვე გღვიძავს? — მკითხა და გვერდით მომიჯდა. მე ახლოს მივიწიე. თავი მის ბეწვიან ყელსახვევს მივაყრდენე.

ხანდახან ცეცხლი გაიტყაცუნებდა, ჩვენს ირგვლივ კი ისეთი ღუმილი იყო, თითქოს ადამიანს აქ არასოდეს არ გაეკლოს.

— გატყობ, არც შენ გეძინება, — თქვა მთაწმინდელმა და ფიქრი გამიზიარა. — რა დაუდევარი ხალხი ვართ... ტანია დემილოვნამ მომწერა... ჰო, შენთვის არ მითქვამს, რას მწერდა იგი... რა ნაკითხია ეს ახალგაზრდა ქალი!.. გერცენის ერთი წიგნი გამომიგზავნა. ამ დღეებში წავიკითხე... გახსოვს, ერთხელ ოპტიმისტებზე რომ გელაპარაკებოდი? ოპტიმიზმის ჩვენებული გაგება ის კი არ არის, რომ არსებული მსოფლიო საუკეთესოდ მივიჩნიოთ. არა, ჩვენი ოპტიმიზმი ის არის, რომ არსებულს სასველით გარდავექმნით, კეთილს გავმარჯვებინებთ... მართლაცდა, აბა მიმოიხედეთ, სად ვართ! ამ უკაცურ ბნელეთშიაც იმედს არ ვკარგავთ... მერე; როცა საშუალება მოგეცეს, გერცენი წავიკითხე. სად არ მოხვდა, რა ჯურღმულები გაიარა... მაინც რეკდა მისი ზარი გაუდაბნოებულ რუსეთში... საკვირველია, საიდან ჰქონ-

და რუსი ხალხის ასეთი იმედი? როგორ შეიწარჩუნა ასეთი რწმენა? თვითონ ადამიანთა ურთიერთობის უფსკრულებში გაიარა, ხანდახან იტყვი — არავითარი სასოება აღარ შერჩენიაო, და მაინც რეკს მისი ზარი, მაინც მოუწოდებს... ჰოდა, ტანია მომწერა — სადაც არ უნდა მოხვდე, ხმას ყველგან მოგაწვდენო... ვინ იცის, იქნებ გეოწერია შენი ხმის მოსმენაო... არ მეგონა, თუ ასე შორს, ისიც ციმბირში, ასეთ არსებას წავაწყდებო-ლი... აზრი ჩემს ცხოვრებას არასოდეს არ აკლდა, მაგრამ ახლა ორმაგი შინაარსით აივსო.

მთაწმინდელი ისე მელაპარაკებოდა, თითქოს თავის თავს ესაუბრებო. ბოლოს, ცალი ხელი ჯერ მალლა ასწია, მერე მხარზე მომხვია და გრძნობიერად თქვა:

— ჰო, ვივლით, ძამია, ჩვენ, ვივლით სულ წინ!..

მანუჩას და ისიდორეს ისევ ეძინათ; უღრან ტყეში ერთი შტოც არ ირხეოდა...

გათენდა. აქა-იქ გამოკრთა ღრუბლის ნაჭრები.

ჩქარი ნაბიჯით ვიარეთ, შევთბით. ხელმარცხნივ ხეები შემეჩხრდა, სინათლემ იშატა. ერთი ჩაღდონი დავინახეთ. ურემში ცხენი ყავდა გაბმული. მთაწმინდელი გაესაუბრა. პირდაპირ უთხრა, გადმოსახლებული ვართ და გზა დაგვეზნაო. ჩაღდონს არ გაკვირვებია, მხოლოდ ერთი სიტყვა გვითხრა — მომყევითო. კარგა ხანს ვიარეთ, სოფელში შევედით. ჩაღდონი შინ შეგვიძღვა; ცოლი და ბავშვები მორიდებულად შემოგვასტერდნენ.

მერე მოვიდა მამასახლისი. სამოვარი გამოიტანეს, ჩაი შემოგვთავაზეს. ისიდორემ სოფლის დუქანი იკითხა, ორი ბოთლი არაყი სწრაფად მოიტანა.

ექვთიმე მამასახლისის გაენდო, თანაც დასძინა — კურგანში მივდივართ ქარხანაში სამუშაოდო.

— კეთილი, — თქვა წვერიანმა მამასახლისმა, — ამაღამ აქ მოისვენეთ, ხვალ

ფოსტის ეტლით გაგამგზავრებთ. ნებ, კეთილ მოხუცს გუნებაში ბოდა, იცოდა, სადაც მივისწავდნენ და გზას გვილოცავდა. არაყი ყველას ესაიამოვნა, ქალმა და ბავშვებმაც სიხარულით შესვეს.

იმ ღამეს დათვის ტყავებზე ვიწექით თბილად. გამოვიძინეთ. დილას, ფოსტის ეტლი რომ დაიძრა და სამი ცხენი ერთიმეორეს წინ უსწრებდა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჩვენთან ერთად ექვთიმეც შემოსძახა თავისი მალალი ხმით...

სიცოცხლე ჩაღად არ ეღირებოდა, ასეთი სასიხარულო წუთები რომ არ გარეოდა.

კურგანში საღამოს მივალწიეთ. ეტლი ქალაქში შესვლამდე გავისტუმრეთ. ქუჩებს მორიდებულად მოვავლეთ თვალი. მატარებელი დღისით გადიოდა. სასტუმროში ღამის გასათევად პასპორტები არ გვქონდა. ისევ ქალაქგარეთ გავიბარენით და ღამე ტყეში გავათიეთ.

დღისით სათითოდ ვიყიდეთ ბილეთი და, მატარებელი რომ დაიძრა, ისიდორემ სიმღერა კინალამ შემოსძახა. მთაწმინდელმა გვანიშნა, ცალ-ცალკე მოთავსდით და უმოთავრესად იწექითო.

ჩელიაბინსკში სხვა მატარებელში გადაესხედით. ხალხით საჯსე ვაგონებში ცალ-ცალკე მოთავსდით.

არ ვიცო, მერამდენე დღე იყო. ერთ დიდ სადგურში ისიდორე შემოიჭრა ჩემთან. სახეზე შევატყვე რაღაც დიდი უბედურება. ზედა ლოგინიდან ჩამოხტომა მოვინდოვე.

— იწექი, არაფერი შეიმჩნია, — ცივად მითხრა ისიდორემ.

— რა მოხდა?

— ჩვენი მთაწმინდელი წაიყვანეს. ვილაცამ იცნო და გასცა. პირისპირ მიადგნენ ჟანდარმები და...

ფანჯარას მიეყრდნო, სახეზე ხელი მიიფარა.

— ნეტავი ამას არ მოვსწრებოდი, მერჩია მოვმკვდარიყავი...

გავქვავდი. ფიცარს ხელი მოეუჭირე

და ძელები მეტყინა. არასოდეს ასეთი
ობლობა არ მიგრძნია.

მატარებლის ბილეთი მე ბალაჯარამდე
მქონდა, ისიდორეს და მანუჩას — თბი-
ლისამდე. მიეფარნენ თუ არა ისინი
თვალს, დაბალი სადგურის წინ მიმოვი-
ხედე. არავინ ჩანდა, საესებით მარტო
დავრჩი. ჩემი ავლა-დიდება მხოლოდ ერ-
თი აბაზისაგან შედგებოდა.

მაგრამ ეს სხვა ამბავია. ბაქოში ამხანა-
გებს მივაკითხე. ორგანიზაციამ პასპორ-
ტი მიშოვა, არალეგალურ მუშაობაში ჩა-
ვები...

* * *

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მლე-
ღვარე დრო. ერთ დღეს, ორმოცდახუ-
თი წლის მიწურულში, კარებში უღვა-
შიანი კაცი შემოიმართა, გამიღიმა, ფა-
რთო კბილები გამოაჩინა. უმაღლეს ვიცა-
ნი ისიდორე მშინოველი. არ შეცვლი-
ლიყო, თავისი იერი შერჩენოდა. რამ-
დენ ცეცხლში გამოველო, რამდენ უბე-
დურებაში, მაინც იგივე კილო და ფიც-
ხი, მჭახე ხმა...

— ერთხანს ფირალივით ვიყავი, —
მიამბობდა ისიდორე, — მერე კატორ-
ლაში მიკრეს თავი. ჩვიდმეტში გავთავი-
სუფლდი. წამოსვლა ვერ მოვასწარი, იქ
გამიტაცა საქმემ... თეთრგვარდიელები
შემოდგომის ბუზებოვით იკბინებოდნენ.
იცოცხლე, ჩვენ იმათ მუსრი გავავლეთ.
კაი ათი წელიწადი გავიდა, სანამ სამ-
შობლოში დავბრუნდი ცოლ-შვილია-
ნად... ახლა პერსონალური პენსიის თაო-
ბაზე შემოვიარე...

შევატყვე: მოკლედ სჭრიდა, მოგონე-
ბებს გვერდს უვლიდა.

— ჩვენი მთაწმინდელის ხომ არაფე-
რი გავიგია?

ისიდორეს სახე დაუნაღვლიანდა, გა-
ნზე გაიხედა, თითქოს თვალებში ცრემ-
ლი მოაწვა და მიმაღავსო.

— ხომ იცი მისი ამბავი, რა იქნებო-
და, — მოგვიანებით დაიწყო, — რევო-
ლუციას მოესწრო და რაღა შეაჩერებ-
და... ჰო, მე მთავარი არ მითქვამს: მა-

შინ, გზაში რომ დაიჭირეს, შეიძლება ის-
ევ გადაესახლებიათ, მარა ძალიან მთავარი
მართლმადიდებელია და ოთხი წლის კე-
ტორლა მიუსვია. მერე... მარა მთავარი
ისევ ვერ ვთქვი: ტანია დემიდოვნა ხომ
გახსოვს? აბა, ქალი ვარო, იმან თქვას.
თურმე ციხეშივე ქონიათ მიწერ-მოწე-
რა, პირადადაც უნახავს. რევოლუციის
შემდეგ ციმბირის ერთ ქალაქში მოვხვ-
დით. უზარმაზარი მიტინგი იყო. მაშინ
გამოვიდა ჩვენი ექვთიმე. რა ვიცი, ძმაო,
ბევრი მოლაპარაკე მინახავს, მაგრამ მა-
სეთი ნიჭით დაჯილდოებული არავინ შე-
მხვედრია. ცეცხლი და ოქრო, ერთად
გამდნარი, წყაროსავით სჩქეფდა მისი პი-
რიდან. ტანია დემიდოვნა იდგა მის მახლ-
ობლად, სახე უბრწყინავდა... არა, ჩვენ-
თვის ნამეტარი კაი დრო იყო რევოლუ-
ციის პირველი დღეები... მერე გაშავდა
ერთხანს, სისხლი და ცრემლი ერთმანეთ-
ში აირია... ექვთიმე სამხედრო რევოლუ-
ციური საბჭოს მთავარი წევრი იყო,
შინის ზარსა სცემდა თეთრგვარდიელებს
თუ სიტყვით, თუ საბრძოლო იარაღით...
ბნელების მოციქულებმა იცოდნენ რა
ძალასთან ჰქონდათ საქმე. შავი ლალატი
მოიშველიეს. მკვლელები მიუგზავნეს.
ერთად მოკლეს ცოლიც და ქმარიც. ეჰ,
ბიჭო, რა საშინელება იყო!.. დასაფლავ-
ებაზე მთელი ოლქი შეიძრა, ყოველი
მხრიდან იყო დელეგაციები... სასაფლაო-
ზე ორი კუბო დაასვენეს. თოვდა, ციმ-
ბირის სუსხი საგრძნობი იყო. ექვთიმეს
სახე ჩალურჯებოდა, ტანია დემიდოვნა
ცოცხალი გეგონებოდა, მისი მშვენიე-
რი სახე ახალი თოვლივით თეთრი იყო...

— შვილი თუ დარჩათ?

— მითხრეს, ტანიას დები ზრდიანო
ჩვილ ბალანას...

* * *

მერე დამჩემდა: გვიან გაზაფხულზე,
როცა ციმბირში ყვავილები ბლომად
მოიბოვება, მიდის ხოლმე საფლავზე ობ-
ოლი გოგონა, უკვე დაქალიშვილებული,
მიდის და მიაქვს ყვავილების კონა, ამო-
იხრებს მშობლების მონატრულნი და...

თვითონაც არ უწყის, როგორ საოცრად ჩამოჰგავს დედ-მამას თავისი სახის სითეთრითა და ღიძრონი თვალების არწივისებური ელვარებით...

* * *

ამას წინათ იმ სოფელში მოვხვდი, სადაც ექვთიმე სუმბულაძემ თავისი ბავშვობა გაატარა.

კოლმეურნეობის გამგეობის ეზოში ვიჯექით. ერთს ვკითხე: — აქ ვინმე ხომ არ არის ჩემი ძველი მეგობრის ექვთიმე სუმბულაძის ნათესავი-მეთქი.

— როგორ არა, აგერ ჩვენი ნესტორი, ექვთიმეს მკვიდრი ძმისშვილია, — მიპასუხა მან და სპორტსმენივით ჩასკვნილ, მხარბეჭიან ოცდათხუთმეტი წლის კაცზე მიმითითა.

— ეგ დიდად ნაკითხი კაცია, — ჩამილაპარაკა ჩემმა ნათესავმა სტუდენტმა. გამეხარდა. გავესაუბრე.

შევამჩნიე, ძალიან უნდოდა თავისი მწიგნობრობის გამოჩენა, მოყვა და ვინ არ ასხენა საქვეყნოდ ცნობილი პესიმისტებიდან. ერთი თანამედროვე მწერლის

კაცობრიობის მიმართ სკეპტიკურად ნწყობილი გმირიც მოიშველია. მაშინ მომავონდა მთაწმინდელის ტყეები და, ცოტა არ იყოს, მკვანედ შევესიტყვე:

— არასოდეს, არც ერთ პესიმისტს და დეკადენტს ადამიანისათვის იოტისოდენა სიხარული არ მიუნიჭებია, ცხოვრება არ შეუმსუბუქებია... მხოლოდ ოპტიმისტები არიან ადამიანის გამამხნეველები...

ყური არ მათხოვა, ხელი აიქნია და გულნაწყენად თქვა:

— ოპტიმისტი... რამდენი სულელი დაიარება ამ ქვეყანაზე, ვინ მოსთვლის...

ალარ შევდავებივარ. მხოლოდ გუნებაში გავიფიქრე:

— ჰეი, სადა ხარ ახლა, მთაწმინდო, ჩემი სიჭაბუკის წმინდა მოძღვარო, შენი ცხოველი სიტყვებით რატომ არ ეტყვი ამ შენს ძმისშვილს, ასე ხელაღებით ოპტიმისტს რომ სულელს უწოდებს... შენებურად რატომ არ ეტყვი, რომ...

მაგრამ არა, სამაგიეროდ მე ვიტყვი, რადგან ამ მოთხრობაში ხომ ღვივის შენი მეტყველი სახის მკრთალი ნათელი!

ქობულეთი, სექტემბერი, 1958.



შალვა შუბლაძე

სამოქალაქო საჩუქარი

მალე კარს მოგვადგება
დიდი დღესასწაული.
არის ერთი მზადება,
არის ერთი ხმაური.
ქუჩებს ალამაზებენ,
სახლებს აფერადებენ.
სოფლებს,
დაბებს,
ქალაქებს
შნოს და იერს მატებენ.
მე,
ნელიკო
და გია
ნარინჯს ვუვლით გარშემო.
— ჯერ ხომ კრეფა ადრეა?
რას ჩაღიხართ, ბავშვებო!
— როგორ?
კრეფას შერჩევით
დღეს პირველად ვეჩვევით?
აჰა,

მოდის ფრენითა
დიდი დღესასწაული,
ჩვენც მოსკოვს და
ლენინგრადს
სიყვარულით დავუვლით
და მივართმევთ საჩუქრად
მანდარინებს,
ფორთოხლებს, —
ქართული მზის ნაშუქარს,
ქართულ მიწის ჯადოქრებს.
ჰოდა,
ვკრიფავთ სათუთად,
გულისყურით,
მარჯვედა.
მერე ფრთხილად შევფუთავთ
და ყუთებში ჩავკედავთ.
მერე ეშელონები
რიხით,
თავმოწონებით
ქართული მზის ნაშუქარს
წაიღებენ საჩუქრად.



ქაბაქაძე

ხ ა რ ა ჩ მ ე ზ ე მ

— ეჰ, შენგან როდის უნდა დადგეს კაცი... ინჟინრობა უნდა ვისწავლო, მართლა წამოგცდა დედაშენთან? — უთხრა მამინაცვალმა რამაზს და შეკინძული ქაღალდებით გატენილი ყვითელი პორტფელი ილღიაში ამოიჩარა. კარებთან რომ მივიდა, მსუქანი თითებით კაშნე კოსტიუმში ზერელედ ჩაიტანა და სიმსუქნისაგან ახიხინებულმა მოღეჭილი სიტყვა გადმოუგდო ბავშვს: — რა აგიჩემებიათ ეს ექსკურსია? ვარძია არასოდეს არ მინახავს, მაგრამ ჩემი კაცობა არავის შეუღანძღია. რავე, სულ მანეთი და მანეთი, ლამის მათხოვრად გადაიქცე. მე მასეთი პატარა ფულები არ მიღვეს ჯიბეში, დედაშენს გამოართვი. — და ჯიბიდან დაჭმუჭნილი ოცდახუთ და ორმოცდაათმანეთიანები ამოიღო. — რალას მომღვე ახლა, ხომ გითხარი დედაშენი მოგცემს-მეთქი! — და წასვლა დააბარა.

— მე არ მოგდევ, ოლონდ... გინდათ თუ არა ტუფლების გაპრიალება?

ქიშვარდიმ ახლა შენიშნა, რამაზს ხელში ჯაგრისი რომ ეჭირა. შედგა და თითები გაატაკუნა. იგრძნო, რომ მეტისმეტი მოუვიდა.

— გამიპრიალე. ოლონდ ჩქარა. როდის მიდიხართ ექსკურსიაზე? ანდა რამდენი გინდა?..

— არ მივდივართ. — ძუნწად უპასუ-

ხა რამაზმა და ჯაგრისები ტუფლებზე ოსტატურად აათამაშა.

— ასე კარგად გაპრიალება სად ისწავლე, რამაზ? — სცადა დატკობა.

— ძია გაბომ მასწავლა...

— ოო, ყოჩად. ა, შენს ბედზე მანეთი მქონია! — გადაუგდო დაჭმუჭნილი მანეთიანი და კარებში გავიდა.

ფული რომ დაინახა, რამაზს უნდოდა ეყვირა, არ მივდივარო ექსკურსიაზე, მაგრამ უცებ ხმა ჩაუწყდა, ყელი გაუშრა და ვერაფრის თქმა რომ ველარ მოახერხა, ცრემლები მოერია.

„ასე მხოლოდ სრულიად უგულო კაცს შეუძლია მოიქცეს... შენგან როდის უნდა დადგეს კაცი...“ — მწარედ გაიფიქრა რამაზმა და ღთახში შევიდა. დედამ წამსვე შეამჩნია უსიამოვნება შეიღს და მოეფერა. შემდეგ ტაფამწვარი გამოუტანა, ლოყაზე აკოცა და დაუყვავა:

— ჭამე, შვილო, დედა გენაცვალს. ნუ გეშინია. ყველაფერი რიგზე იქნება. დღეს გაკვეთილები მზად გაქვს?

— დიახ, — ამოისლუკუნა რამაზმა და ფანჯარაში გაიხედა.

* * *

გაკვეთილების შემდეგ რამაზმა მოკრძალებით შეაღო სკოლის დირექტო-

რის კარები და განცხადება წარუდგინა. ღირებულება განცხადება წაიკითხა და რამაზს ღიმილით გადაუსვა თავზე ხელი.

— ყოჩაღ! უკვე ბავშვი აღარა ხარ და არც მიკვირს შენი ასეთი გადაწყვეტილება, ყოჩაღ! ოღონდ იცოდე, შეგამოწმებ კი, სალამოს ცვლაში გადასვლა ნამდვილად იმიტომ გინდა თუ არა, რომ ღლის საათები ფიზიკურ შრომას მოახმარო... წადი. დღეიდან სალამოს ცვლაში ისწავლი. აბა შენ იცი, ვინძლო, შეინარჩუნო კარგი მოსწავლის სახელი, ხოლო სამუშაოზე — პატიოსანი მშრომლისა. ყველაფრით ხელს შეგიწყობთ და დაგეხმარებით.

გახარებული რამაზი ღირებულების კაზინტიდან გამოვიდა და კიბეები მხია-რულად ჩაირბინა.

* * *

— სალამი და გამარჯვება, ძია გაბო!

— გაგიმარჯოს, შვილო. რამ მოგაცუ-ნცულა აქ, ფეხსაცმლების გაპრიალება ხომ არ გინდა?

— მე უფრო სხვა რამეზე მინდა შეგა-წუხო, ძია გაბო, და თუ უარს არ მეტყვი... შენი ერთგული შეგირდი ვიქნები.

ძია გაბომ ჯაგრისები დააწყო და საქმიანად ახედა რამაზს.

— რაო, ვერაფერს მიგზღვი.

— აკი გითხარი, შენი ერთგული შე-გირდი ვიქნები-მეთქი.

— ჰო, რა გინდა მაგით. — დაიბნა ძია გაბო.

— შენთან მუშაობა მინდა, ძია გაბო. — ისე ეუბნებოდა, თითქოს ემუდარე-ბაო.

— კი, მაგრამ სკოლა?

— მე უკვე სალამოს ცვლაში გადამი-ყვანეს, მშენებლობაზე წავედი, მინდო-და მშენებლობაზე მემუშავა, მაგრამ...

— მაგრამ იოლი საქმე არჩიე? — სი-ტყვა გააწყვეტინა ძია გაბომ.

— არა! ტრესტის ბულაღტერს ძალიან

ბევრი გაფლანგვა ჰქონია და, სანამ საქ-მეს არ გამოიძევენ, მუშაობა არ განა-ღდება. როგორც კი იქ მუშაობას დაი-წყებენ, მეც წავალ.

— გაფლანგვა ჰქონიაო? ტრესტის ბუ-ლაღტერს? ვაი, მათ ზურგს და ქეჩხოს... იმუშავე ჩემთან, მაგრამ იცოდე, ეს მთლად უბრალო საქმე არ გეგონოს. ჯა-გრისები ასე უნდა აათამაშო ტუფლებ-ზე, აი, ასე... — და ძია გაბომ ტერფის საყრდენს ოსტატურად მიმოუსვა ჯა-გრისები. რამაზს გაეცინა. მერე წუთით ღუმილი ჩამოვარდა. რამაზს იმ უბნის მეზობლები მოაგონდა, რომლებიც ძია გაბოს ყოველ შეხვედრაზე სიყვარულით ესალმებიან და ჯანმრთელობას კითხა-ვენ. ძია გაბოც ეტყვის, რომ დღევრისა კაჟივითაა... და ყველას შესაფერისად ეხუმრება, ხოლო განშორებისას ისე წა-იოხუნჯებს, ღიმილი აღარ ქრება ბაგე-ზე... და გაუკვირდა, რატომ დამამცირე-ბელ საქმედ მიაჩნიათ ფეხსაცმლის წმე-ნდა, როცა ძია გაბოს ყველა სიყვარუ-ლითა და პატივისცემით ეპყრობა. ყვე-ლა საქმე დიდი და მნიშვნელოვანია, თუ იგი გიყვარს. არ არსებობს დასაწუნი სპეციალობა, არსებობს მხოლოდ ზოგი-ერთი დასაწუნი შეხედულება...

— მაშ, ძია გაბო, ამიყვან შეგირდად?

— დაარღვია ღუმილი რამაზმა.

— აგიყვან და, როცა შეგასწავლი, იქ, მშენებლობაზე მუშაობა განა-ღდება და შენც, ჰერი ბიჭო, გამომეტლები არა ხელიდან?

— მერედა, ეს თქვენ რას გავნებთ? პირიქით, მე თუ ბევრი ხელობა მეცო-დინება, უკეთესი არ არის?

ამ დროს ნაცნობებმა ჩაიარეს და ძია გაბოს სიყვარულით მიესალმნენ. ისიც ღიმილითვე გამოეხსენებოდა და რამაზს მი-მართა:

— აბა, დღეიდან ჩემი შეგირდი ხარ. ხელიდან ამ ძველმანებს გაძლევ საში-ნაო დავალებად. წაიღებ, გააპრიალებ და მოიტან... ახლა დაჯექი და ფეხები სად-გომზე შემოაწე, თანაც დამაკვირდი,

ვითომ ტუფლებს გიწმენდ: აი, ჯერ ხმელ ჭუჭყს მოაცილებ დაბალი ჯაგრისით, მერე ტუფლის ფერს დააკვირდები, შესაფერ საცხს გადმოიღებ, ტუფლებს წააცხობ და...

საუბარი ვიღაც კლიენტმა შეაწყვეტინა, მაგრამ არ მცალიაო, უთხრა გაბომ. ვერა ხედავ, შეგირდთან მაქვს საქმე, ამ ბიჭის გამოზრდა მიკისრიაო...

კლიენტმა გაიღიმა და ჩაიარა. ძია გაბო ისევ რამაზის ლანჩამძვრალ ტუფლებს, საცხსა და ჯაგრისებს დაუბრუნდა.

რამაზს გაეცინა და ფეხები. სადგომზე სწორად შემოაწყო. „აი, გაბრაზებაშიც კი საყვარელია ძია გაბო, ნეტავი მისთანა ვიყო“, — გაიფიქრა რამაზმა და ძია გაბოს შეეკითხა:

— შეიძლება თუ არა ტუფლის გაპრიანება, როცა იგი სველია?

— აჯან? — ჯაგრისების ტრიალით გატაცებულმა ძია გაბომ ვერ გაიგონა.

— სველი ტუფლების გაპრიანება თუ შეიძლება-მეთქი.

— რა დროს სველი ტუფლებია, როცა მე გიხსნი? — გაჯავრება დაეტყო გაბოს.

— ეგ, რასაც მიხსნი, კარგად ვიცი, ძია გაბო.

— კარგად იცი? მოდი და აბა დაჯექი აქ. მე დავჯდები სკამზე და შენ გამიწმინდე ბათინკები. — და მძიმე „ბათინკები“ მიუშვირა.

რამაზმა შესანიშნავად ჩააბარა „გამოცდა“ და ძია გაბოს მოწონება დაიმსახურა. შემდეგ გამოუტყდა, მამინაცვალს სამი წელია დილაობით ტუფლებს ვუპრიანებ და, ბოლოს და ბოლოს, ფეხსაცმლის წმენდას კარგად დავეუფლეო.

ერთ კვირას ძია გაბოს ზედამხედველობით მუშაობდა რამაზი, ხოლო შემდეგ მასწავლებელი ორკვირიან შვებულებაში წავიდა ზღვაზე. რამაზი მუშაობდა და სწავლობდა. ზოგჯერ, კლიენტების მოლოდინში, თასმით ჩა-

ნიშნულ წიგნს ამოიღებდა და შეწვევტილ სტრიქონს წამის განმავლობაში ნახავდა...

წინა დღით ნაწვიმარი იყო და იმ დღეს რამაზს კლიენტები კლიენტებზე მოსდიოდა. ყველას ტუფლების გაპრიანება უნდოდა და, საოცარი ის იყო, რომ ყველა ჩქარობდა. რამაზიც, შუბლზე ქუდიამოწეული, ჯაგრისებს ჯადოქრულად ატრიალებდა და კლიენტს კლიენტზე ისტუმრებდა.

ტუფლების გაწმენდას რომ მორჩა და ხურდა დაუბრუნა, მაშინ შეხედა სათვალთან მამაკაცს და იცნო მისი სკოლის დირექტორი. იცნო, წამოიჭრა და ქუდი მოიხადა.

— აი, ვინ ყოფილა ეს ჯაგრისების ჯადოქარი! — თქვა დირექტორმა და კითხა, სწავლას როდისღა ასწრებო.

— ეს მხოლოდ დღეს მაქვს ბევრი სამუშაო, თორემ... შუალედში. ესეც არ იყოს, ადრე ვამთავრებ სამუშაოს და გვიან ღამემდე არ ვწევბი...

— ყოჩაღ! ძალიან კარგია. ადამიანმა ბევრი რამ უნდა იცოდეს. ყველაზე დიდი სკოლა ცხოვრებაა.

რამაზი სახეზე წამოწითლდა. დირექტორის გულითადი საუბარი ძალიან სიამოვნებდა.

ისევ დირექტორმა დაიწყო:

— ზოგიერთ ფუქსავატს, იქნებ, მოეჩვენოს, რომ ფეხსაცმლის წმენდა სათაკილო საქმეა, ნურას უკაცრავად. ადამიანმა უარი არ უნდა თქვას მცირეზე, რადგან დიდი საქმე მცირედიდან იწყება ყოველთვის...

— გმადლობთ! — თქვა რამაზმა და არ იცოდა რატომ თქვა მადლობა.

დირექტორმა წასვლისას ახალი წიგნი აჩუქა, ჟღერებები და სხვა წიგნები ილღიაში ამოიჩარა და წავიდა.

იმ დღეს რამაზი სიხარულისაგან გაბრუებული იყო, შუბლზე ქუდი აიწია, სახეზე ღიმილი მოეფინა. მანამდე თავის თავსაც კი არ უმხელდა, რომ უხერხუ-

ლობას გრძნობდა და ქუდს იმიტომ იფარებდა. ახლა სულ ერთი იყო მისთვის, რომელი ნაცნობი დაინახავდა. ის ძიებაბოსავით იჯდა და კლიენტებს ტუფლებს უწმენდდა.

სალამო ისე წამოებარა, ვერც კი შენიშნა. ის იყო წასვლა დააპირა, რომ მოსახვევში თვალი მოკრა ზომასზე უფრო გასუქებულ მამაკაცს, რომელსაც ვეებერთელა ყვითელი პორთფელი ილღიაში ამოეჩარა და მობაჯბაჯებდა.

— ბატონო კალისტრატე, — შეეხმინა მსუქანს მსლებელი, — ხომ არ გაიბრიალებთ ტუფლებს? ჯანდაბას იმათი თავი... ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგზე იქნება.

კალისტრატე მძიმედ დაჯდა და სქელი, დამორილი მკლავები სკამის სამკლავებზე ჩამოაწყო. დარდით შეწუხებულს ერთხელაც არ შეუხედავს ბიჭოსათვის.

მსლებელმა ტრესტის მმართველს, პატივცემულ კალისტრატეს, პორტფელი მზრუნველობით ჩამოართვა და კვლავ ბევრი სანუგეშო სიტყვა უთხრა. რამაზს კარგად ესმოდა, როგორ ლანძღავდნენ ბუღალტერს, რომელმაც თურმე „ბევრი გაფლანგა და აქ ტრესტის მმართველი არაფერ შუაშია. ყველა თანხა მას დაეწერება ზურგზე და თითებზე ფრჩხილები აღარ შერჩება თავის მოსაფხანად“.

რამაზი საქმეს მორჩა, კლიენტები გაისტუმრა და გაიფიქრა: „რამდენი არაპატიოსანი შრომით ცხოვრობს ამ ქვეყანაზე?! მაგრამ არაფერია, ყველას მიუხედავენ სამაგიეროს...“ და ახლა მიხვდა, რომ ის მიტოვებული მშენებარე სახლი იმ ტრესტს ეკუთვნოდა, რომლის უფროსიც კალისტრატეა და სადაც ბუღალტერი მისი მამინაცვალა... ამიტომაც არასოდეს არ მოეძეებდა ჯიბეში მამინაცვალს „პატარა ფულები“.

„დაძაბული მდგომარეობა შეგვიძნებუქდაო“ და მამინაცვალმა „მისი ციფრების“ ვახშმად მოწვევა გადაწყვიტა. რამაზის დედას ბოლო ხანებში აღარ სიამოვნებდა მეუღლის საქმე და „მისი კაცები“, მაგრამ მაინც შეუდგა ვახშმის სამზადისს.

ესეც არ იყოს, მეზობლებისა რცხვენოდა ამდენი „ღრეობა ძმა-ბიჭებისა“ და, რაკი ამ შეკრების დღეს დაემთხვა ქმრის დაბადების დღეც, შეკრებას მისი დღეობა დაარქვა და ქიშვარდის ნებართვით კარის მეზობლებიც მოიპატიჟა.

შეიკრიბნენ სტუმრები და ადლეგრძელეს „ძვირფასი ხაზიანი“, მდიდარი და შეძლებული, რომელიც, თუ მოისურვებს, მთელი ქალაქის რესტორანებს დაიჭირავებს...

შუა ჭამა-სმაში რომ იყვნენ, რამაზმა საკუთარი შრომით შეძენილი თაიგული მიართვა მამინაცვალს და დღეობა მიულოცა. გადაიხარხარეს და ერთი ჭიქა ღვინო დაალევინეს. სუფრის წევრთაგან ერთი განსაკუთრებით დააკვირდა რამაზს და კარებში გასულს თვალიც გააყოლა. ცოტა ხანში რამაზმა ღვინოთ საესე სურა შემოიტანა და, რაკი იგრძნო იმ სტუმრის დაჟინებული მზერა, სწრაფადვე გასვლა დააპირა, მაგრამ სტუმარმა ვეღარ მოითმინა და ბიჭს კითხა:

— სად ცხოვრობ, ბიძია, შენ, ალბათ, მეზობლად?

ბიჭმა გაიღიმა, ხოლო ქიშვარდიმ, შვილიაო ჩემი, განუმარტა სტუმარს.

— რაო? შვილიო?

— დიახ, რამ გაგაკვირვა, კაცო! — ჩაიროხროხა და მის გვერდით მჯდომს გადაუჩურჩულა: „მაგან ვითომ არ იცის, რომ რამაზი ჩემი გერია, თუ ყბას მიქცევს?“

— რამ გაგიჭირვა, ბატონო ქიშვარდი, ამოდენა ავტორიტეტი გაქვს, შე კაცო, და ეს ბიჭი როგორ გაიმეტე ფხსაცმლის მწმენდავად?

— რაო?!

— ცაცხვის ძირას, ქუჩების შესაყარში უღვას სკამი, რამდენჯერ გამიწმინდა ტუფლები.

— მანდ წინაღდეს მეც გავიწმინდე ტუფლები, მაგრამ... არ დავკვირვებივარ. ნუ ხუმრობ, ერთი თუ კაცი ხარ, შევავსოთ ჭიქები, — ჩაერია საუბარში ტრესტის მმართველი კალისტრატე.

— არა, არ ვხუმრობ. კითხეთ თვითონ მას. — ბიჭო, რამაზ, იქ ხომ მუშაობ?

რამაზი გაწითლდა, დაიბნა, ბოლოს გამხდარობა მოიკრიბა და მტკიცედ თქვა:

— დიახ, ვმუშაობ!

— გადი გარეთ, შე შემარცხვენელო, შენა, გადი-მეთქი და თვალით არ დამენახო, თორემ... — ღრიალით წამოიჭრა ქიშვარდი. აღელვებული მამინაცვალი ძლივს დააშოშმინეს სტუმრებმა და მალე ქეიფიც დამთავრდა.

მეორე დღეს ქიშვარდი სამსახურიდან სახლში აღარ დაბრუნებულა...

ძია გაბომ ზღვაზე დაისვენა და იმდენი რუნდა. რამაზისათვის ნებართვა ითხოვა ცალკე სამუშაო ადგილი მიეცათ, მაგრამ ეს აღარ დასჭირდათ. მალე ტრესტის მმართველისა და „მისი კაცების“ თაღლითობა გამოამჟღავნეს, მთელი აპარატი გადაახალისეს, მივიწყებული მშენებლობა განაახლეს და გააჩაღეს...

რამაზი სკოლის დირექტორის შუამდგომლობით მშენებლობაზე მიიღეს. მალე რამაზს მისმა ამხანაგებმაც მიბაძეს და შექმნეს მშენებლობის ახალგაზრდული ბრიგადა.

რამაზი სადამოთი კოხტად გამოწყობილი და ტუფლებგაპრიალეებული სკოლაში მიიჩქაროდა, ხოლო დილით მშენებლის იერით მშენებარე სახლის ხარაჩოზე ამალღებული მებათქაშეებს ჩამოძახოდა:

— ჩქარა! დრო ჩვენ არ გვიცდის, დროს თვითონ უნდა გავუსწროთ!



ქსენია გუჯია

სოფელო, ტკბილად მოსაგონარო

მოვდივარ, გახსენ გულის კარები,
ო, ისე მსურხარ,
ისე მინდები!
მომნატრებია შენი ყანები,
შენი ჭალა და შენი მინდვრები;
ბალები თქროდანასხივები,
შენი მზისპირი,
შენი ჩრდილები,
ტანაშოლტილი აკაციები,
მზის საალერსოდ აქოჩრილები;
ანცი ნიაგი,
გრილი საღამო
და ალიონზე ცისკრის ანთება,
შენი ალერსი დაუსაბამო
და სიყვარულით შემონათება;
დედის ღიმილით დანათოვარი,
ეზო, ვარდები და პალმის ჩეჩო...
სოფელო, ტკბილად მოსაგონარო,
სოფელო, ისევ ჩემო და ჩემო!

* * *

მე ჩემი ფიქრი ხისტვის გამენდო,
მასთან ჩურჩულით გული მეჭერა,
მაინც ვნახავდი რაღაც საერთოს
და სანუგეშოს, — ეს მტკიცედ მჯერა.
მთისთვის, თოვლის რომ ფარავს ქულები,
ამ დიდი გრძნობის მაღლი მეპყურა,

გაიღიმებდა გაზაფხულივით,
ჩამოიბერტყდა ფიფქს უნებურად.
დამწვარი გულის ჩასმოდა კვნესა, —
გენახათ ნამის აშადრევნება!
დარდი მოდრეკდა პიტალო კლდესაც,
დაიღვრებოდა ლოდი ცრემლებად.
შენ კი, შენ მაინც დგახარ უცვლელად
და ჯიბრზე ფარულ ომსაც მიცხადებ,
შენი სიცივე თუმცა გულს სერავს,
ჩემო სიზმარო, ჩემო სიცხადევ,
მაინც ფიქრების შენ ხარ სავარდო
და საიმედო ციხედ მეგულისი,
როგორ გავბედო, როგორ გაკადრო
ან სამდურავი, ან საყვედური?
შენა ხარ ჩემი სუნთქვა, სიმღერა,
ლხინი, ზეიმი და გამარჯვება;
მადლობით სავსე გული მიღელავს
და სიყვარულის გლოცავ გაჩენას.



გიორგი სანადირაძე

მზის ამოსვლის გორა

ისინი შვიდნი იყვნენ, ძლიერნი და ამაყნი. მიმწუხრზე მზის ამოსვლის ვორისაჲს აპირებდნენ წასვლას. სანადირო თოფებითა და საგზლით გატენილი ზურგჩანთებით უღრანი ტყეებისა და იელის ციცაბო ბილიკების გავლით ეწვეოდნენ ყველაზე უმაღლეს მწვერვალს, საიდანაც დიდებულ სანახაობას — მზის ამოსვლას უნდა დასწრებოდნენ. ამ მწვერვალსა და ღამეულ ექსპედიციებზე იმდენს ლაპარაკობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომ დასასვენებლად ამოსულ ახალგაზრდობას მეტი არაფერი ჰქონდა საოცნებო. მაგრამ მთაზე წასასვლელად იშვიათად თუ ატყდებოდა ვინმე. იმ დღეს, როცა შვიდკაციანი ჯგუფი ორსართულიანი სახლის აივანზე შეიკრიბა, ეზოში უცნობები შემოვიდნენ. მოღურად ეცვათ. მათ რაღაც კითხეს ონკანთან მოფუსფუსე დედაბერს, მერე ასევე მშვიდად, თავაუღებლივ გაემართნენ ოდისაჲს. ძალზე თავაზიანად ეჭირათ თავი. ბესიკა იკითხეს.

— რა გნებავთ? — თვალეები აუპარპალდა მასპინძელს. იგი ჭერა იყო და ძვალმსხვილი.

— ყური მოგვკარით, მზის ამოსვლის გორისკენ აპირებთ თურმე.

ჭერამ თავი დაუქნია.

— მაშინ, თუ თქვენს მეგობრებს სა-

წინააღმდეგო არ ექნებათ, ჩვენც შემოგიერთდებით.

მასპინძლებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. ამ საუცხოო კოსტიუმებში გამოპრანჭული ბიჭებისაგან ამას არ მოელოდა კაცი.

— სადაური ხართ?

— თბილისელები.

— ასეც ვიცოდი, — თქვა ბესიკამ და თან გაიფიქრა: „რა მეტიჩრები არიან! რამოდენა წარმოდგენა აქვთ თავის თავზე“. მერე ისევ შეათვალეირა ბიჭები. მაღალს ჭერა თმები ჰქონდა, ხოლო თვალები გამომწვევად უბრწყინავდა. მეორე ძალზე გამხდარი იყო და ბელურას გავდა. „ესენი გვაკლდა, გაიფიქრა ბესიკამ, ამათ მზის ამოსვლის გორის გზა ასფალტით მოგებული ჰგონიათ, ალბათ“. მერე უცნობთა წვრილკვინტიანმა მოღურმა ფესხაცმლებმა მიიზიდა.

— გაფრთხილებთ, გზა ძალზე ძნელია, — თქვა მან ბოლოს.

— რატომ გვეუბნებით ამას?

— გაგიჭირდებათ. ასულხართ ოდესმე ციცაბო კლდეზე?

მაღალმა თავი გააქნია. მისი დიდი და ნათელი თვალები იმ წუთს სიმშვიდეს გამოხატავდნენ მხოლოდ.

— თანაც მთელი ღამე უნდა ვიაროთ.

— მთელი ღამე?

— რა თქმა უნდა. განა ღირს წუთი-
ერი სილამაზისთვის მოითენთო და ხი-
ფათში ჩაივდო თავი?

— მაგრამ თქვენ ხომ მიდინართ?

— ჩვენთვის ეს პირველი არაა.

— ვხედავ, მაგრამ ჩვენ თუ მაინც
გვინდა წამოსვლა?..

ბესიკას კიდევ უფრო წამოუწითლდა
სახე. იგი ფიქრობდა, „სულერთია, შუა
გზიდან დაბრუნდებიან უკან“. მან თვა-
ლი ჩაუკრა ბიჭებს და იქედნურად გაი-
ლიმა:

— რადგან ასე გსურთ, მე არაფერი
მაქვს საწინააღმდეგო, ოღონდ ბოლოს
არ იწუწუნოთ და ნურც ნურაფერს და-
გვაბრალეხთ.

შეთანხმდნენ. დრო დათქვეს და უც-
ნობები ისევ აუჩქარებლად და თავაუ-
ლებლად დაეშვნენ კიბეზე, როგორც
ავიდნენ.

* * *

სალამოს, როცა ნისლი საყორნის
მთიდან ბახვისწყლის ხეობაში დაეშვა,
ისინი უკვე ხილთან იყვნენ. საათს და-
ხედეს, ადრე მოვსულვართო და ამინდზე
ჩამოაგდეს ლაპარაკი. თბილი, რაღაც
სასიამოვნო ოსშივარი ასდიოდა წყალს.
ეს წყალი მუქფრად მოდუღუნებდა მა-
ღალ ქვებს შორის. მოპირდაპირე მხრი-
დან მრუმედ იხაზებოდა რესტორანის
შენობა.

— იქნებ შევიდეთ, — თქვა ერთმა. —
როცა ასეთ გზაზე მიდინარ, არასოდეს
არ გაწყენს გაისველო ყელი.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — დაეთანხ-
მა მეორე. იგი კომპოზიტორი იყო. —
ოღონდ, ახლა თავისუფალ ადგილს ვერ
ვიშოვით.

— ჰო, — თქვა ისევ პირველმა, — მა-
შინ ბუფეტიდან გამოვითან რასმე. გზა-
ზე გამოგვადგება.

დაბალი, რომელიც ბელურას გავდა,
შეტრიალდა. იგი მოკლე ნაბიჯით გაე-
შურა მოპირდაპირე მხრისაკენ, ფურნეს
გვერდიდან მოუარა და ბილიკზე გავიდა.

მაღალს კარგა ხანს ესმოდა მისი ფე-
ხის ხმა. ფეხსაცმლები ნალებით ჰქონ-

და დაჰვდოდა, როცა ნალები წაიშალა.
ალი მიწულა, მოაჯირს მიეყრდნენ, მოაჯირი
ცივი იყო, ხეშეში. სიჩქარე უფლებოდა
გარემოს. ქვევით, ხეობაში, აღარ ჩანდა
მოაგარაკეთა ოდა-სახლები. მაღალ ნაძვებს
ნელა არხევდა ქარი. მალე ბესიკა გამოჩნდა
ბიჭებთან ერთად. ისინი რესტორანში
შეხვედროდნენ ბელურას და ორი ტოლჩა
ღვინო ძალით შეუხმევინებიათ. ბელურას
თვალები უბრწყინავდა.

— იცი რა, — დაიდრია შემთვრალი
ბესიკა. — არ გვეგონა, თუ მართლა მო-
ხვიდოდით. გულახდილად, რომ ვითხ-
რათ, სანამ დროა, მოუსვით შინისკენ და
გამოიძინეთ.

ბელურა მოიღუშა, მას ცოტა აკლდა
აყვირებულობა. სისხლი აუვარდა თავში,
მაგრამ არაფერი უთქვამს. მეგობარს
შეხედა.

— რა საჭიროა ასეთი ტონი, — თქვა
მშვიდად კომპოზიტორმა. — ჩვენ გულ-
წრფელად მოვედით თქვენთან, გვეგონა
მიგვიღებდით, გვიმეგობრებდით.

— რა თქმა უნდა, — შერცხვა რომე-
ლიდაც ბიჭს.

— დიდხანს ვიდგეთ ასე? — დაუმატა
მეორემ.

ბესიკა მოდრკა, მიხვდა, რომ გადაამ-
ლაშა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— უფრო ძველმანები უნდა ჩაგეც-
ვათ, თანაც ზურგჩანთა ძალზე გამოვი-
ტენიათ, — თქვა მან.

— აქ სასმელია და ბუტერბროტები,
მოხარშული ქათამიც, მთელ ღამეს ხომ
არ ვიქნებით მშვიერი?

— რა თქმა უნდა, — წაიდუღუნა ბე-
სიკამ.

დაიძრნენ. სიმღერა წამოიწყეს. არ გა-
მოუვიდათ.

მაშინ ფეხბურთზე ჩამოაგდეს ლაპა-
რაკი. ფეხბურთი დოღმა შეცვალა და
ბელურამ გაიგო, რომ დილით ცხენები
ამოუყვანიათ ჩოხატაურელებს და რომ
ჩოხატაურელთა ცხენებს ათასჯერ სჯო-
ბია აბაშელთა ცხენები.

ნისლი იწვა ირგვლივ, სველი, წიწვის

სურნელით გაჟღენთილი.

ბახვისწყლის გაღმა და გამოღმა სა-
ცოდავად ბეუტავდნენ ნათურები.

ბელურა კომპოზიტორის გვერდით მი-
ლასლასებდა. ხარბად ისუნთქავდა და-
მეულ ჰაერს.

სადღაც ქვევით ვიღაცამ ვიღაცას და-
უძახა, სადღაც კარებმა გაიჭრიალა. მე-
რე ბიჭებმა გაიგონეს მანქანის გუგუნო,
რომელიც ბახვისწყლის ხიდზე გადიო-
და. სადღაც მთის პლატოზე კოცონი
ენტო. იქ მწყემსები უნდა ყოფილიყუ-
ნენ. ეს კოცონი ეულად ლიცლიცებდა
ლამის ბურუსში. წინ, ფერდობზე უკა-
ნასკნელი ოდა-სახლები ჩანდნენ. მერე
გზა დაბურთულ ტყეში გადადიოდა და
სწორედ მაშინ, როცა ერთ-ერთ განა-
თებულ სარკმელთან გაიარეს, თვალი
მოკრეს მაღალ გოგონას. გოგონა მშვე-
ნიერი შესახედავი იყო და დაბალმა
ხმელ-ხმელმა ჰაბუჰმა, რომელიც ბელუ-
რას გავდა, გაიღიმა: „ლამის ფერია მისე
თავისკენ მოუხზო რაინდს...“

— უმჯობესია ჯიბის ფარანი ანთო,
— დაწინ მეგობარმა, — დახლართული
ფესვებია ირგვლივ. ესლა გაკლია, გაი-
შხლართო და სასაცილოდ ავიგდონ.

— ნუ გეშინია.

იარეს დიდხანს. ოხუნჯობდნენ. ყვე-
ბოდნენ ანეგდოტებს, ხანაც ტყის შრი-
ალს უსმენდნენ, რომელსაც დრო და
დრო ჭოტის კივილი გასერავდა. როცა
ტყიდან გამოვიდნენ, ერთბაშად გატია-
ლდა. აქ უკვე ხვდებოდათ მაღალკატრი-
ანი ნაძვები. ბალახი პატარა იყო და
ცვიბა. ხანდახან ნამზე დაუსრიალდებო-
და ვინმეს ფეხი, ტრიალით დაეშვებოდა
ფერდზე. მერე ისევ სიჩუმე იყო და ვა-
რსკვლავიანი ღამე. ვარსკვლავები მარ-
თლაც უამრავი ჩანდა. უყურე ვარსკ-
ვლავებს და იარე ფრთხილად. აქ რომ და-
ეცე, საშიშია, სამაგიეროდ ზევით... თხე-
მი კბდოვანი იყო და ხრამებით სავსე.
ირგვლივ იელისა და შქერის პიწკები
ეყარა, ძვლებივით თეთრი პიწკები.
შეისვენეს. გადაკრეს. ხასიათზე მოვიდ-
ნენ. წინანდელი უხერხულობა გაქრა.

ციცხლის დასანთები გამოქვაბულის ძე-
ზნა დაიწყეს. ბორიო ქროდა. ამან ცო-
ტათი შეაშფოთა ბიჭები, რადგან ბორი-
ოს ნისლის მორეკა შეეძლო.

ბელურა და მისი მაღალი მეგობარი
ყველასაგან განცალკევებით დასხდნენ.
სციოდათ. საყელოები აიწიეს.

— რა სუფთა ჰაერია, — თქვა ბელუ-
რამ.

— ნამდვილი სამოთხეა. ახლალა
ვხვდები, რად არიან მთიელები ასე ჯან-
მრთელნი.

— ოდესმე მე ისევ ამოვალ აქ, გამო-
ვიზამთრებ, — თქვა ბელურამ.

— შენ ყოველთვის მეოცნებე იყავი.
სწორედ ამისათვის და კეთილი გულისა-
თვის მიყვარხარ. ოცნება და კეთილი
გული — არც ისე ცუდად ჟღერს, არა?

— ეს შენთვის ჟღერს. მე, როგორც
მომავალ გენიოსს, ეს სულაც არ მომ-
წონს.

— შენგან ისეთივე გენიოსი გამოვა,
როგორც ჩემგან მათემატიკის ღმერთი.

მერე მათ ხაჭაპურის მოზრდილი ნა-
ჭერი თანაბრად გაიყვეს. ერთმანეთთან
უფრო ახლოს დასხდნენ და მომავალმა
გენიოსმა თქვა, რომ ცაზე უამრავი ვარ-
სკვლავია და რომ ამდენ ვარსკვლავს იგი
პირველად ხედავს. კომპოზიტორმა, რო-
მელსაც არ უფიქრია გამხდარიყო მათე-
მატიკის ღმერთი, დაუმატა, რომ ვარ-
სკვლავები ძალზე დიდებია და კაშკაშე-
ბენ. წინ დიდი გზა ედოთ კიდევ.

უცებ მოშორებით ვიღაც გაჩერდა.
მოიხედეს. იცნეს. ბესიკა იყო. ბესიკამ
ხმამალა ვაიცინა:

— ბიჭებო, რომ მარწმუნებდით, მთა-
მსვლელები გაიპარნენო, აგერ არ ყო-
ფილან?!

— მოეშვი მაგათ, — გამოექიშა ვი-
ლაც.

— ახლა პირიც ამიკარით ბარემ.

მომავალმა გენიოსმა ეს ხუმრობა იწ-
ყინა. ბრაზისაგან ბაგე მოიკენიჭა. თე-
დო რონდელიც აიმრიზა.

— არ ჯობდა, ბაბაიებო, შინ დარჩე-
ნილიყავით ამ საჯოჯოხეთოში ყუ-

ნცულს?

— ვითომ რატომ? — ხმა ამოიღო კომპოზიტორმა.

— უპირველესად ბოდიშს მოგახსენებთ, თქვენო უგანათლებულესობავ, ამ თავმდაბალი კითხვისათვის, მაგრამ ძალზე მაწუხებს თქვენი ფეხების ბედი. აღმართს ხომ არ შეუწუხებია ისინი?..

— ცოტათი, — იმავე აგდებული ტონით უბასუხა კომპოზიტორმა.

— ჩემი და ჩემი მეგობრის ფეხები მადლობას მოგახსენებენ ესოდენი ყურადღებისათვის.

„პაექრობა დაიწყო, — გაიფიქრა ბელურამ. — თუ დანარჩენებიც ბესიკასავით არიან განწყობილი, ცუდად დასრულდება ეს ამბავი. მეტი არიან“.

მაგრამ ბოლოს ყველაფერმა ხუმრობაში ჩაიარა.

გიგანტმა ბენომ თქვა, დათვისთავა კლდეებთან რომ გავუხვიოთ, უფრო მოკლე გზით ავალთ მზის ამოსვლის გორაზეო.

— კი, მოკლე გზაა, მაგრამ ძნელი. თანაც მთვარე საცაა ჩავა, ცა აიჭიკყა.

— ეს რა გზაა ასეთი? — დაინტერესდა კომპოზიტორი.

— ძალიან მოკლე გზაა, მაგრამ ხიფათიანი — აქაურ მცხოვრებლებსაც უჭირთ მისი გავლა.

— მაგრამ ხომ დადიან მაინც?

— რა თქმა უნდა.

— მოდით, ახლა ჩვენ ვსინჯოთ! — თქვა კომპოზიტორმა.

— გესმით, რას ამბობს? — იშოვა საკბილო ბესიკამ, — დათვისთავა კლდეები მომთხოვა! ჩვენ, უკაცრავად, ასეთ სიამოვნებას როგორმე დავთმობთ. ვინაა ისეთი ცხრათავიანი, რომ სასწორზე დადოს სიცოცხლე. თქვენ თუ მოისურვებთ, მიბრძანდით.

კომპოზიტორმა არაფერი უბასუხა. ცას გაყურებდა.

უცებ იგი ხელახლა მიუბრუნდა ბენოს.

— მაშ, შენ ამბობ, რომ დათვისთავა

კლდეების ზემოთ მზის ამოსვლის გორაა?

— ჰო, — დაემოწმა ბენო, — მაგრამ თუ რაიმეს ფიქრობთ, უმჯობესია სხვა დროისათვის გადასდოთ. თქვენ ხომ პირველად ხართ მთაში.

— ასეა.

— მით უმეტეს.

— მე გავრისკო მინდა.

— რა საჭიროა, როცა შორიდანაც შეიძლება მოვლა. მზის ამოსვლამდე მთელი ორი საათია.

კომპოზიტორი წამოდგა. იგი მეგობარს მიაჩერდა.

— მე დათვისთავა კლდეებით ვაპირებ ასვლას, შენ?

— რა თქმა უნდა, მეც, — თქვა ბელურამ.

— ნუ შერყეულხართ, — უცებ შეუფოთდა ბესიკა, — თუ ჩემს გამო აპირებთ ამას, დედას გეფიცებით, ათასჯერ მოგიხდით ბოდიშს. განა მართლა ასეთი კაცი ვარ?

ბელურამ ცარიელი რიუკზაკი აიკიდა, ჯიბის ფარანი აანთო.

გიგანტი ბენო ხვეწნად იქცა.

— როგორ შეიძლება, ბიჭებო, ის ხომ თითქმის გაუქვალავი გზაა. გადაიჩეხებით სადმე. ჩვენგანაც ვერავინ რისკავს. — მერე წამით გაყუჩდა, რატომღაც გაუბდრა სახე და უცებ თბილი ხმით წამოიწყო:

— თქვით, რომ ეს ხუმრობაა. მართალი თქვით, ხომ იხუმრეთ? ხომ ზედავთ, არც ერთს არ გვადევს კაციშვილის ფერი.

— ნუ გეშინიათ. ჩვენ მშვიდობიანად ამოვალთ ზევით.

— ეს ხომ სისულელეა!

— მე ასე მინდა.

ბიჭებმა ახლა ბელურას დაუწყეს ხვეწნა, უთხარი რამე, შენი ბავშვობის მეგობარი ყოფილა, დაგიჯერებსო. ბელურამ შორს დაიჭირა თავი. იგი ზეიმობდა. ჩემი მეგობარი რომ არ წამოვიდეს, მაშინ მარტო გავუყვები გზასო.

— არ გაგიშვებთ! — გამწარდა ბე-

ნო, — თქვენ რომ რამე მოგივიდეთ, ვინ უნდა აგოს პასუხი?

— არავინ. — თქვა წყნარად კომპოზიტორმა, — როგორ ფიქრობთ, განა ჩვენ თქვენზე ნაკლებად გვინდა ვიცოცხლოთ?

ითათბირეს, იღავეს, იყაყანეს და ორად გაიყვნენ.

ბელურა და კომპოზიტორი დათვისთავა კლდეებისაკენ გაეშურნენ. მათ კიდევ ესმოდათ როგორ წუხდნენ ბიჭები. მერე ვილადამ უგულოდ გამოსცრა: აბა, რაფერ უნდა დამტკიცონ თავიანთი მეტიჩრობა. ვითომდა თქვენ გჯობია-როთო, ტფუ! არაფერი მინახავს ასეთი!

...კარგა დრომ განვლო, თედოს ჯიბის პატარა რადიომიმღები ჰქონდა და იმით იქცევდნენ თავს. ჯერ სწრაფად მიდიოდნენ, მერე მართლა გაუჭირდათ. უკვე მალიმალ ისვენებდნენ. ბელურას ორჯერ დაუცდა ფეხი, მუხლისთავები გადაუტყავდა, გულში კიდევაც აგინებდა მეგობარს ამ უეცარი ახირებისათვის, მაგრამ კმაყოფილებითაც ფიქრობდა, როგორ ავიდოდნენ ზევით და რამდენხანს ექნებოდათ ბიჭებს ეს სალაპარაკოდ. ფერდობი ბალახს დაეფარა. ბალახი სველი იყო. ლანჩა გაიძლინთა და სრიალებდა.

— მართლა რა საშინელი სავალი ყოფილა, — თქვა კომპოზიტორმა.

— სამაგიეროდ, როცა დღისით უმზერ, ალბათ, ძალიან მიმზიდველია.

— ესეც სწორია. ეს მთები გვეძახდნენ, გვიხმობდნენ თავისი ლამაზი ტყეებით. მაგრამ განა ერთხელაც დავეჭვდით კი იმ სიძნელეებზე, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გვიდარაჯებს? იგივე შეიძლება გაიმეორო ცხოვრებაზეც.

— და მაინც ტკბილია იგი თავისი მოულოდნელი სიძნელეებით. უამისოდ განა საინტერესოა სიცოცხლე? ვერ ვიტან ერთფეროვნებას, ვერ ვიტან, როცა წინდაწინ იცი, რა გელის ხვალ.

ახლა ისინი ისხდნენ ლოდზე, მხარდა-მხარ, თანაც ისე ახლო, რომ ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში ერთმანეთის სუნ-

თქვა ესმოდათ. ჯერ ეჩვენებოდათ, რომ გარშემო მართლაც უსიცოცხლო ყველაფერი. მაგრამ მალე ამ სამარცხ-ბური სიჩუმის გამოცოცხლება ნელ-ნელ იწყეს ღამის ხმებმა, რომლებიც არც იცი საიდან მოდის. ესაა უცაბედად წარმოქმნილი რაღაც საეჭვო ფაცა-ფუცი კატბალახას ტევრებში, კლდეთა შორის რომ იზრდება. მაგრამ ეს ყოველივე სულაც არ არღვევდა სიჩუმეს, არამედ აღრმავებდა და სამძიმოს ხდიდა. თვალები ებლიტებოდათ და უცებ ორივე მიხვდა, რომ ეს იყო ძილის შორეული ბურანი, შემპარავი და სასიამოვნო. წამოდგნენ. ფრთხილად შეუდგნენ ბილიკს. მერე ეს ბილიკიც სადღაც გაქრა და უკე არაოლად, ინსტინქტით მიიწევდნენ წინ. მთვარე კიდევ ანათებდა. თუმცა იგი სწრაფად მიექანებოდა ღრუბელთა ქარავენებს შორის და, საცა იყო, საბოლოოდ გადაიკარგებოდა მის ლაბირინთში. უცებ სიჩუმეში თოფი გავარდა.

— ისინია, — თქვა თედომ.

— ჰო, ისინია, — თქვა ბელურამ.

— ალბათ, გვამხნევებენ.

— შეიძლება გვამხნევებენ.

ჯერ ძალიან სწრაფად გადაუხსნეს თავისი საიღუმლო ბილიკებმა. მერე ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილად მიიწევდნენ ზევით. უცებ დაჯახნვა მოუწოდმეს ფერდობებმა. ხელები დაეკაწრათ. ბოლოს მოხერხებულად აუარეს გვერდი გამოშვებულ კლდეს და თავისუფლად ამოისუნთქეს.

— აქ ვაკეა, — თქვა თედომ წყნარად, თითქმის ეშინოდა არ დაეფრთხო ვინმე. — რაც გავიარეთ, იმასთან შედარებით ეს სამოთხეა, ოღონდ ფრთხილად. რა გამხდარი ხარ და რა მოუქნელი! აბა მომეცი ხელი, გამოიწიე კიდევ წინ. — ოჰ, — ამოიკვნესა მან. მის ფეხქვეშ მიწა შექანდა. ნელ-ნელა ჩაიწრა, სულ ნელ-ნელა. — მიშველე, — დიძახა მან. ხელი მაგრად მოუჭირა მეგობრის ხელს და წამით ჰაერში გამოეკიდა.

ბელურა მუცლით დაეცა მიწაზე, ცალი ხელით შქერის ბუჩქს ჩაებლაუჭა, ცალით კი მეგობარს იმაგრებდა. „მიწა

ჩამოიშალა, — ფიქრობდა იგი. — ნუთუ განწირული ვართ!“

— ნუ გეშინია, — ძლიეს ამოლონდა მან. — გამაგრდი! — მაგრამ თვითონ კარგად იცოდა, რომ ერთ წუთზე მეტს ველარ დაიჭერდა. ძარღვები დაწყვეტაზე ჰქონდა. შექერის ბუჩქიც არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც საიმედო. მაგრამ აი უცებ შეება იგრძნო. ტვირთი ამჩატდა თითქოს. აჰა, თედო გამოშვერილ ლოდს დაეყრდნო ფეხებით.

— იქნებ, ზევით არის ასეთი ლოდი?

— ახლავე მოვსინჯავ. არა, არაფერია ასეთი. თბილი მიწაა.

— რა გვეშველება? — შეშფოთდა ბელურა, ატირებას ცოტადა აკლდა.

— დამიჭირე. მაგრამ, იქნებ, როგორმე ამოვიწყო.

— გიჟერ, ფრთხილად! — და ბელურამ იგრძნო, როგორ დაიჭიმა მისი მკლავი, როგორ დაასხა სიმწრის ოფლმა და როგორ დაკვესა გონებაში რაღაცამ. თედომ ამოხოხება სინჯა. ამოდ. ასე გაიმეორა რამდენიმეჯერ და ყოველი ცდა მეტ და მეტ ენერგიას ართმევდა. მოღუწდა.

— არაფერი გამოვა, — თქვა მან ბოლოს, — საშინლად დავიღალე.

— ფრთხილად იყავი, თედო, — ხმის კანკალით ჩასძახა ბელურამ, — რა გვეშველება, თედო. ლოდი მართლა ასე საიმედოა, თედო? — ცრემლები ახრჩობდა, ყელში საშინელი სიმწარე იგრძნო. თვალებში ყვითელი ზოლები დატრიალდნენ.

— ნუ ლელავ, — თქვა თედომ, — შენ თუ გამიძლებ, — მე არაფერი მიჭირს. ეს ლოდი პირდაპირ ჩემს ბედზე აღმოჩნდა აქ, თორემ...

აღარ დაასრულა...

ბელურა ახლა ნიკაბითაც დაეყრდნო მიწას. მისი ტანის ყოველი კუნთი საიმედო საყრდენად იქცა. ხელი გაქვავდა და შეედგა მეგობრის ხელს. იგი ყოველ წამს ეკითხებოდა, იქნებ, რამე იტყინე, ან იქნებ როგორმე გიშველოო. თოკი რომ ჰქონოდათ... მაგრამ თუკი

ბესიკასა და მის ბიჭებს ჰქონდათ. ბესიკას ბიჭები რომ მიხვდებოდნენ, და მოგვეშველებოდნენ! გათენებულ ვარი არ აკლდა, მაგრამ წინანდებურად ბნელოდა, რადგან მთვარე ჩაივლია.

ბელურას თავი დაეხარა. ხმის ამოღება არ შეეძლო. იგი რაღაც გაურკვეველ ხაზებს ხედავდა ქვემოთ, მუქ სივრცეში. მერე ეს მუქი სივრცე ბრწყინავდა წარჩინებისფერ უდაბნოდ იქცა, რომლის მღუმარება ქალის სიცილმა დაარღვია. ახლა მან იცოდა ვისი იყო ეს უდარდელი სიცილი, ზანზალაკის წკრიალს რომ გავდა, და შეეშინდა. შეეშინდა, რადგან ამ წუთს, ამ გადაწყვეტ წამს გაიფიქრა საყვარელ ქალზე. იგრძნო, თედო შეინძრა, თითქოს ჩაიწია კიდევაც ქვევით.

— რას შვები, შენ ხომ მეც გადამიტან, — თქვა ჩუმად და უმაღლეს დამატა: — მაგრამ ჩამკიდე ხელი, იქნებ როგორმე შეძლო და ამოხვიდე?

— არა, — ყრუდ ამოიგუტუნა თედომ. — ახლა რომ გავინძრე, ვეღარაფერი მიშველოს, ლოდი გამომეცლება.

„დაიღუპება? — გაიფიქრა ბელურამ, — რატომ თქვა, დავიღუპებიო, იქნებ მომეყურა! მერე მე? მე არ გავუშვებ ხელს. დავიჭერ, სანამ შემიძლია. — მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ღონე ელეოდა. კუნთები დაეძაბა, ტკიოდა. — რომ ვერ გავუძლო და გადავარდეს?“ — ერთბაშად გამოფხიზლდა. იგი წინანდებურად მტკიცედ იწვა მიწაზე. ფეხები შექერის ბუჩქებში გაეხლართა. ეს ბუჩქები პაწაწინა იმედს მაინც იძლეოდნენ და უცებ მოხდა სასწაული. ჯიბის რადიომიმღები, რომელიც დაცემისას ქვას მიეწარცხა, ახრივინდა, აცხცახცხდა და ჰაერით აავსო დიდებულმა მელოდიამ. „ეს გერშვინია, — გაუელვა თედოს. — რა თქმა უნდა, გერშვინია. რატომ მაინცდამაინც „რაფსოდის“ გადმოსცემენ და არა სხვას? იქნებ, იმიტომ რომ გერშვინი ყველაზე მეტად მიყვარს? ალბათ, ბედისწერა დამცინის. ალბათ, ჩემი აღსასრულის წამმა დარეკა. თავი მიბრუნე. ძალა შელევა. თუ ხელს არ გავუშვებ,

მასაც გადავითრევ. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გადარჩეს იგი და მე გადავიჩეხო?“

ხმამალა ამოისუნთქა. განდიქრის შეეშინა. დასწყევლოს ეშმაკმა, საიდან მოდის თავში ასეთი აზრი? ან რამ ამოხეთქა ჩემში ანაზღეულად? წამიერ მღელვარებას არასოდეს არ უნდა მიენდო, თორემ საოცარ სისულელეს ჩაიდენ. და ჩაიდენ მაშინ, როცა ეს სულაც არაა საჭირო.

— დაილაღე?

— არც ისე.

— მე ხომ ვიცი, რომ დაილაღე.

— ცოტათი. ისე კი უმჯობესია, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

— გინდა სულ დავდუმდეთ?

— აი, ხედავ, შენ ვერ გამიგე. მე მინდა ყველაფერზე ვილაპარაკოთ, ოღონდ შიშზე არა.

— იცი, წელან უცნაური აზრი ამეკვიტა. შენ ხომ ყოველ წუთს შეგიძლია გამიშვა ხელი და გადამჩეხო, მაგრამ ამას არ აკეთებ, თუმცა თამამად შეგიძლია ეს გააკეთო. მე ხომ შენი მეტოქე ვიყავი მუდამ.

— რა სისულელეა.

— ნუ იკატუნებ თავს. განა ბრმა ვარ? მე ხომ ვიცი, რომ ცირა გიყვარს?

— მერე?

— ჩვენი შანსები თანაბარია. ცირა ერთნაირად გვექცევა ორივეს, რადგან მან ჯერ არაფერი იცის, მაგრამ განა გამოირიცხულია, რომ შემიძლია წაგართვა იგი?

ბელურა მძიმედ სუნთქავდა.

— შენ მისმენ?

— კი, ოღონდ უფრო მაგრად ჩამჭიდვ ხელი.

— როგორ ფიქრობ, ჩვენ მართლა ასე სუსტები ვართ?

— ეგ სულაც არ მქონია გუჟანში, მაშინ არ გამოვეშურებოდით აქეთ. სწორი გზით ავიდოდით ზევით.

— იცი, მე, ალბათ, არაფერი მიშველის, ვგრძნობ, მაყრიალებს.

ბელურამ არაფერი უპასუხა. მან ენის

წვერით გაისველა ტუჩები და იგრძნო, რომ ოფლიმ ცურავდა. ეს იყო ცივი რალაც უცნაური ოფლი.

— რაზე ფიქრობ? — კითხა მეგობარმა. — არ გესმის, რა ტკბილ მუსიკას გადმოსცემენ?

— ჰო, — მოკლედ მოჰრა ბელურამ, თან კი გაიფიქრა: — ეს ღიღებული რამაა. თანაც უცნაური. ახლა ამ უკაცრიელ მთაში, უფსკრულის პირას, როცა ყველასაგან მიტოვებულად წარმოიდგენ თავს, ეს ნაზი და მომაჯადოებელი ჰანგები არ გაძლევენ ნებას იფიქრო ასე, მათ თითქმის ადამიანების სითბო მოაქვთ. გვამშვიდებენ.

ჰაბუკი, რომელსაც აღარაფერი აშორებდა სიკვდილს, საწოლზე ფიქრობდა. იგი გრძნობდა, რომ ციოდა და რომ სიცივე გარედან არ ატანდა მასში. ეს სხეულში ჩაწყდა რალაც, გაიყინა და საცაა გონებასაც უნდა მოსდებოდა.

ბელურას მართლაც სასწაულებრივი ღონე აღმოაჩნდა.

იგი ცას ევედრებოდა არ გაწვიმებულიყო.

გრილი ქარი ქროდა. უფსკრულში საშინელი სიბნელე იწვა. მთვარის მქრქალი შუქი ჩაფენილიყო მეგობრის თვალებში. ეს თვალები ახლა მრუემ ფერისანი იყვნენ და საშინლად ბზინავდნენ. უფსკრულიდან ნოტიო, დახშმული ჰაერის უფრო და უფრო მძიმე ჰაელი ამოდიოდა.

როცა რადიომიმღების ხმა მიწყდა, ბელურას წყლიანი მათარა გაახსენდა, რომელიც ფეხებთან ახლოს იდო, მაგრამ მაინც ასი ათასზე მეტი კილომეტრის იქით ეგულებოდა. მას ისევ წარმოუდგა თვალწინ უდაბნოთა ბრჭყვიალა სივრცეები, სადაც ყველაფერი მირაყია. იგი ხედავდა ფანტასტიკურ ოაზისებს, მეწამულ ტატნობს. ხანდახან ამ აბსტრაქტულ რაქუსში ცირას უზარმაზარი სახე ამოცურდებოდა და მაშინვე, როგორც კი ამოცურდებოდა ცირას სახე, დანარჩენი ყველაფერი უფერულდებოდა, ქრებოდა. მხოლოდ ქალი იყო რეა-

ლური. მას ღიმილი მოქონდა და ეს ღიმილი სიცოცხლითა და სიკეთით იყო გაჟღერებული.

— იცი, მე ეჭვი არ მეპარება, რომ შენ ჩემზე უფრო გიყვარს ცირა.

— ეს რატომ?

— მე განებივრებული ვარ. მე როგორც ქალს, მხოლოდ ისე ვუყუარებ ცირას, შენ კი არა, შენთვის ის ღვთაებაა. ხომ მართალია?

— რად მეკითხები?

— ახლა ყველაფერი შემიძლია გკითხო. სულერთია, ვედარაფერი ამომიყვანს აქედან. თანაც ლოდი, რომელზეც ვდგავარ, უკვე ქანაობს. შენ გამიძლებ?

— რა თქმა უნდა, ოღონდ მაგრად ჩამჭიდვ ხელი და ნუ ქანაობ.

— როგორ ატყობ, ძალიან ღრმია ეს უფსკრული?

— ღმერთმა უწყის, არაფერი ჩანს, — საშინელი ნისლითაა ამოხორცილი.

— რომ გადავვარდე, სული არ დამყვება, ალბათ.

„ეშინია. — გაიფიქრა ბელურამ, — ეშინია და ცახცახებს. არა და სანამდე უნდა მეჭიროს ასე? სანამდე გაუძლებ — მერე? მეც თან გადამითრევს მისი ხელი, აი, ეს ხელი, რომელიც საშინლად ცხელია და ღიბი. რა თქმა უნდა, გადამითრევს. არავინ უწყის, რა გაიღვიძებს ადამიანში უკანასკნელ წუთს — შური თუ უსაზღვრო სიკეთე. — ამის გაფიქრებამ შეაჩეროლა. — თვალყური უნდა ვადევნო ყოველ ცვლილებას მის თვალებში. მთვარის გადატეხილი სხივები პაწია კაკლებს შორის უფრო მეტს მამცნობენ, ვიდრე სიტყვები. სიტყვები ზოგჯერ ბუტაფორიაა, რომელიც არ იცი რა მასალისაგან არის დამზადებული. — ამან შეაცბუნა. — ნუთუ იგი მართლა გამწირავს? არა და განა მაქვს ნება უკანასკნელ წამამდე არ ვუშველო? ადამიანები ხშირად თავს სწირავენ სხვის გადასარჩენად. ეს სიბნელე რომ არ იყოს, რაიმეს მოიმოქმედებდა კაცი. მაგრამ განა აზრი ექნება ჩემს დაღუპვას? განა მიმიძღვის ბრალი, რომ მას

ფეხი დაუცდა და ჩამოეკიდა უფსკრულის კედელს? მან ისევ გადაიხედა ქვევით. ვერაფერი დაინახა. ეშმაკმა უწყისი მოდენაა ეს ოხერი. ძირს, თვალუხერხე, ალბათ, წყარო ამოდის და წყაროს გარდი-გარდმო წვერმახვილა ლოდებია. აი, იმ ლოდზე დავეცემით ჩვენ და ყველაფერი გათავდება. გათავდება მაშინ, როცა ნამდვილი ცხოვრება უნდა დაიწყოს, როცა კიდევ უსაშველოდ ბევრი მწვერვალია გადასასვლელი“.

ლოდი, რომელზეც ორივე ფეხით იდგათ თედო, ჯერ კიდევ საიმედო საყრდენს წარმოადგენდა. ჭაბუკი ცას გაყურებდა. როგორ ჩქარა შეიცვალა ამინდი! როცა სახლიდან გამოვიდნენ, ცაზე უამრავი ვარსკვლავი ჩანდა. ის შორეული ჩახჩახა ცა თავისკენ უხმობდა თითქოს, ელოლიავებოდა და უღვენთავდა გულს. მან იცოდა, რომ დადგა ჟამი, როცა სიცოცხლე ასჯერ და ათასჯერ მეტად შეიგრძნობა. და უცებ აქ, უფსკრულზე გადაკიდებულს, გაახსენდა ღღე, როცა შემისთვისწავიდა ტყეში. ეს იყო წინათ. თითქოს საუკუნეების მიღმა. მაგრამ კარგად ახსოვდა მზის თბილი ჩქერალებით აელვარებული ხეთა კატრები. ახსოვდა ხოკია მაყვალთ გაბადრული ბორცვი და კლდეზე შემოსკუპებული, თვალმინაბული ხელიკი. და, ალბათ, იმიტომ რომ ცაზე ასეთი მშვენიერი მზე ანათებდა მაშინ და, ალბათ, იმიტომ რომ ბალახი ასეთ საამო სურნელს აქმევდა მაშინ, ჭაბუკი აღიღინდა. ახლა, უფსკრულზე გადაკიდებულს, ჩაესმა თითქოს ჩანჩქერთა შხუილი. იგი ხარბად სვამდა ამ შორეულ მუსიკას და გაიფიქრა, რომ ჩანჩქერები ადამიანებივით ელაპარაკებინ ერთმანეთს. ჩვენ, ადამიანებს, მათი ენა არ გვესმის. მათი ხმები უხსოვარი დროიდან წკრიალებენ და მარად იწკრიალებენ. ჩვენ კი, ადამიანები, ვიბადებით, ვკვდებით და სიკვდილთან ერთად ჩვენი ხმებიც ქრებიან სამუდამოდ.

იგი გამოერკვა. უცებ, გაქრობისა ეშინოდა. ყოველ წამს შეეძლო მოეტანა ხიფათი და მას გაუელვა: რატომღა,

რომ უკანასკნელ წუთს, როცა იცი, რომ არაფერი გიშველის, მაინც რაღაცის გჯერა? რატომღა, რომ შენს შიგნით რაღაცას არ უნდა განწირული იყო, და ეს რაღაც შიშზე უფრო ძლიერია?

და უცებ ბელურამ იგრძნო, რომ თენდება, რომ ზევით, მწვერვალზე, უკვე შეიცრია თალი, უფსკრულის პირას კი წინანდებურად ბნელოდა.

ახლა ერთადერთ იმედს განთიადი წარმოადგენდა. ბესიკას ბიჭები უსათუოდ დაეშვებოდნენ მათ საძებრად, თანაც მწვერვალი არც ისე შორს უნდა ყოფილიყო. მათ ხომ კარგა მანძილი გამოიარეს დათვისთავა კლდეებიდან.

მას ისევ გაახსენდა წყლიანი მათარა, რომელიც რადიომიმდების გვერდით ეგდო და რომელსაც მარცხენა ფეხით წვდებოდა.

ქარმა დაქროლა.

დილის გამაცოცხლებელმა ქარმა მკერდზე გაუღელა, შუბლზე ჩამოაფინა თმები. ნისლი, რომელიც უფსკრულში იწვა, ნელ-ნელ აიკრიფა, გადაჩოჩდა და სამხრეთისაკენ გაცურდა. იგი ისევ იფანტებოდა, როგორც ჩაიდნიდან ამოსული ორთქლი იფანტება ხოლმე.

ბელურა ქვევით იყურებოდა. მისი თვალები ისრუტავდნენ თითქმის ჩარჩენილ ნისლს და უცებ გაიცინა, შეშლილივით გაიცინა, ავადმოყფურად.

— ფსკერი... ჰა, ეს რა პატარა თხრილზე ყოფილხარ გადაკიდებულში! ნახე, ერთი ზელის დადება ფსკერამდე! ხა, ხა! ესეც შენი უფსკრული, ხა, ხა, ხა! ევრიკა! როგორ მოგვატყუა ნისლმა. ხა, ხა!

— რაო? — ყრუდ ამოიძახა თედომ.

— გადახტი. გადახტი-მეთქი, თორემ გაგიშვია. — იცინოდა ისევ ბელურა და მართლაც გაუშვა ხელი. — ხა, ხა... ნისლი...

წამის რაღაც მეასედში საზარელმა ყვირილმა ააცახცახა სივრცე. ქარმა აიტაცა იგი, მოატარა ღრანტეები და სადღაც შორეულ ღრუბლებთან გადაკარგა.

„ცუდად დაეცა, — გაუღელა ბელურას. — ცუდად დაეცა.“

არ დაუყოვნებია, თვითონაც მიყვა მეგობრის კვალს. ყრუდ დაეცა და გადაგორდა, მაგრამ არაფერი უტყენია.

— თედო! — შეანჯღრია მეგობარი, — თედო!

თედო თვალმინებული იწვა. მერე თითქმის მოფხიზლდა, ამოიგმინა, ხელი აიჭნია.

— როგორა ხარ, იტკინე რამე? გესმის?

მეგობარი ხმას არ იღებდა.

საგრძნობლად მოსინათლდა, ბელურას ახლა წყლის სასიამოვნო წაბუნე ჩაესმა. მან თვალებით მოძებნა პაწია წყარო, რომელიც დაქანებული ფერდიდან რუდ ჩალიკლიკებდა. წაიწია. ერთმა პეშვმა წყალმა თვალები გაახელინა მეგობარს. მან იკითხა:

— სადა ვარ... ფეხი...

სისხლი, მიწა და შიშისაგან საოცრად გაზრდილი წვერი ერთმანეთში აგლეხილიყო, თითქმის ერთ საათს კი არა, მთელ საუკუნეს გაეცლო.

— მაპატიე, — უთხრა ბელურამ. — მე არ მინდოდა. მაგრამ იტკინე? მე ხომ ეს სიხარულისაგან მომივიდა. მაპატიე. ჩვენ გადავჩიით, გესმის? გინდა კიდევ წყალი? აჰა, დალოე. იცი, ხელმარჯვნივ შქერით მოფარული აღმართია — აქედან ადვილად ავადწევთ ზევით. აბა მიჩვენე ფეხი... იღრძე?

თედომ ამოიგმინა და წამოიწია. ფართო შუბლიდან სისხლი მოუონავდა.

„ზევით მაინც უნდა ავიდე, — ფიქრობდა ბელურა. — ზურგჩანთაში არაყი დარჩა. კრილობას გავბან“. — თვალით მოსინჯა შქერის ბუჩქნარი და თქვა:

— შეგიძლია წამოდგე? არა? მაშინ ზურგზე უნდა აგიკიდო. აბა, გაინძერი...

— ოო, — ამოიკენესა თედომ. — რა ცუდად დავეცი... ვერ გამძილებ.

— ახლა უფრო გაგიძლებ, აქ ხომ ბუჩქნარია.

ცოტა ხნის შემდეგ საოცრად მძიმე ტვირთქვეშ სული შეეხუთა ბელურას.

იგი ნელა მიიწევდა ზევით, ფეხი უსვლ-
ტებოდა. მიძმედ სუნთქავდა. იმ წუთს
იგი აღარ ეკუთვნოდა თავისთავს. ხან-
დახან, როცა არასწორ მოძრაობას გა-
კეთებდა, მეგობარი დაიკრუსუნებდა,
დაიძაბებოდა. ამას კარგად გრძნობდა
იგი. ტუჩებით შქერის ფოთლებზე მი-
მობნეულ ცვარს სრუტავდა. ეს ძალას
მატებდა თითქოს.

ზევით ძალზე ეკბინებოდა ქარი. სუს-
ხავდა. ბელურამ მოხერხებულ ადგილას
დააწვინა მეგობარი, მერე მკლავი დაი-
ზილა და ზურგჩანთისაკენ გაბობლდა.
იგი არაფერზე ფიქრობდა, არაყის გარ-
და. ხარბად დაეწაფა ბოთლის ყელს. გა-
თბა. მაგრამ ახლა მეტად მოუტრიალა
გულზე. შიმშილი სულ უფრო და უფრო
აწუხებდა. ზურგჩანთიდან რამდენიმე
ბუტერბროტი ამოიღო. თხრილს ისევ
დაუარა თავი, საშინელი ნაგვემი იყო,
დაუეყილი. მეგობარი მკლავზე დაყრდ-
ნობილი დახვდა. შუბლიდან უკვე აღარ
სდიოდა სისხლი. შეახმა. ბელურამ გაი-
ფიქრა: „აღბათ, საშინელებაა, როცა
ფეხს იღრძობ. რა თქმა უნდა. მე კი არ
ვიცი, რა უნდა ვქნა ამ დროს. — თან
ნატყენ ფეხზე უსვამდა ხელს. — აქ გე-
წვის? აჰა, ესე იგი აქ გეწვის... ჭამე რა-
მე. ძალას შეგმატებს. მომაგრდები. აი
მეც ვჭამ, ხედავ?“

უკვე სავსებით გათენდა.

შიში შორს იყო. ფერდობს აქა-იქ ფე-
ხის ნაკვალევი აჩნდა, აღბათ, მწყემსე-
ბისა.

— თამაზ. — წასჩურჩულა თედომ ბე-
ლურას, — არასოდეს ვიფიქრებდი, რომ
ასეთი იყავი.

— კარგი ერთი.

— მზე ამოვიდა? მე რატომ ვერ ვხე-
დავ მზეს?

— ჯერ ადრეა.

დღესავე განათებულია ირგვლივ
ყველაფერი. ისინი გრძნობენ, როგორ
შეიცვალნენ ამ ერთ ღამეში. ისინი ამჩ-
ნევენ ამას ერთმანეთის სახეზე, მაგრამ
დუმან, ნაბიჯ-ნაბიჯ, კოჭლობით მიდიან
წინ, ამომავალი მნათობის შესახვედრად.
აღმოსავლეთი ავარავარებულა, იქიდან
მეორე ქვეყანა გადაიშალა თითქოს მათ
თვალწინ. შორს, ძალიან შორს, სადაც
მთათა თხემები აჭვინტულან, წამისწამზე
უნდა ამოიწვევოს მზე.

იდგნენ ჩუმად. ელოდნენ. მერე ამო-
ვიდა მზე, თანდათან ამოვიდა. როცა დი-
სკოს ნახევარი გამოჩნდა, შეირხა, წამით
გაქვეავდა თითქოს და მერე, დიდებული
და მომხიბვლელი, ამყად გამოგორდა
ცაზე. იგი არ ჭრიდა თვალებს. იწევდა
თანდათან, სხივებს იკრებდა და ამ დროს
ცეცხლოვან ლანგარს გავდა.

მოპირდაპირე ფერდობზე თოფმა იგ-
რიალა.

მერე მთელი ცა აგუგუნდა.

— ეჰ-ეჰ-ჰეი!

— ეჰ-ეჰ-ჰეი!

ბესიკას ბიჭები იყვნენ.

— გესმის, თამაზ? — თქვა მაღალმა.

ბელურამ გაიღიმა. მაგრამ არც ერთს
არ უცდია გამოპასუხებოდა.

იდგნენ უბრად. იდგნენ განთიადით
მოხიბლულნი, თითქოს რაც შეიძლება
მეტხანს უნდოდათ ესმინათ აღამიანთა
ხმებისათვის.



პეპეი ჩხაიძე

ბაბუაჩემი

შუაეცხლთან სკამი დგას ნაჯახით გაჯორკილი,
სკამზე ბაბუა ზის თეთრად დათოვლილი...
ყალიონს აბოლებს ცხოვრებით კმაყოფილი
და ხან გადმომხედავს შვილიშვილს პლატონივით —
ბაბუაჩემი თეთრად დათოვლილი...
შუაეცხლთან სკამი დგას ნაჯახით გაჯორკილი
და წიფლის ჭირკი შუა გაპობილი.
ბაბუ თავს მოუყრის სოფლის ბერიკაცებს,
როცა წარსულის ფიქრები გაიტაცებს.
კარგა ხანს საუბრობს ბავშვივით უდარდელი
და მაინც ფიქრები აღარ უთავდება.
ბაბუა აღარ უსმენს სოფლის ბერიკაცებს,
ბაბუ უსასრულო ფიქრებმა გაიტაცეს.
ლადარში წიფელის საამო ტკაცუნი
და ბაბუს უსასრულო ფიქრები კაცური —
ბაბუს თავისი დროც ახსოვს ვაჟკაცური.
შუაეცხლთან ტახტი დგას ბაბუს გაჯორკილი,
ადრე იძინებს და არის კმაყოფილი,
ძილისწინ გადმომხედავს შვილიშვილს პლატონივით —
ბაბუაჩემი თეთრად დათოვლილი
და მაინც ცხოვრების დიდად კმაყოფილი.
შუაეცხლთან სკამი დგას ბაბუს გაჯორკილი
და წიფლის ჭირკი შუა გაპობილი.



პაქსანური ღოჩია

ოთხმოცდამეერთე

ღიახ, ასე იყო ეს...

და ღრმა დუმილი გამეფდა შემდეგ.

მატარებელი კი კვლავ ქშენით მიქრის... ბორბლების მონოტონური რახრა-ხი რატომღაც კვლავ იმ ამბავს მოგვ-გონებს, ახლა რომ დაასრულა ჩვენმა თანამგზავრმა.

— ერთი, ორი, სამი... — თითქოს ვი-
ლაცის მძიმე, შეწყობილ ნაბიჯებს ითვ-
ლის ბორბლები... თვალწინ მიდგება გა-
მტვერიანებული, ნახევრად გაცვეთილი
ჩექმები ჯარისკაცის ფეხებზე, რომლე-
ბიც შეუსვენებლად მიდიან, მიდიან და
ათასობით კილომეტრს კეცავენ. სახეს
ვერ ვხედავ ჯარისკაცისას, მხოლოდ მის
ნაბიჯებს ვადევნებ თვალს, მაგრამ
ვგრძნობ, რაც უნდა იყოს აღბეჭდილი
ამ ტანჯული ადამიანის სახეზე: დაქან-
ცული, ძილნარევი მზერა, ჯავრისგან
მოკუმული ტუჩები, შუბლზე გაუშლე-
ლი ნაოჭები. მას თავი ოდნავ დაუხრია
და მრისხანედ, კობებშეკრული მიდის,
მიდის, მიდის...

— ერთი, ორი, სამი... — ითვლის ბო-
რბლები. მიგელავს მატარებელი. მისი
ხმაურის მეტი არაფერი არღვევს მყუდ-
როებას.

ყველანი ვდუმვართ. ჩემს წინ მჯდომი
ირეიც დუმს. იგი ახლა ჩვენი მასპინძე-

ლია. ამ დილით ჩერში შემოგვეგება სა-
ზღვარზე გადასვლისთანავე და გავაცნო
თავი, როგორც გიდმა. გულთბილი „ჩე-
სტ-პრაივე“¹ გვითავაზა და გვერდით მო-
გვიჯდა.

— თქვენი მასპინძლობა და მომსახუ-
რება მე დამეალეს, — ძველი ნაცნობი-
ვით გავვიღიმა მან.

მთელი გზა შეუსვენებლივ ენაწყლია-
ნობდა, მაგრამ ახლა ისიც დუმს და თა-
ფლისფერ თვალებში სევდა ჩასდგომია.
იქნებ ისიც ჩემსავით ხედავს ჯარისკაცის
ფარაჯში გახვეულ ადამიანს, რომელიც
განუწყვეტლივ მიდის და ნაბიჯებს ითვ-
ლის... იქნებ, მასაც გაახსენდა, რაზეც
მე ვფიქრობ ამჟამად. იქნებ მასაც ჰყავ-
და ძმა, მისი ძმაც უფროსი იყო მასზე,
როგორც ჩემი ძმა ჩემზე. მასაც ისე უყ-
ვარდა იგი, როგორც მე — ჩემი დათა,
ჩემი ერთადერთი ძმა და უფროსი მეგო-
ბარი. მასაც ომში დაეღუპა იგი; ჩემი
ძმაც ომმა იმსხვერპლა, ისე დაიკარგა,
მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო.

ყველაფერი ეს ჩვენმა სიმღერებმა გა-
გვასენა. ირეიმ გვთხოვა, რამე გვემღე-
რა და, როცა „სულიკო“ წამოვიწყეთ,
სევდიანად გაეღიმა.

1 ჩესტ-პრაივე — საღამო შრომას. მისასალ-
მებელი სიტყვა ჩეხოსლოვაკიაში.

— ეგ სიმღერა ჩვენში ბევრმა იცის. პარტიზანულს უწოდებენ. — და დაბალ ხმაზე თვითონაც აღიღინდა.

— პარტიზანულს?! — გაოცება ვერ დაფვარე. — სად ლირიკული „სულიკო“ და სად პარტიზანული ჰეროიკა!

— იმიტომ, რომ ეს სიმღერა ჩვენში პარტიზანებმა შემოიტანეს.

— ოჰო!.. — დავინტერესდი. — ალბათ, თქვენს პარტიზანებში ქართველებიც ერივნენ.

— საკმაოდ ბევრი. იმ პერიოდში ჩვენს პარტიზანულ რაზმებს თავიანთ ნაწილებს მოწყვეტილი საბჭოთა არმიელები უერთდებოდნენ. მათში ქართველებიც იყვნენ. ბევრს პირადად ვიცნობდი. სამწუხაროდ, იმ დროს ბავშვი ვიყავი და ბევრის სახელი აღარ მახსოვს, მაგრამ მათი სახეები არასოდეს დამავიწყდება. საოცრად მამაცები იყვნენ, — ირქიმ შუბლი მოისრისა და ხმადაბლა თქვა: — განსაკუთრებით მახსოვს ერთი, რომელსაც სულ მცირე ხნით შევხვდი, მაგრამ ვერასოდეს დავივიწყებ. — ცოტა ხნით დადუმდა და შემდეგ ისევ განაგრძო: — ეს მაშინ იყო, თავგზააბნეული ფაშისტები გაბოროტებული მძევნარებით რომ ტოვებდნენ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალს. ომი იჭურებოდა, მაგრამ გამარჯვება კიდევ ბევრ მსხვერპლს მოითხოვდა. ტყეში გახიზნულთ უკვე სულ ახლოს გვესმოდა საბჭოთა ქვემეხების გუგუნი.

ერთ საღამოს, როცა პარტიზანთა რაზმი უღრან ტყეში ისვენებდა, ბანაკს ორნი შემოემატნენ. ერთ მათგანს ყველა იცნობდა — ეს მარყენკა იყო, რაზმის მეთაურის ქალიშვილი და ჩვენი მეკავშირე, მეორე კი — შავგვრემანი, ტანმალალი, მხარბუჭიანი ვაჟკაცი ვერავინ შეიცნო.

მარყენკა მოსვლისთანავე მამასთან გაიქცა ქოხში, ხოლო უცნობი ისე, რომ საღამოც არ უთქვამს ვისმესთვის, ხის ძირთან ჩაჯდა, თავი მაღლა ასწია და თვალები მილულა. ვერავინ მიხვდა, ოცნებობდა იგი თუ დაღლილს ეძინა. ყვე-

ლას აინტერესებდა მისი ვინაობა, მაგრამ პარტიზანთა ბანაკში ზედმეტი ცნობისმოყვარეობა საძრახისად ითვლებოდა. მხოლოდ პატარა ირქიმ გაბედა გამოლაპარაკებოდა სტუმარს.

— გძინავთ? — მიუახლოვდა იგი მას.

უცნობმა სწრაფად გაახილა თვალები, ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა პატარა პარტიზანს, შემდეგ გულთბილად გაუღიმა.

— რა იცი, რომ მძინავს? — უბასუხა უცნობმა და ირქი მიხვდა, იგი ჩეხი არ იყო.

— მაგას რა ცოდნა უნდა... თვალები დახუჭული გაქვს.

— ეჰ, ძმაო!.. — ამოიოხრა მან, — დაღლილი ვარ, — თანდათან გამოფხიზლდა, თანაც ეტყობა, ირქი მოეწონა და მხიარულად კითხა:

— რა გქვია?

— ირქიკი.

— პარტიზანი ხარ?

— როგორც ხედავ. — ქამარში გარჯობილ რევოლვერზე მიუთითა.

— მერე, სროლა იცი?

— ჰმ!.. — იუკადრისა პარტიზანმა. — თორმეტი წელი სამი თვის წინათ გავათავე.

— თორმეტი წელი!.. — ამოიოხრა სტუმარმა. — შენ ჯერ, ძმაო, თოფისწამლის სუნი რა არის, არ უნდა იცოდე. ადრეა... ადრე.

— შენ რა გქვია? — კითხა ირქიმ.

— მე?.. — ჩაფქვრდა უცნობი, მერე გაიღიმა. — მე სახელი არა მაქვს.

— როგორ თუ არა გაქვს?!

— უბრალოდ, არ დამარქვეს, როცა დავიბადე.

— ეს შეუძლებელია, სახელი ყველას აქვს.

— ასეა და რას იზამ.

— შენ მატყუებ... მითხარი, რა გქვია... იქნებ საიდუმლოა?.. ნუ გეშინია, არავის ვეტყვი.

უცნობი წამოდგა, თვალებში ჩახედა ბიჭს... დიდხანს უმზირა, მერე მხარზე

დაადო ხელი და მეგობრულად წასჩურჩულა:

— იცი, ირეკ, სრულებითაც არაა საჭირო, სახელით მომმართო. თუ ოდესმე დაგჭირდეს იმის გაგება, თუ ვინ იყო ის კაცი, ხის ძირში რომ ეძინა, იცოდე, იგი იყო ნისლი და მეტი არაფერი.

— ნისლი?! — გაუფართოვდა თვალები ბიჭუნას. — მართლა?... მაშ, „ნისლი“ თქვენა ხართ?..

— რაო, გაგიგონია ეს სახელი?

— როგორ არა. მაგ სახელის გაგონებაზე ფრიცები შიშით კანკალებენ. ყველა პარტიზანმა იცის, ვინ არის „ნისლი“.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ქოხიდან მარჯენკა გამოვიდა მამასთან ერთად და ორივე უცნობისკენ გაემართა.

მათი საუბარი ხანმოკლე იყო.

— მშვიდობით, მამა!.. — მოეხვია მარჯენკა მეთაურს.

— ფრთხილად იყავით. — ორივეს მიმართა მეთაურმა. — იცოდეთ, ყველაფერი თქვენს წარმატებაზეა დამოკიდებული. მე იმედი მაქვს...

— კარგად მენახეთ, — მოკლედ თქვა სტუმარმა და მეთაურს ხელი გაუწოდა.

ორი ლანდი სწრაფად დაეშვა ფერდობზე. ძახილმა შეაჩერა ისინი. ვაჟი მეთაურისკენ გაემართა და მის წინ შეჩერდა.

— მინდა, იცოდე... — ხმაში ბზარი შეეპარა მეთაურს. — შეილად მიმაჩნია ხარ, ამიტომაც ასე გულდამშვიდებით გაბარებ მარჯენკას. მაგის მეტი აღარავინ დამრჩა... გაუფრთხილდი, ზედმეტად თამამია.

სტუმარს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თავი დაქანია ოდნავ, მერე სწრაფად მოწყდა ადგილს, წინწასულ ქალიშვილს წამოეწია და მასთან ერთად ტყის სიღრმეში გაუჩინარდა.

* * *

ქალაქ ბრნოს კომენდანტი ბარონი ფონ მიხენი სიხარულით ცას ეწია, როდესაც პირადად ჰიტლერისაგან მიიღო

დაშინებული დეკრეტი. მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის შემცირების შემთხვევაში ბარონ ფონ მიხენს ევალეობა და ყოველდღიურად მოესპო ოთხმოცი ადამიანი, იმათ ჩათვლელად, რომლებიც ცისებში იყვნენ, ან სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი, ან კიდევ ქუჩაში რაიმე შემთხვევის გამო ტყვიის წერა გახდებოდნენ. ბრძანება უნდა შესრულებულიყო გერმანული სიზუსტით.

— დიას, ცნობილი გერმანული სიზუსტით, — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ფონ მიხენმა და გვერდით ატუზულ ადიუტანტს გადახედა. ახალგაზრდა ოფიცერი გაჭიმული ისმენდა ფიურერის ბრძანებას. ფონ მიხენი სავარძელში ჩაეშვა.

— საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება. მოქმედება უნდა დაეწყოთ დაუყოვნებლივ. დღესვე ქალაქში გაუშვით ესეცელთა რაზმები. დააკავონ ყველა შემხვედური განუთითხავად. ქუჩაში ნუ დაუწყებენ თვლას. გადათვლით ოთხმოცამდე... ზედმეტს გაუშვებთ. ოპერაციის შესრულებას პირადად შევამოწმებ ყოველდღიურად. დაცულ უნდა იქნას სრული წესრიგი და სიზუსტე.

და წავიდნენ დღეები... მიდიოდნენ და მიჰქონდათ ადამიანთა სიცოცხლე! სრულიად დაუზოგავად, სრულიად განუთითხავად.

თანდათან უფრო და უფრო ეჭირებოდა ქალაქს მარწუხები. მინელთა იატაკქვეშელთა მაჯისცემა, მაგრამ სულ არ შეწყვეტილა, თუმცა ბევრი პატრიოტი დაეცა ფაშისტთა ტყვიით განგმირული. ხან სად, ხან სად გაიღვებდა პარტიზანთა მიერ დანთებული ცეცხლი, შურისმაძიებელთა ტყვია მუსრს ავლებდა ოკუპანტებს, ფეთქდებოდა ხიდები და ყირავდებოდა ეშელონები.

— ცუდად მუშაობთ. — ბრაზობდა ფონ მიხენი.

— ძალიან მძიმე პირობებია. განსაკუთრებით „ნისლმა“ შეგვაწუხა, — თავს იმართლებდა ესეცელთა მეთაური.

— როგორ დავიჯერო, რომ ეს „ნისლი“ მართლა ხელმეუხეებია, როგორც

ზოგიერთი თქვენგანი ამტკიცებს!

— „ნისლის“ ხელით შეხება ძნელია, ბატონო პოლკოვნიკო!... — ჩაიდუდუნა ესეგელმა, — არ იცი, ვისთან გაქვს საქმე, ქალია თუ კაცი, წმინდანი თუ ეშმაკი.

— ამბობენ, კაციაო. თანაც აქაური არ უნდა იყოსო.

— ზოგი უარყოფს ამას.

— დალახვროს ეშმაკმა!.. ვილაც ხომ უნდა იყოს!

— შეიძლება „ვილაც“ იყოს და „ვილაცეებიც“.

— ეს როგორ?

— ჩვეულებრივ. შეიძლება „ნისლი“ ერთი კაცის სახელი კი არაა, არამედ მთელი ორგანიზაციისა, რომელიც მეტად მოქნილად და გაბედულად მოქმედებს. გახსოვთ, გასულ კვირას რესტორანში რომ მაიორი მოკლეს?... დიახ, შერერი... მოხერხებულად შესრულებული ოპერაცია იყო. იმდენ ხალხში მოკლეს გერმანელი ოფიცერი და ვერავინ ვერაფერი გაიგო. მკვლელი იმდენად თავისუფლად მოქმედებდა, რომ თვით მაიორ შერერის ჯიბიდან ამოღებული ბლოკნოტის ქაღალდზე წაუწერია: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!.. ნისლი“... მეტი არაფერი. ამის წინ რომ არსენალი აფეთქეს, ეს ხომ ნამდვილი საოცრება იყო. ახლაც ვერ მიგმხდარვარ, როგორ მოახერხეს. იქ მეც კი დიდი გაჭირვებით შევდიოდი, ათჯერ მაინც შემამოწმებდნენ. ეზოში მოკლული ჯარისკაცის მკერდზე ნახეს ქაღალდის ნაგლეჯი. აქაც იგივე „ნისლი“ და მეტი არაფერი.

— დიახ... „ნისლი“ და მეტი არაფერი... ჰმ!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა ბარონმა და სავარძლის სახელურზე მუშტი აბაგუნა. ერთი, ორი, სამი... თითქოს მუშტის დარტყმას ჯარისკაცთა ფეხის ნაბიჯებს უწყობდა პოლკოვნიკი. თვალები მოეწურა და გაშტერებით მისჩერებოდა ერთ წერტილს, თითქოს მისი მუშტი ითვლიდა იმ ოთხმოც ადამიანს, რომლებსაც ყოველდღე ხვრეტდნენ ფი-

ურერის ბრძანების გერმანული სიზუსტით შესასრულებლად.

* * *

ქალიშვილმა და შავგვრემანმა ტანმა-ლალმა ვაჟმა რკინიგზის სადგურს ჩაუარეს და მოედანზე გავიდნენ. ის იყო, მოპირდაპირე მხარეს უნდა გადასულიყვნენ, რომ მოულოდნელად მოტორების ყურწამლები გუგუნი ატყდა. მოედანზე ესეგელებით სავსე მანქანები შემოგრი-ალდნენ.

უსიტყვოდ, საოცარი სისწრაფით დაცარიელდა ავტომანქანები. ყველა გადასასვლელთან ჩადგნენ ჯარისკაცები და გზები შეკრეს. გამვლელებს იჭერდნენ განუკითხავად და ისროდნენ დახურულ მანქანებში.

სადღაც პატარა ბავშვის წვილი გაისმა. ვილაც შავპალტოიანი მოხუცი დავა-რდა ქვაფენილზე. ჯარისკაცებმა ხელი დაავლეს მას და კინწის კვრით შეაგდეს მანქანაში. ერთი ქალი გაუძალიანდა მათ, სულ შემოაფლითეს ტანსაცმელი და ნახევრად შიშველი სხვებს ამოუყენეს გვერდით.

ხალხი გასასვლელებს მიაწყდა... ეძებდნენ შესახვევებს, სადარბაზო შესასვლელებს, მოსაფარებელ ადგილს, რათა თავი დაეღწიათ როგორმე, მაგრამ ყველგან მოეჭრათ გზა, გასაქცევი არსაით იყო.

მარევენკას აღარ ახსოვდა, როგორ გაჩნდნენ მანქანაში. იგი მხოლოდ გრძნობდა, რომ მის მარჯვენა მკლავს არ შორდებოდა თანამგზავრის მძლავრი თითები. ისინი ერთად იყვნენ და ეს იყო მთავარი. ეს სიხარული საშინელმა აზრმა დაჩრდილა: „ყველაფერი გათავდა, დაი-ლუპა მთელი საქმე, ჩაიშალა ოპერაცია!“

...მანქანები ერთ დიდ ეზოში შევიდნენ. დაკავებულნი სწრაფად ჩამოყარეს ქვემოთ და ქვიტყირის კედელთან ჩამ-წკრივეს.

მარევენკამ მიმოიხედა, ნეტავ სად არიან? თითქოს ოდესღაც ყოფილა აქ... როგორ თუ ყოფილა?... ეს ხომ სტუდენ-

ტთა ყოფილი საერთო საცხოვრებელია! თვითონ სტუდენტებმა ააგეს საკუთარი ხელით. ძველად აქ მხოლოდ ბაყაყები ყოყინებდნენ. გუშინდელივით ახლავს, ამხანავებთან ერთად რომ მოვიდა აქ და გამშვენირეს აქაურობა. ყველა ოთახი შემოვლილი აქვს, ყველა კუნჭულს კარგად იცნობს... მაგრამ როგორ გამოცვლილა ყველაფერი: აგურისფერი, ლამაზი შენობა ახლა რატომღაც პირქუშად გამოიყურება, ფანჯრები რკინის გისოსებით ჩაუხერგავთ და იქიდან ტილოს ხალათიანი, წვერულვაშმოშვებული, გამხდარი, გატანჯული ადამიანები იცქირებიან.

— ერთი, ორი, სამი... — შორიახლო ითვლის ვილაც.

ამას ახლა მარყენკა სრულებითაც არ აქცევს ყურადღებას... იქაურობას ათვალიერებს.

— ათი, თერთმეტი, თორმეტი... — ითვლის ვილაც.

მარყენკა ცდილობს რაღაც მოიგონოს, რაღაც გაიხსენოს...

— ორმოცი... ორმოცდაერთი... — ახლოვდება ხმა.

მარყენკა უცებ გამოერკვა, წელში გასწორდა, ფეხის ცერებზე შედგა. სურს დაინახოს ის, ვინც ასე ითვლის ადამიანებს. ჯერ კარგად ვერ ხედავს მას, მაგრამ ხმა თანდათან ახლოვდება...

უცებ თითქმის სისხლი გაეყინა ძარღვებში, გული შეეკუმშა. დღეს ხომ ოთხმოცი ამათვანის სიცოცხლე უნდა შეწყდეს. ბევრმა, ალბათ, არც კი იცის, თუ როგორ ამოკლებს ეს თვლა მათ სიცოცხლეს. შეიძლება არც მისმა თანამგზავრმა იცის ეს.

უკვე გამოჩნდა ოფიცერი, რომელიც ხმამაღლა განაგრძობდა თვლას... იგი თანდათან უახლოვდება მათ... არა, იგი ჯერ კიდევ შორსაა და ადვილი შესაძლებელია მათთან ვერც მიაღწიოს... მაშინ ნახეთ, როგორ იძიებენ შურს ასეთი ოთხმოცებისათვის...

მარყენკა მკლავში ჩააფრინდა ვაჟს, მთელი ტანით მიეკრა მას. ვაჟმა, ალბათ,

იგრძნო მისი სხეულის კანკალი და გასა-
მხნეველად მხარზე გადასდო ხელი.

— სამოცი, სამოცდაერთი, სამოცდაორი... — ახლოვდება ხმა და მარყენკაც მთლად დაიძაბა, სმენად იქცა.

— სამოცდათერთმეტი, სამოცდათორმეტი, სამოცდაცამეტი... — ითვლის და ითვლის ვილაც.

ადამიანები კი დგანან და ელიან.

— სამოცდათერთმეტი, სამოცდათექვსმეტი, სამოცდაჩვიდმეტი... — სულ ახლოს გაისმა ხმა და თითქმის გული ჩაწყდა.

— სამოცდათერთმეტი, სამოცდაცხრამეტი, ოთხმოცი... — ყურში ჩასძახეს მარყენკას.

შეაყრელა. იგრძნო, როგორ შეეხო მხარზე ოფიცრის ხელჯოხი, რომლითაც ჯალათი თავის მსხვერპლს ითვლიდა.

— დანარჩენები თავისუფალი ხართ. — განაცხადა ოფიცერმა.

ერთი წუთით დუმილი ჩამოვარდა, მაგრამ უცებ ჯარისკაცთა ჩექმების აჩქარებული ბრახუნი გაისმა და... მარყენკამ იგრძნო, ვაჟის ხელები მოსცილდა მის მკლავს, მიხვდა, თვითონ რომ იყო მეოთხმოცე და წაბარბაცდა. მაშინვე ვილაცის მძლავრმა ხელებმა აიტაცა იგი, კვლავ ფეხზე დააყენა.

— ჩუმად... — ჩაესმა ყურში ვაჟის ხმა. — გადმოდი უკან.

მაგრამ ქალიშვილი არ იძვროდა.

— ჩქარა, ვიდრე არ იცქირებიან.

— არა, არა!... — ძალა შეემატა ქალიშვილს და წელში გასწორდა. — არა, არა, ეგ არ შეიძლება! შენ ახლა უფრო საჭირო ხარ, ვიდრე მე... რომ შეგვენიშნონ, ორივე დავიღუპებით, ჩვენი საქმეც, ჩვენთან ერთად... გემუდარები, წადი... ვიდრე ღრო გაქვს, წადი!..

ოფიცერმა ერთხელ კიდევ ჩამოიარა და ყველას გადაავლო თვალი. ალბათ, ვერ მიხვდა, რიგში რომ ზედმეტი ადამიანი იდგა, ვილაცის მოლოდინში მშვიდად სცემდა ბოლთას.

— გადმოდი უკან!.. — მკაცრად წას-

ჩურჩულა ვაჟმა, როცა ოფიცერი კვლავ მწყობრის თავისკენ გაემართა.

— არა! — მტკიცედ თქვა მარყენკამ.
— გავიგებენ... ორივე დავიღუპებით. ყველაფერი ჩაიშლება...

— ვერაჟინ მიხვდება.. აბა, ოფიცერს რა ახსოვს ვისზე გაათავა თვლა.

— არა, სახიფათოა!

— მარყენკა!.. — მუდარა გაისმა ვაჟის ხმაში.

— წადი, ვიდრე დროა.

— არა, სადაც შენ, მეც იქ!.. არა მგონია, კიდევ დავგვთვალონ... მეც შენთან ერთად ვიქნები.

მარყენკა აენათო, ადგზნებული მხერა მიაპყრო ვაჟს და შემდეგ ერთ-ერთ გერმანელს ხმამალა გასძახა:

— ეფრეიტორო!.. თქვენს უფროსს თვლაში შეეშალა, რიგში ოთხმოცდამეერთეა.

— რაო? — მისწვდა ოფიცრის სმენას ქალიშვილის ხმა და სასწრაფოდ ხელახლა შეუდგა თვლას.

ქალიშვილი მართალი აღმოჩნდა.

ოფიცერმა გაკვირვებით აბზიკა სქელი ტუჩები და მიუბრუნდა ბოლოში მდგომს:

— თავისუფალი ხართ, წადით!

მაგრამ ოთხმოცდამეერთე არ იძვროდა.

— შეგიძლიათ წახვიდეთ.— გაიმეორა ოფიცერმა და ხელჯოხი შეათამაშა.

ვაჟს მკერდი გაუფართოვდა, მრისხანედ ჩახედა თვლებში ოფიცერს და ხმადაბლა, მტკიცედ წარმოთქვა:

— არა, მე ამ ხალხთან დავრჩები.

ოფიცერმა გაოცებით ჩათვალა იგი, მერე ბოროტი ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

— თქვენ იცით, საით ვისტუმრებთ ამ ხალხს?... ძალიან ახლოს... აი იმ სახლის მეორე მხარეს, კედელთან... და არა უგვიანეს ამ საღამოსი.

— რისთვის?!.. რა დანაშაულისათვის?!

— ეგ უკვე თქვენი საქმე არ არის.

— მეც მათთან ერთად...

ოფიცერმა გაკვირვებით ახედა კლდეზე სავით აღმართულ ვაჟაკს, მერე სკლ განაბულ მარყენკაზე გადაიტანა მზერა და...

— საცოლეა, არა? — ღმეჭით იკითხა მან, მერე უცებ კვლავ მრისხანე სახე მიიღო. — არ შემიძლია. — გადაჭრით განაცხადა. — ბრძანებას ვერ დავარღვევ-ნაბრძანებია ოთხმოცი. მორჩა! მამსა-დამე, ოთხმოცი და არც ერთი მეტი... თუ ძალიან გინდათ, ზვალ შემოიარეთ პირველ ადგილზე დაგაყენებთ.

ოთხმოცდამეერთის კბილთა ღრჭი-ალი შეუშინეველი არ დარჩა ოფიცერს.

— გაეთრიე აქედან! — შესძახა მან და ხელჯოხი აღმართა, მაგრამ ამ დროს აჩქარებული ნაბიჯების ხმა შემოესმა და შედგა. მისკენ ბარონი ფონ მიხენი და სხვა მაღალი ჩინის ოფიცრები მოემართებოდნენ. ესესელი გაიჭიმა. იგი სწორედ პოლკოვნიკს ელოდებოდა და, რა-ხან ისიც მოვიდა, თავად გადაწყვიტოს გაჯიუტებული ვაჟის ბედი.

ბარონს დაწვრილებით მოახსენეს ყოველივე. ერთი წუთით რაღაც ღიმილის მაგვარი გადაეკრა მის გაყინულ სახეს. დამცინავად შეათვალა იგი ახალგაზრდა და თქვა:

— მე ძლიერ მომწონს ასეთი ერთგუ-ლება სატრფოს წინაშე. მაგრამ ძალიან ვწუხვარ, რომ ვერაფრით დაგენმარე-ბით.

— იქნებ დავხვრიტოთ ერთად? — წასჩურჩულა ადიუტანტმა.

პოლკოვნიკმა უკმაყოფილოდ შეიკრა კოხები. ამით ადიუტანტს ავრძნობინა, რომ სისულელეს როშავდა.

— ასეთია ფიურერის ბრძანება... ყვე-ლაფერი უნდა აღსრულდეს გერმანული სიზუსტით... — მერე კვლავ ოთხმოც-დამეერთეს მიუბრუნდა: — შეგიძლიათ წახვიდეთ.

ესესელმა ოფიცერმა რომ დაინახა, ვაჟი არც პოლკოვნიკის ბრძანებას ემო-რჩილებოდა, ისევ აღმართა ხელჯოხი:

— გაეთრიე ჩქარა!..

— არა!.. — იფეთქა ახალგაზრდამ. — თქვენ მე არ გამიშვებთ... დიახ, ამათთან

ერთად მეც მიმაყენებთ კედელთან... თქვენ ნებაც არა გაქვთ გამიშვათ... ამისათვის დაგსჯიან ყველას... კარგი დღე კი დაგადგებათ, როდესაც გაიგებენ, რომ ხელიდან გაუშვით თავისი ფეხით მოსული „ნისლი“.

თითქოს მეზი ჩამოვარდაო, ყველა გაშეშდა. ახალგაზრდა ადიუტანტმა რევოლვერი იშიშვლა. თვით ფონ მიხენმაც კი იკადრა უკან დახევა, მაგრამ მალე მიხვდა, შიში უსაფუძვლო იყო და დამშვიდდა.

ვაჟმა მარყენკას გადახედა და მის თვალებში ახლა შიშზე უფრო მეტი რისხვა და საყვედური დაინახა. მიხვდა, რაც მოიმოქმედა, მაგრამ გვიანდა იყო. რამდენიმე ჯარისკაცმა მას მკლავები გაუკავა, ერთი კი ჯიბეებსა და უბეს უჩხრეკდა.

ამასობაში ფონ მიხენიც გონს მოვიდა, ოფიცერი იხმო.

— რა აღმოაჩნდა გაჩხრეკისას?

— საეჭვო არაფერი.

— საბუთები?

— ყველაფერი წესრიგზე აქვს. სლავი არ არის. ემიგრანტია.

— ხელი უშვით, — უბრძანა მან ჯარისკაცებს, მთლად დამშვიდებული გაუჩერდა ვაჟს წინ. — იცი, ბავშვო, შენი მოსატყუებელი კბილები მე კარგა ხანია მოვიცალე. ხუთ თვეზე მეტია „ნისლი“ დავეძებთ და ახლა იგი თავისი ფეხით მოვიდა აქ? ხი... ხი... ხი... — ჩაიხვიხვინა მან. — ფანტიკოსი! გინდა სხვის დიდებას მიეტმასნო? თანაც გზაკვალი აგვიბნო? შენ რომ ამას შეგნებულად აკეთებდე, ერთ ტყვიას არ დაგამადლიდი, მაგრამ ბრიყვი ხარ... თანაც... შეყვარებული. — ჩაიციხა ფონ მიხენმა, — გეპატიება ეს სისულელე. კიდევ შენი ბედი, სლავის სისხლი არა გაქვს, თორემ მართლაც არ დაგინდობდი... მაგრამ იცოდე, სხვა დროსა და სხვა ვითარებაში, თუ გინდა ახლავე, ამ ალაყაფის კარებს რომ გასცილები, სრულებითაც არ დამენანება ტყვია მოგაყოლო ზურგში. აბა, გასწი აქედან!

პოლკოვნიკმა ხელი აიქნია. რამდენიმე ჯარისკაცი მივარდა ოთხმოცდამეერთე პატიმარს, მაგრამ ამ დროს ქალიშვილის შეძახილმა წამით შეაყრთო ისინი. ქალიშვილი მიიჭრა ვაჟთან, მთელი ძალით ჩაეკრა მკერდში და აქვითინდა.

ჯარისკაცები მისცივდნენ მათ, მაგრამ ფონ მიხენმა შეაჩერა ისინი.

— ჩამოესხენით!.. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ბარბაროსები არა ვართ! ჩვენც გვაქვს გული და მტრის შებრალებაც ვიცით. მიეცით სამი წუთი დრო. დანარჩენები... ნულარ აყოვნებთ!

მალე დაცარიელდა ეზო. მხოლოდ ერთადერთი ჯარისკაცი ავტომატომარჩვებული იდგა მოშორებით და გაყინულ მხერგას არ აშორებდა ერთ არსებად გადაქცეულ წყვილს.

— გამაგრდე უნდა... შენი სიკვდილით სიყვარულის დამტკიცება მე არ მჭირდება. მე ისიც მეყოფა, გიყვარდეს ჩემი ხალხი და... მე ნუ დამივიწყებ..

— ის, რაც მოხდა, მხოლოდ თავდავიწყება იყო, მარყენკა... მაპატიე, მარყენკა...

— მჯერა!.. ახლა კი წადი, შური იძიე ჩემს მაგივრად... იცოდე, უკანასკნელ წუთამდე შენზე ვიფიქრებ...

— მარყენკა!.. მარყენკა!.. — მეტს ველარაფერს ვერ წარმოთქვამდნენ ვაჟის მითრთოლავი ბაგეები... — დაე, მე მოკვდე; შენ იცოცხლე... მივალ, ვთხოვ, მე მიმიღონ შენს მაგივრად...

— არა, ძვირფასო... — უფრო და უფრო ეკვროდა ქალიშვილი ვაჟს და ცრემლებს ძლიერ იკავებდა. — შენ უნდა დაბრუნდე სამშობლოში... და თუ სიკვდილი გიწერია, იქ უნდა მოკვდე, რომ შენი მშობლიური მიწის კალთა გადაგეფაროს... აქ სიკვდილი ჩემთვის უფრო ადვილია, ვიდრე შენთვის... მე ჩემი მიწა შემინახავს. ესეც დიდი ბედნიერებაა.

— მარყენკა!.. — განუწყვეტილ იმეორებდა ვაჟის ბაგეები.

— დრო ამოიწურა! — გაისმა ოფიცრის ცივი ხმა.

— მშვიდობით, „ნისლი“! — თქვა მარყენკამ და მოშორდა ვაჟს.

— მარყენკა!

— ახლა კი წადი...

ვაჟი კი იდგა გახევებული... ქალიშვილი მიუხვდა. ვაჟს არ შეეძლო პირველს ექცია ზურგი მისთვის, თვითონ მიბრუნდა და გაემართა იქითკენ, სადაც სხვები მიიმალნენ.

ვაჟი არ აშორებდა მზერას.

ერთი, ორი, სამი!.. თვითელი ნაბიჯი აშორებდა საყვარელ არსებას...

ქალი თანდათან უახლოვდება ფართოდ გაღებულ რკინის კარებს... რამდენიმე ნაბიჯი და...

— მარყენკა!..

ძახილთან ერთად ჭრილით მიიხურა რკინის კარები.

ვაჟმა ერთხელ კიდევ მოაგლო მზერა იქაურობას, თითქოს სურს, ყველაფერი კარგად დაიმახსოვროსო. რამდენიმე ოფიცერი და ჯარისკაცი ინტერესით შესცქეროდა მას. უნდოდა რაღაც ეთქვა ძალიან ხმამაღლა, ისეთი რამ, რითაც გულს მოიოხებდა, მაგრამ თავსაც არ ჩაიგდებდა საფრთხეში.

— სისხლი სისხლის წილ!.. — შესძახა მან, მაგრამ გერმანელებმა მხოლოდ გაიცინეს, რადგან ეს სიტყვები მათთვის გაუგებარ ენაზე იყო წარმოთქმული.

და შემდეგ, დიდხანს ასე ქუხდა მისი ხმა... ფეთქდებოდა ფაშისტთა შტაბები, საწყობები... წყალში ხვავდებოდა ხიდები, ყირავდებოდა მატარებლები, იულიტებოდა მტერი.

ერთი, ორი, სამი!.. უამრავი და უთვალავი.

მიდიოდა დრო და ახლოვდებოდა გამარჯვება. მაგრამ ადვილი როდი იყო სასიხარულო წუთების მოპოვება. ამ სიხარულს ხალხი მწუხარებით იმკიდა. განვილიშა დრომ ბევრი ნაღველი და ჭირი წაიღო... ბევრი ადამიანი მიიბარა მიწამ... ბევრზე ბევრი... განა ერთი, ორი, სამი...

* * *

მოულოდნელად მთელი ვაგონი უჩვენებდა... უჩვეულო ფაცაფუცი შეჩვენებდა... ყველა აწრიალდა... მგზავრები აიშალნენ და მზადებას შეუდგნენ.

— პრაღა! — ვაგონის თავში დაიძახა გამყოლმა.

მილიონ ელნათურთა ციმციმით შემოგვეგება ოქროს პრაღა. ალერსიანი, გრილი ღამე იდგა. ჩვენი მანქანა მიჭროდა სტუმართმოყვარე ქალაქის ქუჩებში.

ირყიმ სახლში მიგვიპატიყა. სიამოვნებით მივიღეთ მიწვევა.

მთელი საღამო მის პატარა ოთახში გავატარეთ. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ქართველები ვიყავით და, ბოლოს, მაინც მატარებელში მონათხრობ ამბავს დავუბრუნდით.

ირყიმ გვიამბო, როგორ დაიღუპა მისი ძმა, როგორ დახვრიტეს მამამისი. შემდეგ საწერი მაგიდის უკრა გამოაღო, ქაღალდების გროვა ამოალაგა და სათითოოდ გვიჩვენა.

— აი, მამაჩემის სურათი... ესეც — ომისშემდგომი გაზეთი, სადაც ჩემი ძმის გმირობაა აღწერილი... ესეც მარყენკა. მისი უკანასკნელი ფოტოსურათია, სიკვდილის წინ მამამისმა სამახსოვროდ დამიტოვა...

ქალიშვილის სახეს დავაცქერდით. ის სულ ახლგაზრდა იყო, თითქმის ბავშვი, პატარა გოგონა... რამდენი ნათელი ედგა თვალებში...

— ესეც ჩემი პარტიზანული ნიშანი... — განაგრძობდა ირყი... — აი, ეს კი გესტაპოს განცხადებაა, კედელზე გასაკრავად დაბეჭდილი... ვინც დაეხმარებოდა „ნისლის“ დაჭერაში, დიდ ჯილდოს პირდებოდნენ. ჰო, მართლა, მე თქვენთვის არ მიაბნია, როგორ შეიპყრეს „ნისლი“. ერთ-ერთი ოპერაციის დროს იგი მაინც ჩაიგდეს ხელში. წარმოიდგინეთ ფონ მიხენის გაოცება, როდესაც მასში ის ახალგაზრდა შეიცნო, თვითონ რომ გაათავისუფლა. აწამეს და მერე ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. მაგრამ „ნისლი“ რის „ნისლი“ იყო, თავი რომ ვერ დაედ-

წია გესტაოს კლანჭებიდან! მეგობრების დახმარებით მაინც დაუძვრა ხელიდან ფაშისტებს. ფონ მიხენი კინალამ გაგიჟებულა. საკუთარი ხელით დაუხვრეტია ყველა, ვისაც ბრალი ედებოდა „ნისლის“ გაპარვაში. გესტაპომ კვლავ გამოაკრა განცხადებები, ახლა უკვე ფოტოსურათებით. ზედ ეწერა: „იცნობთ ამ კაცს? მისი დამპყერი მიიღებს იმდენს, რამდენსაც მოითხოვს!“ — მაგრამ ამაოდ. ერთი განცხადება მეც შემოვიწახე განვლილი წლების მოსაგონრად. — ირემ გაშალა ოთხად დაკეცილი ქაღალდი. ყველანი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ „ნისლის“ სურათს.

— იგი მაინც ვერ დაიჭირეს. — განაგრძობდა მასპინძელი. — საბჭოთა არმიას შეუერთდა. ამბობენ, ომის დამთავრებას ვერ მოესწოო. უკანასკნელ

ბრძოლებს შეეწირა... ალბათ, პალატა-თან დაეცა გმირულად... ასე ამბობენ. თორემ არ გამოჩენილა ადამიანი, რომლის სიკვდილი საკუთარი თვალით ენახოს. ისე გაქრა უგზოუკვლოდ, რომ ჩემმა ხალხმა მისი სახელის შემონახვაც ვერ შეძლო.

ირემ კვლავ ლაპარაკობდა, მაგრამ მე უკვე მისი არაფერი მესმოდა... რეტ-დასხმული, გაოგნებული ვიდექი... სუნთქვა მეკვროდა, ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი.... პორტრეტს თვალს ვერ ვაცილებდი... გული მკერდის გამონგრევას ლამობდა.

— აი, თურმე, სად ყოფილხარ, ბიჭო!.. — აღმოჩნდა და ყველამ გაოცებით შემომხედა. — რა ვაჟკაცი ყოფილხარ, უგზოუკვლოდ დაკარგული ჯარისკაცი, ჩემო დათა!.. ჩემო ძმაო!..



ზუკაბ გორგინიძე

შიწვევის ანგელოზი

ლამაზი, როგორც მეზობლის გოგო...
თიანეთელი თებროლეს გოგო...
ფეხშიშველი და თხელკაბა გოგო
როგორ დაენდე ამხელა ღუმელს,
ან ამ ღუმელში მოთავსდი როგორ.

უფაქიზესი შუბლით და თვალით,
ულამაზესი ხატება შენი,
დიდი ღუმელის ხმაური არის,
მერე ხმაური სულია შენი...
იწვი და გცივა...
იწვი და გცივა...
ხორცის მკრეხელი ბუნებას ინდობ,
დანატრებული ქარსა და წვიმას,
დანატრებული ბალახს და მინდორს.
ვინ იცის, ეგებ მარადის ჩივის,
ბურუსიანი ზამბახის ფერით,
ალმოდებული სანთელი წყვილი —
გამოშვერილი მკლავები შენი:

„ვარ დანატრული გვიან თუ ადრე,
ალუბლისა და ატმების რტოებს,
რატომ ამინთებ შანდალზე სანთელს,
თუ სიბნელეში მარტოკას მტოვებ.
ვარ დანატრული ადრე თუ გვიან,
იმნაირ თვალებს, გულმა რომ იცის,
მე შენდობილი წამება მქვია
და წაწყმედილი დიდება მიმძიმს.
რისთვის შემთხვევი ცახცახით ფერხთა,
უდაბნოსა და ღამის ბინაში,
თუ არ დარჩები ბოლომდე ჩემთან,

როგორც მე დავრჩი ღმერთის წინაშე.
მაგრამ ბოლომდე ვინ დარჩა სულთან,
შენ გეკითხები, დაო მაცხოვარ!..
მე რაღაც მსურდა...
ო, რაღაც მსურდა,
მაგრამ ზარებს და სანთლებს ვახსოვარ“..

* * *

გასულა ბევრი...
და ბევრი გავა...
თოვლით, თრთოვლით და ვარდის გუნდებით.
დაგიბრუნდები ასაკით განა?..
არა, ფიქრებით დაგიბრუნდებო.
და მოვა რაღაც ლურჯი და თეთრი,
ხვართქლის და სუროს საქანელებით,
და მოვა რაღაც ლურჯი და თეთრი —
საოცრები და სანატრელები.
ააცახცახებს ბალახებს, ვერხვებს,
მერე მზესავით წავა ჭალაში,
და სიცოცხლეში მე კიდევ ერთხელ
შემოვიხედავ შენს ფანჯარაში.
და რომ უყვარდა, კეთილო, ადრე,
ფორიაქ სულს და არა გონებას,
თვალს გადავავლებ იმ ნაცნობ ვარდებს,
როგორც თვით ვარდი ქალის ცხოვრებას.
სიყვარული ხომ ბერდება კართან
და აწყობს ვარდებს ცივ კუბოებში;
ვარდებს შემოსულს, და როგორ კარგად
შენი ცხოვრების სიმეუდროეში.
ეჰ, სისველეში აღმასის გუგა
გადადის, როგორც წვა და ზმანება,
მე დავბრუნდები ღუმელით უკან,
ისე, რომ მოსვლა დამენანება.



ნოქა მოქაბაძე

მ ა მ ა

მას შემდეგ წლები გავიდა.

ლია ახლა შვიდი წლისაა. პატარა ცქრილა თვალები, შავი კულულები და ხშირი წარბები აქვს. ჩითის გამოხუნებული კაბა აცვია. უყვარს აივანზე ჩამოჯდომა და გზისკენ ცქერა. დედა დილიდან საღამომდე ჩაის პლანტაციასია, ბაბუა გვიან ბრუნდება ყანიდან. მამა კი...

მამა მას ბუნდოვნად ახსოვს, ახსოვს, რომ თითქმის ყოველ დილით მამას ხელოში აჰყავდა, აივანზე გავიდოდნენ და ერთხანს იქ ისხდნენ. ამ დროს მზე ნელა ამოდებდა, ნამიანი მოლი კამკამს იწყებდა და ეზოს ნაკვალევი ეტყობოდა. ლიამ იცოდა, რომ ის იყო მამის ნატერფალი. ძილის წინ მამა ზღაპარს უყვებოდა და ლიას მისი დაბალი, ძლიერი ხმა ნანაზე ტკბილი ეჩვენებოდა.

ქვემოთ ეზოს მდინარე ჩაუდიოდა. მამა და შვილი საღამომით იქ ჩადიდნენ. მდინარე განიერი იყო და ჩქარა მიედინებოდა. ლიას ეშინოდა წყალში ფეხის ჩადგმა. მაშინ ტიტლიკანა გოგონას მამა ხელში აიყვანდა და მდინარეში ერთად შეცურდებოდნენ. ლიას აღარ ეშინოდა, რადგან იგი მამის ძლიერ მკლავებში იწვა. მერე ისინი ნელი ნაბიჯით ბილიკს შეჰყვებოდნენ და კარგა დაღამებულზე აღიდოდნენ შინ. თამარი მათ სუფრას გაუწყობდა და ბედნიერი სახით შეჰყურებდა ქმარ-შვილს.

მაშინ მათ ეზოს ბოლოში პატარა სახლი ედგათ. ერთ დღეს ლიას მამამ კაცები მოიყვანა. ძველი სახლის წინ მიწა აზომეს და წავიდნენ. მეორე დღეს ურმებით ფიცრები და დიდი ხეები მოზიდეს. მერე მიწა ისევ გაზომეს და სვეტები დაასვეს. ლია მთელ დღეებს დურგლებთან ატარებდა, მათთვის ხანდახან წყალიც მიჰქონდა. ოდა-სახლი რომ გადასურეს, მამამ მეზობლები დაპატიჟა და ჭერი დალოცეს. სულ ცოტა ხანში წინა ოთახი გაიწყო.

ლიას საწოლი ფანჯარასთან დადგეს. იმ ღამეს ადრე დაწვნენ, მაგრამ დიდხანს არ დაუძინათ. ლიას გვერდით მამა ეწვა და იგი ჭერს მისჩერებოდა. ჭერი, კედლები ახალი იყო და თეთრად ქათქათებდნენ.

— მამა, ჩვენს სახლს მეტი ოთახი არ ექნება? — კითხა ლიამ.

— კი, მამა, გვერდით კიდევ გავაწყობთ ოთახს. იმ მხარეს ორი ოთახი ექნება. მერე ქვის კიბესაც გავაყეთებთ.

— ქვის კიბეს?

— ჰო, აი ისეთს, საბჭოს შენობას რომ აქვს, მოაგირიან კიბეს.

ლიას ძილი არ ეკარებოდა და ფიქრობდა დიდ ოთახებსა და ქვის კიბეზე.

თილით, თვალი რომ გაახილა, გარეთ საშინელი თავსხმა იყო. წვიმის მსხვილი წვეთები თანჯრებს ურახუნებდა. ოთახში არავინ ჩანდა და ლიას შიში შიკარა. ათგომა დააპირა. მაგრამ ამ ოროს აიდანზე თიხის ხმა მოესმა და კარი მამამ შემოაღო. იგი სულ სველი იყო და თირთაქარგული. მამას ფეხდაფეხი დაეშინებოდა. ისიც სველი იყო და თაღლიშში შიში იტყა. საწოლის თაღთან გაჩერდნენ. თამარი ქმარს მხარზე ჩამოეყარნო და ხმამაღლა თქვა:

— სანდრო, რა მოყვება ამ ომს!

სანდრო პირაქუშად გამოიყურებოდა, მიუოლოეს თავისი დიდრონი თვალები ნაღვლიანად შიავლო და უთხრა:

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

მერე ორივე ერთდროულად შვილს მიაჩერდა. სანდრომ გოგონა ხელში აიკაგანა, ჩვეულებრივ ლოყები დაუკოცნა. ლიას მოეჩივნა, რომ მამას უჩვეულოდ რაღაც რაჟიები ჰქონდა.

მეზუთე დღეს მთელი სახლი ფეხზე იდგა. დედა ცრემლს ვერ იმაგრებდა. მამა ამშვიდებდა, სთხოვდა, ბავშვისათვის ცრემლი არ დაენახებინა. შუადღისას მეზობლები გადმოვიდნენ. ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. მერე დედამ სუფრა გაშალა. კარგა ხანს უსხდნენ მაგიდას. ჭიქა ლიასაც მიაწოდეს და უთხრეს, მამა დალოცეო. მან არ იცოდა რა ეთქვა და ჭიქა კინაღამ ხელიდან გაუვარდა. მამამ იგი მუხლებზე დაისვა და ლოყები დაუკოცნა. მის თვალებში ლიამ მაშინ პირველად დაინახა ცრემლი, თუმცა მამა ილიმებოდა და სრულებით არ გავდა მტირალს.

მერე მამამ ლია მხარზე შეისვა და შარავნაზე გავიდნენ. უკან მეზობლები მიყვებოდნენ. თედო ბაბუა შეუწყვეტილად ეწეოდა თუთუნს. მამის მხარზე შე-

მოსკუპებული ლია ყველას ხედავდა, გზის მოსახლეში მამამ იგი ძირს დასწევდა და კარგა ხანს კოცნიდა. ლიამ მამას მეორედ დაუხანა თვალზე ცრემლი, მაგრამ ახლა მამა ძალზე მოწყენილი და აღელვებული ჩანდა. ბოლოს, ლია მეზობლის ქალმა წამოიყვანა. დედა მამას გაჰყვა. მამა ითიმებოდა და დიდხანს უქნევდა ლიას ხეოს.

დედა გვიან დაბრუნდა შინ. ხმას არ იღებდა. დროთაღორე წინსაფრის კილით თვალებს შეიმშრალებდა ხოლმე, ლიას ძილი არ ეკარებოდა. იგი გრძნობდა დეის გულისტკივილს, რომ მამა სადღაც წავიდა, შორს და დიდი ხნით; მხოლოდ ერთხელ კითხა დედას, როდის დაბრუნდებაო მამა. მალეო, მოკლედ მიუგო მან. მაგრამ ლია მიხვდა, რომ დედამ ეს მის დასამშვიდებლად თქვა.

მას შემდეგ დედა გულჩათხრობილი გახდა. თედო ბაბუა უჯავრდებოდა, როცა მას ცრემლს დაუნახავდა. დედა მაშინვე პირს იბრუნებდა, გარეთ გავიდოდა, მაგრამ ზოგჯერ თედო ბაბუაც ვერ იმორჩილებდა თავს და მძიმედ ამოიოხრებდა ხოლმე.

მამა ახალწასული იყო, მაგრამ ფოსტალიონის დანახვაზე დედას თვალები უნათდებოდა, ჭიშკართან მიიჭრებოდა და გულაფართქალებული ელოდა, შეჩერდებოდა თუ არა თედორე მათ ეზოსთან.

თედორე აღმართ-დაღმართმა წახრილ სიარულს მიაჩვია. ჭიშკართან შეჩერდებოდა, ეზოში ცალი თვალთა გადაიხედვდა და ნელი, გაბმული ხმით დაიძახებდა. თედორე ერთ კვირას არ ვაჰკარებია მათ ეზოს. დედას სულ უფრო და უფრო ეკარგებოდა მოთმინება. ლია გრძნობდა, რომ დედა მას ახლა უფრო ხშირად ეფერებოდა, თუმცა ნაღვლიანი სახით, ზოგჯერ ცრემლმორეულიც.

იმ დილით დედა ძროხას წველიდა. ჭიშკარს თედორე მოადგა და დედა მაშინვე გაეგება. გზადაგზა სველ ხელებს კაბის კალთაზე ისვამდა. თედორემ მას სამკუთხად გაკეცილი წერილი გადასცა.

დედამ წერილი იქვე გადაიკითხა, მერე ფოსტალიონს შეევედრა, ეზოში ჩამობრძანდითო. აივანზე თედო ბაბუაც გამოვიდა. თედორეს არაყი და ხილი გამოუტანეს და არ მოეშვნენ, სანამ ორჯერ არ დაილოცა. დედამ ლიას თმები და თვალები დაუჟოცნა და სამად ნაქეცი ქაღალდი უჩვენა.

— ეს, შვილო, მამაშენის წერილია, აქ წერია, ჩემი ლია დამიკოცნეო, — და დედამ კიდევ ჩაკოცნა გოგონა.

— დედა, მამა როდის ჩამოვა?

— მამა?! მალე ჩამოვა, შვილო!

შემდეგ მამის წერილს თითქმის ყოველ კვირაში იღებდნენ. დედა მათ შიფონერის უჯრაში ინახავდა და საღამოობით ხელმეორედ კითხულობდა. ერთ დღეს მამისაგან სურათი მოვიდა. დიდხანს, დიდხანს იკრავდა გულში მას დედა. მერე იგი მეზობლებს აჩვენა. ლიამ მამა ძლივს იცნო. იგი ასეთი არასოდეს ენახა. მამას ვარსკვლავიანი ფოლაქებით ყელამდე შეკრული ზალათი ეცვა, თავზე ნავისებური ქუდი ეხურა. სურათში შავი ჩანდა. დედამ სურათი ჩარჩოში ჩადო და მაგიდაზე დადგა. ძილის წინ და ადგომისას ლია სულ მამის სურათს უყურებდა. თუმცა მამა სურათიდან ღიმილით უცქერდა, მაგრამ ერთხელაც არ მისულა ლიასთან და არ უკოცნია.

ერთ საღამოს დედა სამუშაოდან მოვიდა და გობი გადმოდგა ფქვილის მოსაზეღად. თედო ბაბუა ცეცხლთან თუთუნს აშრობდა. ლია კართან იჯდა. ბინდდებოდა. უეცრად კივილი გაისმა და ყველანი შეკრთნენ. დედა ფქვილიანი ხელებით გარეთ გავიდა, მალე შემობრუნდა და თედოს უთხრა, ჩვენს მაროს რაღაც კარგი არ უნდა სჭირდესო. ფქვილზე საცერი დაამხო და სირბილით წავიდა. იმ ღამით შინ აღარ მოსულა. ლიასთან მაროს გოგო მოიყვანეს. იგი მასზე უფროსი იყო. როცა ერთად დაწვნენ, გოგონა ატირდა და ლიას უთხრა, მე მამა აღარ მყავს, ომში დამელუპაო. ლიას თვალებში შიში ჩაუდგა და უნებლიეთ

მამის სურათს შეხედა. მამა ისევ გოლიმებული უცქერდა და ლიაც დამშვიდდებოდა.

— მამაშენი აღარ მოვა? — კითხა მან გოგონას.

— არა, არასოდეს აღარ მოვა!

საბანში მოკუნტული ბავშვები ხმას არ იღებდნენ, ზოლო გარედან დიდხანს ესმოდათ კივილი და მოთქმა.

დედა დილით დაბრუნდა. უძილობისაგან თვალები დასიებოდა. იმ დღიდან მას ფოსტალიონის დანახვა ტანში ზარავდა, მაგრამ მამის წერილებიც აღარ მოდიოდა. დედა ყველას და ყველაფერს იჭვნეულად შესცქეროდა. სამ კაცს ერთად რომ შენიშნავდა, ფიქრობდა, ალბათ, რაღაც იციან და მე მიმაღავენო. თედორე ერიდებოდა მათ ჭიშკართან ავლას; თუ ზემოთკენ ედო გზა, მეზობლის ეზოს გადაჭრიდა.

მოლოდინში დრო მძიმედ მიდიოდა. ლია ახლა დედას ჩაიში მიჰყავდა. ქალები შესასვენებლად ჩრდილში სხდებოდნენ და ახალ ამბებს ყვებოდნენ. ლიამ იქ გაიგო, რომ ისინიც დედასავით ელოდნენ ომში წასულ კაცებს. ზოგს შავები ეცვა.

ერთ დღეს, წინა ღამით ქარის ჩამოყრილ მსხალს რომ აგროვებდა, ლიამ გზაზე ჯგუფად მომავალი მეზობლები შენიშნა. ქალები ვიშვიშებდნენ და მაღულად ცრემლს იწმენდნენ. ლიას რატომღაც შეეშინდა და სახლში შესვლა დააბირა, მაგრამ ხალხში დედა შეიცნო. იგი თან იცინოდა და თან ცრემლს ღვრიდა. ლია ადგილიდან აღარ დაძრულა, სანამ ყველანი მათ ეზოს არ მოადგნენ. ჭიშკარი რომ გაიღო, დედამ დაუძახა. ლია ადგილზე გაქავებულიყო და გაოცებული შესცქეროდა, როგორ ეხვეოდა დედა ვიღაც უცხო კაცს. კაცი ყავარჩნებით მოდიოდა და ბანდით შეხვეულ ცალ ფეხს მოათრევდა. შუბლიც შეხვეული ჰქონდა და მარცხენა ლოყაზე წითელი ზოლი ემჩნეოდა. უცნობი იღიმებოდა.

ყველანი ლიასკენ გამოემართნენ და

გოგონა უცებ იმ ყავარჯნიანი კაცის პირისპირ აღმოჩნდა.

— მოდი, შვილო, მამაშენი ველარ იცანი? — თქვა დედამ.

ლიამ დედას გადახედა. მას ნამტირალევი თვალები ჰქონდა. დედამ ახლა ხელით ანიშნა, მამას მიუახლოვდით. სანდრომ ყავარჯნები ილლიის ქვეშ გაიმაგრა და წინგადახრილმა ხელები შვილისკენ გაიშვირა. იგი იღიმებოდა. ლიას თვალში ეცა ლოყაზე გავლებული წითელი ზოლი და შეშინდა. იგი გაშეშებული იდგა და თვალს არ აშორებდა მამის შეხვეულ ფეხს და სახეზე გავლებულ

ბულ წითელ ზოლს. მამა ახლა მწარედ იღიმებოდა.

ლიამ ვერ გაუძლო ამ ღიმილს, მარი მოარიდა. მერე, თავი რომ ასწია, თვალები ცრემლით ჰქონდა სველი; დედას მიუახლოვდა და ტანზე მიეკრა.

— დედა!

— რა იყო, შვილო?

— მამა კიდევ ხომ არ წავა, დედა!

თამარს არაფერი უთქვამს, შვილს თავზე ხელი გადაუსვა და აქვითინდა.

სანდროს ნაჭრილობევეზე კურცხალი ჩამოედინა.



ბახჩოე ისკო

ბ ა თ უ მ ს

ბათუმო, ჩემო ტკბილო ბათუმო,
ხარ სილამაზის ნავსაყუდარი!
გულის ძახილი ვით დავადუმო, —
შენზე სიმღერას შემთხოვს მუდართ.
ცალ მხარეს გაკრავს მთები, ველები,
ახურავთ ჩაის ნაბდები მწვანე
და ბაღნარები საკოცნელები
ზღაპრული ეშხით თვალებსა მწვავენ.
შავი ზღვა გაკრავს მეორე მხარეს

და ტალღის ბაგით გიოცნის ხელებს,
მზე სხივთა პეშვით მლაშე წყალს
დალევს
და თავზე გაწნავს ცისარტყლის
ფერებს.
დიდი სიცოცხლის გაკმევს საკმევებს
პირთამდე ღია ზეცის სარკმელი,
ნავსაყუდარში დგანან გემები
და ირწევინან როგორც აკვნები.

ქართულ მასწავლებელ ქალს

მზემ მიმოფანტა ოქრო და ლალი,
ჰაერს ყვავილთა სურნელი ავსებს...
საკლასო ოთახს შევასწარ თვალი, —
თქვენ ასწავლიდით ქურთების ბავშვებს.
შეგბედეთ, შუქი ჩამიდგა გულში,
გმადლობთ! — კინალამ ვიყვირე იქვე,
თქვენ შუქი მიგაქვთ მათთვის ვინც გუშინ
უწიგნურობის მსხვერპლები იყვნენ.
და მჯერა, აღზრდით მხნეებს, გულადებს
და თქვენი შრომის ნაყოფსაც ნახავთ, —
ცოდნის, სინათლის გზას გაუნათებთ
ჩვენი დღეების იფოს და ზაპარს.
ხეალ იქნებ კოსმოსს შეუდგან მხარი,
დღეს დე, ანი და ბანი მოხაზონ,
ჩვენს ბავშვებს ეს თქვენ გაუღეთ კარი,
მასწავლებელო, დოო, მოყვასო.

ქურთულიდან თარგმნა თ. ჯანაშვილიშვილმა.



პარტიული გეოგრაფია

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემაჯახ მთავარი ეკონომიური ამოცანა

ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი, რიგით მესამე პროგრამა ფასდაუდებელი შენატანია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანმუშაო. იგი მკაფიოდ აყალიბებს კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანებსა და მათი გადაჭრის გზებს.

ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ შრომაში „კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას“ (1917 წ.) წამოაყენა ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე ქვეყნებს ეკონომიურად: „ომი უღმობელია, იგი საკითხს შეუბრალებელი სიმკვეთრით აყენებს: ან დაიღუპე, ან დაეწიე მოწინავე ქვეყნებს და გაუსწარი მათ აგრეთვე ეკონომიურად“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 444).

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, პარტიამ შეიმუშავა კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა, რომელიც შემოქმედებითად განზოგადებს სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკას, ითვალისწინებს მთელი მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას და, გამოხატავს რა პარტიის კოლექტიურ აზრს, განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებსა და ძირითად ეტაპებს.

მეცნიერული გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ ოც წელიწადში სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება, რისთვისაც საჭიროა ამოცანათა სამი წინაპირობის განხორციელება:

პირველი, ეკონომიური დარგში შეიქმნას კო-

მუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამ საფუძველზე გადავაქარბოთ ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ დონეს, დავიკავოთ პირველი ადგილი ერთ სულ მოსახლეზე პროდუქტების წარმოების მხრივ, უზრუნველყოთ ხალხის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე მსოფლიოში და შევქმნათ პირობები მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვის მისაღწევად;

მეორე, სოციალური ურთიერთობის დარგში მოხდეს კლასების შორის განსხვავებათა ჭარბი კიდევ არსებული ნაშთების ლიკვიდაცია, კლასების შეერთება კომუნისმის მშრომელთა უკლასო საზოგადოებად, ძირითადად ლიკვიდირებულ იქნას არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გაიზარდოს ერების ეკონომიური და იდეური ერთობა, განვითარდეს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ნიშნები, ადამიანისა, რომელშიც პარმონიულად იქნება შეხამებული მაღალი დეგრადაცია, ფართო განათლება, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა;

მესამე, პოლიტიკურ დარგში ეს ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმიანობის მართვაში, სოციალისტური დემოკრატიის უფართოესი განვითარების შედეგად საზოგადოება მოემზადება კომუნისტური თვითმმართველობის პრინციპების სრული განხორციელებისათვის („სკკპ XXII ყრილობის მასალები“, გვ. 173-174).

ზემოჩამოთვლილ წინაპირობათა შორის კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება გადამწყვეტი როლია ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ ამოცანათა ჯაჭვში.

რა არის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?

მატერიალური დოვლათის წარმოება, რომელიც საზოგადოების ცხოვრების საფუძველია, გულისხმობს ადამიანის შრომას, შრომის საშუალებებს და შრომის საგანს. შრომის საშუალებების და შრომის საგნების ერთობლიობა შეადგენენ წარმოების საშუალებებს, ხოლო წარმოების საშუალებები, რომელთა დახმარებით იქმნება მატერიალური დოვლათი, და ადამიანები, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ ეს საშუალებანი და ახორციელებენ მატერიალური დოვლათის წარმოებას, შეადგენენ საზოგადოების საწარმოო ძალებს. საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საწარმოო ძალების უდიდესი ნაწილი, უმეტესად მისი მატერიალური ელემენტებია.

კომუნიზმი საზოგადოებრივი განვითარების უმაღლესი და ყველაზე პროგრესული საფეხურია. ცხადია, ამის შესაბამისად კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად იგულისხმება ყველაზე უფრო პროგრესული შრომის საშუალებების, შრომის საგნების ერთობლიობა და ადამიანის განვითარების ისეთი კულტურულ-ტექნიკური დონე, რაც უზრუნველყოფს მოთხოვნილებების მიხედვით განაწილებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, ერთი მხრივ, გახსნილია კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერულად დასაბუთებულია მისი შექმნის მიმართულებანი. პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ ორი ათწლეულის მანძილზე, ე. ი. 1980 წლისათვის შექმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

რას ნიშნავს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა? უპირველეს ყოვლისა, იგი ნიშნავს ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას და ამ საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში;

შემდეგ, საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას, მათს სულ უფრო სრულავ, ტომატიზაციას, ქიმიის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში; წარმოების ახალი, ეკონომიურად ეფექტური დარგების, ახალ სახეობათა ენერგიისა და მასალების ყოველმხრივ განვითარებას; ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების ყოველმხრივ და რაციონალურ გამოყენებას; წარმოებასთან მეცნიერების ორგანულად შეერთებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფ ტემპებს;

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

შექმნა ნიშნავს აგრეთვე მშრომელთა მაღალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს; მნიშვნელოვან უპირატესობის მოპოვებას ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით შრომის ნაყოფიერების მხრივ, რაც კომუნისტური წყობილების გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ყოველივე ამის შედეგად ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება უმაღალით დონეს მიაღწევს. მთელი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ოცწლეულის დასასრულისათვის გაიზრდება დაახლოებით ექვსჯერ. ეს იმას ნიშნავს, რომ 1980 წლისათვის 3,5-ჯერ გადავაჭარბებთ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ახლანდელ მოცულობას. ეკონომიურად დასაბუთებულია, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ექვსჯერ რომ გავაძლიდოთ, საჭიროა შრომის ნაყოფიერება გავზარდოთ 4-4,5-ჯერ. ამით ერთიორად გადავაჭარბებთ ამერიკის შეერთებული შტატების შრომის ნაყოფიერების თანამედროვე დონეს.

მძლავრ მრეწველობასთან ერთად კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა. ამ მიზნით სკკპ ახალი პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარების ისეთ დონეს, რაც საშუალებას მოგვცემს გადაწყვიტოთ ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ჯერ ერთი, მივაღწიოთ კვების მაღალ-ხარისხიანი პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულის სიუხვეს მრეწველობისათვის და, შემდეგ, უზრუნველვყოთ სოფლის თანდათანობითი გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, ძირითადად აღმოვეფხვრათ განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის. ამ ამოცანების შესაბამისად გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობის გაძლიერება ათ წელიწადში ორნახევარჯერ, ხოლო ოც წელიწადში — სამნახევარჯერ. ამ დარგში შრომის ნაყოფიერება გაიზრდება ათ წელიწადში ორნახევარჯერ, ოც წელიწადში კი ხუთ-ექვსჯერ. უკვე პირველ ათწლეულში საბჭოთა კავშირი გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების მხრივ. ეს ამოცანა საცხებით რეალურია. მათი განხორციელების საუკეთესო გზას წარმოადგენს საკოლმეურნეო წყობილება. „კოლმეურნეობა, — ნათქვამია პარტიის პროგრამაში, — კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის“.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებს რომ განსაზღვრავს, პარტია ხელმძღვანელობს ე. ი. ლენინის ხატოვანი ფორმულით: „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“

ც. ი. ლენინი, თბ., ტ. 31, გვ. 634): ეს ნიშნავს, რომ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მთლიანად გადაყვანილი იქნება ელექტროფიკაციასთან დაკავშირებულ ახალ, უმაღლეს ტექნიკურ ბაზაზე. 1980 წლისათვის ელექტროენერგიის წლიური წარმოება მიაღწევს 2.700-3.000 მილიარდ კილოვატსათს, ე. ი. 1960 წელთან შედარებით ცხრა-ათჯერ გაიზრდება და 3,5-ჯერ გადააჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე დონეს.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა საქართველოს და მის შემადგენელ ნაწილს — აჭარას. საქართველოს სსრ სამრეწველო პროდუქციის ოდენობა პირველი ათწლეულის ბოლოს გაიზრდა 2,8-ჯერ. აღსანიშნავია, რომ მრეწველობის განვითარება მნიშვნელოვნად უსწრებს შეიღწლიანი გეგმის დავალებებს. ელექტროენერგიის გამოუმუშავება მეორე ათწლეულის დასასრულისათვის თითქმის ათჯერ გაიზრდება. დაწყებული 1960 წლიდან, საქართველოს მეჩაიეები ქვეყანას აძლევენ 150 ათას ტონაზე მეტ ჩაის ფოთილს წელიწადში. ნაისირი ვალდებული 1965 წელს ისინი მოკრეფენ ორასი ათას ტონა ხარისხიდან ჩაის ფოთილს, ნაცვლად გემით გათვალისწინებული 170 ათასი ტონისა.

აჭარის ასრ სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა მეორე ათწლეულის ბოლოსათვის ოთხჯერ გაიზრდება. მრეწველობაში კაპიტალდაზღვრება მოხმარდება 262,3 მილიონი მანეთი. აჭარა 1970 წლის დასასრულისათვის სამშობლოს მისცემს 31 ათას 800 ტონა ჩაის ხარისხიდან ფოთილს, 1980 წლისათვის კი 34 ათას 500 ტონას.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის კვალობაზე დიდად გაუმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ნაციონალური შემოსავალი 1961-1980 წლებში გადიდდება დაახლოებით ხუთჯერ, ხოლო რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე — 3,5-ჯერ და უფრო მეტად. მოსახლეობის ყველა ფენისათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური სიხვე.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ შეიღწეული უმნიშვნელოვანესი ამოცანები: უზრუნველყოფა

ჯერ ერთი, შევქმნათ უმაღალით სიძლიერის საწარმოო ძალები და მსოფლიოში პირველი ადგილი დავიკავოთ ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ;

მეორე, უზრუნველყოთ მსოფლიოში შრომის უდიდესი ნაყოფიერება, რაც საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის; შევიარალოთ საბჭოთა ადამიანი ყველაზე სრულყოფილი ტექნიკით, გადავაციოთ შრომა სიხარულის, შთაბრძნის და შემოქმედების წყაროდ;

მესამე, განვაგვიტაროთ მატერიალური დოვლათის წარმოება საბჭოთა ადამიანის ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უზრუნველყოთ მთელი მოსახლეობის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე, შევქმნათ ყველა პირობა შემდეგში მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე გადასვლისათვის;

მეოთხე, თანდათანობით გარდავქმნათ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა კომუნისტურ ურთიერთობად, შევქმნათ უკლასო საზოგადოება, მოვსპოთ არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ხოლო შემდეგ — გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

ბოლოს, მხოლოდ კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების გზით შეიძლება მოვიგოთ ეკონომიურ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან, მუდამ ვიჭონიოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა მტკიცე დონეზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავანადგუროთ ყოველი აგრესორი, რომელიც გაბედავს ხელი აღმართოს სსრ კავშირზე, მიუღ სოციალისტურ სამყაროზე („სკკპ XXII ყრილობის მასალები“, გვ. 174-175).

საბჭოთა ადამიანები კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებისათვის გმირული შრომით აახლოებენ მშვიდობის, შრომის, თავისუფლების, ყველა ხალხის თანაწირობისა და ბედნიერების გამარჯვებას ღელამიწიანზე.



ჩაუიად შამედაშვილი

გიორგი ლეონიძის პოეზიის ენა

გიორგი ლეონიძე თანამედროვე ქართული პოეტური სიტყვის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მისი სახელი დიდი ხანია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს. გ. ლეონიძის ბევრი ლექსი და პოემა თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, უზბეკურ, აზერბაიჯანულ, თათარულ, ტაჯიკურ, ებრაულ, უნგრულ, რუმინულ, პოლონურ, ჩინურ, ინგლისურ, ირანულ, გერმანულ და სხვა ენებზე. ესოდენ დიდი პოპულარობა პოეტმა იმით მოიპოვა, რომ უაღრესად ორიგინალური ხმის შემოქმედია. პოეტური წარმოსახვის უნარი, ლირიკული ინტონაცია, საგნებისა და მოვლენების ასახვისა და მათი განცდა-გააზრების მანერა მას მკვეთრად განასხვავებს სხვა საბჭოთა პოეტებისაგან.

გ. ლეონიძის პოეტური ორიგინალობის ერთ-ერთი მთავარი პირობა მუდამ იყო და არის პოეტური ლექსიკა. ეროვნულ სულის, ხასიათის, ფერებისა და ხმების თავისებურებას იგი თვით სიტყვის ბუნებაში იშვიათი ალლოთი ჰკერტს. მიგნებული სიტყვის სიახლე, სინედლე არის მისი ლექსიკის ემოციურობის საფუძველი. ელვარე ხალხურ თქმებს, ოქრო-ვერცხლივით დაუქანავ სიტყვებს, რომლებმაც გაუძღეს საუკუნეებს, იგი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის ფიზიკური თვალთ სინჯავს. ასე ბედნიერად ნაპოვნი სიტყვა ზღაპრული ბეჭდის თვალისა ადგილებს მის პოეტურ ფანტაზიაში ხალხის ყოფის, ვეჟიკობის, შრომის, ბრძოლისა თუ ღვინის დამახასიათებელ სურათებს.

გ. ლეონიძე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენით წერს თავის ლექსებსა და პოემებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეინიშნება და-

გენილი ნორმებიდან გადახვევის ცალკეული შემთხვევები.

ცნობილია, რომ ამო ზმნისწინი აღნიშნავს მოძრაობას ქვევიდან ზევით. გ. ლეონიძე მას უმრავლეს შემთხვევაში ასე ხმარობს, მაგრამ ზოგჯერ ხმოვანშეცვლილად წარმოგიდგენს — ამო-ამა: „აბანოდან ამაივლის თვალციმციმა ქალი“ (გვ. 134).¹ ზმნისწინის ხმოვნის ასეთნაირი შეცვლა დამახასიათებელია გ. ლეონიძის დედა კილოსათვის, გარე კახურისათვის. ამიტომ პოეტს იგი დიალექტიზმად უნდა ჩაეთვალოს.

არსებითი სახელი „ბისკარი“ პოეტს ნახშირი აქვს თავისი ძველი ფორმით — „ბჰისკარი“. „ოლონდ შეგელო მისი ბჰისკარი“ (გვ. 14). ამ სიტყვაში ჯერ კიდევ არ არის მომხდარი ნაწილობრივი ასიმილაცია. შემდეგში ბ დიაკარგა და ჰ-ს გავლენით სისინა ს იქცა შიშინა ბგერად (ა. შანიძე), ამ გზით მივიღეთ „ბჰისკარიდან“ „ბჰისკარი“.

კანტი-კუნტად შეიმჩნევა კომპლექსების ცვლა: ვა-ო: „შენ არ გახმები გოლვაში“ (გვ. 381). ესეც პოეტს დიალექტიზმად უნდა ჩაეთვალოს.

ზოგჯერ ერთპირიან გარდაუვალ ზმნაში წარმოდგენილია ობიექტის ნიშანი პრეფიქსი სანი, რაც თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით გამართლებული არ ჩანს: „მთას იქით ჩასტყნა ყვავილი“ (გვ. 166), „შენი ნამუხლი სჩანს ხეობაში“ (გვ. 156), „სიცოცხლობს, იცოცხლებს უკუნისამდე“ (გვ. 84), „აღსდგა, ამაღლდა თავისუფლება“ (გვ. 50).

1 ციტატები მოგვყავს გ. ლეონიძის ერთტომეულიდან, რომელიც 1954 წელს გამოიცა.

ზარბაზნაძის გარდაცვალებას შინაშიც წარმოადგენდა
ლია ირბილი თბილისის ნიშანი, რაც გრამატიკულ-
ლად არაა სწორი: „წარმოსთქვამს“ ძთამთმავ-
ლი“ (გვ. 58). ანალოგიური მდგომარეობაა პავს
ხმარებაშიც. „ამდენ მეგობარს ნუთუ პა-
ვსად“ (გვ. 51). აქ პ არ არის საჭირო, ზედმე-
ტია. „პრეფიქსი—პ ან ს—გარკვეული მნიშვნე-
ლობის მქონეა და ხმარება მხოლოდ ირიბი თბი-
ლისური პირის აღსანიშნავად. ეს იმას ნიშნავს,
რომ თუ ზმნას არ ეწყობა მას ან მათ, არ შეი-
ძლება ხმარებულ იქნას პრეფიქსი პ და ს... მაგ-
რამ თუ ზმნას ეწყობა მას ან მათ ეს კიდევ
არ ნიშნავს, რომ მასთან უთუოდ უნდა იხმარე-
ბოდეს პრეფიქსი პ ან ს. საჭიროა შემოწმებული
იქნეს, ხომ არ არის ეს მას ან მათ პირდაპირი
ობიექტი“ (სალიტერატურო ქართულის ხორმა-
თა საკითხები, პ და ს თავსართავების ხმარება
ზმნებში, პროექტი ნიშნუვებითურთ, თბილისი,
1950 წ., გვ. 6).

გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ერთი-
რიან ზმნაში არ არის წარმოდგენილი სუბიექ-
ტის ნიშანი: „ცალად რომ არი ლენიხის სიტყვა“
(გვ. 12), ყველა მზად არი“ (გვ. 13), „უხლა ის
ხალხთა დიდი გზა არი“ (გვ. 18). ესეც დიალექ-
ტისმად უნდა ჩაითვალოს.

გ. ლეონიძის პოეზიაში შეინიშნება ზმნისწინე-
ბის ძველი ფორმით ხმარების შემთხვევები: შთა:
„მთებო, თქვენ შთაგებერთა“ (გვ. 148). წარ:
„წარგზავნა ძეგლი“ (გვ. 414). ეს ზმნისწინები
ლიტერატურული გზით არის ძველი ქართული-
დან ახალ ქართულში გადმოსული.

ცნობილია, რომ ავ-იანი და ამ-იანი ზმნები I
თურმეობითში ინარჩუნებენ თემის ნიშნებს: მი-
ნა-ავ-ის, და-მინა-ავ-ის და არა მინახია, დამინა-
ტია. პოეტი ზოგჯერ არ იცავს ამ წესს: „არ
უნახიათ შენი შვილები, გამოქცეული ან დაცე-
ხული (გვ. 60).

„სად ესომება წარსული სევდა“,

ძველად რომ შუბლი დაუღარი“

„რა დიდი ზანი თურმე გასულა,

რაც ერთმანეთი არ გვინახია“ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ნორ-
მების მიხედვით ასეთი წარმოება არაკანონიე-
რად და მიჩნეული და ხშირად ასწორებენ, იგი
მაინც საკმაოდ გვხვდება. მსგავსი ფორმები ნახ-
მარი აქვს ძველი თუ ახალი თაობის ბევრ მწე-
რალს, რომლებიც სულ სხვადასხვა კუთხის წა-
რმომადგენლები არიან. მაშასადამე, ისინი არ
წარმოადგენენ მხოლოდ ერთი რომელიმე კი-
ლოს კუთვნილებას, მის შემონახვას სალიტერა-
ტურო ენაში და დაბოლოებით თანაბრად გავ-
რცელებული როგორც დასავლეთ საქართვე-
ლოს, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ბარის
დიალექტებში (ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალი-
ტერატურო ენისა და სტილის საკითხები, 1956,
გვ. 67).

არქაულობის იერი ვადაკრავს ზმნებში „და-
ზარდებით“ „აიმათენით“, „სწყურით“ და სხვ.
მებს. „შენს გმირულ მკერდზე დავიზარდენით“
(გვ. 23), „აიმათენით ვეძიებ“ (გვ. 57),
„სწყურით სამშობლოს მკობანი“ (გვ. 104).

ცნობილია, რომ ადამიანის საკუთარი სახე-
ლები წოდებით ბრუნვაში, მიმართვის ფორმაში
წარმოითქმებიან და იწერებიან დაბოლოების
გარეშე. გ. ლეონიძე უხვევს ამ წესიდან და იძ-
ლევა ასეთ ფორმებს: „ნეტაც შენ იყო, კახავ,
მართალი“ (გვ. 9), გესისი ილიავ და აკაკი გეს-
მის შვს, ვაჟავ“ (გვ. 279). წესის მიხედვით, მო-
ყვანილ მაგალითებში ბრუნვის ნიშანი არ არის
საჭირო.

გ. ლეონიძის პოეზიაში გაბატონებული მდგო-
მაოვანა უქრავს მსახლვოელ-სახლვოულს, მა-
გრამ არც თუ ისე იშვიათია ინვერსიული რიცვი:
„სალამი დაბარებული“ (გვ. 24), „ბაღს აყვავე-
ბულს ესაუბრება“ (გვ. 9).

როცა მსახლვოელად გამოყენებულია განსაზ-
ღვრებითი ნაცვალსახელი („ყველა“), გაურკვე-
ველი რიცხვითი სახელი („ბევრი“, „მრავალი“),
მაშინ, წესის მიხედვით, საზღვრული მხოლოდობით
რიცხვში უნდა იდგეს. პოეტი ზოგჯერ ამ წესს
არ იცავს და საზღვრულს ანალოგიურ შემთხვე-
ვებში მრავლობითი რიცხვის ფორმით იძლევა:
„ყველა ბრძოლებში ჩემი მხლებელი“ (გვ.
412), „ჩალადგენ ყველა ჩინებისხანები“ (გვ.
251), „მღერის ყველა ლერწმები“ (გვ. 230), „მე
მინახია ბევრი ქვეყნები და ქალაქები ათასეული“
(გვ. 192), „ყველა ხეების გამოჩარხველი“ (გვ.
163), „უქვე ვასვლია ყველა ვადები“ (გვ. 96),
„გაქრა ყველა ვარსკვლავები“ (გვ. 132), „ბრწყინ-
ნავს სიწმინდე მრავალ ხალხების“ (გვ. 33),
„ქვეყნად ძმები გვყავს მრავალი“ (გვ. 27), „ჩვე-
ნში დასრულდა მრავალმოღვათა“ (გვ. 49) და
ა. შ.

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმე-
ბიდან გადახვევის ტენდენცია ყველაზე რელი-
ფურად ჩანს სახელთა ბრუნვაში. ხშირად
აოგტი კუთხვად სახელებს უკუთმველად წარ-
მოვლადგენს: „ლიახვის შახი, ზვირიანი მტკვარი-
სა“ (გვ. 31), „შენ ხმალის ღარზედ ეწერა“
(გვ. 42), „მიიბრძვის ხელში შიშველი ხმალით“
(გვ. 84), „ძველი ყაბახის მოედანიდან“ (გვ. 115),
„შემოსე მათი ძვლები“ (გვ. 122), „წინადა-
ლის ვაზი აყვავებულა“ (გვ. 234), „მორბის
იორის ღვარ-ჩქევი“ (გვ. 292), „იორიდან ამოფ-
რენილს“ (გვ. 301), „წყალი მიდის წყალისაკენ“
(გვ. 46).

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „უძველეს
დროს ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუ-
ნვა, რომელსაც ივ წარმოვებდა. ეს ბრუნვა უნ-
და ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედე-
ბითისა. მისი ფორმები ნაშთის სახითაა მოღწე-

შლია“. სწორედ ნაშთის სახით შეინიშნება ეს ფორმა გ. ლეონიძის პოეზიაში: „რათა ყოველწლივ დაჰყვებოდნა“ (გვ. 69), „ვიცავ ჩემს მამულს მტავლობარვ“ (გვ. 73), „მაგრამ უეცროვ მაშხალბე ვარდისფრად აფეთქდებიან“ (გვ. 78), „მისთვის, რომ მიჰქრის შეუსვენებლივ“ (გვ. 106) და სხვ.

მოქმედებით ბრუნვას ძველ ქართულში დაკისრებული ჰქონდა გამოსვლითის ფუნქცია. ეს ფუნქცია მან რამდენადმე ახლო შემოინახა. მთის ცილობებში გამოსვლითს უწოდებენ იმ ბრუნვას, რომელიც მიგვიითებს რომელიმე პუნქტიდან გამოსვლას. გამოსვლითი ბრუნვის რამდენიმე მაგალითი გ. ლეონიძის პოეზიაშიც დასტურდება: „მაღლი სურნელი მოვიდა“ (გვ. 123), „შორით მოისმა ხმა ყიფინისა“ (გვ. 411).

ზე თანდებული წარმოდგენილია ზედ სახით. „გულზედ ამსხმია არწივის ფრთები“ (გვ. 12), „დიდ ბრძოლის გზაზედ მავალი“ (გვ. 21), „ბეჭედ არწივი მეხატა“ (გვ. 63), „მისგან გაზრდილი ვაჟაკი ფულზედ არ გაიყიდება“ (გვ. 74). კავშირი „რომ“ ზოგჯერ წარმოდგენილია თანხმოვნის გარეშე: „ეს იყო დღე რა გათენდა“ (გვ. 29), „მტერს რა მივყვება კარამდის“ (გვ. 58), „ხეს რა ფოთოლი დაეწმინდება“ (გვ. 197). ესეც დიალექტიზმად უნდა ჩაითვალოს.

გ. ლეონიძე ხმარობს ფორმებს: „ნათხალი“, „ნათალი“: „და ნათხალი მთვარისა“ (გვ. 120), „ის მხოლოდ ნათალია“ (გვ. 127). სულხან-საბა ორბელიანი „ნათხალს“ ასე განმარტავს: „ნათხალი—ოთხისგან ერთი“. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ „ნათალი“ ფორმა ოთხჯერა ხანხმოვით: „მისთა კირთა ნათალი“ (570,3), „ძღვეთა შენთა ნათალსა“ (1167,4), „თქმა არცა ხათალისა“ (1557,3), „სიტყვანი ნათალნი“ (1573,4). პოემაში „ნასამალიც“ გვხვდება: დღისითა ჩანს ნასამალი“ (748,3). „ნათხალ“, „ნათალ“ ფორმებში აფიქსად გამოიყოფა ნა-ლ, რომლებიც აწარმოებენ წინა ვითარების სახელებს. აღნიშნული სახელები ისევეა ნაწარმოები, როგორც ნა-შეგირდ-ალ-ი, ნა-საყირა-ალ-ი, ნა-ტერფ-ალ-ი, ნა-საყდრ-ალ-ი, ნა-სურ-ალ-ი, ნა-ქერ-ალ-ი და ა. შ.

ერთ-ერთ ლექსში გ. ლეონიძე ხმარობს ფორმას „ღმერთავ“: „წინახდლის ღმერთავ, ბედი მეჩევა“ (გვ. 112) რა არის ღმერთავ? შესაძლოა, მიმართვის ასეთი სახე წარმოშობით კნინობითის ფორმაა (ღმერთ-ავ), რაც ნიშნავს პატარა ღმერთს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ღმერთ-ავ ფორმაში ა კნინობითობას კი არ გამოხატავს, არამედ მდებარეობის სქესს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ხომ არის ფიქსირებული ფორმა „მეფა“, რომელიც ასეა განმარტებული: „მეფა დედუფალი მეფა. მეფე ეწოდების კაცს ხელმწიფესა, მაღალსა და გვირგვინოსანსა. ხო-

ლო მეფა ქალსა, რომელ არს დედუფალი“ (გვ. 378). რასაც „მეფას“ შესახებ წერს საბუთო იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ „ღმერთავს“ სახეობა.

საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვებზე მოქმედ აფიქსთა დართვის გზით ახალი სიტყვების წარმოქმნა განსაკუთრებით ხშირია პოეზიაში. ძლიერ მოხდენილად იყენებს ამ ხერხს გ. ლეონიძე. ახალი სიტყვების მიღების ეს ხერხი ჩვენ მიგვაჩნია მისი პოეზიის ერთ-ერთ ნიშანდობელ მხარედ. გ. ლეონიძე თავისი განცდების მძლავრ პოეტურ სახეებში გამოკვეთის მიზნით სიტყვათა შორის შინაგანი კავშირის ნიადაგზე აერთებს ორ გრამატიკულ ფორმას და ქმნის ახალ სიტყვას, რომელიც გაძლიერებული მნიშვნელობით გადმოსცემს იმ აზრს, რასაც მისი კომპონენტები ცალ-ცალკე ნაკლები ემოციურობით აღნიშნავდა. სიტყვის მნიშვნელობით მხარის გაძლიერება მოქმედ, დინამიკურ შინააზრს აძლევს გ. ლეონიძის ლექსების მხატვრულ სახეებს (შ. ლონტი, ნარკვევები ქართველი მწერლების მხატვრული ენის საკითხებზე, 1955, გვ. 74). მოგვყავს სათანადო მაგალითები: „არ მივეცეთ ხალხის ნახიკეთარი“ (გვ. 481), „რადღე გათენდა საოცნებარი“ (გვ. 17), „სისულწინოსანი წარსულის“ (გვ. 22), „ვიცნ მზის გზას დაქარწივებს“ (გვ. 37), „ფიქრში წასული, ფერნამკრთაღვი“ (გვ. 7), „გამეფეფებია მისგან ბუნება“ (გვ. 12), „ჩვენს საზღვრებს მოვეფარვებით“ (გვ. 29), „შეგხედე, არა მჭეროდა, სანამ არ დავანამდივო“ (გვ. 30), „დიდება მიწას, რომ გეკავანათ“ (გვ. 87), „რა მოჩვენებად დაგვარტახა“ (გვ. 110), „დღეები სანატრონი“ (გვ. 108), „მზე ახლად გადმოემსხივა“ (გვ. 170), „მართლა გიყვარდა მოფატმანება“ (გვ. 40), „მოუწინაოთე სამშობლოს დამძიმებული თაველი“ (გვ. 292).

გ. ლეონიძის ლექსთა უხვია და მოქნილი. პოეტი ძალიან დიდ გამბედაობას იჩენს ახალი სიტყვების — ნეოლოგიზმების წარმოებაში. ბევრი მისი ნეოლოგიზმი სრულფასოვანია და სალიტერატურო ქართულში დასამკვიდრებლად საიმედო პირი უჩანს (დაჩუქურთმული, ამოჩანგული, ამოძიული, მოიგალენებს). ასეთივე წარმატებით არის წარმოქმნილი რთულფუძის სიტყვებიც (ნათელმზიური, ჩოქმოყრილი, ღიმნათელი, ცრემლდამწვიფელი, წითელბაწარმელოცვილი და სხვ.).

გ. ლეონიძის ძალიან ეტანება აგერეთვე სიტყვების წარმოებას „ნა“ პრეფიქსის დახმარებით (ნატყვიარი, ნამიწისძვარი, ნალოდინარი, ნაბორგალი).

გ. ლეონიძის მიერ შეთხზული ბევრი ახალი სიტყვიდან, რა თქმა უნდა, ყველამ ვერ გაიკავა გზა და ვერ დამკვიდრდა სალიტერატურო

ენაში. მოქალაქეობრივ უფლებას მათგან მხოლოდ ისინი მოიპოვებენ, რომლებსაც არ აზიზთ ხელოვნურობის დიდი და ნაწარმოები არიან ენის ბუნების სრული შესაბამისობით.

ერთი მეტად საინტერესო მაგალითი გვხვდება გ. ლეონიძესთან: „შენ დააცოცხლე ხალხები“. იხადება კითხვა: რატომ დააცოცხლე და არა გააცოცხლე? ხალხზე ჩვეულებრივ ხომ გააცოცხლებ იტყვი? იმით, რომ აქ განსაკუთრებით ყურადღება ექცევა იმას, რომ მოქმედება (გაცოცხლება) მრავალი ობიექტის მიმართ იქნა შესრულებული. „ხალხები“ აღნიშნავს სახელის მრავლობითობას, მაგრამ ამის პარალელურად ზმნიაც აღნიშნულია მოქმედების ინტენსიობა, ასე ვთქვათ, მრავლობითობა მოქმედებისა (და არა გოგავზისობა).

გ. ლეონიძის უყვარს მშობლიური ენა, მაგრამ იგი ქართული ენის მონა არ არის, მისი შემოქმედია, მისი ამაყდარი.

მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დაბაზში, მწერალთა მეორე საკავშირო ყრბო-ბაზე გიორგი ლეონიძე ამბობდა: „ამბობენ, რომ ქართული ენის ლექსიკონი შეიცავს 40.000 სიტყვას. ჩვენი პოეტური სიტყვიერი ინვენტარი კი შედარებით ღარიბია. ჩვენ გვაკლია სიტყვის გარშემო, ჩვენ არ გვიყვარს სიტყვა არტისტიკული სიყვარულით, ჩვენ გვაკლია სიტყვის ოსტატობა. ჩვენს ლექსებში თამამად ვერ ვსარგებლობთ ცოცხალი სიტყვით, რაც ასე საჭიროა ლექსის კონკრეტულობისათვის. საჭიროა ჩვენი პოეტური სიტყვის გადახალისება, ლექსიკური განახლება, რათა უფრო მეტი სიცოცხლე მიენიჭოს ჩვენს ნაწარმოებს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ხალხური ენა, მეტი ვასაქანი მივცეთ მწერლობაში ლიტონსა და მარტივ სიტყვებს. მაგრამ იმავე დროს ჩვენ უნდა ვსწავლობდეთ ძველი ქართული ძეგლების ენასაც, ჩვენ უნდა გავამრავლოთ სიტყვის მარაგი, როგორც ხალხურ, დიალექტურ, ისე ძველი მწერლობის ფონდებიდან, რათა მით მივაღწიოთ უფრო მეტ გამოსახულებას და პარამონიას“.1

ჩვენ საესებით ვეთანხმებით კრიტიკოს გ. ნატროშვილს, როცა შენიშნავს, აქ გამოთქმული საყვედური ყველაზე ნაკლებად ლეონიძის შეიძლება მიუყვანოთ. მართლაც, თანამედროვე ქართულ პოეზიაში გ. ლეონიძე ყველაზე ახლოს დგას ხალხური პოეზიის მდიდარ ტრადიციებთან. მისი პოეზია ფორმითაც ხალხურია: ლექსის წყობა, ფოლკლორული სახეები და თუნდაც პიპერბოლური სახეები და მეტაფორები ხალხის გულიდანაა ამოხეთქილი. გ. ლეონიძე ქარ-

თული სიტყვის ნამდვილი მესაიდუმლოა, მისი ენის თითქოსდა ნაცნობია ქართული სიტყვის ყოველგვარი ნუანსი, ყოველგვარი ასოციაციური მნიშვნელობა.

საუნებისა და მოვლენების უფრო რელიეფურად წარმოსახვის მიზნით გ. ლეონიძე მოხერხებულად იყენებს არქაიზმებს. აი ზოგიერთი მათგანი. „დახარჯა მთელი კაპარჩი“ (გვ. 470), „ჩვერ გვეგონა შლეგი სიტყვა“ (გვ. 397), „გვი-თხარ შენი ხეზაილი“ (გვ. 389), „ენკენისთვეში მთებიდან ისმის ყვირილი ირმისა“ (გვ. 231), „თითქოს მარხავდნენ მზეს და მთოვარეს“ (გვ. 196), „ეიტრათი ცრემლით შენაწებარი“ (გვ. 89), „ჩვენი ემზხარი მტკვარია“ (გვ. 211), „რომელ სასახა და რომელ სასახლეს“ (გვ. 34), „ჩაიცივ შენი ჯავშან-ბეგთარი“ (გვ. 21), „მიყვარს ოცნებით დახვეული ძველი გრაფილი“ (გვ. 116), „თოვლეტში, ზორშაქიანში ლოგინად ქვიშის მგებელი“ (გვ. 58).

გ. ლეონიძე სიტყვას იღებს ცხოვრების შუაგულიდან, მოკრძალებით ესესხება ხალხის სალაპარაკო ენას და ამავე დროს უნარჩუნებს მას ხალხურსავე უბრალოებას, სინატიფესა და ძარღვიანობას. მგონის მთელი შემოქმედება შთაგონებულია ხალხური სიბრძნით. იგი ზედმიწევნით იცნობს ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფას, უმდიდრეს ზეპირშემოქმედების ტრადიციებს. ამიტომ მის პოეზიას ასე ღრმად აქვს ფესვები ხალხში. ხალხური ენა ასაზრდოებს მგონის ქეშმარიტად მდიდარსა და უხალ პოეტურ მემკვიდრეობას.

გ. ლეონიძის პოეზიაში ხშირია სინონიმური სიტყვები, რაც კიდევ უფრო მოქნილსა და ლაკონურს ხდის პოეტურ ენას. „ხეავი, როველი და ბარაქა“ (გვ. 298), „გაოხრიდი, გატაილდი“ (გვ. 184), „სხვა ნეტარება, სხვა სიტყობება“ (გვ. 185).

ხალხური სასაუბრო ფრაზეოლოგიით მდიდარი გ. ლეონიძის პოეზიის ენა მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. პოეტი მოხერხებულად აქსოვს თავის ლირიკის შედევრებში ხალხურ სიტყვა-გამოთქმებსა და ფრაზეოლოგს: „დატრიალდა, როგორც ჯარა“ (გვ. 378), „ასე იყო თუ ისე არი“ (გვ. 388).

ნეტამც ვიყო მე ოსტატი,

სულ საყვენ ფიცარს ვოლიდე,

და იმდენი გამეთალოს,

ვოლიდე, ვოლიდე, ვერ დავთლიდე!

(გვ. 392).

გ. ლეონიძის პოეზიაში მრავალადაა მოსწრებული თქმები, რომელთაც აფორიზმის იერი აქვთ. ნიმუშისათვის მოგვყავს ზოგიერთი მაგალითი: „იქ, სადაც შენი გულია, სულ მუდამ გაზაფხულია“ (გვ. 128), „განჯის დამწვარმა გუ-

1 შდრ. გ. ნატროშვილი, განახლების მეზარაბტრე, 1959, გვ. 70.

ლის ნაწევმა ქართლში კოცონად გამოიღვია“ (გვ. 115), „შენ დამარხეს ბორკილებით, ჩვენ დროშებით ამოვიღეთ“ (გვ. 93), „შენ სამკურნალო ბალახებივით მოგიკრეფია სიტყვა ქართული“ (გვ. 98), „სიკაბუე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“ (გვ. 236), „შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს არ უწერია გადაშენება“ (გვ. 240), „შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას“ (გვ. 248), „შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად, მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი“ (გვ. 242) და სხვ.

გ. ლეონიძეს ჩვევია ლექსებისათვის ეპიგრაფების წამძღვარება. ამ მიზნით მოაქვს ციტატები ძველი ანდერძებიდან, სიგელ-გუჯარებიდან, გაზეთებიდან, „ქართლის ცხოვრებიდან“, წარწერებ-მინაწერებიდან, ვახუშტის ნაწერებიდან, „ვეფხისტყაოსნიდან“, ბარათაშვილიდან,

მაიაკოვსკიდან, ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან... ეპიგრაფები უმეტეს შემთხვევაში ლექსის იდეური მხარის გასაღებს იძლევიან.

გ. ლეონიძეს უყვარს ფრაზაში მიმღობის ხშირი გამოყენება: გაფეთქილი, დაშაშრული, ნალალატევი და ა. შ. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრაზა, წინადადება ისეა აგებული-გამართული, რომ ზმნა — შემასმენელი არ არის, მაგრამ აზრი მაინც გასაგებია.

„ლიმი. ყვავილი ზეცა კრიალა“ (გვ. 294).

„ქართლის უდაბნო. სიცარიელე.

ჭორი. სიცრუე. ფუჭი ალერსი.

ყინულის ხელი. პირუმტკიცობა.

ზღვა საწამლავი გულზე ნალესი“.

(გვ. 111)

ასეთია მთავარ ხაზებში გ. ლეონიძის პოეზიის ენის ზოგიერთი ნიშანდობლივი მხარე.



კონსტანტინე ბეჰაველი

ილია ჭავჭავაძე ლიტერატურის ხალხურობის შესახებ

სამოციანი წლების ქართული ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობა მის დემოკრატიულობასა და ხალხურობაში გამოიხატება. თერგდალეულებმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს „ცისკრის“ რეაქციონერი თანამშრომლების წინააღმდეგ. მათ უდიდო მწერლობას ხალხის ცხოვრებასთან დაკავშირებული, მშრომელთა ინტერესების დამცველი ლიტერატურა დაუპირისპირეს. თეორიაში ანტონ ბაგრატიონის სქოლასტიკის ნაცვლად, ბელინსკის და ჩერნიშევსკის მატერიალისტური ესთეტიკის დებულებები განავითარეს.

მართალია, საქართველოში „წმინდა ხელოვნების“ თეორია, როგორც ლიტერატურული მიმართულება, არ არსებობდა და არც თეორეტიკოსები ჰყლია მას, მაგრამ „ცისკრის“ რეაქციონერი თანამშრომლები თავიანთი უხამსი ნაწარმოებებით და ეგრეთწოდებული თეორიული სტატიებით, რომლებშიც ისინი პრიმიტიულ მოსაზრებებს ამჟღავნებდნენ, ნებით თუ უნებლიეთ, „წმინდა ხელოვნების“ თეორიის დაცვას ემსახურებოდნენ.

თერგდალეულებმა და მათმა იდეურმა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ ხელოვნებისა და ლიტერატურის არე გააფართოეს, პოეტს ხალხის წინამძღოლობა და გარემოების მესაყვირობა დაავისრეს.

ი. ჭავჭავაძემ სამოციანი წლების ქართული ლიტერატურის ეს სახალხო მოძრაობა ასე დაახასიათა: „სამოციანი წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას. თავისი ტალღა გაჰკრეს და შემოამტვრიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდებიოთა ცხოვრებაშიც არის ადამიანური გულთა-თქმა; რომ ამ მდებიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არა მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ღვინისა, ძულებისა და სიყვარულისა; რომ ამ მდებიო-

თაც აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდა კი კაცს მადლი ჰქონდეს ამავლის დანახვისა“ (თხზ., ტ. III, გვ. 229).

ილია ჭავჭავაძემ ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხურობის იდეა კიდევ უფრო პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა „საქართველოს მოამბეში“. აქ მან მკაცრად გააკრიტიკა ზეცაში მოფარფარე „ცისკრის“ მწერლები, რომლებიც პირს არიდებდნენ ხალხის ცხოვრებას და ზეცას აშტერებდნენ თავიანთ გაბეცებულ თვალებს. „ზოგიერთმა უნაყოფო მწერალმა, — წერდა ილია, — უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალეები და ზღუბულსავეთ უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებობისა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვირთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა...“ (იქვე, გვ. 68).

ილია „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო სტატიაში ზოგჯერ მოწინააღმდეგეებს კონკრეტულად არ ასახელებს, მაგრამ თუ სტატიის შინაარსს ჩაუვუკვირდებით, აშკარად შევამჩნევთ „ცისკრის“ ზოგიერთ უხეირო და უდიდო თანამშრომელს. მაგალითად, სადაც ილია ლაპარაკობს: „ღრთა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“... მთვარის ხევეწასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო: ცხრა მთის იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალეებას სწვავს და ცრემლებს ადენსო“, აქ ილია გულისხმობს გრ. რჩეულოშვილის რომანტიკული განწყობილების ლექსს „ახ, მთვარე, მთვარე!“, ხოლო სტატიის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია თვალეების სრესა და ძალად ცრემლის დენაზე, ილია გულისხმობს რევაზ ერისთავის კოზლოვის „მეშლილის“ თარგმანს.

მართლაც, „ცისკრის“ თანამშრომელთა უმრავლესობა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი უშინაარსო ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ ყურნალში და ამიტომ ილიას „ცისკრის“ ლიტერატურული პროდუქცია არ მოსწონდა. „ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, — აღნიშნავდა იგი, — საქართველოს ხალხის ფიქრია, ჰეჟუა, გონებაა, ჩვეულება? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განათარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა იგარე დაცვა რუსთაველის ხალხი, რომ ვერც ფიქრობს, ეგრე ჰგონობს?“ (იქვე, გვ. 37).

მთავარი მიზეზი, რისთვისაც ილია ასე მკაცრად აკრიტიკებდა „ცისკრის“ პოეტებს, მათი უფერული და უშინაარსო პოეზია იყო. ილიას არ მოსწონდა ცხოვრების ჰერ-ვარაშს მოკლებული, ცაში მოხეტიალე, თვალკრემლიანი, ფსიციკსხლო პოეტების ნაიკდილარი ლექსები. ნამდვილ სისხლსავე პოეზიას, ილიას აზრით, ცხოვრება ქმნის და ჰეშმარიტი პოეტიც თვით ხალხში იზადება.

მარბარე ჟორჯაძესთან კამათის დროს ილია ჰეჟავად აღნიშნავდა: „...პოეტსა ხალხი დაჰბადებს და ხალხის ცხოვრება ჰუძეს აწოვებს; ამ საფუძვლით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამოთქმულიაო. ჟერ უნდა ხალხმა დამიუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად... ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განითარებასა“ (იქვე, გვ. 45).

მასხადამე, ილიას აზრით, ნამდვილი პოეზია ცხოვრების ფესვებზე უნდა იყოს ამოზრდილი და, რაც უფრო ღრმად იქნება ხალხში ფესვები გადგმული, მით უფრო სრულყოფილი და სიცოცხლის უნარიანი იქნება იგი, რადგან „ლიტერატურა ხალხის ჰეჟა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“ (იქვე, გვ. 37).

რა ურყევი ჰეშმარიტებაა ილიას ამ სიტყვებში გამოხატული! მშრომელი ხალხის როგორი პატივისცემა და სიყვარული ჩანს მათში! მაგრამ, ილიას აზრით, ხალხი ხელოვნების და ლიტერატურის არა მარტო საფუძველი და სათავეა, არამედ ჰეშმარიტი დამფუძნებელიც.

რეგვ ერისთავთან კამათის დროს ილია წერდა: „მწერალს აქვს უფლება თქვას ისრე, როგორც მისწონს, როგორც ეხერხება, კრიტიკოსსა — შენიშნოს და ხალხს — მიიღოს მწერლის ნათქვამი... ეს უფლება ხალხს ეკუთვნის: თუ ხალხმა მოიწონა... მიიღებს კიდევც, თუ არ მოიწონა, ბევრი რომ იყვიროს უფ. გ. ბარათიშვი, რომ თ. ერისთავი ცუდად არას ამბობსო, მაინც კიდევ ხალხი არ მიიღებს“ (იქვე, გვ. 49).

ამ საკითხის გარკვევის დროს ილია სიშარტლიანად ამტკიცებს, რომ „ჩვენი გლეხკაცის გონათღებელი ჰეჟა, უკეთესია ბიერ (რუ სხიით განათლებულ და გეოლატებთან ჰეჟავდა“ (იქვე, გვ. 45). და ამას ილია ჰეჟავად არა მარტო სიტყვიერად წარმოთქვამს. მთელი მისი შემოქმედება ამის ფაქტორ დადასტურებას წერა. მოადგინს. აბა მოვიგონოთ ილიას მხატვრული ნაწარები. როგორი განათლებული და გონიერი ათამიანია „გლახის ნამბობის“ გმირი ვაბარიელი. მან მოსამსახურებობაში უფრო მეტი ცოდნა და განათლება შეიძინა, ვიდრე მისმა პატონმა ლათიკომ, რომელიც სასწავლობლად იყო გაგზავნილი ქალაქში. ანდა რა მომხიბვლელია „მგზავრის წერილებში“ გამოყვანილი დარბაისელი გოგონა ლელთ ღუნია, რომლის პირითაც ილიამ იროგნული თავისუფლების იდეა ილაღდა: „ჩვენი თავი ჩვენადი გვეყუდნესო“. ხოლო გიორგი და თათარაანთ ჰერივი ხომ კაცურკაცობის გვირგვინს წარმოადგენენ?

გლეხკაცობა იყო ილიას სტიქია, მათში ხედავდა იგი ჩვენი ჰეჟყნის ძალასა და სილამზეს. ჰეჟასა და გონებას, გლეხობა იყო მისთვის ის დაუჰკნობელი ფესვი. რომელზეც უნდა აღმოცენებულიყო ქართველი ხალხის რიადი მომავალი და ამიტომ იყო, პოეტი სიამყით რომ აცხადებდა: „...რა აი, ამ ფესვებს უნდა მოუაროთ ჩვენი, ამ მდებრი ხალხისათვის, ჰეშუა-გლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ, ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ინიო დაიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მიწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი გეგმა ჩვენი მუშაობისა...“ (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, გვ. 80-81).

ილიას ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ადასტურებს მის დემოკრატიულ ბუნებას, მისი შემოქმედების ხალხურობას, ხალხის კეთილდღეობისათვის მხატვრული სიტყვის გამოყენების სრულყოფის მაგალითს.

ილიას უპირველესი მოწოდება იყო ეწერა ხალხისათვის, ხალხის ინტერესების დასაცავად, ხალხისათვის გასაგები ენათ და განა შეიძლება ლიტერატურის ჰეშმარიტ ხალხურობაზე სხვაგვარად ლაპარაკი?

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ილიას ამ ჰეშმარიტ დებულებებს ლიტერატურის ხალხურობის შესახებ დღესაც არ დაუკარგავთ შემეცნებითი ღირებულება და ამ პრობლემით დანტერესებული მკითხველი მის ნაწერებში ბევრ საგულისხმო მასალას იპოვის დღევანდლობის თვალსაზრისით.



დადგენილი გვირის პროზაზე ანთონ შუკრელაძის შემოქმედებაში

ყოველი ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მუდამ იყო და არის გვირის პრობლემა, განსაკუთრებით გარდატეხისა და შემოტრიალების პერიოდებში, როცა ასპარეზზე გამოდიან ახალი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ძალები.

გასული საუკუნის სამოციან წლებშიც, როცა თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გზას უკაფავდნენ და ამკვიდრებდნენ ახალ, რეალისტურ ლიტერატურას, გვირის პრობლემა მეტად მწვავე და საჭირობოტო აღმოჩნდა. ამ ნიადაგზე მათ მიმღე ბრძოლა მოუხდათ „მამებთან“, რომლებიც დაქინებით ებლაუჭებოდნენ ძველს, დრომოჭმულს და გადაჭრით ილაშქრებდნენ ლიტერატურაში ახალი გვირის შეჭრის წინააღმდეგ. ცნობილია, მაგალითად „მამების“ რა გააფთრება გამოიწვია ჯერ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“, ხოლო შემდეგ ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია ადამიანი?!“ ისინი არ მალავდნენ თავის აღმფრთხილებას იმის გამო, რომ ნაცვლად კეთილი ბატონისა, რომელიც მშობელობით ზრუნავდა ყმებისათვის, დანიელ ჭონქაძემ თავის ნაწარმოებში გამოიყვანა გულჭკვა და მტარვლი ბატონი, ხოლო ზღაპრული ფეოდალი დევგვირების მაგიერ ილია ჭავჭავაძემ შექმნა საესეებით რეალური, მიწიერი თავადის ლუარსაბ თათქარაძის მხატვრული სახე.

მიუხედავად იმისა, რომ თერგდალეულთა წრეს არ ეკუთვნოდა, ანტონ ფურცელაძე სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მხარში ამოუდგა მათ კრიტიკული რეალიზმისა და მისი ახალი გვირის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ილია ჭავჭავაძის შემდეგ იგი იყო ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი, რომელმაც იეროში მიიტანა „მამების“ ესთეტიკური იდეებისა და ლიტე-

რატურული გვირების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1862 წელს თავის მეტად მახვილ სატირულ ფელეტონში „წავიდა ის დრო“ (ეურნ. „ცისკარი“, № 12) მან ძლიერ მწვაველ დასცინა „მამებს“ ზღაპრულზე ზღაპრული, არარეალური, არამიწიერი გვირებით გატაცებისათვის. კრიტიკოსის თქმით, ცხოვრებისეული პერსონაჟების ასახვის მაგიერ ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზღაპრული, ფანტასტიკური გვირების გამოგონებაში და თავი იმით მოჰქონდათ, თუ ვინ უფრო მკლავლონიერ, ვინ უფრო ყოვლისშემძლე პერსონაჟს შექმნიდა. „ჩემს თხზულებაში, — ათქმევინებს ერთ-ერთ მათგანს ანტონ ფურცელაძე, — ყარამანზედ უფრო ღონივრები არიან. მე ვსწერ, რომ ყუზელ-ყარამანმა ერთის შებერვით ყარამანიცა და სალბი ზურამანიც ზღვას იქით გადაავლო“. ამაზე მეტი გვირობა თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ მეორე მწერალს თურმე კიდევ უფრო ზღაპრული პერსონაჟი შეუქმნია და ამაყობს, რომ მის „ბათრიაჯან მდევსა ათასი თავი აბი, და თითო შესუნტქაზე თითო თავი ათას ვარსკვლავს ჩაყლაპავს ხოლმე“.

ასე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს „მამები“ ზღაპრული გვირების შექმნაში, იმას კი ივიწყებდნენ, რომ საზოგადოებას სრულებით არ ესაჭიროებოდა არც ამგვარი თხზულებები და არც ამგვარი გვირები. მართალია, წერდა ანტონ ფურცელაძე, ოდესღაც ქართველი მწერლები ქმნიდნენ და თარგმნიდნენ ზღაპრულ ნაწარმოებებს, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. ასეთი ხასიათის თხზულებებს მოითხოვდა ეპოქა, თვითონ საზოგადოება, ხალხი, რომელიც სულ ომსა და ბრძოლაში ცხოვრობდა და საჭიროებდა გვირობა-ეპიკაციონის კულტს. ერთი სიტყვით, „რაც მოთხოვნილება საზოგადოებაში იყო, იმის აღმასრუ-

ლებელი მაშინდელი მწერლები იყვნენ“ (კრ. „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ტ. II, 1956 წ., გვ. 12). მაგრამ ის, რაც ერთ დროს ახალი და სასარგებლო იყო, ანტონ ფურცელაძის სწორი შენიშვნით, განვითარების მომდევნო ეტაპზე შეიძლება გახდეს დრომოკმული და მანებელიც კი. სწორედ ეს უბრალო ჰერმეტიკობა არ ესმოდით „მამებს“, რომლებიც ახალ, შეცვლილ ვითარებაშიც ებღვა-უკებოდნენ ძველს და ქმნიდნენ ზღაპრული თავგადასავლებით აღსავსე თხზულებებს, მაშინ როცა ეპოქა, საზოგადოება სულ სხვა ხასიათის ნაწარმოებებსა და გმირებს მოითხოვდა.

ლიტერატურული გმირის საკითხში „მამების“ პოზიციის ასეთი ნეგატივა თავისთავად ცხადყოფდა ანტონ ფურცელაძის პოზიტიურ შეხედულებათა არსს. თუ კი ლიტერატურული გმირი არ უნდა იყოს ზღაპრული, ფანტასტიკური პიროვნება, მაშასადამე, იგი ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანი უნდა ყოფილიყო, ცხოვრების დღიური შვილი, რომლის მსგავსი სინამდვილეში ათასობით არიან. მაშასადამე, როგორც ანტონ ფურცელაძის, ისე თერგდალეულთა ამოსავალი დებულება გმირის საკითხში სავესებით ერთნაირი იყო — ისინი მოიხიზნდნენ, რომ ლიტერატურას ფეცა არა ცოცხალ სინამდვილეს მოწყვეტილი ფანტასტიკური გმირები, არამედ ჩვეულებრივი, რეალური ადამიანები, რომლებიც გამოხატავდნენ ეპოქის სახეს, ცხოვრების ავ-კარგს. მიუხედავად ამისა, მათი პოზიცია ბოლომდე იდენტური მაინც არ აღმოჩნდა და ისინი ერთმანეთს რამდენადმე დაცილდნენ, როგორც კი გაჩნდა პრობლემის ახალი მხარე: ვინ, რომელი კლასების წარმომადგენელი, უარყოფითი თუ დადებითი გმირები უნდა აესახა ლიტერატურას უბრაატესად და სად, რომელ საზოგადოებრივ ფენებსა თუ კლასებს შეეძლო მწერალს ეპოქა უარყოფითი თუ დადებითი გმირი?

თერგდალეულები, როგორც ცნობილია, მთლიანად და სავსებით ოზიარებდნენ დიდი რუსი კრიტიკოსის ბ. ბელინსკის დებულებას, რომ კარგი ადამიანი თუმცა ყველა წოდებაშია, ისევე როგორც ცუდი, მაგრამ მწერალს მაინც თავი უნდა შეეკავებინა კეთილი მემამულის ან პატრიოსანი ჩინოვნიკის მხატვრული სახის შექმნისაგან და დადებითი გმირი ეპოქა მხოლოდ ხალხში, უპირველეს ყოვლისა კი გლეხობაში. ეს იმიტომ, რომ კეთილი მემამულე და პატრიოსანი ჩინოვნიკი სრულიადაც არ იყო ტიპური ბატონყმურ-თვითმპყრობელურ რუსეთში და ასეთ გმირებს შეეძლო მკითხველთა დეზორიენტაცია. ამით აიხსნება, რომ თერგდალეულთა მიერ შექმნილი ყველა უარყოფითი პერსონაჟი ფეოდალთა კლასს, ვაჰარ-ჩინოვნიკებს ეკუთვნოდნენ და არა გლეხობას, მშრომელი ადამიანების წრეს და, პირიქით, დადებითი გმირები მხოლოდ ხალხის შვილები, გლეხები იყვნენ

(გამონაკლისს წარმოადგენდნენ ისტორიული თხზულებები). ილია ჭავჭავაძემ, მაგალითად, სამოციან წლებში მოგვცა დადებითი გმირი მთელი გალერეა — გაბრო, პეპია, თამარ, ზაქრო, კაკო ყაჩაღი და სხვ., რომელთა სახით გვიჩვენა გლეხობის მორალური სიწმინდე და საუკეთესო ზნეობრივი თვისებები. ერთი სიტყვით, თერგდალეულები გლეხებს გამოხატავდნენ მხოლოდ დადებითი მხრით და რამდენადმე კიდევაც აღიფერებდნენ მას.

თავისი რადიკალურ-მემარცხენე მსოფლმხედველობის შესაბამისად ანტონ ფურცელაძემ საჭიროდ ჩასთვალა ზოგიერთი არსებითი კორექტივი შეეტანა თერგდალეულთა პოზიციაში და ერთგვარად გაფართოვებინა როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გმირების სამოქმედო არე, ის წრე, რომელიც წარმოშობდა და ასაზრდოებდა მათ. ყველა ეს კორექტივი, რა თქმა უნდა, მიზნად ისახავდა რეალიზმის შემდგომ გაღრმავებას, კლასებისა და საზოგადოებრივი ფენების უფრო სრულ დახასიათებას, სინამდვილის განვითარებადი ტენდენციის გაძლიერებას.

ძირითადი და მთავარი ამ კორექტივთაგან მოიცავდა გლეხობისადმი დამოკიდებულების პრობლემას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძე პირველი ბელეტრისტიკა ჩვენს ლიტერატურაში, რომელმაც ერთგვარი კრიტიკული თვალთ შეხედა გლეხობას და შეეცადა იგი დაენახებინა ახალი კუთხითაც — დადებითიან ერთად ეჩვენებინა უარყოფითიც. ამ შემთხვევაში მისი პოზიცია სავსებით ემთხვევა გენიალური რუსი მოაზროვნისა და კრიტიკოსის ნ. გ. ჩერნიშევსკის პოზიციას, რომელიც განსაკუთრებით მეკეთრად გამოისახა ნ. უსპენსკის მოთხრობებისადმი მიძღვნილ სტატიაში „ცვლილების დასაწყისი?“ (პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „სოვერენეტიზმი“ 1861 წ.).

ნიკოლოზ ვასილისძე უსპენსკი ეკუთვნოდა რანზონინული დემოკრატიის პროზაიკოსთა ჯგუფს, რომლებიც რუსული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი არიან „ხალხოსანი ბელეტრისტების“ სახელით. ნ. გ. ჩერნიშევსკის ყურადღება მან იმით მიიქცია, რომ ბელეტრისტიკარად იცნობდა გლეხობის ყოფაცხოვრებას, ხასიათს და ხალხზე წერდა „სიმართლეს ყოველგვარი შელამაზების გარეშე“. წინანდელი მწერლებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეგნებულად უპოვებდნენ გვერდს ჩვეულებრივი, უფერული ადამიანების ნაკლოვანებებს, უსპენსკიმ გაბედულად გაუსწორა თვალი სინამდვილეს და არ დაფარა, საშუააროზე გამოიტანა ისინი. ამით მან ახალი ფურცელი გადაშალა ხალხის ცხოვრების მხატვრული ასახვის ისტორიაში შეცდავა, რომ დადგა ახალი ეტაპი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როცა შეიძლება სიმართლე ბოლომდე თქვა, როცა უნდა ვილაპარაკოთ არა მარტო უბედურების გამომწვევ გაერმოებებზე, არამედ თვითონ ადამიანის გარდაქმნის აუ-

ცილებლობაზე. ჩერნიშევსკის აზრით, გოგო-
მა დაიდო აკაკი აკაიევიჩი, ბოლომდე არ თქვა
სიბრთლე, რადგან ფიქრობდა, რომ „თუ სხვებს
ყველაფერს ვეტყვით მის შესახებ, რის თქმაც შე-
იძლება, მაშინ მისდის თანაგრძნობას“ შესუს-
ტებს მისი ნაკლის ცოდნა. დაე, ხმას ნუ ამოვი-
ღებთ მის ნაკლზე“. ასეთ პოზიციას თავის დრო-
ზე ჰქონდა ისტორიული გამართლება, მაგრამ
მას შემდეგ, რაც ვითარება არსებითად შეიცვა-
ლა, მან დაკარგა ნიადაგი და უმართებულო გახ-
და. დიდი რუსი კრიტიკოსი თვლიდა, რომ რო-
გორც ყველა ადამიანი არ არის ერთნაირი, ისე
გლეხებიც არ არიან ერთნაირი და „სირცხვილია
ვერ შევამჩნიოთ განსხვავება მათ შორის, ჩვენ
მათთან გვაქვს საქმე, ამიტომ ჩვენთვისაც და მა-
თთვისაც ძლიერ საზიარო იქნება, თუ ასე ვანუ-
ხრებულად, ხელაღებით ვიმსჯელებთ მათზე და
ამის მიხედვით მოვიქცევით“.

გლეხობის უსაქონლესი კრიტიკა, რა თქმა
უნდა, ბოროტი დაიცნა კი არ იყო, არამედ ამო-
ცანად ისახავდა ნაკლოვანებათა მხილების მათი
აღმოფხვრის მიზნით. ხოლო შეამჩნიოს და მო-
სპოს საკუთარი ნაკლოვანებანი, შეუძლია მხო-
ლოდ იმ ადამიანს, იმ კლასს, რომელსაც სჯერა
თავისი ძალა, თავისი მომავალი და ირწმუნა
იგი. ამიტომაც ასე გულმუხრავლედ მიესალმა
ნ. გ. ჩერნიშევსკი ნ. უსპენსკის მოთხრობებს:
„ბ-ნ უსპენსკის ნარკვევები, — წერდა დიდი
რუსი კრიტიკოსი, — მძიმე შთაბეჭდილებას ახ-
დენს იმაზე, ვინც არ უფიქრდება მისი წინა-
დელი მწერლების ტონის განსხვავების მიზეზს.
მაგრამ თუ ამ საქმეს ჩაუყრიდნენ, იგარბობს,
რომ ბ-ნ უსპენსკის ნარკვევები ძალზე კარგი
ნიშანია. ჩვენ უკვე შეგინიშნეთ, რომ ბ-ნ უსპენ-
სკის გაბედულება ხალხი აღწეროს ხალხისათვის
ესოდენ ნაკლებ სასიქადულოდ, მოწმობს, რომ
მნაშველოვნად შეიცვალა გარემოება, რომ ახ-
ლანდელი დროება დიდად განსხვავდება ამას-
წინანდელი ხანისაგან, როცა ენა არავის მუბ-
რუნდებოდა ხალხის სამხილებლად. ჩვენ უკვე
შეგინიშნეთ, რომ მოურიდებლად ილაპარაკო ამა
თუ იმ ადამიანის ან კლასის ნაკლზე, რომელიც
კუდ მდგომარეობაში იმყოფება, მხოლოდ მაშინ
შეიძლება, როცა ჩანს, რომ ეს ცუდი მდგომარე-
ობა მხოლოდ მისი საკუთარი მიზეზით გრძე-
ლდება და ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად
საჭიროა მხოლოდ მისი სურვილი შეცვალოს თა-
ვისი ბედი. ამ თვალსაზრისით ფრიად სასიხა-
რულო მოვლენა უნდა ეწოდოს ბ-ნ უსპენსკის
მოთხრობებს, რომელთა შინაარსში არაფერია
სასიხარულო“.

მსგავსი ცვლილებები მოხდა ქართველი გლე-
ხობის ცხოვრებაშიც და ლიტერატურას უნდა
აესახა ეს მოვლენა, უნდა ეჩვენებინა ხალხის
ლირსება და ნაკლიც. და აი ამ ამოცანას პირ-
ველმა ანტონ ფურცელაძემ მოჰკიდა ხელი. მან
შექმნა არაერთი ნაწარმოები, რომლებშიც აღარ

იყო გლეხობის იდეალიზაციის ნატამალიც. ე.
მათგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია „მარ-
თხრობა“ „მართა“ (1865 წ.), რომელშიც მწერა-
ლმა შეუფერადებლად, რეალისტური სიმატ-
ლით ასახა ბატონყმური ქართული სოფელი
და ხაზი გაუსვა გლეხობის დაბალ რვეოლუცი-
ურ-კლასობრივ შეგნებას. იმის მაგიერ, რომ
შეერთებული ძალით გამოსულიყვნენ ბატონ-
ყმობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის,
წინააღმდეგ თუ არა, თავისი გულქვა და მტარ-
ვალი ბატონის როსტომ ტაბლაძის წინააღმდეგ
მანაც, ისინი გასაოცარი ერთგულებით ემსახუ-
რებოდნენ მას და ყველას, ვინც კი არ დაემორ-
ჩილებოდა მათს ბატონს, „ტყავს აძრობდნენ
ცემით“, გლეხი იქნებოდა „დამნაშავე“, ზნაური
თუ თავადი. „საკვირველი იყო როსტომის გლე-
ხებისა და მსახურების საქმე, — წერდა ანტონ
ფურცელაძე. — ესენი თუმცა ასე საცოდავად
იყვნენ ბატონისაგან შეწყუბუნლნი, რომ სულ-
თადგმა აღარა ჰქონდათ, მაგრამ სხვა საქმეში,
ბატონის წინააღმდეგებთან, ბატონისთვის თავ-
დადებულნი იყვნენ და არა ზოგავდნენ თავს სა-
სიკვდილოდ“ (ა. ფურცელაძე, „ჩრეული ნაწე-
რები“, 1951 წ., გვ. 219).

მეორე მოთხრობაში „ქიტესა“, რომელიც
1871 წელს გამოქვეყნა, ე. ი. ნაროდნიკული მო-
ძრაობის აღმავლობის წინ, ანტონ ფურცელაძემ
უკვე ასახა რეფორმის შემდეგდროინდელი ქარ-
თული სოფელი და მოგვცა მისი საცხებით რე-
ალური სურათი. უპირველეს ყოვლისა, მან ხაზი
გაუსვა იმ გარემოებას, რომ სოფლის კაპიტა-
ლიზაციის შედეგად გლეხობა აღარ წარმოად-
გენდა ერთიან მასას, როგორც ბატონყმობის
დროს იყო, და იგი დაიქსაქსა რამდენიმე ფენად,
რომელთა შორისაც მწვავე ბრძოლა გაჩაღდა.
მეტად მწვავე აღმოჩნდა მამულიან და უმამუ-
ლო გლეხთა წინააღმდეგობა, რომლებიც ერთ-
მანეთს დაუპირისპირდნენ როგორც მტრულ
ძალა. მამულიანი გლეხები ყოველმხრივ ავიწ-
როვდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ გუშინ-
დელ კლასობრივ თანამომეგებს, უმამულოებს,
არ ირჩევდნენ მათ სოფლის მოხელეთა შორის,
აყისრებდნენ ზედმეტ გადასახადებს, ე. ი. ფაქ-
ტურად ექსპლოატაციის უწევდნენ მათ. „ეს რა
ამბავია, — მიმართავს ერთ-ერთი უმამულო
გლეხი ბერო ბურტულაძე მამულიან გლეხებს
სოფლის კრებაზე, — რომ აგრე თქვენ სულზედ
ხელს იღებთ და ჩვენ ასე უსამართლოთა გვდუ-
პავთ! არა, თითონ ი კამლარიაში არა სწერია,
რომ უმამულო კაცს სამ მანეთზედ მეტს არ გა-
მობრთმევით. რატო თქვენ ღმერთს არ შეხე-
დავთ, შეილო...“ (იქვე, გვ. 369).

ეს მოთხრობა განსაკუთრებით საყურადღებოა
იმით, რომ მასში ანტონ ფურცელაძემ მოგვცა
ქართველი გლეხის ქიტესას ძლიერ საინტერესო
მხატვრული სახე, რომელიც არსებითად განსხ-
ვავდება თერგდალეულთა გლეხებისაგან. თუ

ილია ჭავჭავაძის გლეხთა ტიპები — გაბრო, კაკო ყაჩაღი, ზაქრო პრეტესტანტი, გაბედული ადამიანები არიან, არ ურიგდებიან დამცირებას, ანაგზენ მტერს ბოროტ საქციელს და სხვა მხრივაც იდეალურად ჩაითვლებიან, ანტონ ფურცელაძის ქიტესა ერთი დაბეჩავებული, ზარმაცი და გალოთებული გლეხია. იგი მოკლებულია ზაქროსა თუ კაკო ყაჩაღის გაბედულებას, უნარი არ შესწევს სამაგიერო მიუღოს მჩაგვრელებს და თავისი საკუთარი კაცური ღირსება დაიცვას. იმის მაგივრად, რომ ბატონზე შური ეძია უწლოვანი ქალიშვილის გაუბედურებისათვის, ქიტესა არაყს ეძალდება და სურს მასში ჩაეკლას დარდი. ერთი სიტყვით, იგი თანაგრძნობას კი არა, ანტიპათიას იწვევს, იმდენად უილაჯო და სულიერად დამონებულია. ქიტესას ასეთი წახედობა, რა თქმა უნდა, გარემოს, სოციალური უკუღმართობის შედეგია. მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში გრძნობთ, რომ გარკვეული ბრალი ქიტესასაც მიუძღვის, რადგან სრულებით ვერ იჩენს ბრძოლისა და წინააღმდეგობის უნარს, რადგან არ გააჩნია „სურვილი შეცვალოს თავისი ბედი“. ასეთივე გაუბედავი, სულიერად და ბეჩავებული გლეხები დახატა ანტონ ფურცელაძემ „მართაშიც“. ისინი შიშით ცახცახებენ ბატონის წინაშე და ხელი ვერ აღუმართავენ მის წინააღმდეგ, თუმცა იგი უკანასკნელ სარჩოს ართმევს მათ პირადი ფუფუნებისათვის. გლეხებს ცოდვად და სულის წაწყმედად მიაჩნიათ ადამიანის მოკვლა საერთოდ, მით უმეტეს ბატონი-სა. სოსიკაც კი, რომელსაც ბატონმა სიცოცხლე გაუმწყარი და ვერაგულდაც მოატყუა, ვერ ბედავს თავს დაესხას მას.

ამავე მოთხრობაში ანტონ ფურცელაძემ საკმაოდ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ ცხოვრების ჯარემოებათა ზეგავლენით როგორ თანდათან ნათლდება და მალდება გლეხობის რევოლუციური-კლასობრივი შეგნება, როგორ მიუფდება მათში შეგავშირებისა და ბატონის წინააღმდეგ ერთიანი, კოლექტიური გამოსვლის იდეა. „აბა, ჩემო ძმაო, — ეუბნებოდნენ გლეხები ერთმანეთს. — კიდევ ემაგითი ვართ ქართველი ხალხი დაღუპული, რომ ერთი პირი არა გვაქვს“. ამ აღიარებას მალე საქმეც მოსდევს და გლეხობის მოწინავე ნაწილი აწყობს „შეთქმას“. საიდუმლო კრებაზე გლეხები ერთსულოვნად გადაწყვეტენ ბოლო მოუღონ თავასულ ბატონს, რომლისგანაც სოფელს მოსვენება არა აქვს. აქ უკვე აშკარად ჩანს, რომ ანტონ ფურცელაძე გლეხებს მოუწოდებდა შეკავშირებისა და შეერთებული ძალით ექსპლואატორთა ბატონობის დამხობისაკენ. მაშასადამე, გლეხობისა და გლეხების კრიტიკას მწერლის შემოქმედებაში ჯარკვეული პოზიტიური ამოცანა ეკისრებოდა — იგი მიზნად ისახავდა მათი კლასობრივ-რევოლუციური შეგნების ამაღლებას, მათს მომზადებას გადაწყვეტი ბრძოლისათვის.

ამავე მიზნით აღძრა ანტონ ფურცელაძემ დადებითი გმირის პრობლემა ჩვენს ლიტერატურაში როგორც ბელეტრისტიკა და როგორც მოაზროვნე-კრიტიკოსი.

უთუოდ მკდარი და უსაფუძვლოა შეხედულება, რომ დადებითი გმირი თითქმის პირველად გაჩნდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში და რომ თითქმის იგი უცხო იყო ყოველ სხვა ლიტერატურისათვის, მათ შორის კრიტიკული რეალიზმისთვისაც. ამ შეხედულების მიმდევრები, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ იმოწმებენ ბ. ბელინსკის დებულებას, რომ კრიტიკულ რეალიზმს ახასიათებდა „ჭარბი უარყოფითი მიმართულება“. რაკი ასეა, ამბობენ ისინი, კრიტიკულ რეალიზმს არ შეეძლო მოეცა და არც მოეცა დადებითი გმირები, რადგან დადებითი გმირი ანტერესებს არა იმ ლიტერატურას, რომელიც უარყოფს, არამედ იმ ლიტერატურას, რომელიც ამკვიდრებს ცხოვრებას. ეს მაშინ, როცა თვითუღმა მკითხველმა იცის, რომ მხატვრულ ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა, იქნება იგი კლასიკური, ფსევდოკლასიკური, რომანტიკული თუ რეალისტური, როგორც წესი, შეიცავს პერსონაჟთა ორ ბანაკს: უარყოფითი და დადებითი გმირებისას. ვანა ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, რომლებიც განასახიერებენ ისეთ მაღალ ადამიანურ გრძნობებს, როგორიცაა პატრიოტიზმი, მეგობრობა და სიყვარული, დადებითი გმირები არ არიან? ნუთუ გაბრო, თამრო, კაკო ყაჩაღი და ილია ჭავჭავაძის მოთხრობათა ბევრი სხვა პერსონაჟი დადებითი გმირებს არ მიეკუთვნება?

მეორე მხრივ, მართალია, კრიტიკულ რეალიზმს ახასიათებდა „ჭარბი უარყოფითი მიმართულება“, მაგრამ იმავე ბელინსკის თქმით, კრიტიკული რეალიზმი უარყოფდა არა უარყოფისათვის, არამედ იდეალისთვის, იდეალის სახელით, ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის. არც ერთი დადებითი გმირი არ არის ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია ადამიანი?“, ისევე, როგორც გოგოლისა და სხვა სატირიკოსთა თხზულებებში, მაგრამ მასში მაინც მკაფიოდ გამოჰყვითის მწერლის იდეალი, ვისი სახელითაც მან სამარცხეინო ბოძე გააკრა ლუარსაბი და სხვა მისი მსგავსი ადამიანები. მიუხედავად ამისა, კრიტიკული რეალიზმი არ იფარგლებოდა მარტო უარყოფითი პერსონაჟებით და ცდილობდა შეექმნა დადებითი გმირებიც. კიდევ მეტი, იდეალის ნეგატიურ, კომიზმის მეშვეობით გადმოცემას აშკარად ამჟღავნებდნენ მის გადმოცემას პოზიტიურად, დადებითი გმირების მეშვეობით. ეს იმიტომ, რომ დადებითი გმირები პირდაპირ გამოთქვამენ მწერლის იდეალს, ხოლო სხვები არაპირდაპირ, მოვლილი გზით, რაც გაცილებით უფრო რთულია ასათვისებლად. ამავდროს, როგორც ბელინსკი მიუთითებდა, კომიზმი ძნელად გასაგებია და მის აზრს ყველა მკი-



თხველი ვერ ჩასწვდება. „...ჰუმორს, — წერდა დიდი რუსი კრიტიკოსი, — მხოლოდ ღრმა და ძლიერ განვითარებული სული გაივებს“ (ჩრ. თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 470). და თუ კრიტიკული რეალიზმი მაინც „ჰარბი უარყოფითი მიმართულების“ ლიტერატურად რჩებოდა, ეს აიხსნებოდა თვითონ სინამდვილის, იმდროინდელი ცხოვრების თავისებურებებით, ცხოვრებისა, რომელიც ნაკლებად შეიცავდა დადებით მოვლენებს და ამის გამო ძნელი იყო ეს მოვლენები მწერალს გამოეხატა ისე, რომ რიტორიკულად არ გაეიდგალებინა ისინი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ მაკერი ცენზურული პირობები საშუალებას არ იძლეოდა დადებითი გმირი ლიტერატურას ეჩვენებინა მთელი მისი მრავალმხრივი, უმდიდრესი სულიერი სამყაროთი.

ამრიგად, დადებით გმირს კრიტიკული რეალიზმი, ისევე, როგორც ყოველი სხვა ლიტერატურა, გულგრილად ვერ მოეკიდებოდა, რადგან იგი და მხოლოდ იგი აძლევს მწერალს იმის საშუალებას, რომ პირდაპირ გამოთქვას თავისი იდეები, პირდაპირ გააცნოს მკითხველს თავისი სანთეკარი მისწრაფებები. ამავე მიზეზით დადებითი გმირი სრულიად არ ყოფილა უცხო თერგაღელუქო შემოქმედებაში. ანტონ ფურცელაძეც, როგორც რევოლუციონერი-დემოკრატი, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი მწერალი, გვერდს ვერ აუცილებდა დადებით გმირს. პირიქით, დადებითი გმირის გარეშე წარმოდგენილად მიაჩნდა ლიტერატურას შეესრულებინა ის მაღალი მისია, რომელსაც საზოგადოება აყისრებდა მას. იგი მუდამ იმ თვალსაზრისით იყავდა, რომ ლიტერატურის ძალა და ღირსება მის აღმზრდელით ფუნქციონირა, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები იმდენად არის მნიშვნელოვანი და სასარგებლო, რამდენადაც ეპოქის მოწინავე, პროგრესულ იდეებზე ზრდის მკითხველებს, უნერგავს მათ საუკეთესო მორალურ თვისებებს და თავისებურ კომპასად წარმოდგება საზოგადოებას. სტატიამ „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ“ (1866 წ.) ანტონ ფურცელაძე წერდა: „ლიტერატურის ვალია ახლა, რომ სხვა და სხვა ჰუმანიტარის და ძლიერის საბუთებით უმტკიცებდეს ხალხსა და საზოგადოებასა საზოგადო სასარგებლო საქმეზედ დადგომასა და უნდა უზნაიდეს რაში მდგომარეობს ის საზოგადო სასარგებლო საქმეები, შევხოს ყოველ რაგს საზოგადო საქმიანობასა და აცნობოს მკითხველს იმისი ვითარება, შევხოს ხალხის ცხოვრებასა და უჩვენოს ყოველი მხარე ამ ცხოვრებისა. ხოლო მაშინ ექნება ლიტერატურას ჰუმანიტარული სასარგებლო მნიშვნელობა“ (კრ. „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ტ. II, 1956 წ., გვ. 15).

ლიტერატურის მიზნისა და დანიშნულების ეს

განსაზღვრა ადგილ საფუძვლად ანტონ ფურცელაძის შეხედულებათა სისტემას დადებით გმირზე. რაკი ლიტერატურა აუცილებლად უნდა შეეხოს „ხალხის ცხოვრებასა და უჩვენოს ყოველი მხარე ამ ცხოვრებისა“, ე. ი. უარყოფითი და დადებითი, ცუდიც და კარგიც, მას არ შეუძლია იარსებოს, თუ მარტო უარყოფითი პერსონაჟებით შემოიფარგლა და არ შექმნა დადებითი გმირები. სხვათადად მწერალს საშუალება მისცაობა სრულად, ყოველმხრივად ასახოს ცხოვრება, პირდაპირ გამოთქვას თავისი პოზიტიური შეხედულებანი. მართალია, პოზიტიური ნეგატიურში ჩანს, მაგრამ იგი ცხადად და ყოველმხრივად მაინც დადებითში იჩენს თავს. ამიტომ არის აუცილებელი ლიტერატურაში შექმნას უარყოფითი პერსონაჟებიც და დადებითი გმირებიც. მაგრამ დადებითი გმირი საჭიროა არა მარტო ცხოვრების სრული და ყოველმხრივი ასახვისათვის. ანტონ ფურცელაძის აზრით, ლიტერატურა ვერ დაეწყვიტოვებოდა მოვლენის, ცხოვრების უბრალო ასახვით, საზოგადოების საჭიროებათა გამოხატვით. ამასთან ერთად მან უნდა გვიჩვენოს ამ საჭიროებათა დამკვიდრების გზები, უნდა განუმარტოს საზოგადოებას როგორ და რა გზით შეიძლება არსებული ბოროტების დაძლევა. პოემაში „თამარ ღაზანი“ ანტონ ფურცელაძე მოითხოვს, რომ მწერალი „გვიჩვენებდეს მას, რაც რომ ხალხსა თვალს აუხსნის, სულს გაუშენებდეს, მისცემს ძალას და გულს გაუშლის“. ამავე აზრს ავითარებს იგი გიორგი ერისთავის თხზულებათა კრებულში „წინასიტყვაობაში“. ეხება რა დიდი გერმანელი მწერლის ფრ. შილერის შემოქმედებას, კერძოდ მის ცნობილ ტრაგედიას „ვილჰელმ ტელე“, კრიტიკოსი განმარტავს, რომ ამ ნაწარმოებში ავტორს მსოფლიო მწერლის სახელი იმით მოუპოვა, რომ მასში არა მარტო ასახა „მტარვალთა დამონებულები ხალხისა“, არამედ ამავე დროს „იჩვენება წამალს ამისას“, ე. ი. მოუთხოვს დამონებული ხალხის განთავისუფლების საშუალებას. მაგრამ როგორ და რა გზით შეძლო ეს დრამატურგმა? უპირველეს ყოვლისა დადებითი გმირის შექმნით. ყველაფერი, რაც სურდა ეთქვა შილერს ამ ტრაგედიაში, თქვა ვილჰელმ ტელისა და სხვა დადებითი გმირების მეშვეობით, გვიჩვენა რა მათი თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს განთავისუფლებისათვის უცხოელ დამპყრობთა ბატონობის უღლისაგან. „ის (შილერი — შ. ქ.), — წერდა ანტონ ფურცელაძე, — ვილჰელმ ტელისა და სხვა შევიცარიის გმირი პირების გამოყენებით ეძახის ქვეყანას, რომ მტარვალთ ძალს ძლევდა მხოლოდ ძალით შეიძლება“ (საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი 5918/6). ეს იყო პროგრესული, რევოლუციური იდეა, რომლის პროპაგანდაც დაიასხა მიზნად ფრ. შილერმა „ვილჰელმ ტელეში“ და ბრწყინვალედაც შეასრულა იგი ვილჰელმ ტელისა და

შეცვალა დადებითი გმირების მხატვრული სახითა შექმნით.

ამრიგად, დადებითი გმირი აუცილებელია, ერთი მხრივ, ცხოვრების ყოველმხრივი, სრული ასახვისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მწერლის მისწრაფებათა, მის პოზიტიურ შეხედულებათა და იდეალების გადმოსაცემად. ეს არის დადებითი გმირის ძირითადი ფუნქცია, მისი ძირითადი დანიშნულება. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მწერლის იდეალ საზოგადოების მოწინავე ნაწილის იდეალიც უნდა იყოს და საზრდოობდეს სინამდვილით, ცხოვრების საჭიროებით. ეს განსაზღვრავს თვითონ დადებითი გმირის, როგორც მხატვრული სახის, შინაარსს.

სამწუხაროდ, ანტონ ფურცელაძეს არ მოუცია დადებითი გმირის დედინიჭია, მაგრამ მის კრიტიკულ-ლიტერატურულ და ბელეტრისტულ-პოეტურ თხზულებებში ძლიერ რელიეფურად, ცხადად ჩანს, თუ ვინ მაინადა მას დადებითი გმირად, ე. ი. რა ძირითადი ნიშნები უნდა ჰქონოდა მხატვრულ სახეს, რომ იგი დადებითი, გმირად შეგვერაცხა. პირველი და განმსაზღვრელი, უმთავრესი ნიშანი დადებითი გმირისა, ანტონ ფურცელაძის აზრით, არის მისი შეურთებლობა სოციალურ ბოროტებასთან, საერთო-სახალხო საქმის სამსახური და ამ საქმის გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლა. „მწერალი, — აღნიშნავს იგი ერთ-ერთ სტატიაში, — განგებ იღებს რომელსაღე ეტლს ან კარგს მხარეს, გი-სახავთ ამ ცხოვრებლად განგებ აყვანილი პირთ, რომელნიც ჰმოქმედებენ რაიმე აღებული აზრის ასასრულებლად, ან ასახსნელად; ან ებრძვიან ცხოვრების ცუდ მოვლინებათა, ან თვით პრყენი-ან თავისის ცუდის მოქმედებით ცხოვრებას. და ამ გამოკენილი პირების მოქმედებით, გამოსახული მოვლენების ჩვენებით გისახამენ რამე აზრს, რომლისაც შე-ტანას, ანუ მოსაზრებას ცხოვრებაში ცდილობს ავტორი“ („წინასიტყვაობა“, საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმის ხელნაწერი 5918/6). ეს „განგებ აყვანილი პირნი“, თავისთავად ცხადია, ერთ მოვლენაში არიან დადებითი გმირები, ისინი, რომლებიც „ებრძვიან ცხოვრების ცუდ მოვლინებათა“, ხოლო მეორე შემთხვევაში — უარყოფითი პერსონაჟები, ისინი, რომლებიც „თვით პრყენიან თავისის ცუდის მოქმედებით ცხოვრებას“.

მამასადამე, დადებითი გმირი, როგორც მწერლისა და საზოგადოების იდეალის გამოხატულება, უნდა ემსახურებოდეს დიდ, საერთო-სახალხო საქმეს, ამალელებულ იდეას და ამ საქმის, ამ იდეის შესრულებისათვის ბრძოლაში იჩენდეს გმირულ სულსა და გმირულ ქცევას. პოემაში „მარაბდა“ ანტონ ფურცელაძე ამბობდა: „დიდი საქმე და გმირული ქცევა, ვითა ლამაზი, გინათვენ გზასა“ და ამით კვლავ ხაზს უსვამდა, რომ დადებითი გმირი უნდა იყოს მებრძოლი, დიდი საქმის მსახური და, აუცილებლობის შემთხვევაში, თავს სწირავდეს ხალხის თავისუფლებასა

და ბედნიერებას. ამით აისახება ის განსაკუთრებული ინტერესი, რასაც ანტონ ფურცელაძე იჩენდა გიორგი სააკაძის პიროვნებისადმი. გიორგი ცნობილია, ამ გამოჩენილ ისტორიულ მოღვაწეს მან მიუძღვნა ზუთმოქმედებანი პიესა და ვრცელი მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი, რომლებშიც წინა პლანზე წამოსწია სააკაძის სახელოვანი პატრიოტული საქმეები და დაახასიათა იგი, როგორც უღრეკი მებრძოლი, როგორც აღამიანი, რომელმაც ყველაფერი — შეი-ლი, ოჯახური ბედნიერება და, ბოლოს, საკუთარი სიცოცხლეც კი უყოყმანოდ შესწირა სათაყვანო საქართველოს, მშობლიური ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების დიდ საქმეს. აი ასეთი აღამიანები ხიზლავდა ანტონ ფურცელაძეს, რადიკალ მოაზროვნესა და რევოლუციონერს, აი ასეთი აღამიანები მაინადა დადებითი გმირებად, რომლებიც ხალხს ისევე ესაჭიროებოდა, როგორც პაერი, როგორც წყალი.

უკვე აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ახალი დასკვნა: დადებითი გმირი რამდენადმე მაღლა უნდა იდგეს რიგით, ჩვეულებრივ აღამიანებზე, განირჩეოდეს მათგან როგორც თავისი შეგნებით, ისე გმირული სულითა და გმირული ქცევით, ე. ი. უნდა იყოს მისაბაძი და სამაგალითო, მკითხველში აღძრავდეს მისწრაფებას იყოს ისეთი, როგორც ნაწარმოების დადებითი გმირია. შემთხვევით როდი აცხადებდა ანტონ ფურცელაძე პოემაში „მარაბდა“, რომ „ექვსს გმირს კაცს და დიდებულ საქმეთ, რომ დასკვნოს წინ ხატად, სარკედ და ცხოვრების გზას გაუდგეს გულმხნედ“. ამ უბრალო პოეტურ სტრიქონებში ცხადად ჩანს დადებითი გმირის, როგორც ცნების, შინაარსიც, და მისი, როგორც მხატვრული სახის, აღმზრდელობითი ფუნქცია. დადებითი გმირი — ეს არის გმირი აღამიანი, დიდებულ საქმეს რომ ემსახურება, და რომელსაც მკითხველი ხატად, სარკედ, ე. ი. მისაბაძად მიიჩნევს, რათა შეუცდომლად და გულმხნედ განელოს ცხოვრების ლაბირინთები.

სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი სრულყოფილი ანუ იდეალური დადებითი გმირები არ იყონ სინამდვილეში, ან იყონ, მაგრამ აქა-იქ, კანტი-კუნტად, საზოგადოების საჭიროება კი მოითხოვდეს სწორედ ასეთ დადებით გმირებს. ამ შემთხვევაში, ანტონ ფურცელაძის აზრით, მწერლის წინაშე ორი გზაა: — ერთი, მიმართოს ქვეყნის ისტორიულ წარსულს და იქი-თოს შესაფერისი გმირი თავისი და საზოგადოების იდეალის გადმოსაცემად, ან კიდევ, ტიპიზაციის მომარჯვებით განსაზღვროს ცალკეულ მოწინავე აღამიანთა ცალკეული არსებითი ნიშან-თვისებანი და მათს საფუძველზე შექმნას მხატვრული სახე, რომელიც სამაგალითო იქნება საზოგადოებისათვის. საგულისხმოა, რომ თვითონ ანტონ ფურცელაძემ, როგორც მწერალმა, ორი-დე ეგ გზა გამოსცადა. ამას მოწმობს, ერთი მხრივ, მისი ისტორიული თხზულებანი („დიდი

მოურავი“, „თამარ ღაზნელი“ და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ საკმაოდ ვრცელი მოთხრობა „სამის თავგადასავალი“, რომელშიც გავაცნო მისი თანამედროვე საზოგადოების გადაღლებული საჭიროებანი და ის ახალი გმირი, ის ახალი ადამიანი, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ მომავალში უმკველად განივლიდა. ავტორეცენზიაში, რომელიც „სამის თავგადასავალს“ მიუძღვნა, ანტონ ფურცელაძემ თვითონ განმარტა, რომ ამ მოთხრობის წერისას მიზნად ისახავდა შეექმნა იდეალური დადებითი გმირი, მისაბაძი და სამავალითო იმდროინდელი საზოგადოებისათვის. ჩვენ ვვინებთ, — წერდა იგი ავტორეცენზიაში. „შეუსრულებელი სურათი“, — ავტორის იეს ის არ ჰქონებია მხედველობაში, რომ სეიმონში გამოესახა ჩვენი საზოგადოების აზრი და ლტოლვილება, როგორც ის, რომ საზოგადოებისათვის გამოესახა ზოგიერთი მავალითი“ (კრ. „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ტ. II, 1956 წ., გვ. 31).

გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო იდეისათვის თავდადებული მეტაფიზიკის, ახალი ადამიანის, იდეალური დადებითი გმირის შექმნის პირველი ცდა ქართულ ლიტერატურაში და „სამის თავგადასავლის“ მნიშვნელობაც და მისი ადგილიც ჩვენს მწერლობაში, რა თქმა უნდა, ამით უნდა გაიზომოს და განისაზღვროს. მიუხედავად ამისა, დღემდე ეს ნაწარმოები საეჭებით დაუმსახურებლად ჩრდილში დგას და მას ავტორთან ყურადღებას არ უთმობენ. მართალია, ჩვენ ფურცელაძის შემოქმედების განხილვისას „სამის თავგადასავალს“ იხსენიებენ, მაგრამ ჩვეულებრივ კმაყოფილებიან მისი მხატვრული ნაკლოვანებების აღნუსხვით და იმ უღაო ფაქტზე მითითებით, რომ მწერალმა იგი შექმნა ნ. გ. ჩერნიშევსკის ცნობილი რომანის „რა ვაკეთოთ?“ უშუალო გავლენით და მასში შეეცადა მოეცა ახალი ადამიანების მხატვრული სახეები. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ცოცხალია ის უარყოფითი და უმართებულო შეფასება, რომელიც საერთოდ ანტონ ფურცელაძის შემოქმედებას, კერძოდ კი მის მოთხრობას „სამის თავგადასავალი“ მისცეს გასულ საუკუნეში გიორგი წერეთელმა და ნიკო ნიკოლაძემ. გ. წერეთელი, მავალითად, პატარა შენიშვნაში, რომელიც ანტონ ფურცელაძის ავტორეცენზიას დაუერთო „დროებაში“ (იგი „დროებაში“ რადიკატორი იყო მაშინ, ე. ი. 1867 წ.), ძლიერ ნიჰილისტურად მოეკიდა ამ მოთხრობას და განაცხადა, რომ არა მგონია მას „რაიმე ლიტერატურული ღირსება ჰქონდეს“. რა თქმა უნდა, წმინდა მხატვრული ოსტატობის მხრივ „სამის თავგადასავალი“ შედგირ არ არის, მაგრამ არც ისე სუსტია, რომ მას ყოველგვარი ლიტერატურული ღირსება წაეკრთვით.

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება — „სამის თავგადასავალი“ პირველი ქართული მოთხრობაა, რომელშიც მკითხველმა დაინახა ახალი

დადებითი გმირი, მომავლის ადამიანი და „ზოგიერთი მავალითი“, რომელსაც უნდა მიუხედავად ბოდა იგი სხვა იმდროინდელი ნაწარმოებებისა, გან, რომლებიც ასახავდნენ არა მომავლის, არამედ თანამედროვე ადამიანებს. რა თქმა უნდა, ანტონ ფურცელაძე სრულიად არ უარყოფდა და არ უგულებელყოფდა იმ მხატვრულ თხზულებებს, რომლებიც საზოგადოების დღევანდელ სახეს, დღევანდელ ადამიანებს გამოხატავდნენ. პირიქით, იგი თვლიდა, რომ „ავტორმა უნდა გამოვეცნოს ახალი სინანდელი“ (კრ. „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, 1956 წ., ტ. I, გვ. 31) და თავისი გმირები ამ სინანდელიდან აიღოს, მაგრამ დრო და დრო არა თუ საჭიროდ, აუცილებლად მიიჩნდა ლიტერატურის თვლი მიუყვრო მომავლისათვის და აესახა არა მარტო ის, რაც უკვე არსებობდა, არამედ ისიც, რაც ჯერ კიდევ არ გამოკვეთილია, რაც შექმნისა და დამკვიდრების პროცესშია და რასაც ყოველმხრივი ხელშეწყობა ესაჭიროება. ასეთი ხასიათის ნაწარმოებები იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც საზოგადოების ყურადღებას ამახვილებენ მოვლენებსა და საგნებზე, რომლებსაც თუმცა განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვთ მთელი ხალხის მომავლისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მაინც დაჩრდილული და მივიწყებულია. ამ გვარს წერის აზრს, — შენიშნავდა ანტონ ფურცელაძე ავტორეცენზიაში „შეუსრულებელი სურათი“, — მისდევნენ მრავალნი მწერალნი უგანათლებულესს ქვეყნებშია, როდესაც ჰხედვენ საზოგადოებას რომელსაღმ საქმეში ყურ მიგდებულსა და უნდა ეს საქმე გამოაღვიძონ ამათში, მაშინ ამ გვარს პირთა, რომელთაც ასრულებინებენ ამ საქმესა და ამითი ცდილობენ საზოგადოებაში ამ აზრის ჩათესას. ამავე აზრით დასწერა ამ უკანასკნელს დროს ერთმა გამოჩენილმა რუსის მწერალმა ერთი რომანი (პეტრი გულისხმობს ნ. გ. ჩერნიშევსკის და მის რომანს „რა ვაკეთოთ?“ — შ. ქ.), რომელიც ეხლა ნეტარებით გადადის ხელიდან ხელში“ (კრ. „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ტ. II, 1956 წ., გვ. 31).

დაწერა ასეთი რომანი, ანტონ ფურცელაძის აზრით, დიდი და საპატიო საქმეა, მაგრამ ამასთან მეტისმეტად ძნელი, რამდენადაც ასახავეთვითონ სინამდვილეში მკრთალად, ბუნდობლად ჩანს, შედარებით უცნობია და ყალიბობის, უმადვეთის პროცესში იმყოფება. აქ, რა თქმა უნდა, მარტო ნიჰი არ კმარა. ამ გვარის მწერლისათვის, — წერდა ა. ფურცელაძე, — გარდა ნიჰისა არის საჭირო დიდი სწავლა, კარგად ცოდნა საზოგადოების მდგომარეობისა, მისი საჭიროებებისა და კაცის გულისა და ზნის განვითარებით ცოდნა (იქვე). ეს იმიტომ, რომ თუ კარგად, ყოველმხრივ არ იცნობ საზოგადოებას

და მის მოთხოვნებზე, ადამიანს საერთოდ და მისი ხასიათის განვითარების ტენდენციას, შეიძლება ისეთი საკითხი, ისეთი რამ მიიჩნიო მნიშვნელოვნად და ყურადღების გამახვილების ობიექტად, რომელიც სინამდვილეში არ იმსახურებდეს ამას, არ იყოს ამის ღირსი. არც ის ვარა, რომ ძალიან შორეული მომავლის იდეალი გამოასახო, რომელსაც დღევანდულობაში ფესვები არა აქვს, და „ბევრით მაღლა“ დადგე დროზე. „უკეთუ მწერალი, — შენიშნავდა ანტონ ფურცელაძე სტატიამ „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ“, — თავისი აზრებით შორს მიდის თავის დროების ხალხზედა, მაშინ ეს მწერალი არის თითქმის უსარგებლო იმ დროების ხალხისათვის, რომელშიაც თვითონა სცხოვრობს“ (კრ. „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ტ. II, 1956 წ., გვ. 13).

აქ საყურადღებოა კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი — რეალურ სინამდვილესთან იდეალის, მომავლის ადამიანის მიმართების, მათი შესატყვისობის პრობლემა. ანტონ ფურცელაძეს კარგად ესმოდა, რომ იდეალის, დადებითი გმირის გამოგონება და შეთხზვა, ცოცხალი სინამდვილისაგან მჩაყვეტა არ შეიძლება. გამოგონილი, შეთხზული გმირი უსიცოცხლო, ფერსიკოვადი გამოვა და ვერ მიიზიდვს მკითხველს, ვერ იქონიებს მასზე ზეგავლენას. მომავლის ადამიანი — დადებითი გმირი მაშინ იქნება სისულელო, როცა თვითონ სინამდვილიდან ამოიზრდება და ამ სინამდვილით ისაზრდებს. თავისი მოთხოვნის „სამის თავგადასავალი“ უპირველეს ნაკლად ანტონ ფურცელაძეს სწორედ ის მიანდა, რომ მისი მთავარი გმირი — სვიმონ ბაღლაძე არ იყო ქართული სინამდვილის ღვიძლი შვილი, ქართული ცხოვრებით გამოზრდილი და „უფრო სხვა ხალხის ცხოვრებას“ ეკუთვნოდა. კიდევ მეტი, კრიტიკოსის აზრით, „ჩვენი საზოგადოება იმ გვარს არას წარმოადგენს, რომ ჯერობით სვიმონისთან პირების მოცემა იმას შეეძლოს“ (იქვე, გვ. 28). მეორე მხრივ, იგი შენიშნავდა, რომ სვიმონ ბაღლაძე მაინც არ იყო ფანტაზიის ნაყოფი, სინამდვილისაგან მოწყვეტილი გმირი. ქვე ერთი, მისი მსგავსი პირები იყვნენ სხვა ქვეყნებში, მეორეც, თვით ქართულ სინამდვილეშიც, „თითო ოროლა ყმაწვილებში“ მაინც, ტრიალებდა „სვიმონის აზრი, ლტოლვილება და სურვილი“ (იქვე). ეს, ჩვენი აზრით, საესებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ბელეტრისტს შეეძენა დამჯერებული მხატვრული სახე ახალი ადამიანისა და მისი მეშვეობით გამოეხატა საზოგადოების მომავალი, რომელსაც იგი დღევანდულობაში ჰერეტად. ამიტომ მართებულად არ მიგვაჩნია გიორგი წერეთლის კატეგორიული განცხადება, რომ იმისთანა გმირები, როგორიც ანტონ ფურცელაძემ მოცემა „სამის თავგადასავალი“ში, თით-

ქოს მარტო „ცრუწარმოდგენით თუ გამოიხატება, თორემ მართლად კი ცას ქვეშეთში არ მოიძებნება“ (იქვე, გვ. 27). ვფიქრობთ, სვიმონ ბაღლაძის ხასიათში, მის ლტოლვილებასა და მისწრაფებებში არაფერია შეუძლებელი და განუხორციელებელი, სინამდვილისაგან მოწყვეტილი.

მართლაც, ვინ არის სვიმონ ბაღლაძე, საზოგადოების რა „ზოგიერთი მაგალითის“ გამოსახვას ისახავდა მიზნად ანტონ ფურცელაძე, როცა მის მხატვრულ სახეს ქმნიდა?

თავისი მშობლიური ხალხის, ქართველი საზოგადოების ცხოვრებას რომ უკვირდებოდა, ანტონ ფურცელაძე ხედავდა ბევრ ყმაწვილს, რომლებიც ახალ, მოწინავე იდეებს ვატყობით ეცნობოდნენ, იწონებდნენ და ავრცელებდნენ კიდევაც, მაგრამ უნარი არ შესწევდათ რაიმე ედონათ მათი განხორციელებისათვის, არ იყვნენ მოქმედების, საქმის ადამიანები და პირველივე დაბრკოლებისთანვე ცხოვრების პირველივე შემოტევისთანვე ფარ-ხმალს ყრიდნენ. ამ უუნარობას, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცის უქონლობას (სუბიექტურ-შინაგან ფაქტორს) ემატებოდა საზოგადოების მოუშნადებლობა ბრძოლისათვის, რის გამოც ისინი ვერ პოულობდნენ თანამოაზრეებს და მოკლებული იყვნენ რეალურ მხარდაჭერას (ობიექტურ-გარეგან ფაქტორს). ამის შედეგად რჩებოდა ცარიელი ფრაზა, საქმე კი არსად ჩანდა.

ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა ადამიანის მეტად საინტერესო ტიპი დახატა ანტონ ფურცელაძემ თავის ცნობილ მოთხრობაში „ჩვენებური საქმის ბოლო“ (1873 წ.). ამ მოთხრობის გმირი — სტუდენტი ვასილი შთაგონებულია უტოპიური სოციალიზმის იდეებით და მიიჩნია, რომ ეს იდეები შეიძლება წარმატებით განხორციელდეს საქართველოში. ამისათვის, მისი აზრით, ჩვენს ქვეყანაში იყო ყველა აუცილებელი ობიექტური პირობა: უხვი, მდიდარი ბუნება და გონიერი, გამარჯვებული ხალხი. „შეხედე აბა ჩვენს ბუნებას! — ეუბნება იგი კატოს. — უკეთესი ვანა ღმერთს კიდევ გაუჩენია რამე! ამ ბუნებას უნდა ეხლა მცოდნე ხელი და შემძლებელი ხალხი... რამდენჯანმე რომ დაიწყოს ეს საქმეები, მხოლოდ რამდენჯანმე, რაკი ნახავენ სხვები მაგალითს, ყველანი წაპბაძევენ და ისწავლიან. მაღლობა ღმერთს, ჩვენ ხალხს არც გონება და არც ხალხის არ აკლია, მხოლოდ უნდათ მაგალითის დანახება და ერთხელ კვალში ჩაგდება. მერე ყველაფერი წყალივით და ჩარხებით დატრიალდება“ („ჩვენები ნაწერები“, 1951 წ., გვ. 329-330). არ ჩანდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სთავაზუნი უნდა ჩასდგომოდნენ საქმეს, წინ წაეწიათ იგი, შეექმნათ სასწავლებლები, ამხანაგობები, ბანკები და ხალხისათვის მიეცათ განათლება, მისაბამი მაგალითი. და თუ ასეთი ადამიანები, „მხნე და თავგამოდებული, გუ-

ლისმემატიკიარი მომზადებული კაცები“ გამო-
ჩნდებოდნენ, ე. ი. ობიექტურ პირობებს სუბიე-
ქტური ფაქტორიც მიემატებოდა, მაშინ ვასილს
ეპეი არ ეპარებოდა, რომ ხალხის მთელი ცხოვ-
რება ძირფესვიანად შეიცვლებოდა, აღორძინ-
დებოდა, წინ წავიდოდა, გლეხები თავს დააღწე-
ვნენ სიღარიბეს, უმეცრებას, გახდებოდნენ გა-
ნათლებულნი და დაიმორჩილებდნენ ბუნებას.
ერთი სიტყვით, ყველაფერი წყალივით და ჩა-
ხივით დატრიალდებოდა“. და აი იგი კატის აც-
ნობს თავის გადაწყვეტილებას — მთელი ცოდნა
და ენერგია მოახმაროს სახალხო საქმეს და მო-
უწოდებს მას მხარში ამოუდგეს, ერთად გასწიონ
საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიმე ჰპანან.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ საზოგადოე-
ბამ თავისი შეუფერებლობის გამო ხელი კი არ
შეუწყო ვასილს, პირიქით, გზა დაუხშო და სა-
სო წარუყვება, ხოლო თვითონ ვასილმა, მოკ-
ლებული იყო რა მებრძოლ სულისკვეთებას და
პრაქტიკული საქმიანობის უნარს, ვერავითარი
წინააღმდეგობა ვერ გაუწია საზოგადოებას, სი-
ნგულვითა წინაშე ქედს მოიხარა და მთლიანად
ჩამოშორდა სახალხო საქმეს. „ის შეეჩვია ცარი-
ელს სიტყვებზედ სჯასა და გაასს, ბოლოს გა-
დგეცა ეს იმგვარ ჩვეულებათა, რომ ამაში ხედავ-
და ყოველი საქმის ბოლოსა. სიტყვები ვიხდნენ
ამის ღმერთი“ (იქვე, გვ. 363-364). ეს მთი უფ-
რო სავალალო იყო, რომ ვასილი და მისი ამა-
ნაგები კარგად გრძნობდნენ ცარიელი სიტყვე-
ბის უნაყოფობას და თვითონვე გაიძახოდნენ:

„Нам надо дело! Дело давайте, де-
ла!“ მაგრამ როგორც კი „საქმე მიღებოდა
„ღელოზედ“, რჩებოდნენ ისევ ლაპარაკს“ (იქ-
ვე). ვასილისაგან თითქმის არ განსხვავდება და-
ვითი, მოთხოვრების „მართა“ ერთ-ერთი პერსო-
ნაჲ. დავითიც მოწინავე იღებებს იზიარებს,
გლეხებს პირდება დახმარებას, მაგრამ პრაქტი-
კულად არაფერს აკეთებს, რადგან „საქმეში არ
იყო ისეთი ყოჩაღი, როგორც ენითა. იმას, მართა-
ლია, გული ეწოდა და გულიდან სურდა საქმის
გაკეთება, მაგრამ, რაკი დრო საქმეზედ მიღებო-
და, იმასაც ის დღე აღებოდა, რაც მომეტე-
ბულს ნაწილს ჩვენს ეხლანდელს ნასწავლ ყმა-
ვილკაცობას: იმას აღარა ჰქონდა თვით საქმეზედ
საქმის მოყვანისა“ (იქვე, გვ. 269).

ერთი სიტყვით, როგორც დავითს, ისე ვა-
სილს ძლიერ კარგი, უღარესად კეთილშობილუ-
რი სურვილები ჰქონდა, მაგრამ არც ერთს არ
შესწევდა პრაქტიკული საქმიანობის, ბრძოლის
უნარი და, რა საკვირველია, თუ ისინი ვერ ინა-
რჩნებოდნენ იდგის ერთგულებას და, ბოლოს
და ბოლოს, დაღატობდნენ მას. მაგრამ ეს მარ-
ტო მათი კი არა, იმდროინდელი „ნასწავლი ყმა-
ვილკაცობის მომეტებული ნაწილის“, ე. ი.
უმრავლესობის ნაკლიც იყო, რაც, ცხადია, აფ-
ერხებდა ხალხის ცხოვრების ძირფესვიანად გა-
რღმქმნას. საჭირო იყო ახალგაზრდობას დაეძლია

ეს ნაკლი, ხოლო საზოგადოება გულისკუთრივ
მოჰკიდებოდა თავის უკეთეს შვილებს და ხელი
შეუწყო მათთვის, რითაც კი შეეძლო. აგრეთვე
ნათ დაწერა ანტონ ფურცელაძემ „სამის თავგა-
დასავალი“ და მისი მეშვეობით შეეცადა „სა-
ზოგადოებისათვის გამოესახა ზოგიერთი მაგა-
ლითი“.

რა იყო, მწერლის აზრით, იმის მიზეზი, რომ
ნასწავლი, განათლებული ახალგაზრდობა პირ-
ველი სტრაიონული წინააღმდეგობისთანავე ხელს
იღებდა ხალხის სამსახურზე და ადვილად ეთხო-
ვებოდა სანუკუარ იდეებს?

უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების შეუფ-
ერებლობა. თავისი ჩამორჩენილობის გამო მას არ
შეეძლო წარმოეშვა ახალი, პროგრესული იდე-
ები და ესაზრდოებინა მოწინავე ახალგაზრდო-
ბის გონება. ამიტომ ახალგაზრდობა, რომელიც
ანთებული იყო ხალხის სამსახურის წადილით,
სულიერ საზრდოს უცხოეთში ეძებდა და იქ პო-
ულობდა კიდევაც. მაგრამ ნასესხები იღეო სა-
განულო ვერ იქნება იმ ქვეყანაში, სადაც საზო-
გადოება მთუზადებელია მისი ათვისებისათვის.
ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა,
რომ ჩვენი ნასწავლი ყმაწვილკაცობა ვერ იჩენ-
და აუცილებელ სიმტკიცეს იდეისათვის ბრძო-
ლაში და ხშირად ნებდებოდა გარემოებას.
„ჩვენს ყმაწვილ კაცებს, — წერა ანტონ ფურ-
ცელაძე ავტორიტეტშიაში, — ესმოდათ სჯა და
აზრები საუკეთესო ევროპის მოაზრებებისა,
ჰხედადნენ დაწინაურებული საზოგადოების
ცხარე ლტოლილებასა, და ნება იყო თუ ძალა,
ამათაც, როგორც ყმაწვილი ცხოველი ბუნების
პატრონი, წარიზიდდა და მცირეს შემთხვევაში
მაინც არის. მაგრამ მტკიცეთ ამ აზრების გაყო-
ლა, ამაზედ თავის დადება ჩვენი ყმაწვილებისაგან
თითქმის რომ შეუძლებელია, რათგან თითონ
საზოგადოების აზრი და ლტოლილება კი არ
ზრდის ამით ასრე, რომ ეს აზრები იმათ ძელსა
და რბილში გაუჯდეთ“ (ყრ. „ქართული ლიტე-
რატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ტ. II,
1956 წ., გვ. 28). მეორე მხრივ, იგივე საზოგა-
დოება ახალგაზრდობას არა თუ არ აწვდის მო-
წინავე იდეებს, პირიქით, ბავშვობიდანვე უნერ-
გავს ძველ, დამყაყბულ აზრებს და „ამათ
იდლი ბრძოლა უნდათ, რომ ის ძველი აზრები
საძირკვლიანად აღმოჰფხვრან თავისი ბუნებო-
დამ და ამათს სანაცვლოდ დაამკვიდრონ მტკი-
ცეთ ახალი აზრები“ (იქვე). როგორც ვხედავთ,
ახალგაზრდობის პრაქტიკულ უუნარობაში, ან-
ტონ ფურცელაძის აზრით, უშუალო დამნაშავეა
ჩამორჩენილი, შეუფერებელი საზოგადოება და
ამით იკვრება ჯალდონური წრე: იმისათვის, რომ
ახალგაზრდობა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეს,
საზოგადოება შეგნებულ უნდა იყოს, მაგრამ
საზოგადოება რომ შეგნებული გახდეს, საჭიროა
ახალგაზრდობის პრაქტიკული საქმიანობა.

სად არის გამოსავალი ამ ჯალდონური წრი-

დან? მდგომარეობის გამოსასწორებლად, ანტონ ფურცელაძის აზრით, აუცილებლად არსებობდა როგორც იმპერატორი, ისე სუბიექტური პირობები, ანუ როგორც თვითონ წერს, ახალ-გაზრდა მოღვაწე „უნდა ძალიან ძლიერი ხასიათისა და მხურვალე გულის პატრონი იყოს და ამასთან თვით საზოგადოებაც ამას მცირეც არის, გზას უხსნიდეს“ (იქვე). მაგრამ ამ ორი პირობიდან, ორი საწყისიდან იგი უპირატესობას აძლევს სუბიექტურ ფაქტორს და მიაჩნია, რომ ახალგაზრდობამ უნდა ითავოს საზოგადოების კვალში ჩაგდება, მისი აღზრდა, მისი დაწინაურება. მართალია, პირველ ხანებში ეს მოთხოვნა დიდ სიმტკიცეს და მსხვერპლსაც კი, მაგრამ „შეიწირებულმა მდგომარეობამ არ უნდა შეაშინოს არც ერთი რიგიანი კაცი“ (იქვე, გვ. 30). ვისაც უნდა სულითა და გულით ემსახუროს ხალხს, დაეხმაროს საყოველთაო ბედნიერების გამოქმედებაში, სურვილთან ერთად იმის უნარიც უნდა შესწევდეს, რომ გადაიტანოს დამცირება, ათასგვარი გაჭირვება და, თუ ვითარება მოითხოვს, მსხვერპლადაც შეეწიროს საერთო-სახალხო საქმეს.

სწორედ ეს უნარი, ხასიათის ეს თვისება აქლდათ ვასილს, დავითს და საერთოდ „ნასწავლი ყმაწვილკაცობის მომეტებულს ნაწილს“. უამისოდ კი არავითარი ბრძოლა, საზოგადოების არავითარი გარდაქმნა არ შეიძლება. სემიონ ბაღლაძე ამ მხრივ მართლაც სამაგალითოა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ ნამდვილი ომი გამოუცხადა და გასაქანი არ მისცა, შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე დააყენა და, ბოლოს, დაღუპა კიდევაც, სემიონს ერთი წუთითაც კი არ გამოუჩენია მერყეობა, უკან არ დაუხევია და ხელი არ აუღია იღვაწე, რომელსაც წმინდათა წმინდად თვლიდა. მისი ცხოვრება დიდი იდეური ცხოვრებაა, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასეთი ადამიანები, მართალია, ხშირად იღუპებიან, მაგრამ მათ არ აშინებთ ფიზიკური სიკვდილი, რადგან, როგორც ანტონ ფურცელაძე შენიშნავს თავის ავტორეცენზიაში, „ისინი ხედავენ თავის თავის დაღუპვაში თავის აზრებისა და დაწყობილების შესრულებას; მათ კარგათ იციათ, რომ იქნებამათ თავის სიცოცხლით ისე ვერ მოეყვანათ თავის გულის პასუხი აღსრულებაში, როგორც იმით, რომ ისინი ეწამებოდნენ თავისი მართალის საქმისათვის. ეს კარგათ გამოკვეთული და აწონილი აზრი იმათ აზნევებთ ყოველს შემთხვევაში“ (იქვე).

სემიონის მსგავსი ადამიანებია, დიდი საზოგადო საქმის პიონერებად რომ გამოდიან და თავიანთი მაგალითით შთააგონებენ საზოგადოებას, წინ წყევნენ მას, გარდაქმნიან ცხოვრებას. „უამა-თოდ, — წერდა ანტონ ფურცელაძე, — ხალხის ცხოვრება ბევრით უკეთესი კარ იქნებოდა პირ-უტყვეთ ცხოვრებაზე და არაფერი კაცობრივი

არა გამოიღვიძებდა რა კაცში... ამ გვარი კაცები იშვებიან ხალხებისა და საზოგადოებების გასა-ახლებლათ. ესენი რაკი ერთი დაიწყებენ საქმეს და ჩაჰყრიან თესლსა, — მერე თუმცა ძნელათ თუ როდისმე თვითონვე ნახვენ თავისი დათესილი საქმის ნაყოფს, მაგრამ მაინცა, მაინც ამათი ჩაწნეული თესლი არას დროს არ იკარგება“ (იქვე, გვ. 34). არ იკარგება იმიტომ, რომ მათ უჩნდებათ მიმდევრები, თანამოაზრენი და ისინი, შთაგონებულნი წინაპართა მისაბამი მაგალითით, მხნედ ეგმებიან ბრძოლაში, ამარცხებენ საზოგადოების სიბნელეს და ამკვიდრებენ ნათელს. და თუ ვასილი, დავითი და სხვები ისევე მოიქცევიან, როგორც სემიონ ბაღლაძე, არავითარი დაბრკოლების წინაშე ქედს არ მოიხრიან, მაშინ საერთო საქმეც წინ წავა და საზოგადოება აღიზრდება ახალ, პროგრესულ იდეებზე, რაც ამ იდეების სრული ტრიუმფის მომასწავებელი იქნება.

და სწორედ აი ამ „ზოგიერთი მაგალითისათვის“ შექმნა ანტონ ფურცელაძემ სემიონ ბაღლაძის მხატვრული სახე, მხატვრული სახე დადებითი გმირისა, რომელშიც ჩაქსოვა თავისი საუკეთესო იდეალი და მისწრაფებანი. იგი, ეს დადებითი გმირი, წინსვლისაკენ, დაუთმობრჩელობისაკენ მოუწოდებდა ყველას, ვისაც კი გულით სწადადა ხალხის ბედნიერება, და უჩვენებდა გამძლეობის, ჭირთა თმენის მავალითს. მაგრამ ამავე დროს კრიტიკოსი ანტონ ფურცელაძე მშვენივრად ხედავდა ბელეტრისტ ანტონ ფურცელაძის დადებითი გმირის ერთ მეტად სერიოზულ ნაკლს — თავის გმირს მართო სულიერი ძალა, ხასიათის სიმტკიცე მისცა, მაგრამ ვერ გააქეთებინა დიდი სახალხო საქმე, ვერ მისცა სათანადო სამოქმედო პროგრამა და ასპარეზი. „ის გვიჩვენებს სემიონში, — წერდა ანტონ ფურცელაძე თავის ავტორეცენზიაში, — აზრებისა და ლტოლვების სიმტკიცესა, ხასიათის მოუდრეკელობას, დაუცხრომელს და აწონილს მოქმედებას, წინათვე გონიერულათ მოსაზრულს გზას; მაგრამ თვითონაც კი ვე-ღარა ჰხედავს ბოლოს (ან ვეღარ ახერხებს) გარკვევითა და გამოკვლევით იმ გზასა, რომელზედაც ბოლოს იმისმა მოქმედმა პირმა (სემიონ ბაღლაძემ) უნდა იაროს, უნდა იმოქმედოს... მართალია, ესეც კარგია, მაგალითია ამისთანა მტკიცე ხასიათით კაცის გამოსახვა საზოგადოებისათვის, მაგრამ სემიონისთანა ძლიერი ხასიათის კაცისათვის მარტო ამ წვერილი საქმეების ბრძოლა და აქ თავის გამოჩენა საკმაო არ არის“ (იქვე, გვ. 28, 31). რა თქმა უნდა, აქ თავი იჩინა კრიტიკული რეალიზმის, მწერლის მსოფლმხედველობის შეზღუდულობამ, რამაც საშუალება არ მისცა ავტორს მოვლენა ეჩვენებინა მის განვითარებაში, „გარკვევითა და გამოკვლევით“ დაენახა ცხოვრების, სინამდვილის წამყვანი ტენდენცია. ანტონ ფურცელაძეს ეჭვი

არ ეპარებოდა, რომ სვიმონ ბაღდაძეები უთუ-
ოდ გაჩნდებოდნენ ჩვენს ქვეყანაშიც, მათ აუ-
ცილებლად წარმოშობდა საზოგადოება, მაგრამ
ან არ იცოდა რას ეტყოდნენ ისინი ხალხს, რას
გააკეთებდნენ ხალხის ბედნიერებისათვის, ან
ასე თუ ისე იცოდა, მაგრამ ვერ მოახერხა ამის
თქმა ცნეზურული პირობებისა თუ სხვა გარე-
მოების გამო.

ამ თვალსაზრისით ერთგვარ ნაბიჯს წარმო-
ადგენდა წინ მიშოს მხატვრული სახე მოთხრო-
ბაში „ვაი მართალთა“. თუ სვიმონ ბაღდაძე ან-
ტონ ფურცელაძემ ვერ ჩააბა დიდ სახალხო
საქმეში, ხალხის სოციალური განთავისუფლე-
ბისათვის ბრძოლაში და არსებითად შემოფარ-
გლა ზნეობის, მორალის სფეროთი, მიშო უკვე
თავის სიცოცხლეს ამთავრებს პარიზში კომუნა-
რთა ბარიკადებზე — ტყვეით განგმირული, იგი
ეცემა სახელოვანი კომუნარის დელაკლიუზის
გვერდით. მართალია, მიშოს ეს ნაბიჯი, რო-
გორც სამართლიანად აღნიშნავენ ლიტერატურის
ისტორიკოსები, მოთხრობაში დამაჯერებლად
ვერ არის მოტივირებული, მაგრამ თვით ფაქ-
ტი მისი მონაწილეობისა პარიზის კომუნაში
მრავლისმეტყველია. მწერალმა ამით მკითხვე-
ლებს უთხრა, რომ ქართულმა საზოგადოებამ
უკვე წარმოშვა ხალხის სოციალური განთავი-
სუფლებისათვის, სინამდვილის გარდაქმნისათ-
ვის მებრძოლი ადამიანები. დღეს ისინი უცხო-
ეთში იბრძვიან, მაგრამ ხვალ თუ ზევ სამშობ-

ლოშიც გამოუჩნდებათ სარბიელი და ხალხის
ცხოვრებას შეიცვლება.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკე-
ნათ, რომ ანტონ ფურცელაძემ პირველმა ჩვენს
ლიტერატურულ კრიტიკაში აღძრა დადებითი
გმირის პრობლემა და არა მარტო დაასაბუთა
დადებითი გმირის შექმნის აუცილებლობა, არ-
ამედ ამავე დროს განსაზღვრა მისი შინაარსი და
საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ფუნქცია. და-
დებითი გმირის, კრიტიკოსის აზრით, უნდა უარ-
ეყო არსებული სოციალური სინამდვილე, რო-
გორც ხალხისათვის მიუღებელი, და გასძლიო-
და საზოგადოებას ახალი, სამართლიანი სინამ-
დვილის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, გაუმ-
ჯობესებული და გარდაქმნილი ცხოვრებისაყენ.
ასეთი დადებითი გმირი — იდეური მებრძო-
ლი არ იცოდა მაშინდელმა ლიტერატურამ. სა-
გულისხმოა, რომ მანვე, როგორც მწერალმა,
პირველმა მოგვცა დადებითი გმირები, რომლე-
ბსაც ამოძრავებდათ არა პირადი წყენა და პი-
რადი შურისძიების გრძნობა მტარვალთა მიერ
ჩადენილი ბოროტებისათვის, არამედ ამაღლე-
ბული, ზოგადკაცობრიული იდეა, იდეა ხალხის
ცხოვრების არსებითად, რადიკალურად გარდაქ-
მნისა და ადამიანის პიროვნების განთავისუფლე-
ბისა. ეს ანტონ ფურცელაძის უთუოდ მეტად
მნიშვნელოვანი დამსახურებაა ჩვენს ლიტერა-
ტურულ-ესთეტიკურ აზროვნებასა და მწერლო-
ბაში.



ნელი ზუზუაძე

ქართული ლიტერატურის კლასიკოსი

დავით კლდიაშვილის დაბადების ასი წლისთავის გამო

დიდი ქართველი პროზაიკოსი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე დავით კლდიაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში და გარდაცვალებამდე უნგაროდ ემსახურებოდა მშობლიურ ქართველ ხალხს და ქართულ კულტურას. თავის შემუშავებულ იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სხვა ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად შეძლებისდაგვარად იბრძოდა იმისათვის, რომ „გვექონოდა ქართული გაზეთი, ქართული სკოლა, წიგნი, სტამბა, თეატრი და თუ კიდევ ვწერდით? მე პირადად ვწერდი იმით, რომ გული მტკიოდა და არ შემძლო არ მეწერაო“.

ისევე, როგორც ყველა დროის ყველა კლასიკოსი, დ. კლდიაშვილმაც ხელოვნებას დიდ სოციალურ და ზნეობრივ ფაქტორად თვლიდა. მისი აზრით, მწერალი ცხოვრების რეფორმატორი, ერის წინამძღოლი და აღმზრდელია. „მხატვრულ ნაწარმოებში მთავარია იდეოლოგიური მომენტი და კიდევ უფრო ადამიანი, უამისოდ შემოქმედება მკვდარია“, — აცხადებდა იგი. ადამიანის უკეთესი მერმისათვის ბრძოლის ამ იდეით დ. კლდიაშვილმა განაგრძო ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების შემოქმედებითი ტრადიცია.

საინტერესო და მეტად შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო დავით კლდიაშვილმა. დაიბადა იგი გაღარიბებული აზნაურის სამსონ კლდიაშვილის ოჯახში 1862 წლის 24 აგვისტოს (ძველი სტილით). ქართული ანბანის სიბორო და სიტყვით მომავალ მწერალს დედამ, ეკსარია ლოლობერიძე-კლდიაშვილმა აგრძნობინა. დედა განსაკუთრებით კეთილი და სათნო ჰყოლია დავითს: „მისი წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყ-

ვარულს ეჩვეოდა და სწავლობდაო“, იგონებდა იგი თავის შემუშავებულ. მაგრამ დედის მუყდრო კალთას მალე ჩამოაცალეს ბავშვი. საჭირო იყო სწავლა და მამამ იგი ქუთაისში, ერთი მოხელის ოჯახში მიიბარა. მერე გიმნაზიაში შესასვლელად სამრევლო მოსამზადებელ სკოლაში შეიყვანეს. მალე სხვა ბავშვებთან ერთად პატარა დავითი რუსეთს გაგზავნეს, როგორც ეს წესად იყო მაშინ. მეფის მთავრობა ყოველწლიურად სახელმწიფო ხარჯზე სასწავლებელში გზავნიდა თავდა-აზნაურთა ბავშვებს იმ მიზნით, რათა შემდეგ ისინი ადგილობრივ მოხელეებად და ცარიზმის პოლიტიკის გამტარებლებად გამოსდგომოდა.

ცხრა წლისა იყო დ. კლდიაშვილი, როცა მამამ ფოთში ჩაიყვანა (1872 წლის ივლისში), გემში ჩასვა და, არც კი დაემშვიდობა, ისე გამოეპარა. დავითმა კიევის სამხედრო გიმნაზიაში დაიწყო სწავლა, 1880 წელს კი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გადავიდა. მომავალში მწერალმა ეს სასწავლებელი 1882 წელს დაამთავრა, ოფიცრის ჩინით ჩამოვიდა ბათუმში და დაიწყო სამხედრო სამსახური, რომელიც ოცდაექვს წელიწადს გაგრძელდა და რომელიც დავითმა შეუწერა ზღაპრულ, ნერვულობაში გაატარა. „რა მინდოდა მე ამ რიგებში, რატომ ვხდები მონაწილე ამ საშინელებისა, საზიზღრობისა, ო რა ტანჯვა გამოვიარე“, წერდა იგი შემდგომ თავის შემუშავებულ. მაგრამ ეს წლები უნაყოფო როდი იყო. თვითმპყრობელობის მოძულე და მის წინააღმდეგ ყოველ წელს საბრძოლველად გამზადებული ოფიცერი დ. კლდიაშვილი სულ მუდამ იმას ცდილობდა, რომ მუშეებსა და ჯარისკაცებს დახმარებოდა და მათი მიძიმე ხედრი როგორმე შეემსუბუქებინა. ეს

მისწრაფება შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის მოხელეებს, რომლებიც დავითს საეკეო პიროვნებად თვლიდნენ. და აი, ბოლოს და ბოლოს, მეფის მთავრობამ ანგარიში გაუსწორა დავითს. „გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი საჭიროდ თვლის დ. კლდიაშვილის სამხედრო სამსახურიდან გასვლას“ — ასეთი იყო ბრძანება, რომელიც დავითს ჩააბარეს. ეს იყო 1908 წელი. მეფის მოხელენი რომ უტყურონ არ ყოფილიყვნენ, ოცდაექვსი წლის შემდეგ კი არა, დაუყოვნებლივ უნდა გაეხადათ სამხედრო ფორმა დ. კლდიაშვილისათვის, რომელიც, მართალია, მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების უშუალო მონაწილე არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ სხვა მხრივ, უპირველეს ყოვლისა კი ბელეტრისტიკისა და პუბლიცისტიკის კალმით თავდადებით ებრძოდა უსამართლობას.

დღი საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა გასწავლია დავითმა ჩვენს ქალაქში და თავი გამოიჩინა, როგორც უაღრესად პატიოსანმა საზოგადო მოღვაწემ. ბათუმში ჩამოსვლის დღიდანვე იგი დაუახლოვდა ერთ-ერთი მოწინავე ინტელიგენტის ქეთევან ჟურხულის ოჯახს, რომელიც იმ დროს ლიტერატურულ სალონად ითვლებოდა. აქ იკრებოდნენ ქალაქის ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ გრიგოლ ვოლსკი, ლუკა ასათიანი, ივანე მესხი, ივანე ანდრონიკაშვილი, ნიკო დუმბაძე და სხვები. საინტერესოა დავითის შეტაკება შავრაზმელ პალმისთან, „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორთან. „ვათახსირებული რედაქტორი პალმი უშვერად ილანძვებოდა, ქართველები რომ შეეჭამა, თითქო ეს იყო მისი წაღილი“, მოგვითხრობს დავითი და აი, ერთხელ, როცა პალმის ცილისმწამებლური კორესპონდენცია დაუბეჭდავს ქართველებზე, დავითს ის ტელეფონზე გაულაძმდავს და დუქანში გაუწევია. დუქანი არ შემდგარა, პალმის შეშინებია და ბოდიში მოუხდია. საინტერესო ფაქტია — მეფის ოფიცირის დუელი მეფის მოხელესთან დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ.

დავით კლდიაშვილის უშუალო მონაწილეობით გაიხსნა ბათუმში ქალთა გიმნაზია, აშენდა ელექტროსადგური, მან ჩამოაყალიბა სცენის-მოყვარეთა წრე, კითხულობდა საჯარო ლექციებს და ა. შ. ერთი სიტყვით, ის ყველგან იყო, სადაც კი სახალხო-საზოგადოებრივი სასარგებლო საქმიანობა წარმოებდა. „ყოველთვის ასეთი მასხობა, — იგონებს დავითს სერგო კლდიაშვილი, — იღვიძებს უეცრად, დგება სწრაფად, სულ ჩქარობს, თითქოს ეშინია წუთიც არ დაეკარგოს. არასოდეს მინახავს კაცი ცხოვრებას ასე ძლიერ დახარბებული“. ბათუმის გიმნაზიის მშობელთა კომიტეტის წევრიც ყოფილა დავითი. გიმნაზიის მისწვლელები უჩიოდნენ დესპოტ დირექტორს და მოითხოვდნენ მის გადაყენებას. დავითს მშობელთა კომიტეტის კრება მოუწვევია

და საჭიროდ უყენა უსულგულო ადამიანი და შავრაზმელის თავიდან მოცილება.

ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუციური ჯარის ნაწილებსაც ედებოდა შფოთი. კლასის მღელვარება პოლიტიკურ გაფიცვაში იზრდებოდა და აი 1902 წელს ოფიცერი დავით კლდიაშვილი საბრძოლო დავალებას იღებს — ესროლოს დემონსტრანტებს, მაგრამ მან არ შეასრულა სარდლობის ეს ბრძანება.

დავითი არა მარტო თანაუგრძნობდა მეშებს, არამედ ისე ახლოს ყოფილა მათთან, რომ ერთ-ერთ რევოლუციონერს ფარული სტამბის არსებობაც კი უტყურობდა მისთვის.

1908 წლიდან დავითი ქუთაისშია და მუშაობას იწყებს ქალაქის თვითმმართველობაში. იქ დავითის უშუალო მონაწილეობით გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი, მოეწყო აკადემია და ექვსი იუბილეები. სამ წელს მუშაობდა იგი თვითმმართველობაში, შემდეგ კი შავი ქვის მრეწველთა საბჭოში გადავიდა.

მსოფლიო ომის დროს დ. კლდიაშვილი მოქმედ არმიაში გაიწვიეს. ჯერ ახალსენაკში მდგარი თავისი რაზმით, შემდეგ პირონიტში — ლახსიტანში, ხოვან გადაღმა და აი 1917 წელიც. ქუთაისში მყოფმა დავითმა შეიტყო სასიხარულო ამბავი — რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა. კიდევ რამდენიმე წელი და საბჭოთა ხელისუფლება საქართველოშიც დამყარდა. დავითი საბოლოოდ მშობლიურ სოფელს სიმონეთს შეეხიზნა, ახალი თემებითა და პერსონალებით გააძლიერა თავისი შემოქმედება. მრავალ ჭირგადახდილი მსტოვანი მწერალი გარდაიცვალა 1931 წლის 24 აპრილს დღის 12 საათზე. მდლიერმა ქართველმა ხალხმა იგი დიდი პატივით დაკრძალა მთაწმინდის პანთეონში.

პირველი მოთხრობა დავითს მეორე კლასში სწავლისას დაუწერია. მისი გმირი თურმე სულ სისხლში ცურავდა და კვლავ სისხლი სწყუროდა. აღმზრდელმა გადაიკითხა, დაუწერა, დაანებე თავი, სისულელეაო. დაუწერა. წერა მიატოვა. კითხვას დაეწაფა. მეორე თარგმანს მიჰყო ხელი — ნიკო ლომოურის „ალი“ გადაუთარგმნია რუსულად, მაგრამ არ დაუბეჭდავთ, დაუჭერებელი ამბავიო. აქაც მარცხი. მაგრამ დავითს გული არ გასტეხია. გამოსცა პატარა ხელნაწერი ჟურნალი, ამხანაგებიც წამოეშველნენ. გავიდა წლები, სწავლა სამსახურმა შეცვალა. და აი 1885 წელს ჟურნალ „თეატრში“ პირველად დაიბეჭდა დ. კლდიაშვილის თარგმანი.

კიდევ ერთი მარცხი — შაბათი დღეა, მეგობრები გრიგოლ ვოლსკი, ალექსანდრე ბაზაძე და დავითი ერთმანეთს უკითხავენ თავიანთ ნაწარმებებზე. ჯერი დავითზე მიდგა. კითხულობს, მეგობრებიც უსმენენ, მაგრამ არცთუ სიამოვნებით. პაუზა. დათიგო, შენ კორესპონდენციას წერ თუ მოთხრობას? — ეტყუნება ვოლსკი. შენიშვნა სამართლიანი ყოფილა. ორი წლის შემდეგ

კი ამ უშნო კორესპონდენციიდან წარმოიშვა ორი მოთხრობა „შერისხვა“ და „მსხვერპლი“. ეს იყო 1893 წელს და მის შემდეგ წარმატებებს ბოლო არ უჩანდა. ასე უბრალოდ და ხშირად მარცხით იწყება ხოლმე დიდი საქმე.

დავით კლდიაშვილის მთელი შემოქმედება ადამიანის სიყვარულითა და რწმენითაა შთაბრუნებული. კითხულობთ მის თხზულებებს და რწმუნდებით, რომ მწერალმა საკუთარი გული, ადამიანის სიყვარულით სავსე დიდი გული დაუბნებლად გაუნაწილა კაცის. ფეფენას, მიქელას, სოლომანს, პლატონს, დარისპანს, კაროენას და სხვებს, რომლებსაც მუხთალი ცხოვრება თელავდა და სულიერად აღატყვებდა. თავისი მხატვრული ნაწერებით დ. კლდიაშვილმა ვაბე-ღულად ამხილა კაპიტალისტური სინამდვილე და ხაზგასმით მიუთითა; რომ ადამიანთა უბედურებას ღრმა სოციალური საფუძველი ჰქონდა. ეს ადამიანები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში გლახებიც არიან, აზნაურებიც, თავადებიც და თვითმპყრობელობის მოხელე-ჩინოვნიც. მწერალი მოკლედებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირში განიხილავდა და საგულისხმო დასკვნას აკეთებდა — როგორიცაა ცხოვრება, ისეთია ადამიანიც; აი ამიტომ კაპიტალისტური წყობილებისაგან გათელილი ადამიანებისადმი იგი ღრმა სიბრალულს იჩენდა. მას თითქმის ერთნაირად ებრალებოდა ეგვიპტის შემპყრობელი და ცრურწმენით გონებაბანებული გლეხი და სილარიბისაგან წელში გაწყვეტილი, მაგრამ მაინც კლდბაჟია აზნაური. მწერალი ცხადად გვიჩვენებს, რომ ადამიანები უარყოფითი და ცუდები არიან არა იმიტომ, რომ ასეთი დაბადენი. თუ ადამიანი უარყოფითია, უარყოფითია იმიტომ, რომ თვითონ ცხოვრება მოუწესრიგებელი და უსამართლო.

ადამიანის ცუდი ხასიათისა და ქცევის საფუძველი რომ თვით ცხოვრება იყო, ეს მკაფიოდ ჩანს დავითის მთელ შემოქმედებაში, მაგრამ ამაჟერად მწერლის კერძო ბარათს დავიმოწმებთ. ერთ-ერთ სკოლას განუზრახავს მოთხრობის „მსხვერპლი“ ინსცენირება და ავტორისათვის რჩევა-კონსულტაცია უთხოვია. დავითი უბასუხებს: „ალაპარაკეთ ფეფენა არა როგორც მტარვლი, არამედ როგორც თავად მსხვერპლი ბნელი, გაწვალებული ცხოვრებისა, მსხვერპლი დატანებული, გაკაყებული. ერთი სიტყვით იმის მოთხოვნილი ვიქნები, რომ მხავრელი ცხოვრება იქნეს გამოსახული და ის რომ მსხვერპლად ეწირება ადამიანი. ერიდეთ გამოსახოთ ზოგნი მსხვერპლად და ზოგნი მტარვლებად. ყველანი მსხვერპლად ეწირებიან შვებნელ ცხოვრებას, რომლის გაშუქების, განათების, განკურნებისთვის უნდა ვზრუნავდეთ“. აჰ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ისედაც შესანიშნავად ჩანს იმ მხანის, რომელიც გზას უნათებდა ჩვენს სასიქაულოდ მწერალს. ცხოვრების გარდაქმნა,

ვაუტგობესება, აი, დავით კლდიაშვილის მთელი შემოქმედების წამყვანი იდეა.

თავის მოთხოვნებსა და პიესებში დავითი მოუტყია არც ერთი დადებითი ტიპი. ისინი მხოლოდ უარყოფითი ტიპთა გალერეას წარმოგვიდგენენ და თითქმის ვერ ვხედავთ მათ წინააღმდეგ მებრძოლ სახე-ტიპებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ მწერალი გამოდიოდა მამნდვილი სოციალური გარემოს ბრალმდებლის როლში, თვითონ გამოხატავდა ეპოქის მოწინავე იდეებს, საზოგადოების განვითარების პროგრესულ ტენდენციას. გამოხატავდა იმით, რომ გმობდა და კიცხავდა უსამართლო ცხოვრებას და ადამიანთა მანკიერებას.

დავით კლდიაშვილი პლასტიკური სიხადით ხედავდა თავის გმირებს, შესანიშნავად გრძნობდა იმ უხერხულსა და კომიკურ სიტუაციებს, რომლებშიც მოექცნენ ისინი. მაგრამ მისი ნიჟის ყველაზე თვალსაჩინო თავისებურება ისაა, რომ იგი გრძნობდა არა მარტო მდგომარეობათა კომიქსს, არამედ პერსონაჟების ტრაგიზმსაც. ცხოვრების სბრალამ, ექსპლოატატორული ფორმაიისათვის დამახასიათებელმა მძაფრმა შინაგანმა წინააღმდეგობებმა ადამიანები დააყენეს ტრაგიკული კოლოზის პირისპირ, კაცია საგუნაშვილი იქნება იგი თუ მიქელ გიორგაძე, ფეფენა თუ პლატონ სამანიშვილი, სოლომან მობრელაძე თუ სხვები.

აი, კაცია საგუნაშვილი, რომელიც კერძო საკუთრების სიყვარულმა ისე დააბრმავა, რომ დაუპირისპირდა სოფელს, ხალხს და საზოგადოებრივ ინტერესებზე მალა პირადული, ეიწრო-ეგვიპტური ზრახვები დააყენა. ეს არც საკვირველია — იგი ისეთ სოციალურ გარემოში აღიზარდა, სადაც თვითეულ ადამიანს მეორე შესაძლო მტრად მიაჩნდა. მას ღმერთზე უფრო ადამიანებისა ეშინოდა. ის მარტოღმარტო იყო და ცხოვრების მწარე გამოცდილებით იცოდა, რომ ყოველი მხრადმ მტრები ეყრა და ყველა ერთმანეთს მტრობდა. ერთის წინსვლა გარდუვალად გულისხმობდა მეორის დაცემას. ასეთია ცხოვრების წესი კაპიტალისტური წყობილების დროს. ამდენად კაცია თავის დროის ღვიძლი შვილია. ბურჟუაზიული საზოგადოების საყოველთაოდ ცნობილი კანონმა — „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ მასში გამოიმუშავა და მტკიცედ დაამკვიდრა ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი. ბოლოს, იგი იქამდე მივიდა, რომ საჭარად თავფურთხა ხატს, დაგმო ღმერთი, ის, რასაც თავის სცემდა, მაგრამ ამით რწმენა როდი შეიკავლა. იგი ხატის მონა იყო და ასეთად დარჩა, რასაც გადაჰყვა კიდევაც.

ტრაგიკული კოლოზის წინაშე აღმოჩნდა სოლომან მობრელაძეც. ის ან უნდა დაიღუპოს, ან იპოვოს კაპიტალისტურ ცხოვრებასთან შეგუების რაიმე ფორმა. შიმშილით სიკვდილს რომ თავი დააღწიოს, მან მამულობას მიჰყო ხელი და

კომიუტორ სიტუაციის ალმოჩინდა, მაგრამ მისი მდგომარეობა ტრაგიკულია. „კუჭი მიხმება, ყმაწვილო, კუჭი მიხმება, იმედი რას მომეშველება, ეს არის ვკვდები კაციო“. მოთქვამს სოლომანი და არ შეიძლება არ შეგებრალთ ეს გზაიდენილი, გაცულლუტებული ადამიანი. დავით კლდიაშვილი ამხილებს სოლომანის მსგავს ადამიანებს, მაგრამ თან გულს ტყენს ამ ადამიანთა ყოფა და ნაღვლიანი ღიმილით შესცქერის მათ ახირებულობას. დიდმა ჰუმანისტმა მწერალმა უშუალოდ იგრძნო გუდამშეირი აზნაურობის სულიერი მოღლილობა, ისტორიული განწირულება.

სოლომანისაგან განსხვავებით პლატონ სამაწნიშვილმა ცხოვრების წინააღმდეგობათა გაღალახავად გადაწყვიტა პატიოსანი შრომის გზას დასდგომოდა და თოხს ჩასჭიდა ორივე ხელი, იმ თოხს, რომელიც მამამისისთვისაც — ბეკინა სამანიშვილისთვისაც კი უტხო იყო, მაგრამ მაინც მარცხი განიცადა. ერთი ზედმეტი წვერის გაჩენამ აზნაურული დაშლილი ბუდე მიწაზე დაანარცხა.

სხვაგვარად წარმოართა აზნაურ ოტია ქამუშაძის ცხოვრება. იგი იძულებულია გამოეთხოვოს თავის აზნაურულ ბუდეს და ქალაქს შეეხიზნოს. საკუთარი სამუშაო ძალის ანაბრად ღარჩენილი ოტია ქამუშაძე სოფლიდან გაიქცა და ქალაქის განაპირას ქოზი ჩადგა, შიგ ჩასახლდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ აზნაური ოტია მომავალი პროლეტარია. მის ადგილს კი სოფელში გამდიდრებული გლეხი სამადაძე იკერს. ეს იყო სოფლის კაპიტალიზაციის პირდაპირი შედეგი.

დავითის გმირები, ჩვეულებრივ, კალაპოტიდან ამოვარდნილი ადამიანები არიან. ყველა ისინი თავისებურად ცდილობენ თავი დააღწიონ გამოუვალობის ტრაგიკულ შეგნებას, დამალონ ის ღრმა სულიერი ტკივილები, რომლებიც ცხოვრებამ მიაყენა მათ და თავიანთ დამცირებას ჩქმალავენ უღარდელი ხუმრობით. ამის ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია კირილე მიმინოშვილის დიალოგი პლატონთან, როცა ეს უკანასკნელი უშვილო საღვინაეცლოს საძებრად გაე-

შურა: „ძმობას გეფიცები, არაფრის გულისხმის არ დაგცილები, ეძებნოთ პლატონ, ვეძებნოთ... ხა... ხა... ჩემს ღელში ამგვარ უცხო სხეულს მეზე არ მიეღია და აქედან ვიცი, რომ სხეული გასართობი ამბები მოგველის... რამდენ დღეა ბერს სანატრელს გავუხდით უშვილოდ ყოფნას... ერთი ჩხუბი და ცილობა აუტყნოთ ერთმანეთში საწყალ დედაბრებს, უსათუოდ არ შეიძლება უამისობა...“ ამ ხუმრობის მიღმა დ. კლდიაშვილმა დაგვანახა ცხოვრებისაგან გათელილი ადამიანების სევდიანი თვალები და შეუთრაცხუფილი გული. ამჟამა მისი დიდი ოსტატობაც. განა გაწამებული კაცი არ გვესაუბრება დარისპანის სახით, როცა ის პელაგის ძალდატანებული დაბეჯითებით აცნობს თავის ბედნიერ სვეს, მაშინ როცა სიცოცხლე გამწარებული აქვს?

უასღაუღებელი ღვაწლი დასდო დავით კლდიაშვილმა ქართულ ღრამატურაგას. მისი პიესები „დარისპანის ვასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“ და „უბედურება“ ძვირფასი შენაძენია თეატრალური ხელოვნებისა, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ შექმნის დღიდანვე ისინი არ შორდებიან ქართულ სცენას. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ შეუძრულებიათ ისი მისია, რაც ისტორიულად აკისრიათ. დავითის სიცოცხლეში ქართულ თეატრში არ იყო ფსიქოლოგიური ჟანრის პიესების განხორციელების ტრადიცია და მათში პირველმა დამდგმელებმა დაინახეს მხოლოდ კომიზმი, ვერ იგრძნეს ტრაგიკული ნოტები. უამისოდ კი დავითის პიესები კარგავენ ფსიქოლოგიურსა და ფილოსოფიურ სიღრმეს. სამწუხაროდ, ეს რეციდივი საგრძნობია დღესაც.

დავითის ბოლოსიტყვაა ბრწყინვალე მემორები — „ჩემი ცხოვრების გზაზე“ და მოთხრობები „შუა ცეცხლის პირად“ და „კიმოთე მეშველიძე“.

თავისი დიდი ჰუმანისტური იდეებით, უზადო მხატვრული შემოქმედებით, პატიოსანი საზოგადოებრივი მოღვაწეობით დავით კლდიაშვილმა ხელთუქმნელი ძეგლი აიგო ერის გულში და თავის შემოქმედებასთან ერთად მარად უკვდავი ღარჩება.



• გვიგონი ბაბილონი

დიდი განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე

მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავის გამო

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს XIX საუკუნის დიდი აზერბაიჯანელი განმანათლებლის, ფილოსოფოს-მატერიალისტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავს.

მ. ფ. ახუნდოვი იყო თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებლესი ადამიანი, დიდი პატრიოტი, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავდა აზერბაიჯანული კულტურის, ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარებისათვის, მშობლიური ხალხის ცხოვრების რადიკალურად გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის. მას მიაჩნდა, რომ პატრიოტი შეიძლება ეწოდოს იმ ადამიანს, ვინც სამშობლოსა და მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის მსხვერპლად გაიღებს თავის ჯიშსა და სიცოცხლეს, ვინც მთელ ცოდნასა და ენერგიას უანგაროდ მოახმარს მამულის კეთილდღეობასა და წინსვლას. სამშობლო, ამბობდა იგი, ადამიანისათვის ყველაფერია; ყველაზე ძვირფასი და წმინდაა, რაც კი შეიძლება გააჩნდეს მას. მაგრამ პატრიოტიზმა როდი ნიშნავს სხვა ხალხების სიძულვილს. ვისაც სამშობლო წრფელი გულით უყვარს, მას უნდა უყვარდეს მთელი კაცობრიობაც. ზრუნავდეს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის. ასეთი პატრიოტიზმის შესანიშნავ ნიმუშს თვითონ ახუნდოვის მოღვაწეობა წარმოადგენდა. უსაზღვროდ უყვარდა რა თავისი სამშობლო და ხალხი, იგი ამავე დროს დაუღალავად ებრძოდა თურქ და ირანულ რეაქციონერებს, რომლებიც ვაფორებდნენ ევროპულ-მედიკრატორულ აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობას რუსეთის იმპერიის ხალხებთან, უპირველეს ყოვლისა კი დიდ რუს ხალხთან მისი ძმური კავშირის განმტკიცებას.

აღიზარდა რა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მოწინავე იდეებზე, მირზა ფათალი ახუნდოვმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აზერბაიჯანელი ლიტერატურა და მეცნიერება ჩაეყენებინა ხალხის საშინაო შიშში, რომ მათ გამოეხატათ ხალხის ინტერესები. კერძოდ, რუსული ლიტერატურის შესანიშნავი გამოცდილებისა და უმდიდრესი ტრადიციების გამოყენებით მან საფუძველი ჩაუყარა ახალ აზერბაიჯანულ ლიტერატურას, რომელიც თავისი მახვილით მმართველი იყო ფეოდალური ჩაგვრის, პიროვნების დამონებისა და რელიგიის წინააღმდეგ. მან შექმნა აზერბაიჯანული ლიტერატურული ენა, გაწმინდა იგი არაბული და სპარსული მინარევებისაგან. სამაგიეროდ მასში შეიტანა საერთოევროპული და რუსული სამეცნიერო ტერმინები, რითაც ხელი შეუწყო აზერბაიჯანული კულტურის, ლიტერატურისა და მეცნიერების წინსვლას. მანვე დიდი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანული ენის ორთოგრაფიის მოწესრიგებაში.

მ. ფ. ახუნდოვი აზერბაიჯანული დრამატურგიისა და თეატრის ფუძემდებელია. მისი ნაწერები დიდი პოპულარობით სარგებლობდა და უცხო ენებზეც ითარგმნებოდა. ზოგიერთი მისი თხზულება ქართულ ენაზეც ითარგმნა. სხვებთან ერთად მის ლიტერატურულ მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსი აკაკი წერეთელიც, რომელმაც სიყვარულით თარგმნა ახუნდოვის ცნობილი პიესა „ხანის ვეზირი“. განიხილავდა რა ახუნდოვის შემოქმედებას, დიდი აკაკი წერდი: „ახუნდოვის პიესები ნიჭიერად არიან დაწერილი და ისე ნათლადაა გვიხატავენ ჩვენებურ თათრების ცხოვრებას, როგორც სარკეში ჩასახულს რასმე — და ის სიტყვებისა და ცრუ აზრების გაზვიადებული ბრაზაბრუნები, რომელსაც ჩვენში, სამ-

წუხაროდ, ჯერ კიდევ ფასი აქვს, მის ნაწერებში არსად მოსჩანს“ (თხზ., ტ. VI, 1957 წ., გვ. 267). როგორც განმანათლებელი, მ. ფ. ახუნდოვი თვლიდა, რომ ერის, სახელმწიფოს ძლიერება დიდად არის დამოკიდებული ხალხის განათლებაზე, ცოდნით მისი შეიარაღების ხარისხზე. მხოლოდ მეცნიერული ცოდნა იხსნის ხალხს დაბნეულობისა და შეცდომებისაგან, ამბობდა იგი და მოითხოვდა, რომ განათლება დაქვემდებარებული მასების ინტერესებს. მაგრამ ახუნდოვი ამავე დროს საუკებში სწორად შენიშნავდა, რომ ეს შეუძლებელი იყო მაშინდელი წყობილების პირობებში და ხალხში ნამდვილი და ფართო განათლების გავრცელება უფრო მომავლისა. საქმედ ესახებოდა, როცა დაემხო ბოლო უსაპართლო საზოგადოებრივი წყობილება.

მ. ფ. ახუნდოვს თვალსაჩინო ადგილი უკავია აზერბაიჯანული პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორიაში. იგი იყო ახალი, პროგრესული პედაგოგიური იდეების, რუსული და დასავლეთევროპული მოწინავე პედაგოგიურ შეხედულებათა დაუღალავი პროპაგანდისტი, ძველი, სქოლასტიკური სკოლისა და სწავლა-აღზრდის სისტემის წინააღმდეგ შეუირებელი მებრძოლი, საერო სკოლის მომხრე და ენერგიული დამცველი. აღზრდისა და განათლების საკითხებს ახუნდოვი განიხილავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში და აღზრდა მიაჩნდა არა თვითმზნად, არამედ აღამიანის სულიერი ფორმირებისა და საზოგადოების გარდასაქმნელად მისი მომზადების მნიშვნელოვან ფაქტორად.

მართალია, მ. ფ. ახუნდოვს არ დაუტოვებია სპეციალური პედაგოგიური ნაშრომები, მაგრამ ცალკეულ ლიტერატურულ თხზულებებში, სტატიებში და მეგობრებისათვის ვახანგილ წერილებში საკმაო სიკხადითა და სრულად გააშუქა პედაგოგიის თითქმის ყველა ძირითადი საკითხი და შეიმუშავა სწავლა-აღზრდის მწყობრი სისტემა.

აღზრდის მიზნად ახუნდოვს მიაჩნდა შეგნებული და მამაცი მებრძოლი მოქალაქის მოზადება, მოქალაქისა, რომელსაც უსაზღვროდ ეყვარებოდა სამშობლო და რომელიც შეიარაღებული იქნებოდა მეცნიერული ცოდნით. მას უნდა ჰქონოდა საუკეთესო მორალური თვისებები: შრომის სიყვარული, მშრომელი ადამიანისა და მშრომელი კაცობრიობის პატივისცემა, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობა. იგი უნდა ყოფილიყო ღრმად იდეური ადამიანი, უღრესად პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის, თავისიანი მოქალაქე და კოლექტივის, ხალხის ინტერესები ყოველთვის უფრო მაღლა დაეყენებინა, ვიდრე ვიწროპირადული.

სწავლა-აღზრდის სისტემაში ახუნდოვი მთავარ ადგილს უთმობდა გონებრივ აღზრდას, რომლის ძირითად პირობად ელემენტარულ ცოდნას თვლიდა. ამიტომაც მოითხოვდა იგი წერა-

კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას, სწავლებაში ორივე სქესის ახალგაზრდობის ჩაბმას, საყოველთაო პირველადწყებითი სწავლებას, ხორციელებას და საერო სკოლების ქსელის გაფართოებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამავე დროს ახუნდოვი მეცნიერულად ასაბუთებდა, რომ აზერბაიჯანელი ბავშვები, ისევე როგორც ყველა სხვა ერისა, მეცნიერების საფუძვლებს უნდა დაუფლებოდნენ თავიანთ მშობლიურ ენაზე. მას არანორმალურად მიაჩნდა, რომ სკოლებში დევნიდნენ აზერბაიჯანულ ენას და სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, ხოლო მექთებში — არაბულ და სპარსულ ენებზე. გადაჭრით იბრძოდა რა რუსულ ენაზე სწავლების წინააღმდეგ, ახუნდოვი ამასთან ერთად იყო რუსული ენისა და ლიტერატურის დიდი თავყენისმცემელი, საფუძვლიანად შეისწავლა იგი, ეწეოდა რუსული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებულ პროპაგანდას თანამემამულეთა შორის, მოითხოვდა რუსული ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას აზერბაიჯანულ სკოლებში და მიუთითებდა, რომ დიდი რუსი ხალხის ენის შესწავლა ხელს შეუწყობდა აზერბაიჯანელი ხალხის კულტურული დონის ამაღლებას.

ასევე არაბუნებრივად, სახალხო განათლების ერთ-ერთ მუხრუჭად მიიჩნევდა ახუნდოვი აზერბაიჯანული წერა-კითხვის სწავლებას არაბული ალფაბეტით. ამიტომაც იგი დაბეჯითებით მოითხოვდა მის შეცვლას ახალი ალფაბეტით. 1873 წელს რუსული ალფაბეტის საფუძველზე თვითონ ახუნდოვმა შეადგინა ახალი, ხალხისათვის იოლი და უფრო მისაწვდომი ალფაბეტი, რაც დიდ სიახლეს წარმოადგენდა დიდაქტიკის დარგში მთელ მუსლიმანურ აღმოსავლეთში. მაშინ, როცა რთული, ასათვისებლად ძნელი არაბული ალფაბეტით წერა-კითხვის შესწავლისათვის საკმარისი იყო წლები, ახუნდოვის ალფაბეტით იგი შეისწავლებოდა ერთ თვეში. დიდი განაანათლებელი ამ ღონისძიების თვლიდა აგრეთვე საყოველთაო სწავლების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად.

ძველი, არაბული ალფაბეტის უარყოფა პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიებასაც წარმოადგენდა, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგებოდა მუსლიმანური სამღვდლოების სასიოცხოლო ინტერესებს და ისლამის რელიგიის თვით საფუძვლების შერყევას მოასწავებდა. ამიტომაც მუსლიმანური სამღვდლოება და იმ დროის სხვა რეაქციონერები ცეცხლითა და მახვილით შეხედნენ ახუნდოვის რეფორმას, ამის გამო იგი წერდა: თუ ჩემი განზრახვა განხორციელდება, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი ალფაბეტი ასი წლის შემდეგ საპატიო ადგილს დაიკავებს აღმოსავლურ ლიტერატურაში და მასზე დაიწერება ახალი თხზულებანი.

ახუნდოვის წინასწარხედვა გამართლდა. მისი ოცნება განხორციელდა საბჭოთა აზერბაიჯანში.

მ. ფ. ახუნდოვის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა, რომ მან დამუშავა სასწავლო გეგმები და პროგრამები, რითაც განსაზღვრა სწავლების შინაარსი აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში. აღსანიშნავია, რომ ახუნდოვმა სწავლების კურსიდან მთლიანად ამოიღო რელიგია. იგი ყველაზე თანმიმდევრით ათეისტი იყო მთელ მუსლიმანურ აღმოსავლეთში და რელიგიას თვლიდა ჩაგვრისა და ძალმომრეობის წყაროდ. რელიგია, ამბობდა იგი, აღამიანს ამახინჩებს როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივად. სქოლასტიკა და რელიგია შეუთავსებელია მეცნიერებასთან და ყველა რელიგია მოგონილიაო. 1280 წელი ჩვენ ვიცხოვრობთ სარწმუნოებით და ჩვენი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ესინჯოთ, რამდენიმე ხანი ვიცხოვრობთ სარწმუნოების გარეშე, მეცნიერებით, ფილოსოფიით და ენახოთ, როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა: გაუმჯობესდება თუ არა იგი, წერდა დიდი აზერბაიჯანელი განმანათლებელი.

ამიტომ იყო, რომ მ. ფ. ახუნდოვი მკაცრად აკრიტიკებდა მუსლიმანურ რელიგიურ სკოლას, რომელიც „ახალგაზრდებს თავს უტენიდა ცრურწმენითა და ფანატიზმით“, და ეწეოდა დასავლეთეფერობული რეალური განათლების პროპაგანდას, მხოლოდ არ მოსწონდა, რომ ევროპულ სკოლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გვერდით ასწავლიდნენ რელიგიას. რუსი განმანათლებლების—სამოციანელების მსგავსად, ახუნდოვი პირველ ადგილს სწავლებაში უთმობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, შემდეგ — მათემატიკასა და გეოგრაფიას. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა აგრეთვე ისტორიის, ლიტერატურის, ფილოსოფიისა და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების უდიდეს საზოგადოებრივ-აღმზრდელობით მნიშვნელობას. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შესწავლა, ახუნდოვის აზრით, ახალგაზრდობას უდიდეს ინტერესს პოლიტიკის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებისადმი, ხოლო ეს,

თავის მხრივ, ხელს უწყობს ხალხის შეკავშირებასა და გაერთიანებას.

თავის სასწავლო გეგმებში ახუნდოვი თვალსაჩინო ადგილს უთმობდა შრომის სწავლებას, ფიზიკურ აღზრდას, ტანვარჯიშს და სამხედრო საგნების შესწავლას, აგრეთვე გალობას, ხატვასა და ცეკვებს.

მ. ფ. ახუნდოვი დაულაღადავ ზრუნავდა საერთო სკოლების უზრუნველყოფისათვის სათანადო სახელმძღვანელოებით. საგულისხმოა, რომ მან შეადგინა აზერბაიჯანული ენის ახალი სახელმძღვანელო, რომელიც შეესაბამებოდა მეცნიერული პედაგოგიკის მოთხოვნებს. უყურადღებოდ არ დაუტოვებია ახუნდოვს არც სწავლების მეთოდისა და დიდაქტიკის საკითხები. წინააღმდეგ სქოლასტიკური სწავლებისა, იგი მოითხოვდა ვარჯიშის, ცდების, ექსპერსიების, თვალსაჩინოების გამოყენებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, სისტემატურობასა და თანმიმდევრობას სწავლებაში და ა. შ.

მ. ფ. ახუნდოვი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საკითხებს. ზნეობრივი აღზრდის საფუძვლად მას მიაჩნდა ბრძოლა შუასაუკუნეობრივი ფანატიზმის, ასკეტიზმის, უხეშობის, ეგოიზმის, სიზარმაცისა და პარაზიტუზმის წინააღმდეგ. მისი აზრით, ზნეობრივი აღზრდის მთავარი ამოცანა უნდა იყოს პატრიოტიზმის გრძნობის განვითარება მოსწავლეებში.

მ. ფ. ახუნდოვის მრავალფეროვან შემოქმედებაში მთავარი იყო თანმიმდევრული დაუცხრომელი ბრძოლა ყოველივე პროგრესულისა და მოწინავესათვის მეცნიერული, საზოგადოებრივი და პედაგოგიური აზრის განვითარებაში. ახუნდოვის მდიდარ ლიტერატურულ და პედაგოგიურ მემკვიდრეობას თვალსაჩინო ადგილი უკავია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ლიტერატურისა და პედაგოგიური აზროვნების საგანძურში.



პასილ კიკნაძე

საბჭოთა თეაზრის სიამაყე

კ. მარჯანიშვილის დაბადების 90 წლისთავის ბაზო

კ. მარჯანიშვილი მთელი მოვლენა იყო ქართულ თეატრში. მან დაგვანახა სინთეტური თეატრის მშვენიერება. მან მოიტანა დაუცხრომელი ძიებისა და გატაცების, მშფოთვარებისა და შემოქმედებითი ენთუზიაზმის ხანა ქართულ თეატრში. იგი გახდა ჩვენი ეროვნული სახიობის განმაახლებელი და ქართული საბჭოთა თეატრის რეფორმატორი.

ამიტომ, რომ მარჯანიშვილის სახელს მოკრძალებით ინახავს ჩვენი ხალხი. თაობიდან თაობას გადასდევს მისი ხსოვნა და დიდება. მას შეეძლო ამაყად ეთქვა ანაქსაგორას ლექსის სტრიქონი:

მე ქვეყნად მოვედი მზის სანახავად.

და მართლაც, იგი მზესავით მნათი და ჩაუქრალი იყო. როცა აღენთებოდა, მზის — სიკეთისა და სინათლის ამ სიმბოლურ სახეში ჩანდა მთელი მისი შემოქმედელი. ძალიან უყვარდა მას ეს სინათლე და მცხუნვარება. ამით გამოირჩეოდა მისი სპექტაკლები. უხვი, ნიადაგივით მომსკდარი ტემპერამენტი იყო ის მძლავრი იმპულსი, რომელიც ასე ემოციურსა და სისხლსავსეს ხდიდა სცენურ ცხოვრებას. მისთვის კი, როგორც ხელოვანისათვის, ტიციან ტაბიძის თქმის არ იყო, „თეატრი არ იყო ერთი რომელიმე თეატრი. მისთვის მთელი ქვეყანა იყო ერთი უზარმაზარი თეატრი და თვითონაც, როგორც რეჟისორი, ყველგან იყო. სადაც კი თეატრის თავბრულამხვევი მტვერი დგებოდა. მხოლოდ ეს მტვერი არ იყო უბრალო მტვერი, ის იყო მზის ნაფერფლი და კიდევ ამ ბრწყინვალეებისა და დღესასწაულის შეუღარებელი ოსტატი იყო“.

კ. მარჯანიშვილმა საქართველოში თავის შემოქმედებით მოღვაწეობას საფუძვლად დაუდო, ერთი მხრივ, ძველი ქართული სამსახიობო

ხელოვნების რეალისტური ტრადიცია და, მეორე მხრივ, რუსეთისა და ევროპის თეატრალური გამოცდილება. ამ ორ საწყისს ემყარებოდა იგი და მისი სინთეზის გამომხატველად დარჩა ბოლომდე. იგი არ იყო მხოლოდ ერთი სტილისა და მიმართულების ხელოვანი. მისი გენია ადვილად იტევდა სამყაროს მხატვრული ათვისების მრავალ ფორმას. მან, როგორც არაფერსა, ქართველი რეჟისორებიდან, ისე ივრძნო ჩვენი საუკუნის თითქმის ყველა თეატრალური მიმდინარეობა, ხელოვანის გულწრფელობით ეზიარა მათ, მაგრამ როგორ პირობებშიც არ უნდა მოხვედრილიყო, იგი მუდამ ხალხთან იყო და სხვა არც უსურვებია ცხოვრებაში. ყველაფერი, რასაც ქმნიდა, ხალხის ინტერესების პოზიციებიდან იყო გამიზნული. ასე სწამდა და ემსახურებოდა ქვეყანას. იგი ვაჟკაცურად სდევნიდა თავისი შემოქმედებითი სამყაროდან ყველაფერ იმას, რაც უტეხო იყო ხალხისათვის, რასაც დღეგრძელობა არ ეწერა.

კ. მარჯანიშვილი საქართველოში ორი ისტორიული ეპოქის მიჯნაზე მოვიდა. ძველის მსხვერვისა და ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლის პათოსმა თავისი გამოხატულება პოეზიისა და წლების ქართულ თეატრში. სწორედ ამ დროს მოგვევლინა მარჯანიშვილის გენია და ახალი ფურცელიც გადაიშალა ჩვენი მშობლიური ქართული თეატრის ისტორიაში. ამ ეპოქის დასაწყისად სამართლიანად მიიჩნევენ „ცხვრის წყაროს“. ეს უდაო ქემშარბეობა, მაგრამ ისიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ „ცხვრის წყარო“ შიშველ ნიადაგზე არ წარმოქმნილა, ახალი თეატრალური ძიებანი უფრო ადრე დაიწყო ქართულ თეატრში. ამის შესახებ უკვე გარკვევითა და ზუსტად იყო ლაპარაკი გერ კიდევ ადრე, თეატრალური საზოგადოების



პირველ ყრილობაზე (1914 წ.). სხვაგვარად წარმოუდგენელია. ხელოვნებაში ყველაფერი ერთაშად როლი იცვლება. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ მენშევიკების უღელური ბაქტონობის პერიოდს არ შეეძლო სავსებით ჩაეკლა ქართული ხალხის თეატრალური კულტურა. წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი მაინც იკვლევდა გზას და ნოყიერ ნიადაგს ეძებდა იმ თეატრალურ რეფორმას, რომელიც ასე სრულყოფითად და განზოგადებით გამოიხატა „ცხვრის წყაროს“ დადგმაში. აქ ერთი მომენტიცაა საგულისხმო, რომელიც ხშირად ავიწყლებათ ხოლმე ცალკეულ თეატრალურ მკვლევარებს. სამეცნიერო ის არის, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ ძველი ქართული თეატრის კორონები. მათი მონაწილეობით იქმნებოდა აქტიურულად ღრმა და წარმატებული სპექტაკლები. არ შეიძლება იმედი იყოს, თუ იგი გავლენა არ მოახდინა იმ მძლავრ აქტიურულ სკოლაზე, რომელიც ასე მტკიცედ უკავშირდება კ. მარჯანიშვილის სახელს. ოცინი წლები სერთოდ თეატრალური რეფორმებისა და ძიების პერიოდი იყო. ამ მიმართულებით იღვწოდნენ ალ. წუწუწაშვილი, ა. ფალავა და სხვები. სწორედ ამ მხრივ იყო საინტერესო „ბერდო სწორა“ ს. ახმეტელის დადგმა, რომელშიც დიდი ინტერესი გამოიწვია იმხანად. მაგრამ ყველაფერი ეს ერთგვარი მოსაზრებელი ეტაპი იყო იმ დიდი თეატრალური რეფორმისათვის, რომელიც შემდეგ კ. მარჯანიშვილმა მოახდინა. ფიქრობ, რომ ისინი, რომლებიც თავგამოდებით ცდილობენ ყველასი და ყველაფრის საფუძველთა საფუძველად „ცხვრის წყარო“ გამოაცხადონ, არა მარტო დალატებენ ისტორიულ სინამდვილეს, არა მარტო ამცირებენ ქართული თეატრის დიდ ტრადიციას, არამედ ამცირებენ თვით კ. მარჯანიშვილის შემოქმედებასაც. „ცხვრის წყაროთი“ ვატყვებამ არ უნდა დაგვაიწყოს კ. მარჯანიშვილის ღვაწლი და ამაგი ქართული დრამატურგიის სფეროში. ამ მხრივ მან, ს. ახმეტელთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულა ქართული ეროვნული დრამატურგიის განვითარებაში. საილუსტრაციოდ საკმარისია პ. კაკაბაძის მაგალითი კი.

კ. მარჯანიშვილი ქართულ თეატრში ორმოცი წლის წინათ მოვიდა. ორმოცი წელი გვაშორებს პირველ ქართულ საბჭოთა სპექტაკლს. ეს დღე კი მხოლოდ მარჯანიშვილის სახელს ეკუთვნის. რადგან მან „საფუძველი ჩაუყარა ეპოქალურ ინტერესს თეატრისადმი“ („კომუნისტი“, 1922 წ. 22 ნოემბერი). „ცხვრის წყარო“ კ. მარჯანიშვილმა უფრო ადრე კიევეში დადგა. „მე მიხივებს, — წერს მარჯანიშვილი, — მაგალითისათვის დამედგა თუნდაც ერთი სპექტაკლი. მე დავდგი „ფუნტე ოვენუა“ იმავე პლანში, როგორც იგი კიევეში მქონდა განხორციელებული“. კიევეში სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. ლაუერენსის რო-

ლის შემსრულებელი მოგვითხრობს: „ჩვენ ვი-თამაშეთ „ცხვრის წყარო“ ორმოცეტი ზედიზედ ყოველდღე. თეატრიდან გამოსული ხალხი მარტოა ინტერნაციონალს. იმ სცენაში კი, სადაც ლაუერენსია ხმალს გადატეხავს და ყვირის, რომ ტირანები განადგურებულია და როდესაც განთავისუფლებული ხალხი ეკეპავს და ზეიმობს, — იფეთქება ტაშისცემის გრიგალი“. ასე მძლავრად რევოლუციური პათოსით იყო გამსჭვალული მთელი სპექტაკლი, ასე ღრმა ემოციურსა და იდეურ ზემოქმედებას ახდენდა იგი მაყურებელზე. თითქმის იგივე გამოერადა საქართველოშიც. სპექტაკლი უაღრესად თანადროული გამოდგა. მაყურებელმა ფარდის ახდის თანავე იგრძნო, რომ სპექტაკლი კარგად გამოხატავდა მის სულიერ ზრახვებს. სწორედ ამ აქტიურმა კონტაქტმა, დროის ამ თანახმიერობამ განსაზღვრა წარმოდგენის ესოდენ დიდი წარმატება.

კ. მარჯანიშვილის უნიკიერესი მოწაფე, ქართული თეატრის მშვენება უშანგი ჩხეიძე თავისი მეგუარების წიგნში უდიდესი სიხარულით იგონებს „ცხვრის წყაროს“: „...სინათლე ებრძვის სიბნელეს, მხიარულება — მწუხარებას, რათა გამარჯვება დარჩეს სიცოცხლეს და სიცოცხლე ამოაშროს ცრემლები. და როდესაც უკანასკნელ აქტში, კომანდორის სიკვდილის შემდეგ ხალხი მოიშორებს მჩაგვრელებს და კვლავ დამყარდება სიმშვიდე და ბედნიერება, თავისუფალ ცხვრის წყაროს მოქალაქეთა შორის ისევ გაისმის მენგის ოხუნჯობა და ხალხის ხალისიანი სიცილი. ყველას სახეზე კრთის სიხარული და კმაყოფილება და თუ რამდენიმე წუთის წინ აჯანყების დაწყებისას სცენა თითქმის ჩაბნელებული იყო, ახლა კვლავ უხედა იღვრება მზის მცხუნვარე სხივები“.

კ. მარჯანიშვილი თავად აყენებდა კითხვას: „ცხვრის წყარო“ რით არის საინტერესო? უპირველეს ყოვლისა თანამედროვეთათვის, რადგან თანამედროვეთათვის გარემო თეატრი არ არსებობს“ და აქვე იძლეოდა პასუხს: „სიუჟეტის ისეთი გამოყენებით, რომ დღევანდელი მაყურებელი დავრავდით. ხალხს თუ რაიმე საფრთხე მოეღოს, მან კოლექტიურად გასცეს პასუხი მტერს, მაშინ მსახიობების კითხვას — ვინ მოჰყვას გომეც?.. პარტერიდან მივიღებთ გულწრფელ შეძახილს: — ფუნტე ოვენუაში!!!

აი ჩემი დადგმის მიზნობრივი მხარე“ (კ. მარჯანიშვილი, „მეგუარები და წერილები“, 1947 წ. გვ. 81-82).

როგორც ვხედავთ, კ. მარჯანიშვილის რთულ შემოქმედებით ცხოვრებაში სრული გამოხატულება პოვა მისმა დრომ. მან კუმპარტიად დიდი ხელოვანის ძალით იგრძნო ახალი დროის სუნთქვა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაიწყო რა ახალი საბჭოთა თეატრის შენება, მან პირველი რიგის ამოცანად დასახა: თეატრს უნ-

და აღედგინა ხალხთან ის სულიერი კავშირი, რომელიც მას ადრე ჰქონდა. ახალი დროის მოთხოვნების შესაფერისად უნდა წარემართა მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ქართულ თეატრს. იგი მტკიცედ უნდა გამოეჩნოდა იმას, რაც ხელს უწყობდა ცხოვრებასთან გათიხვას, თანამედროვეობისაგან მოწყვეტას. კ. მარჯანიშვილი წერდა: „ახალმა და დიდმა იდეებმა შეარყიეს მთელი სამყარო... მოვეწოდებ ყველა ახალგაზრდას, ჯანსაღ, ცხოველყოფელს, რათა მან გაუყვიროს თავისი დრომოქმედ მესმანობასთან, არ არსებული და განუზორობელი ოცენებისათვის ოხვრასთან, მედგრად მოჰკიდოს ხელი პოლიტიკურ აღმამენებლობასთან ერთად ახალი ხელოვნების ორგანიზატორულ საქმეს. განამტკიცოს საკაცობრიო ახალი კულტურა ენერგიული თავისებურების ნიადაგზე“ (იქვე, გვ. 89).

ეს არ იყო მხოლოდ დეკლარაცია. კ. მარჯანიშვილი ამას პრაქტიკულად ახორციელებდა. ჩვენს თეატრში კ. მარჯანიშვილის დადგმით წლების მანძილზე მიდიოდა შ. დადიანის, პ. კაბაძის, ს. შანშიაშვილის, კ. კალაძის, დ. შენგელაიას, ალ. ქუთათელისა და სხვათა თანამედროვეობის ამსახველი პიესები. კ. მარჯანიშვილი, როგორც შემოქმედი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე თანამედროვეობით ცხოვრობდა და ეს საუკეთესოდ აისახა მის სპექტაკლებში.

ნოვატორული იყო მარჯანიშვილის შემოქმედება. იგი მუდამ ეძებდა, ქმნიდა, უარყოფდა და პოულობდა. არ უყვარდა ერთხელ მიკვლეული თუნდაც კარგი რეჟისორული ხერხების სტაბილიზაცია. არც სჭირდებოდა. დაუსრულებლად შეიძლო აღმოეჩინა ახალი ფორმები და საშუალებანი. მისი დაუდგრომელი ბუნება ვერ იტანდა სიმყუდროვას, უძრაობას. მარჯანიშვილი დაუძინებელი მტერი იყო ყოველგვარი ტრადიციის, შაბლონის. მისი სათაყვანო კერაი თეატრი იყო და არა რომელიმე ერთხელ მიგნებული თეატრალური ფორმა. ფორმები კი უხვად იზადებოდნენ მის ხელში.

კ. მარჯანიშვილის შემოქმედების დასაწყისი რეჟისურის ავტორიტეტის ამაღლებისათვის ბრძოლის ისტორიულ პერიოდს დავიხსენებ. თეატრში მეოცე საუკუნის პირველივე წლებში დაიწყო რეჟისურამ თავისი მეობის, თავისი პოზიციების მტკიცედ დაცვა. იგი სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობდა სპექტაკლის შემოქმედისა და ხელმძღვანელის ადგილს. შემდეგ ეს ტენდენცია მიღწენად გამოიყენა, რომ მსახიობისა და პიესის როლის ერთგვარმა შეუფასებლობამაც კი იჩინა თავი. უნდა ითქვას, რომ კ. მარჯანიშვილი არასოდეს არ მისულა ამგვარ უკიდურესობამდე. იგი ბუნებით ქეშმარიტი რეჟისორი იყო და მთელი მისი წარმატებანიც უპირველესად მსახიობთა შემოქმედებიდან იზადებოდა.

რეჟისორული აზროვნების ზრდა, მისი სპე-

ციფიკური მხარეების საზოგადოებრივი პრაქტიკის განაღდა და თეატრალურ პრაქტიკაში გამოიყენებოდა. ლაღ დამკვიდრება იყო მეოცე საუკუნის მთელი ნაგე რეჟისურის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. რა დასამალია და რეჟისურას მანამდე არ ჰქონდა მაინც და მაინც დიდი ხვედრითი წილი. ახალი ეპოქის თეატრში ეს აღარ შეიძლებოდა. და აი მსოფლიო წამყვან თეატრებში დაიწყო ბრძოლა რეჟისორის როლისა და მნიშვნელობის გაზრდისათვის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ვალახებს, პრინციპში ეს სწორი და კანონიერი მოთხოვნა იყო. ხომ ფაქტია, რომ თანამედროვე თეატრის ბედს უმთავრესად რეჟისორები წყვეტენ, მათზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარმართება ამა თუ იმ თეატრის შემოქმედებითი გზა. შემთხვევითი როლია, რომ ჩვენც ხშირად ვამბობთ სტანისლავსკის, ვანტანგოვის, მარჯანიშვილის, ახმეტელის, ოხლოპკოვის თეატრით. იქნებ, ეს სავსებით სწორი არცაა, მაგრამ ჩვენ ასე მაინც ვლაპარაკობთ. და ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზი.

უ. ჩხეიძე კ. მარჯანიშვილის რეჟისორულ თავისებურებას ასე განსაზღვრავდა:

„რა შეადგენდა ყველა მისი დადგმის დამახასიათებელ თავისებას?

უპირველეს ყოვლისა, შინაგანი რიტმის არაჩვეულებრივი გრძნობა, ამაღლებული ტონი, მგზნებარე ტემპერამენტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ემოციური სისასვე, დღესასწაულებრივი ხასიათი, ფერადოვნება, თეატრალური ობტიმიზმი, მოხანსცენების დახვეწილობა.

ხშირად კულტურული ხასიათის გუჟღერის სიტუაცი, ექსტრის და მოძრაობის უკიდურესი თანხმობა, ექსტრის სიფართოვე, ნათელჩრდილების შენაცვლება, მხატვრობის, მუსიკისა და განათების, როგორც სპექტაკლში ორგანულად შემაღალი ელემენტების, გამოყენება. ტრადიციულ კომიკური ელემენტების ხასხასმა, გამახვილება, კომედიოში სიმსუბუქე, სიმარტივე, სცენის მაქსიმალური განტვირთვა და მუსიკის სიჭარბე“.

ასე ფართო პლანითა და შთაგონებით ქმნიდა კ. მარჯანიშვილი ახალ სცენურ სამყაროს. და მთელი ეს სამყარო წარმოადგენდა სიცოცხლისა და ხალისით სავსე ქეშმარიტად დიდ თეატრალურ სანახაობას.

კოლოსალური ენერგიისა და მხატვრული ინტერესების რეჟისორი იყო კ. მარჯანიშვილი. მართლაც, რაღაც როდენისებურად იცოდა აქტიურობა, ახალი სცენური სახის შემქმნელ „მსახალზე“ მუშაობა. ა. ლუნაჩარსკი, ეს უდიდესი ერულიცისა და ავტორიტეტის ადამიანი, მარჯანიშვილზე წერდა: „ძველ რუსეთში და საბჭოთა კავშირში არ არსებობდა ოსტატი, რომელიც მარჯანიშვილისებურად სავსე ყოფილიყო საუცხოო ობიექტშით, ფანტაზიის ვულკანური ამოხეთქვით, ფერებისადმი სიყვარულით“. მარჯანიშვილმა სავსებით დაიმსახურა ამგვარი შეფასება!



როცა კ. მარჯანიშვილზე ლაპარაკობენ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ყველაზე მეტად რთულია რუსთაველის თეატრში მისი მოღვაწეობის ეტაპი. ერთი შეხედვით ასეც არის. ვინ იცის, იქნებ ეს სირთულე ს. ახმეტელთან ერთად ყველაზე ნაკლებად ეხება კ. მარჯანიშვილს. რამდენი რამ დაწერილა ისტორიის ამ მონაკვეთზე და მაინც რა ბევრი აკლია, რომ მთელი სისრულით აისახოს იგი. მით უფრო საჭიროა ეს, რადგან სხვაგვარად წარმოდგენილია სწორად გავიგოთ ქართული საბჭოთა თეატრის საწყისი და მისი თავისებურება. იგი ჩვენ საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად დავინახოთ, თუ განვითარების რა გზა გაიარა ახალმა თეატრმა. ეს დიდი და ცალკე საკვლევი პოლემიკური საკითხია. ფაქტი ისაა, რომ კ. მარჯანიშვილმა უდიდესი ენერგია მოახმარა პირველი ქართული საბჭოთა თეატრის საფუძვლების შექმნას. ამ საქმეში მას გვერდით ჰყავდა ქართული ეროვნული თეატრის შექმნისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ს. ახმეტელი. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ კ. მარჯანიშვილი უკვე იმათივე წერდა, რომ საშს „თამაშად შეიძლება ვანდო“ მთელი თეატრით. ეს იყო 1926 წელს, როცა ს. ახმეტელს ჯერ კიდევ დადგმული არ ჰქონდა არც ერთი თავისი სახელოვანი სპექტაკლი. საოცარი აღლო ჰქონდა კ. მარჯანიშვილს. მან იცოდა დიდი ნიჭის ადრე ამოცნობა.

თავის მხრივ, მასწავლებლისადმი უდიდესი მაღღერების გრძნობით იყო სავსე ს. ახმეტელი. ერთ წერილში ს. ახმეტელი წერდა კოტე მარჯანიშვილს: „რაც არ უნდა მოხდეს, ძვირფასო კოტე, იცოდე, რომ გარდა შენდამი ღრმა სიყვარულისა და ერთგულებისა, ჩემს გულში არაფერი ჩარჩება. მე ვიცი პატიოსან მეგობრად დარჩენა ბრძოლაშიაც კი“.

ასე გულთბილი იყო მათი დამოკიდებულება. დიდი აღმძვინებელი, დიხავე რომ პატიოსან მეგობრებად რჩებიან ხოლმე უარესად მწვავე კამათის, ცხარე შეპაექრების დროსაც. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ დღესაც უპირისპირებენ ერთმანეთს მარჯანიშვილსა და ახმეტელს. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ახმეტელის შემოქმედების შექმნით ჩრდილი აღდგება მარჯანიშვილის სახეს და პირობით. ეს მეტად საზიარო ტენდენციაა. ქართული თეატრის უდიდესი ბედნიერება იყო, რომ მას ჰყავდა კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი. ეს ორი დიდი შემოქმედი წლების მანძილზე ეროვნულ, პატრიოტულ საქმეს აკეთებდა. ისინი ერთნაირი გატაცებითა და სიყვარულით ემსახურებოდნენ ქართველ ხალხს. და დღეს თეატრმცოდნეობამ ერთნაირი სიყვარულით უნდა გამოიკვლიოს ის ძვირფასი მემკვიდრეობა, ურომლისადაც წარმოდგენილია ქართული საბჭოთა თეატრი.

კ. მარჯანიშვილს ეკუთვნის მრავალი ბრწყინვალე დადგმა საერთოდ და, კერძოდ, ქართულ თეატრში. საქმარისა და დასახელოთ „ჰამლეტი“,

„ყვარყვარე თუთაბერი“, „ურთელ აკოსტა“, „ცხვრის წყარო“ და სხვები, რომ სათუოდ დადგმულა, თუ რა დიდი განძი შემატა მან ქართულ თეატრს, როგორ ამაღლა მისი ავტორიტეტი და რა მყარი საფუძველი ჩაუყარა ახალი ქართული საბჭოთა თეატრის შენობას. მარჯანიშვილს უყვარდა ახალგაზრდობა. იგი მუდამ ამხნევებდა და გვერდში ედგა ახალ თაობას, სწამდა მისი ნიჭი და მომავალი. თავად იყო ახალგაზრდულად ანთებული და ტემპერამენტით სავსე. ს. ახმეტელის თაოსნობით შექმნილი ახალგაზრდა ხელოვნათა ორგანიზაციის „დურუჯის“ ორი წლისათვის კ. მარჯანიშვილი წერდა: „დურუჯის“ ორი წლის ენერგიულმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ თქვენში დაგროვებულია დიდი პოტენცია და თუ... ჯერჯერობით ვერ მოვასწარით მათი სასცენო სარბიელზე გამოფენა, შორს არ არის ის დრო, როდესაც ყველა დარწმუნდება იმაში, რომ თქვენს წარსულში დიდი ნიჭის პატრონი ახალგაზრდები არიან, რომელთაც წარბუშვრელად შეუძლიათ თამაშად აღმართონ ჩვენი ეროვნული კულტურის დროშა“. შემდგომში სავსებით გამართლდა კიდევაც დიდი ხელოვანის პროგნოზი.

„დურუჯი“ კ. მარჯანიშვილის პატრისაცემად უწოდა ორგანიზაციას მისმა შემქმნელმა ს. ახმეტელმა. „დურუჯმა“ ცოტა ხანს იარსება, მაგრამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა. ეს იყო თავისი დროისათვის პროგრესული მოვლენა. მან ხელი შეუწყო თეატრის მხატვრული დისციპლინის განმტკიცებასა და საერთოდ მისი ორგანიზაციული პრინციპების ჩამოყალიბებას. „დურუჯის“ ლოზუნგი „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“ იქცა რუსთაველის თეატრის იმეამინდელი ცხოვრების ქვეყნთხელად. იგი კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდა თეატრის მუშაობის პრაქტიკაში შემდგომ, ს. ახმეტელის ხელმძღვანელობის დროს. „დურუჯი“ იმიტომ გავიხსენეთ, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ, როგორი სიყვარულით ეკიდებოდა კ. მარჯანიშვილი ახალ შემოქმედებით ძალებს, როგორ უნერგავდა მათ რწმენას.

კ. მარჯანიშვილს ყველაფერი ახარებდა, რაც ხალხისა და ქვეყნის სიკეთისათვის იქმნებოდა. იგი აღფრთოვანებით შეხვდა ზ. ფალიაშვილის „ახესალომ და ეთერის“ გამოჩენას სცენაზე. ამ ფაქტის გამო წერდა: „დიდი დღესასწაული! დღესასწაული ნამდვილი ხელოვანისა! დღევანდელი კულტურის გამარჯვება სარკმელია ევროპისკენ! გასაოცარი ლეგენდაა, — სამშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსავადებული, ევროპული ოსტატობით შემუშავებული. მელანდება და მგონია, ხორცს ისხამს ჩვენი მესიანობა ხელოვნებაში, — მსოფლიო ხელოვნებაში. მწამს, — საქართველო — ორი დიდი დამოუკიდებელი კულტურის საზღვარზე მდგარი: — აღმოსავლეთის გასაოცარი სულიერი სინოიყიერისა და ევროპის გასაოცარივე ისტატობისა, — თვით

არსებაში ამყარებს ამ ორ კულტურას და ოდეს-მე მისცემს ქვეყნიერებას იმპულსს — ხელოვნების აღორძინების ახალი ეპოქის შექმნისათვის, ახალი ფორმებისა და მათი ახალივე აზრით აღმავლობისათვის. დიდება პიონერს ამ გზით მიმავალს, დიდება კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს! („ხელოვნება“, № 15, 1925 წ.). ამ პატარა წერილში ბევრი რამ გვეჩვენება. აქ ჩვენ გხედავთ ნამდვილად დიდი პატრიოტის, ქართული კულტურის მოჭირნაულისა და მოიმედის მგზნებარე სახეს.

„ყვარყვარე თუთაბერი“, ქართული საბჭოთა დრამატურგიის ეს შედევრი, მკიდროდა დაკავშირებული კ. მარჯანიშვილის სახელთან. პ. კაკაბაძის პიესას პირველი მოსმენით ვერ გაუგო თეატრმა, მხოლოდ მარჯანიშვილი იყო ერთადერთი, რომელმაც აღფრთოვანებით მოიწონა პიესა და მერე პრაქტიკულად დაამტკიცა თავისი სიმართლე. ამის შემდეგ გახმაურდა „ყვარყვარე თუთაბერი“ და მოიპოვა საყოველთაო აღიარება. „ყვარყვარე თუთაბერის“ გამოჩენა ქართულ თეატრში დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო. კ. მარჯანიშვილმა ამით ერთგვარი განაცხადი გააკეთა, რომ იგი მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა ქართული დრამატურგიისათვის. მარტო ახალი საბჭოთა დრამატურგიის წინსვლისათვის როდი ზრუნავდა კ. მარჯანიშვილი. ბევრი იმუშავა ძველ ქართულ პიესებზე, დადგა „გაყრა“, „მზის დაბნელება საქართველოში“ და სხვ.

რუსთაველის სახელობის თეატრიდან წასვლის შემდეგ კ. მარჯანიშვილმა ქუთაისში ჩამოაყალიბა ის თეატრი, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. მარჯანიშვილისავე ხელმძღვანელობით მუშაობდა ბათუმის თეატრიც.

ცნობილია კ. მარჯანიშვილის უდიდესი დამსახურება რუსული თეატრის ისტორიაში. მან რუსეთის მრავალი ქალაქი მოიარა და ყველგან, სადაც კი ფეხი შესდგა, თეატრალურმა ხელოვნებამ იწყო გამოცოცხლება. ამიტომ წერენ ასე სიყვარულით რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსები, თეატრალური მოღვაწეები მარჯანიშვილის მოღვაწეობაზე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში. კ. მარჯანიშვილი 1897 წელს გაემგზავრა რუსეთში. 1903 წლამდე იგი მუშაობდა, როგორც პროფესიონალური მსახიობი. მისი რეჟისორული კარიერა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში იწყება. 1903-1904 წლებში მან განახორციელა მ. გორკის „მდაბინი“, „ფსკერზე“ და ამით გამოხატა თავისი მოქალაქეობრივი და მხატვრული პოზიცია. იგი გახდა მოწინავე იდეების პროპაგანდისტი. ამ დროს მარჯანიშვილი რიგის თეატრს ხელმძღვანელობდა. მას მუდამ ასსოვდა, თუ როგორი ბატაკებით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.

„1905 წლის 9 იანვარმა, — წერს მარჯანიშვილი, — საბოლოოდ გავყარე რევოლუციონერა... ნაცვლად იმისა, რომ მოსკოვში მუშაობაზე თა-

ნხმობა მიმეცა, მე მიტინგიდან მიტინგზე დავ-ბოდი, ვაშმაგებით ვიცვლიდი გრივანსა და ზოგადი მგზნებარე სიტყვებს თვითმშრომლების ჩამოგდების შესახებ“. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ერგავი გაულგატეხილობა იგრძნო მარჯანიშვილმა და ეს დიდებული კაცი მის შემოქმედებას გარკვეულ პერიოდში...

1908-1909 წლების სეზონში მარჯანიშვილმა ოდესაში დადგა ჰეირმანის „იმედის დაღუპვა“. სპექტაკლმა დიდი გამოხმაურება პოვა. მან განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია მაღალ პოლიტიკურ წრეებში. წარმოდგენის მახვილმა პოლიტიკურმა პათოსმა ცარიზმის მსახური შეაფიქრინა. ამ წარმოდგენის შემდეგ მარჯანიშვილი უკვე სამხატვრო თეატრშია. ეს ფაქტი მარჯანიშვილის დიდი ნიჭის ფართოდ აღიარებას ნიშნავდა. თუ რატომ მიიწვიეს იგი და არა სხვა, ამას ცხადყოფს კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ერთი მეტად საინტერესო საუბარი. აი ისიც: „საჭიროა ბევრი, ბევრი ვიბასოთ მომავალზე. მაინც არანორმალურია, რომ ასეთი თეატრი ორ კაცზე იყოს დაყრდნობილი. რატომ არ ყალიბდებიან ჩვენთან დამოუკიდებელი მოღვაწეები, როგორც ადმინისტრატორები, ასევე მსახიობები? ნუთუ ჩვენ ვერისავე მათ? ეს ხომ საშინელება იქნებოდა. მზად ვარ თავი მოვიკლა, ოღონდაც ასეთ ცუდ გავლენას არ ვახდენდნენ სხვებზე. მე გგონია მარჯანიშვილს აქვს ეს დამოუკიდებლობა და ინიციატივა, ასეც მოხდა, კ. მარჯანიშვილმა სამხატვრო თეატრში ბოლომდე შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, როგორც ხელოვანმა. ხოლო ის კონფლიქტი, რომელიც სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელობასა და მარჯანიშვილს შორის წარმოიშვა, წმინდა შემოქმედებითი ხასიათისა იყო. მარჯანიშვილი ჩამოშორდა სამხატვრო თეატრს...

...მარჯანიშვილი მიდის ჭერ კიევში, შემდეგ პეტროგრადში. მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით იწყებს ახალი თეატრის შენებას. ხელმძღვანელობს კომიკური ოპერის სახელმწიფო თეატრს. ამ თეატრმა 1920 წელი „სახაფხულო ბუფის“ ბალის შენებაში დაიწყო. კომიკური ოპერის გვერდით იღებოდა დრამატული სპექტაკლებიც (შენაცვლებით). ასეთი მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობით იყო აღსავსე მარჯანიშვილის ცხოვრება პეტროგრადში. ამ წლებმა ახალი ფურცელი ჩასწერეს მუსიკალური, საპერეტო ხელოვნების განვითარების ისტორიაში. მარჯანიშვილის მოღვაწეობის ეს მხარე სპეციალურ კვლევისა და ანალიზს მოითხოვს. პირველი სიტყვა მაინც მუსიკისმცოდნეებს. გუთვნიო.

როცა კოტე მარჯანიშვილზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება მისი თავისებურებისა თუ რეჟისორული მიზანსწრაფვის ერთ მხარესაც არ შევეხოთ. ეს არის სწრაფვა მასობრივი ქმედების დემონსტრირებისაკენ. 1920 წელს მან პეტროგრადში მოაწყო დიდი სანახაობა — კონცერტი

რომელშიც 75 ათასი კაცი მონაწილეობდა. სპექტაკლი კომინტერნის კონგრესის მონაწილეებს მიეძღვნა. 1924 წელს მან საქართველოში მოაწყო დიდი სამგლოვიარო-თეატრალურებული „სანახაობა“, რომელიც მიეძღვნა ე. ი. ლენინის გარდაცვალებას.

ამგვარი მიდრეკილება მასობრივი, მასშტაბური სანახაობისაკენ იგრძნობოდა კ. მარჯანიშვილის სპექტაკლებშიც.

მრავალმხრივი იყო კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობა. მან თავის დიდ მემკვიდრეობაში დაგვიტოვა თეატრალური მემუარები, წერილები, სტატიები, რომელთაც უდიდესი შემეცნებითი, პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვთ. ეს ნაშრომები დიდი მღელვარებითა და სიმაღლით მოგვითხრობენ კ. მარჯანიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

კ. მარჯანიშვილი მუდამ დაუცხრომლად აღბრუნდა თავის გულში მშობლიური კუთხის, საქართველოს სიყვარულს. როცა იგი რუსეთის თეატრში დგამდა სპექტაკლს „ცხოვრების ბრწყინებები“, მღელვარებით იგონებდა მზიურ საქართველოს: „მე ვგრძნობდი როგორ იღვიძებდა სულში ჩემი სამშობლოს მზე, როგორი სიშავედით ამოძრავდა ჩემს ძარღვებში სისხლი, ქართული სისხლი! მადლობა დიდ რუსეთს, მან მომცა გავების უნარი, მან შემადგებინა ჩავწვდომოდი ადამიანის სულის საიდუმლოებაში. ...მან, რუსეთმა მასწავლა მე ცხოვრებისადმი ეტერა შიგნიდან, ჩემი სულის სიღრმიდან... მან მასწავლა მე ჩემს მკერდში დაუცხრომელი კენესატორილის მოსმენა; ... მადლობა მას, ჩემს მეორე სამშობლოს, მადლობა მშვენიერ რუ-

სეთს. მან არც ერთი წუთითაც არ შეანელა ჩემი კახური სისხლი, ღედაჩემის სისხლი. მისმა საუცხოო სუსხიანმა ღღებმა არ ჩაჰკლეს ჩემში მოგონებანი ჩემი მთების მხურვალე ქვებზე. მისმა მომხიბვლელმა თეთრმა ღამეებმა ვერ გათქეფეს სამხრეთული ზაფხულისებური, წკრიალა ვარსკვლავებით უხვად მოფენილი მუქი ცის სისქე. მისმა მშვიდმა გულკეთილობამ ერთი წუთითაც არ შეანელა მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, ფანტაზიის განუწყვეტელი აღმადრენა — ეს მომცა ჩემმა პატარა, ჩემმა საყვარელმა საქართველომ!“

ამ პოეტურად დაწერილ სტრიქონებში ბევრი რამაა ნათქვამი. ჩვენთვის სასვებით გასაგებია დიდი ხელოვნის გულისცემა და ფიქრი.

თანამედროვე ქართული თეატრი ბედნიერია, რომ იგი კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის მიერ ჩაყრილ საფუძვლებზეა დაფუძნებული. ამ ბალავარს აშშვენებდა მთელი ის თაობა, რომლებმაც ასე შორს გაუთქვეს ქართულ თეატრს სახელი. მათ მეთაურობდა და მამობრივად მზრუნელობდა კ. მარჯანიშვილი. მის ფრთებქვეშ გამოიზარდნენ და დაეჯიკადნენ ქართული თეატრის დიდებული მოღვაწეები. მათ განაგრძეს მარჯანიშვილის გზა. ეს გზა რთულია, მძიმე და საამაყო. ამ გზაზე დაღიან ქართული კულტურის მოკეთენი და მოამაგენი. მათ თან მოაქვთ საკუთარი სამყარო და მხატვრული ცხოვრების თავისებური განცდა. მარჯანიშვილი კი იმათთან არის, ვინც მაგნიტარებით, სიყვარულით ემსახურება მშობლიურ ქვეყანას. კოტეს სახელი დღესაც გვახსენებს, რომ ქართული თეატრი კვლავაც წინ წავა.



ხაიზონ ახვლედიანი

ევგენი დალევით დალესით საქართველოს შესახებ

საქართველოს წარსული მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლისა და სამშობლოს სიყვარულის ისტორიაა. ქართველ ხალხს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ ბრძოლაში ბევრი მძიმე განსაცდელი უნახავს, მაგრამ თავისი ეროვნული მეობა არასოდეს დაუქარგავს.

საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის მომხმებთან ერთად ღირსეული წვლილი შეჰქონდათ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც იქ ქმნიდნენ პატრიოტულ საზოგადოებებს და ორგანიზაციებს, დაუღალავად შრომობდნენ სამშობლოს სასარგებლოდ, ცდილობდნენ თავიანთი მოღვაწეობით შორიდან დახმარებოდნენ მრავალტანჯულ საქართველოს. ამ მხრივ ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ევგენი დალევით დალესით თავის წიგნში „ქართველები კონსტანტინეოლში“. ევგენი იყო ვენეციელი წარჩინებული ოჯახის შვილი. მისი წინაპრები XVIII საუკუნეში კონსტანტინეოლში გადასახლებულან. ევგენი დაბადებულია 1888 წ. სტამბოლში. სწავლობდა ამავე ქალაქში. სხვა ენებთან ერთად სცოდნია ქართულიც. კონსტანტინეოლში სწავლის დროს დაუწყია ამ ქალაქის ისტორიის შესწავლა და სხვა შრომებთან ერთად დაუწერია წიგნი „ქართველები კონსტანტინეოლში“. ეს წიგნი დაიბეჭდა 1921 წელს სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა ფერი-კვეის სავანის სტამბაში. შემდეგ იგი ფრანგულიდან ქართულად უთარგმნია შალვა ვარდიძეს. შრომა მოცულობით პატარაა, სულ ორმოცდაშვიდ გვერდს შეიცავს.

ავტორმა წიგნს ეპიგრაფად წაუშმღვარა ლექსი:

შენ რომ ტბილად მინარჩარებ

სამუდამო მეგობრობას,

შენთვის ვბეჭდავ ამ ჩემ წიგნაკს,

რომ მიწევდეს შენ წინ ძღვნობას.

მთარგმნელი შ. ვარდიძე ამ შრომის მნიშვნელობის შესახებ წინასიტყვაობაში წერს: „ბ. ევგენის თხზულება მით უმეტეს პატივსაცემია, რომ იგი ტომით უცხო, დაინტერესდა აქ გადმოხვეწილი ქართველების წარსულზე. თუ საკითხი სავსებით არ არის ამოწურული ამ წიგნში, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. ევგენი დალევით დალესით არ დაიზარებს, განაგრძობს თავის კვლევას და ახალ უფრო ფართო ხასიათის შრომას წარუდგენს ქართველ საზოგადოებას“.

აი, როგორ გვიხატავს ავტორი საქართველოს: „ბიზანტიის შინაურ შუღლმა და შესუსტებამ თამარ მეფეს ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა მიაღებინა, რომლის წყალობით დაარსდა ტრაპიზონის იმპერია. მაგრამ ვერც ამან იხსნა თურქებისაგან ბიზანტია, და საბოლოოთი საწყალო საქართველო, როგორც კუნძული აბოზოქრებულ ზღვაში, დარჩა ფანატრის მუსულმანთა საჭაფნავათ“ (ევგენი დალევით დალესით, „ქართველები კონსტანტინეოლში“, 1921 წ., გვ. 3).

გარდა კონსტანტინეოლისა, ქართველი მუსლიმანები ცხოვრობდნენ იზმირში, ადანაში, ბურსის მიდამოებში, ტრაპიზონში, შავშეთში, იმერხევში, ართვინში, არტანუში, კოლაში, ჩილინების ხეობაში, პარხალში და მრავალ ქალაქსა და სოფელში. მიხეილ თამარაშვილი თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ არზრუმში მცხოვრებ ქართველებზე წერს: „რა გამოიარეს (ლაპარაკია მისიონერებზე — ხ. ა.) არზრუმში, მრა-



ჯალნი ქართველნი ნახეს, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ და რომლებსაც ჰყავდათ თავიანთ ქართველი ეპისკოპოსი არზრუმელად წოდებულა“ (1902 წ. გვ. 111). მასვე მოჰქვს ამონაწერი რომში გავგზავნილი ლამბერტის ერთ-ერთი წერილიდან: „არზრუმის გარეშე რამდენიმე ქართველების სოფელია, რადგან უწინ არზრუმში ქართველთა მეფეებისა ყოფილა“ (იქვე, გვ. 111).

საინტერესო ცნობებს გვაწვდის თურქეთის ქართული მოსახლეობის შესახებ ევგენი დალუჯიო დ^ა ალესიო. როგორც იგი წერს, ტრაპიზონელი ბერძნების აღწერით, მარტო პონტოს ფარგლებში 53 ათას 380 ქართველი ყოფილა.

„სხვა აღწერილობით კი, სამსუნი და თიქათის მაზრებითურთ, ქართველებს მოწინებელი აქვთ 64 ქალაქი და სოფელი. ვარაუდით ქართველების რიცხვი 140.000-მდე აქყავს. რასაკვირველია აქ არ გულისხმობენ ქანებს...“ (გვ. 5). გარდა ამისა, როგორც ავტორი ამბობს, ამათ რიცხვს უნდა მიეფმავთ შავი ზღვის პირად მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები და მაშინ მათი საერთო რაოდენობა სამას-ოთხასი ათასს მიადევსო. ჩვენი ვარაუდით, თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციებსაც და მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის პრინციპს, მაშინ ქართველ მაჰმადიანთა რაოდენობა მილიონ ნახევარს გადააჭარბებს.

პავლე ინგოროყვას ცნობით, სამუსლიმანო საქართველოს ტერიტორია, რომელიც დღეს ოსმალეთის ხელშია, შეადგენს 24 ათას 188 კვ. კილომეტრს. მოსახლეობის აღმნიშვნელი ჩვენი ციფრები, რასაკვირველია, შედარებითია, და ახლოებითაა გამოანგარიშებული. ევგენი დალუჯიო დ^ა ალესიოს ცნობებით სრული არ არის, იგი მარტო ტრაპიზონის ბერძნების მონაცემებს ეყრდნობა და სხვა სტატისტიკური მასალებით არ სარგებლობს. შრომის ავტორი ოსმალეთში ქართველების სიჭარბეს ხსნის იმ გარემოებით, რომ იქ ბევრი თავისუფალი სამოსახლო ადგილი იყო. გარდა ამისა, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სამშობლოს მოწყდა ბევრი იძულებით გადასახლებული ქართველი მუჰაჯირი. სოციალური უთანასწორობის გამო ხშირად ადგილი ჰქონია უმეყოფილებას გადასახლებულებსა და ადგილობრივი მცხოვრებლებს შორის. ავტორი ამბობს, რომ ქართველი მუსლიმანები ადგილობრივი მოსახლეობისაგან გამოირჩეოდნენ მაღალი კულტურით. ისინი უარყოფდნენ მრავალცილოანობას, ინარჩუნებდნენ ეროვნულ ზნე-ჩვეულებას, როგორც წესი, თხოვა-ვათხოვაც ერთმანეთში ჰქონდათ.

ევგენი დალუჯიო დ^ა ალესიო დაწერილებით მოგვითხრობს ქართველი ხალხის გამჭირაობასა და პატრიოტობაზე. ამის საბუთად მოჰყავს ის გარემოება, რომ ოსმალეთში ბევრ დიდგვაროვან თუ რიგით ქართველს საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. „ჩვენ ვიცით, რომ ოსმა-

ლეთის მთავრობაში დიდძალი ქართველი თავადობა იყო ან და თავიანთ გამჭირაობით და ეროვნით მოიპოეს ფაშობის სახელ-წოდება და მაღალი სამსახურის ადგილები“ (იქვე, გვ. 7). ავტორის სიტყვით, ქართველი ფაშები და მოხელეები ყოველი ღონისძიებითა და საშუალებით იცავდნენ ქართველობას და მიტოვებული სამშობლოს ინტერესებს.

„ხშირად ქართველ ფაშების, მინისტრების, დეპუტატების, სენატორების, გუბერნატორების, ლენერლების, ოფიცრების და სხვა სამსახურის პირებს თავიანთი პიროვნული პოლიტიკა და მიწრაფება ჰქონდათ. მთელ ოსმალურ ცხოვრებაში ჩარევა მათ არასდროს არ ავიწყებდა თავიანთ გვაროვნულ მეს და ინტერესებს, თუმცა ოსმალეთის მთავრობა მარადის სასტიკ მტრულ თვალყურს ადევნებდა, რადგან ეშინოდა ქართველი მუსულმანების — გურჯების პოლიტიკური სიძლიერის განვითარებისა. მთელ იმპერიაში ყველა ასპარეზზე გურჯების პატივისცემა და რიდი ყოველთვის ყოფილა“ (იქვე, გვ. 7-8).

სამშობლოს მოყვარული ზოგიერთი ფაშა მხარს უჭერდა არა მარტო მართლმადიდებელ ქრისტიანებს, არამედ კათოლიკეებსაც. მაგალითად, სულეიმან ფაშის შესახებ ახალციხელი გრიგოლ მაქანდრიანი (მაქანდრიაშვილი), რომში წერილს წერდა კარდინალს, რომ ემჩიოდა პატრიარქი ფაშებს ქრთამებს უგზავნიდა და ამით გვაფირობდაო, „თუმცა ახლა თავისი ბოროტი განძახებით ვერ შეუხრულებია, რადგან ღვთის წყალობით სულეიმან აწინდელი ფაშა ძლიერ კარგად ეყარება კათოლიკებს“ (მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 460).

ჩვენი ვარაუდით, ზემოხსენებული ფაშა უნდა იყოს ქედელი სულეიმან ფაშა სურმანიძე, რომელიც იმ პერიოდში მსახურობდა სამხრეთ საქართველოში. წერილიც დათარიღებულია 1777 წლით, რაც უნდა ემთხვეოდეს მის მოღვაწეობას. ამ ფაშის შესახებ მეორე მღვდელი გრიგოლ კრუხიკამიანი (კრუხიკამიაშვილი) 1778 წლის 9 მაისს კარდინალს წერდა ასეთივე შინაარსის წერილს: „იმედი მაქვს, რომ ამჟამად გერაფერი გვავენოს, რადგან ახლანდელი აქაური ფაშა ჩვენი მეგობარია და ჩვენ დიდ პატივს გვცემს“ (იქვე, გვ. 462).

ოსმალეთში მცხოვრები ქართველების უმრავლესობას 1921 წლისთვის ქართული წერა-კითხვა სცოდნია, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყველა ზომას ხმარობდა ქართული ენის მოსასობად.

ქართველები უმთავრესად ჯგუფად სახლდებოდნენ, რაც საშუალებას აძლევდა მათ ურთიერთშორის ქართულად ელაპარაკათ და მშობლიური ენა არ დაევიწყებინათ.

ამას დასაბუთებენ ევგენი დალუჯიო დ' ალ-
სიოც, რომელიც თავის წიგნში წერს:

„საქმარისთა ნშიარა შეხედები ქართულ წე-
რა-კითხვის მცოდნესაც. საერთოდ ბევრს ძალიან
სურს ისწავლოს ქართული წერა-კითხვა, ან და
ვინც უკვე იცის, ქართული წიგნები იკითხოს;
მაგრამ ამ მხრივ საწყალი გურჯები მთლად მი-
ტოვებულნი არიან, როგორც თვითონ იტყვიან,
თავიანთ უფროს ძმებისაგან — ქრისტიან ქარ-
თველეებისაგან. ამ ომის დროს დიდძალ აფი-
რობამ შეისწავლა ქართული წერა-კითხვა.“

ზოგიერთი გურჯებში დარჩენილი არის საუ-
ცხოო ქართული წერა, რომელსაც თვითონ თა-
ვიანთებურად ეძახიან დედაბრულ წერას“ (გვ.
8).

როცა საქართველოში წიგნების ბეჭდვა-გამო-
ცემა შეუძლებელი გახდა, ქართველები წიგ-
ნებს უცხოეთში, კერძოდ, იტალიაში ბეჭდვდ-
ნენ და თარგმნიდნენ ქართულ ენაზე. მ. თამა-
რაშვილი თავის წიგნში ასახელებს ქართველ
მოღვაწეებს ანტონ თუმანიშვილს, ძეგისა-
შვილს, ტულუქაშვილს, მამულაშვილს, ჩარგო-
ზაშვილს და სხვებს, რომლებსაც აგრეთვე შეუ-
დგენიათ სახელმძღვანელოები ქართული სკო-
ლებისათვის.

ერთ-ერთი მათგანი — ტულუქაშვილი, საბა-
სულთან ორბელიანს სასწავლებლად რომში გა-
უგზავნია. მას იქ დიდი სიბეჯითე გამოუყენია
და ფილოსოფიაში დისერტაცია დაუცავს. მ.
თამარაშვილი თავის წიგნში წერს: „23 წლის
გორელი ტულუქაშვილი დავითა, რომელიც ბასი-
ლიახთ უფროსმა საბამ, ქართველ კათოლიკე
თავადმა გამოგზავნა, პროპაგანდამ მიიღო 30
ივლისს 1725 წ. კოლევიაში შევიდა 4 აპრილს,
10 ნოემბერს მისცა ფიცი, 1732 წ. 22 მარტს
დაიცვა ფილოსოფიის საჯარო დისერტაცია
პროფექტო კარდინალის წინაშე“ (დასახ. წიგნი,
გვ. 343). სამწუხაროდ, ტულუქაშვილი ორი
წლის შემდეგ, 1734 წ. 28 ნოემბერს, გარდაი-
ცვალა. კოლევიაში სწავლისას 1733 წ. მან ქარ-
თულ ენაზე დასწერა „საქრისტიანო მოძღვრება
საქართველოს მისიონერებისათვის სასარგებ-
ლო“.

დიდი სიბეჯითე გამოუჩენია აგრეთვე მეორე
თბილისელ ახალგაზრდას ივანე ჯავახიანს, რო-
მელიც თექვსმეტი წლისა ყოფილა, რომის კა-
თოლიკეთა კოლეგიაში რომ მიუღიათ. 1731 წ.
მას ფიცი დაუდვია; ხოლო ათი წლის შემდეგ
მისთვის მიუნიჭებიათ დოქტორის სამეცნიერო
ხარისხი ფილოსოფიასა და დოქტრინარულ სა-
მეცნიერო საზოგადოებაში. იმავე წლის ავგუსტოში ივანე ჯავახიანი სა-
ქართველოში დაბრუნებულა.

ბევრი ქართველი მაჰმადიანი სწავლობდა
სულთან ფათიხის მეჩეთთან არსებულ სასული-

ერო სემინარიაში პირველ მსოფლიო ომამდე,
ასზე მეტი მსმენელი ყოფილა, ხოლო შემდეგ
კონტინგენტი შემცირებულია ორმოცამდე.

ახალგაზრდა ქართველ მაჰმადიანებს
ეროვნული მოძრაობა გაჩაღებულა, რასაც სა-
თავეში ჩასდგომია პატრი ანდრია წინამძღვარი-
შვილი. ევგენი დალუჯიო დ' ალესიო წერს: „ამ
სტუდენტებში ძველად არავითარი მოძრაობა
არ ყოფილა. ზოგიერთები 1902-1906 წლებში
დაუახლოვდნენ ცნობილ პატრი ანდრია წინამ-
ძღვარიშვილს, რომელმაც ფრთხილად დაუწყო
მათ ლაპარაკი ეროვნულ საკითხების შესახებ“
(გვ. 9).

თუ წინათ ქართველ მაჰმადიანებს ეშინო-
დათ ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხე-
ლისუფლებისა, 1914 წლის შემდეგ ზოგიერთი
მათგანი აქტიურად ჩაბმულა საზოგადოებრივ
საქმიანობაში, დაუწყიათ სიარული შალვა ვარ-
დიშესთან, რომელიც ყოველნაირად ემხრობოდა
მათ, ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, საქარ-
თველოს ისტორიას, ურიგებდა წიგნებს. ასეთი
ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობის შედე-
გად იქ დაარსებულა ქართული კლუბი.

1911 წელს კლუბების საშუალებით შალვა
ვარდიშის ბინაზე კრება მოუწვევიათ. ასეთი კრე-
ბები იმართებოდა სასწავლებლებშიც, მაგალი-
თად, პაპას-კვეპრის სასწავლებელში. კრებებს ეს-
წრებოდა ფართო საზოგადოება: ფაშები, გენე-
რლები, ოფიცრები, ვეჟილები, ვაჟრები, მოხე-
ლეები, სტუდენტები და სხვ. კრებები ქართუ-
ლი სიტყვებითა და სიმღერებით იხსნებოდა და
ასეთივე წესით იხურებოდა. ამ საზოგადოებამ
შეიმუშავა თავისი წესდება, რის შემდეგ ქარ-
თველ მაჰმადიანთა ეროვნული საქმიანობა კიდევ
უფრო გამოცოცხლდა. როგორც შრომის ავტო-
რი წერს, „მუსულმან ქართველებში ქართული
ცხოვრება დატრიალდა. შეგნით ანატოლიიდან
და შაველონიიდან მოდიოდა ქართველებისგან
მოლოცვების წერილები, სადაც იხატებოდა
მათი აღტაცება“ (იქვე, გვ. 10).

ავტორს თავის შრომაში მოაქვს ერთ-ერთი
მათგანი: „გაზეთის წაკითხვით თითქმის გადა-
ვირე; ჩემ თვალებს არ სჯეროდა ამის სინამ-
დვილემ, მაგრამ მეორე კრების მოხსენებაც რა
წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ ქართველ მუსუ-
ლმანებს ცოთ ნათელი მოგვევლინა, ვინაიდან
დღეის შემდეგ ვიტყვი, რომ ჩვენი ცხოვრ-
ვით ხალხი, რომელიც თავის ეროვნულ პი-
როვნებას აღიარებს და ეროვნული კულტურით
საზრდოებს. ბატონო შალვა, კლუბის წესდება
გამომგზავნე თათრულ ენაზე და მასთან რამო-
დენიმე ქართული წიგნი, რათა ვისწავლო ჩემი
მშობლიური ენა და ჩემი ხალხის წარსული ის-
ტორია. სალამი“ (იქვე, გვ. 10-11).

სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მსოფლიო ომთან დაკავშირებით ეს კლუბი დახურა, თუმცა დახურვის მიზეზი ყოფილა არა ომი, არამედ ის დიდი ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობა, რასაც კლუბი ეწეოდა.

კლუბის დახურვის შემდეგაც ქართველ საზოგადოებას არ შეუწყვეტია მუშაობა. აარსდნენ სხვადასხვა საზოგადოებასა და კლუბებს, ერთი კულტურული კერის დახურვის შემდეგ ჩნდებოდა მეორე, ხან ლეგალურად, ხან კიდევ არალეგალურად.

ქართველთა საქმიანობის მეორე კერა სტამბოლში ყოფილა ფერი-კვეის კათოლიკეთა საგანე. საგანეს ჰქონია საკუთარი არქივი, სადაც ინახებოდა ქართული ხელნაწერები, სასაფლაოების სია და სხვ. შალვა ვარდიძის აზრით, ეს საბუთები ივანე გვარამაძეს დაუწერია, როდესაც იგი ამ საგანეში სწავლობდა.

გარდაცვალებულთა უმრავლესობა ახალციხელები ყოფილა. ყველა ძველი წარწერა მოსობილად, განადგურებულა. ი. გვარამაძეს მხოლოდ ოცდაცხრამეტი წარწერა ამოუწერია. აი, რას ამბობს თვით გვარამაძე ამის შესახებ: „ამ საფლავის ქვების გარდა, კიდევ არის ორასზედ მეტი გადაზიდული კათოლიკე სამეხთა წმინდა იაკობის ეკლესიაში. თითქმის ყველა ქვები ეკლესიის შენობაში იხმარეს და დანარჩენი იმავე ეკლესიაში იატაკად დააგეს. ამ ქვებზე ყველა წარწერები მეტი სიარულით თითქმის ერთიან წაშლილი; მხოლოდ იმდენათ ეტყობა, რომ გაირჩევა ქართული ნაწერი“ (იქვე, გვ. 21-22).

ავტორს მოაქვს კიდევ უფრო ძველი საგანის არსებობის ფაქტი და რამდენიმე ცნობა ამავე საგანის წიგნიდან „უამანი“. ამ საგანეში უმოღვაწია წარჩინებული გვარის კახელს წმიდა ილარიონს, რომელიც გარდაცვალების შემდეგ დიდი პატივისცემით დაუკრძალავს იმპერატორ ვასილს.

დ^რ ალესიო გადმოგვცემს ცნობას იმ წიგნიდან: „წმინდა ილარიონი კახეთის წარჩინებული აზნაურის გვარისა იყო, და ყმაწვილობიდანვე კეთილ საქმისაკენ მიიღებოდა. საზღვარგარეთ წავიდა, სადაც ფრიად სამაგალითო ცხოვრების შემდეგ, მიიცვალა ტესალონიკში. იმ დროს კონსტანტინეპოლში მეფობდა იმპერატორი ვასილი, რომელმაც წმინდანის გვამი თავის სატახტო ქალაქში გადმოასვენებინა. მალე ააშენებინა რომან ადგილზე ერთი დიდებული საგანე „წმინდა მოციქულთა“ სახელწოდებით, სადაც დაკრძალეს წმინდანის გვამი“ (იქვე, გვ. 22).

ილარიონის გარდაცვალების თარიღს მ. თამაზაშვილი თავის ნაშრომში საზღვრავს 882 წლით. მისივე აზრით, კონსტანტინეპოლში ორი

ქართული საგანე უნდა ყოფილიყო — ერთი სოსტენისა სტამბოლის მიდამოებში და მეორე ანასტასიას თვით ქალაქში. 1899 წ. მოგვრჩენილი რებს თავიანთ მოხსენებაში აღნიშნული აქვთ, რომ ქართველებს საზღვარგარეთ ჰქონიათ ოცდაცამეტი საგანე. სიაში მოხსენიებული ყოფილა კონსტანტინეპოლის ქართული საგანეც. საერთოდ, ქართული საგანეების შესახებ დ^რ ალესიო ბოლოს განმარტავს: „ქართულ ძველ საგანეზე სხვა ისტორიული ცნობა არა გვაქვს, გარდა შემდეგისა: 1195 წელს კონსტანტინეპოლში გაიკრცეს ქართველი ბერები, რომლებსაც წაართვეს თამარ მეფისაგან მიღებული საჩუქრები“ (იქვე, გვ. 27). ალბათ, ეს მოხდა საქართველოსა და ბიზანტიის შორის ურთიერთობის გამწვავებისთან დაკავშირებით. როგორც ვხედავთ, ცნობები მართლაც ძლიერ მცირეა. იქ თავის დროზე ბევრი ქართველი პატრიოტი მოღვაწეობდა, რადგან მათ თავიანთ ქვეყანაში დადგომა აღარ შეეძლოთ უცხოელ დამპყრობთა ბატონობის გამო. ამიტომ ქართველების მოღვაწეობა უცხოეთში და, კერძოდ, კონსტანტინეპოლში ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ჯერ კიდევ შეუქსაწელელია და ბურჟუაზია მოცულობისა.

სტამბოლში ქართულ საგანეთა შორის ავტორს ყველაზე უკეთესად მიაჩნია ფერი-კვეის საგანე. „ყველა იმ ნაშთთა შორის, რაც დღეს კონსტანტინეპოლში საქართველოს და ქართული ახალშენის მოღვაწეობას თუ კულტურას წარმოგიდგენს, უდიდესი ადგილი უკავია კათოლიკე ქართველ ბერების საგანეს“ (იქვე, გვ. 27). ამ საგანეში ყოფილან არა მარტო მღვდელ-ბერები, არამედ ქალებიც, ე. ი. აქ დედათა დაწესებულებაც ყოფილა. ამ საგანის ბინადარი თითქმის ყველანი მესხეთიდან ყოფილან. აქვე ეკლესიის ეზოში სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად დაკრძალულია ახალციხელი პეტრე ხარისპირაშვილი, რომელსაც ახალი ქართული საგანის დამაარსებლად თვლიან. 1861 წელს მას ფერი-კვეის განაპირას, საკუთარ მამულში, ახალი ეკლესიისა და საგანის მშენებლობა დაუწყო. ამ საგანეს ჰქონია საკუთარი სტამბა, წიგნსაცავი, ბაღი და სხვ.

ქართველი საზოგადოების მოღვაწეობას დალევიც დ^რ ალესიო მაღალ შეფასებას აძლევს და შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ნახევარ საუკუნის განმავლობაში, თუმცა ამ საგანის მამანი მოკლებულნი იყვნენ საქართველოს ხალხის კულტურულ ცხოვრებას, მაინც ეს საგანე აქ, უცხოეთში ეროვნულ კერად გარდაქმნეს, სადაც მუდამ არა მარტო მრავალ ქართველ ახალგაზრდამ შეაფარა თავი, არამედ მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეშიც კი, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებისა“ (იქვე, გვ. 29-30).

ავტორი დაწერილებით აშუქებს სხვა ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის, ვაჭრობის განვითარებისა და საქონელბრუნვის საკითხებს. საქართველოს მიწა-წყლიდან გატანილ საქონელს ევროპასა და კონსტანტინეპოლში დიდი გასავალი ჰქონდაო. იგი წერს: „საქართველოს მიწის ბუნებრივი მოსავალი ევროპის და განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის ბაზარზე ძალიან მიღებულია; ძალიან ადვილად ცალდება ხელნაკეთი, სავაჭრო საქონელი და სხვა და სხვა სურსათი“ (იქვე, გვ. 41).

ევგენი დალევით დ' ალესიო დიდად ყოფილა დაინტერესებული საქართველოს აწმყოთი და მომავლით. მას განზრახვა ჰქონია განეგრძო საქართველოს წარსულის შესწავლა და, შესაძლოა, კიდევ აქვს დაწერილი სხვა ნაშრომი ჩვენს ხალხს შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ამის

შესახებ არაფერი ვიცით. მაგრამ, რაც მან გააკეთა, ესეც დიდი შენამენია ჩვენი ერის ისტორიაში. თავისი წიგნის დასასრულს ავტორი მოუწოდებს კონსტანტინეპოლის ქართველ საზოგადოებას: „საჭიროა დაუყონებლივ დაარსდეს მათ შორის ერთი კულტურული საზოგადოება, რომელიც ხშირად მათ ერთ ადგილს თავს მოუყრის, დაიცავს და აღორძინებს მათ შორის არა მარტო ეროვნულ ზნეობას, კულტურას და პოლიტიკურ მოთხოვნების ზრდას, არამედ ძმობას და ერთიანობასაც, რომლებიც თავდები არიან მომავალში მათივე განვითარებისა“ (იქვე, გვ. 47).

ევგენი დალევით დ' ალესიომ ამ წიგნის გამოცემით დიდი სამსახური გაუწია საქართველოს.



ფრიდონ ხალვაშის ახალი ლექსები

ალბათ, ყველა მკითხველს ჰყავს თავისი განსაკუთრებით საყვარელი პოეტი, რომელთა ლექსები ღრმად აღებეჭდება მეხსიერებაში და ასე ჰგონია, მხოლოდ მან, მისმა საყვარელმა პოეტმა, ყველაზე უკეთ თავა ის, რამაც იმ წუთში ააღელვა და გაახარა.

ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი პოეტია ფრიდონ ხალვაში. მის ლექსებს მე უფრო ადრე გავიცანი, ვიდრე თვით პოეტს. იმ ხანად, როცა იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, მახუნეთის საშუალო სკოლაში ემუშაობდი და კარგად მახსოვს გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსები ახალგაზრდა პოეტისა. მაშინ მისი ლექსები არ ყოფილა პროფესიულად გამართული, მაგრამ მაინც იპყრობდნენ ყურადღებას თავიანთი უშუალობით.

გადიოდა წლები... და პოეტი თანდათან აწრთობდა კალამს, იზრდებოდა და საკუთარ ხმას იძენდა. თავის სათქმელს იგი ეძებდა და პოულობდა ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში და მკითხველს უკვე აწვდიდა ემოციურად ძლიერ, იდეურ-მხატვრულად საკმაოდ გამართულ ლექსებს. პოეტის ზოგიერთმა ლექსმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ფრ. ხალვაშის ლექსების ახალ კრებულს, რომელიც წელს გამოსცა აჭარის სახელგამმა, „გენაცვალე“ ეწოდება. ეს შემთხვევითი არ არის. „გენაცვალე“ საქვეყნოდ ცნობილი ქართული სიტყვაა და მისი შინაარსი მრავლის შემცველია. მასში ქართველმა კაცმა ჩააქსოვა თავისი სიხარული და სიყვარული, აღმაფრენა და მწუხარება. ყველაფერი ეს პოეტმა შთაგონებით გამოხატა ლექსში „გენაცვალე“.

სწეული ხარ, გეწამლება, ჭაბუკი ხარ,

შეგაყვარებს,

მოხუცი ხარ — მოგაშორებს

შუბლზე წელთა ჩანაღარებს,

გაყენინებს?

— დაგავიწყებს ყველა ფლიდს და
ენამწარეს,

ღარიბი ხარ, გაგამდიდრებს,

ასეთია გენაცვალე...

გენაცვალე, სიცოცხლო,

მიტომ მატკობ და მაწვალბე,

რომ შენ უფრო შემეყვარდე —

გენაცვალე.

ლექსი მთავრდება შესანიშნავი სტრიქონებით: „ყველას მომმეთ წამოდგარო, გენაცვალე საქართველოვ, შენმა სიტყვამ პირნალესმა გამამაგროს, გამამრთელოს“, რომლებიც წარმოადგენენ პოეტის შემოქმედებისა და სიცოცხლის აზრის გასაღებს. მთელი თავისი პოეტური ნიჭითა და უნარით ფრიდონ ხალვაში გულწრფელად ცდილობს ამ აზრის უკეთ წარმოსახვას ლექსებსა და პოემებში. მან იცის, თუ რა ძნელია იყო ნამდვილი პოეტი საქართველოში, იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა რუსთაველი და სადაც განსაკუთრებით უყვართ პოეზია და აფასებენ მას.

ვერც რკინის ძალა და ვერც ელვინა

ცაში გაფრენა ლექსებს ვერ მოშლის.

მაგრამ ერთი რამ ვიცი: ძნელია

იყო პოეტი საქართველოსი.

ამბობს იგი ლექსში „პოეტი“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსი გააზრებითა და ლირიკული ელერადობით ერთ-ერთი საუკეთესოა კრებულში. მეორე ლექსში „სიტყვა მთავარი“ ფრიდონ ხალვაში კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეპოქას „ძელივით გათლილი სიტყვა“ სჭირდება და ბედნიერია ის, ვინც „რამეს შემატებს“ საქართველოს „პატროსან და ჭკვიან ლექსებით“.

ლექსებს საქართველოზე წამყვანი ადგილი უჭირავს პოეტის შემოქმედებაში. ქართული პატრიოტული ლირიკის ოდიზე დამკვიდრებული ეს ტრადიცია ახალ გამოხატულებას პოულობს ფრ. ხალვაშის პოეზიაში თუნდაც იმიტომ, რომ მასში იგრძნობა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ავადმოსაგონარი წარსულის გამო-

ძახილი. ლექსში „ქართული ხმაო“, რომელიც მიძღვნილია დიდი აკაისადმი, პოეტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მისი მშობლიური კუთხე — აჭარა, იდესლაც რომ თურქეთს ეკავა, დღეს აყვავებული და აღორძინებული მხარეა, კვლავ საქართველოა. „საქართველოა! — მერე როგორი! — ნეტა ნახადე და ლექსს იტყოდე. სარფის გაღმიდან ძმანი ოზოლნი გაღმოსედავენ და სულს ითბობენ“. შემთხვევითი არ არის ის, რომ სარფს გაღმა მდებარე ქართული მიწა-წყალი პოეტის არაერთი დღეიქრების საგანია. ყოველ წიგნში უბრუნდება პოეტი ამ თემას და თანაგრძნობის სამშობლოს მოწყვეტილ ქართველობას.

კრებულის ბევრ ლექსში პოეტი ეხება საკაცობრიო საკითხებსაც და ცდილობს აქაც იყოს ორიგინალური ხმის პოეტი, შთანთქმობს მოგავწოდოს თავისებურად, სხვებისაგან განსხვავებულად. ამ მხრივ საგულისხმოა ლექსი „წერტილი“. სიტყვაში „წერტილი“ ჩაქსოვილია ბევრი რამ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, იგი გაყინულს, შემდგარს ნიშნავს. ჩვეულებრივ წერტილს უსვამენ დამთავრებულ თხრობით წინადადებას, მაგრამ ამ შემთხვევაში გრამატიკისთან როლი გვაქვს საქმე. პოეტს მიზნად დაუსახავს გვიჩვენოს ბრძოლა, შეუპოვრობა, სიბოლისიკენ ლტოლვა, რომელსაც ვერავითარი წერტილი ვერ შეაკავებს, და სწორედ ეს ახარებს, ეს აღაფრთოვანებს მას. იგი მთელი ხმით აცხადებს, რომ „გათავებული, წერტილდასმული მე არაფერი არ მიხარიაო“. მეორე ლექსში „უნდა გიყვარდეს“ პოეტი პირდაპირ ამბობს, „კაცი თუ კი ხარ, უნდა გიყვარდეს, უნდა ელოდე,

უნდა ღელავდე“. პოეტი აღფრთოვნილი კიბავს თავის ნაქუშში მოქცეულ, ცხოვრების მღვდელმთავრისაგან განაპირებულ მეშინებას და უსულგულო აღაშინებს.

მეოთხეული მოწონებით მიიღებს ქართული სიტყვის დიდოსტატ კ. გამახუროდისა და სახალხო პოეტ გ. ლორთქიშაძის მიძღვნილ სტრიქონებს. ყურადღებას იქცევენ აგრეთვე ლექსები „მზე“, „ციხისძირი“, „საყვარელ ქვეყანას“ „აჭარელ ქალს“, „ჭოროხი“, „აფხაზეთი“ და სხვ.

განყოფილებაში „მოგზაურის ჩანახატები“ პოეტი გვაცნობს ამერიკასა და ინგლისში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. თავისთავად ეს ფაქტი მრავლისმეტყველოა. ფრიდონის პაპა შეიძლება ისე მოკვდა, რომ თბილისიც არ უნახავს, მაგრამ მისი შეილიშვილი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს და მას არ აცვიფრებს არც ნიუ-იორკი, არც ლონდონი და არც ასორსართულიანი ცათამბეჭენები. ამ განყოფილებაში წარმოდგენილი ლექსები „ატლანტიკაზე“, „უცნობი ქართველი ქალი ერების დარბაზში“, „მე გაეუღიმე ამ ნაცნობ პასუხს“, „სიყვარული მინიგანის ტბასთან“ და სხვ. გამოირჩევიან იდეური შინაარსითა და უშუალობით. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ლექსი „მშვიდობის შემოდგომა“. „ომი და ცრემლი, რაც ჰქონდა წარსულს, არა, დღევანდელ ქვეყანას არ სურს“. ამბობს პოეტი და ამით იგი მილიონების გულის სწრაფვას გამოხატავს.

კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე რ. გამათავის, ნ. ჰიქმეთის, რ. ასავეის, ბ. პასტერნაკის და სხვათა ლექსების მოსაწონი თარგმანები.

ალ. კოკაია.

საპირო ჟიგნი

მიმდინარე წელს აჭარის სახელგამმა გამოსცა ალ. ბაუჟაძის მონოგრაფიული ნაშრომი „აჭარის მშრომელთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის“, რომელიც საინტერესო და საპირო წიგნს წარმოადგენს.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი ფართოდ აშუქებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებებს წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნის შესახებ, რისთვისაც კარგად გამოუყენებია მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომები, პარტიის ყრილობების, კონფერენციების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებები.


ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ვ. ი. ლენინის კოოპერატიულ გეგმაში წამოყენებულ დებულებებს უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, დებულებებისა, რომლებიც

საფუძვლად დაედო ჩვენს ქვეყანაში წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის გარდაქმნას მსხვილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობად.

მომდევნო თავში „აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის პოლიტიკური და ეკონომიური პირობების მომზადება“ დახასიათებულია სოფლის მეურნეობის მდგომარეობა საკოლმეურნეო წყობილებაზე გადასვლის წინ.

რეველუციამდე აჭარა, როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის ერთ-ერთ ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა, სადაც სუსტად იყო განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

ახალი ერა აჭარის ცხოვრებაში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. მოხდა მრეწველობის ნაციონალიზაცია, აღა-მეგების მიწების კონფისკაცია, კერძო პლანტატორ-



თა მამულები გადაიქცა სახალხო მამულებად. ყველა ამ ღონისძიების მეოხებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. მაგრამ სიღარიბე მაინც არ გამქრალა. გლეხების ძირითადი ნაწილი — 87 პროცენტი საკოლმეურნეო წყობილებაზე გადასვლის წინ ისევ სიღარიბეში რჩებოდა. პარტიამ დააწმენა გლეხობა, რომ სიღატაკიდან მათი ხსნა მხოლოდ კოლმეურნეობებს შეეძლო.

კარგად, საქმის ცოდნით არკვევს ავტორი აპარაში ღარიბთა გვლევების, გლეხთა ურთიერთ-დამხმარე კომიტეტების საქმიანობას, რომლებმაც დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს სოციალზმის მშენებლობაში გლეხობის მისაზიდად და ჩასაბმელად. გლეხობის ღარიბი ფენების დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულად გაერთიანებაში თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს აგრეთვე მიწა-ტყის მუშათა სრულიად რუსეთის კავშირმა და მისმა ადგილობრივმა კომიტეტებმა. ამიტომ ამ კავშირის საქმიანობას წიგნი საქმოდ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი. აქვე ბევრ საინტერესო მასალას იპოვის მკითხველი ისეთი საკითხების შესასწავლად, როგორცაა გლეხობის კოოპერაციებზე გადასვლა, სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის განვითარება და სხვ. საკმაო ყურადღებას უთმობს ავტორი აპარაში საკრედიტო კოოპერაციის საქმიანობასაც, განსაკუთრებით კი პირველ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს.

წიგნის მესამე თავში განხილულია აპარის სოფლის მეურნეობის ამოცანები პირველ ხუთწლეულში და ნაჩვენებია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლი მათი განხორციელებისათვის მშრომელთა დარაზმების საქმეში. ხუთწლეულის მანძილზე აპარაში სულ შეიქმნა 254 კოლმეურნეობა და ოცი საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობებში გაერთიანდა ერთობიროვნად მეურნეთა 36 პროცენტი. მაგრამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია უმტკივნეულოდ და უშეცდომოდ როდი ტარდებოდა. ცალკეულ რაიონებში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია რამდენადმე მოწყვეტილი იყო მთლიან კოლექტივიზაციას, პროლეტარიატის კლასობრივი ზაზი ყოველთვის სწორად არ ტარდებოდა და სხვ. მიუხედავად ამ შეცდომებისა, სოფლის სოციალისტური გარდაქმნა მკვიდრ ნიადაგზე დადგა და სერიოზული წარმატებებიც მოიპოვა.

წიგნის ერთი უღაო ღირსება ის არის, რომ

მასში თვალსაჩინო ადგბლი ეთმობა მუშაობას კლასის როლს საკოლმეურნეო წყობილებებში მარჯვებაში. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ დღემდე მუშათა კლასის მონაწილეობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში სათანადოდ არ არის შესწავლილი.

მეთხე თავში ავტორი არკვევს საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარების პრობლემებს მეორე ხუთწლეულში. ამ პერიოდში კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა რიცხვობრივ ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას. მოწესრიგდა შრომის ორგანიზაცია, გაძლიერდა კონტროლი თვითეთლე კოლმეურნის შრომისა და საერთო შემოსავალში მისი წილისადმი. შემოღებულ იქნა სანარდო სისტემა, დაწესდა შემოსავლის შრომადღის მიხედვით განაწილება, განვითარდა საკოლმეურნეო ეპკრობა, მანქანა-ტრაქტოროთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან შეიქმნა პოლიტანყოფილებები. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად განამტკიცა და მეურნეობრივად წინ წასწია კოლმეურნეობები. 1937 წლისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ერთპიროვნული გლეხობის 69,8 პროცენტი, ხოლო 1940 წელს — 97,6 პროცენტი, ე. ი. თითქმის მთლიანად დამთავრდა აპარის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და საბოლოოდ გაქრა აპარის გლეხობის საუკუნეობრივი სიღატაკე.

შრომის დასკვნითს ნაწილში ავტორი ეხება აპარის სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საკითხებს ომისშემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, რომელიც წამოადგენდა მობრუნების პუნქტს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

უღაო ღირსებებთან ერთად წიგნს აქვს ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეც. ჩვენი აზრით, საჭირო იყო ავტორს წინა პლანზე წამოეწია სასოფლო საბჭოების როლი, რომლებიც პარტიული უჯრედების შემქმნამდე უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ყველა საქმეს, მათ შორის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის აუცილებელი პირობების მომზადებას. სოფლად მასობრივ საკოლმეურნეო მშენებლობაზე გადასვლას წინ უძღოდა დიდი ღონისძიებანი სოფლის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებასათვის. მართალია, პარტიის ამ ღონისძიებებზე ნათქვამია შრომის მესამე თავში, მაგრამ საჭირო იყო მათი უფრო ფართოდ გაშუქება.

ზ. ართილავაძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



- აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ მიმდინარე წელს გამოსცა ახალი წიგნები:
- ფ. მახარაძე — ლენინის სახელთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები ლონდონსა და პარიზში, რედ. ვ. გიგელია, გვ. 54, ფასი 7 კაპ.
- ნ. მალაზონია — რჩეული, ლექსები და პოემები, რედ. ც. წუწუნავა, გვ. 232, ფასი 60 კაპ.
- პ. ლორია — ჩემი პატარა ოჯახი, რომანი, რედ. შ. დავითაძე, გვ. 358, ფასი 75 კაპ.
- ა. მახსულია — ვენური წნევა ზოგიერთი სახის გაუტკივრების დროს, რედ. ვ. გიორგაძე, გვ. 82, ფასი 25 კაპ.
- ნ. ნოღაიდელი — დავით კლდიაშვილი ბათუმში, რედ. კ. რუსიძე, გვ. 110, ფასი 20 კაპ.
- შ. ჭაფარიძე — სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები სოფლად, რედ. ლ. ხეჩია, გვ. 106, ფასი 27 კაპ.
- გრ. ჩხაიძე — ძალად ნოვატორი, იუმორისტული მოთხრობების კრებული, რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 102, ფასი 12 კაპ.
- ი. ფაღავა — ქედუხრელნი, რომანი, რედ. ალ. ჩავლეიშვილი, გვ. 324, ფასი 70 კაპ.
- ჭ. ჭაყელი — ჩანჩქერები, ლექსები, რედ. ც. წუწუნავა, გვ. 94, ფასი 12 კაპ.
- მ. სტამბოლიშვილი — საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დიალექტიკა სოციალისტურ საზოგადოებაში, რედ. კ. ბოლქვაძე, გვ. 206, ფასი 1 მან.
- ლ. გელაძე — ტალღები და თოლიები, ლექსები, რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 94, ფასი 14 კაპ.
- ა. ბაუშაძე — აჭარის მშრომელთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის, რედ. რ. კომახიძე, გვ. 244, ფასი 1 მან. 14 კაპ.
- შ. ქურიძე — წერილები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე, რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 222, ფასი 75 კაპ.
- დ. კასრაძე — ლეგენდა რუსთაველზე, პიესა, რედ. შ. ნუცუბიძე, გვ. 128, ფასი 35 კაპ.
- ქს. მუავია — მარად შენთან, ლექსები, რედ. ც. წუწუნავა, გვ. 70, ფასი 10 კაპ.
- გ. ლორთქიფანიძე — უკანასკნელი ცრემლი, რომანი, ნაწილი II, რედ. ა. შონია, გვ. 444, ფასი 75 კაპ.
- რ. ართილაყვა — ცა ვარსკვლავებით სავსე, ლექსები, რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 46, ფასი 5 კაპ.
- მ. ბერძენიშვილი — ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში, მასწავლებლის გამოცდილება, რედ. კ. დოლიძე, გვ. 86, ფასი 8 კაპ.
- ჟან მურიე — ბათუმი და ჭოროხის აუზი, თარგმანი ი. ლორთქიფანიძისა, რედ. ი. სიხარულძე, გვ. 54, ფასი 14 კაპ.
- ფ. ხალვაში — გენაცავლე, ლექსები, რედ. ნ. ნოღაიდელი, გვ. 146, ფასი 36 კაპ.
- ო. ტატიშვილი — აჭარის კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვით-ღირებულების შემცირების გზები, რედ. ვ. პაპუნიძე, გვ. 44, ფასი 6 კაპ.
- შ. ჩხაიძე — აჭარის მთავარიანი ზონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის მტკიცე საკვება-ბაზის შექმნის რეზერვები, რედ. ი. წიწვიაძე, გვ. 66, ფასი 6 კაპ.
- კ. ელიზბარაშვილი — მატერიალური დაინტერესება საკოლმეურნეო წარმოებაში, რედ. ო. ბერიძე, გვ. 50, ფასი 7 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X, 1962 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7
თაბახი, შეკვეთის № 5914, ემ 00655, ქაღალდის ზომა 70X108. ტირაჟი 2.000.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობისა და
გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ლუქსემბურგის, 22).

შპს 40 333.

68.5/112.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литератури Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ